

# მ ო ნ ე ზ ე

თ ვ ი უ რ ი კ უ რ ნ ა ლ ი

წელიწადი შეთერთმეტე

**№ IV**

ა პ რ ი ლ ი, 1904

ტ ფ ი ლ ის ი

საქართველოს მთავრობის ბრძანებით

1904

Дозволено цензурою. 8 Мая, 1903 г. Тифлисъ.

# შინაარსი

I—საეპიგრაფიკო ამბები.—კონან დოილისა.—თარგმანი იგ. სურბიშვილისა. . . . .	83. 1
II—ი პ.—საადდგომო ეტიუდი ტ. შხეპკინისა.—თარგმანი ალ. სოლოღაშვილისა. . . . .	19
III—სამომოგლო.—ოთხმეტყედებიანი დრამა ქეძალ-ბეგისა—თარგმანი სანჯალ-ბეგისშვილის აბაშიძისა. . . . .	39
IV—გლახი კაცი.—წიგნი მეორე, თავი I—II. რამანი ვიდექელმ ფონ ზოლენცის.—თარგმანი იგ. ზოლუძორ-დვინოვისა. . . . .	61
V—ცხოვრება და ღვაწლი თქდის გრიგოლ ორბელიანისა.—თავი IX—XII. ი. ძეუნარგასი. . . . .	1
VI—ვეფხისტყაოსნის ახალის გამომცემის რეცენზიის გამო.—დ. კარბიჭაშვილისა. . . . .	38
VII—თამარ მეფე და მისი ისტორიკოსნი.—მ. კანაშვილისა. . . . .	63
VIII—ახალი ფელანდია—ინგლისის ახალშენი, თავი VIII—შ. გ. მეყუეგისა.—თარგმანი ნ. აღნაშვილისა . . . . .	75
IX—ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.—1. გულივერის მოგზაურობა—სეფტიისა.—2. ძუნწი და ნატერა—შ. მღვიმელისა.—3. თხზულებანი პეტრე ჯონიასი—4. „ლალატი“ ალ. სუმბათაშვილისა, თარგ. კ. მესხისა.—5. „შურდული“ ია. ერასისა.—6. მოკლე დარიგება ჩაის ბუჩქის გაშენების შესახებ—ტიმოფევისა.—7. ყარაშანიანი კარი IX. . . . .	99

IX	<b>ნარევი.</b> —1. კლევის წამლობა.—2. აფთიაქს და ექიმს ერიდეთი—3. აკადემიების კონგრესი.—4. მცენარეთა გეორედ აყვავება.—5. ძვირფასი განძი.—6. ქალთა საშეფო.—7. ქალთა რიცხვი.—8. ქალთა შიქალაქეობრივი უფლებანი ინგლისში.— 9. ევროპიელ სახელმწიფოთა შეიარაღებული მშვიდობიანობა— 10. ლოთობა ინგლისში.—11. ამერიკული კონკურენცია.— 12 ნოქრების საზოგადოება გერმანიაში.—13. არ გავცვლი საღსა კლდეებსა...—14. თავად-აზნაურობის სანუგეზოდ და სამწუხაროდ.—15, მომავლისათვის ზრუნვა.—16. ერთა შო- რის ნუვიდობიანობის დამყარება. . . . .	114
XI	† <b>ვლადიმერ აღნიაშვილი</b> . . . . .	123
XII	— <b>შინაური მიმოსილვა</b> . . . . .	125
XIII	— <b>უცხოეთის მიმოსილვა.</b> — 1. ს. იუეაკოვი და შორე- ულ-აღმოსავლეთის საქმე.—2. ინგლის-საფრანგეთის შეთან- ხება. . . . .	154



# საქიომო აზვებუ

კონან დოილისა

## I

ექიმი ვინტერა

ჩემი და ექიმ ჯემს ვინტერის გაცნობა მოხდა მეტად სამწუხარო პირობათა შორის ღამის ორს საათზე ჩვენს ძველს სახლში, სოფელში. მინამ ექიმი ძიძის დახმარებით ბეწვიანის პარსახოცით სცდილობდა ჩემთვის პირი დაემუწა და თბილ წყალში ჩავეჯინე, მოვასწარ და ორჯერ-სამჯერ მუცელში წიხლი ჩავკარ, გავუსვარე თეთრი ყილეტი და მოვგლიჯე ოქროს სათვალე. ეხლა ვერ გამიხსენებია, რა სახისა იყო მაშინ ექიმი ვინტერი: თითონკი მარწმუნებს, ძლიერ კარგად ახსოვხარო. მისის აღწერილობით: თავი ისეთი დიდი მქონია, თითქო გასიებულაო, ტანი ბატისას მიგავდა და ფეხები, წეროს ფეხებსავით გძელი, მომკრუნჩხოდა. იმ ღამის აქეთ ყოველი ჩემი ექიმ ვინტერთან შეხვედრა შეადგენდა ჩემს ცხოვრებაში ეპოქას. მან ამიცრა ყვაველი, გამიქრა სიმსივნე, ის მწამლობდა, როდესაც ერთხელ ტანზე რაღამაც დამყარა. ერთის სიტყვით ის მუდამ მიღრუბლავდა ჩემის ცხოვრების უღარდელ, მხიარულ და სპეტაკს ჰორიზონტს. რამოდენსამე ხანს უკან მე მართლა-და ძლიერ ავად გავხვდი. რამოდენიმე თვე ვიწექ ჩემს პატარა მალალ კიდიან საწოლში და მხოლოდ მაშინ გავიგე, რომ სოფლის ესკულაპის მკაცრ სახესაც შესძლებია ხანდახან ლმობიერების გამოხატვა, რომ უშველებელ წრიპინა

ჩექმებსაც შესძლებია ლოგინთან ჩუმად მიახლოვება და ამ მრისხანე ხმასაც შესძლებია ავადმყოფ ბავშვის ნაზი მოფერება.

ეხლა ეს უწინდელი ბავშვი თითონაც ექიმი, ექიმი ვინტერი კი სრულებით არ გამოცვლილა. რასაკვირველია, ჩემთვის ძნელია იმის თქმა, თუ რა ცვლილება მოხდა მასში. ჩვენს პირველს გაცნობის შემდეგ, თუმცა მგონია, რომ ქალაქი უნდა მომატებოდა მის მუდამ აბურძღნულ თმასა და მისი განიერი და მძლავრი მხრები თითქო განვლილ წელთა სიმძიმეს ცოტაოდენ მოეზნიქოს. ძლიერ მაღალია, მაგრამ ცოტა მოხრილი დაიარება. ანკი რა საკვირველია, რომ მოხრილიყოს ეს წენი, რომელიც მთელ მის სიცოცხლეს ტანჯულკაცობრიობის საწოლთან იღუნებოდა. მისი შეფგვრემანი კაკლის ფერი სახე უსიტყვოდ მოწმობს, რომ მის პატრონს არ შინებია განრისხებულ სტიქიონისა და გაბედულად უვლია საძაგელ სოფლის გზებზე ღლითაც და ღამითაც, დარშიაც და ავდარშიაც, და ბოროტ სულსავით მკვნესავ ქარშიაც. სახე უცნაური ჰქონდა ვინტერს, — შორიდან სრულებით წმინდა მოსჩანდა, ახლოს კი რომ დასჩერებოდით ან რომ გაეცინა, დაინახავდით, რომ შემწვარ ვაშლსავით დანაოჭებული ჰქონდა კანი, და მხოლოდ მაშინ დარწმუნდებოდით, რომ, რაც გეჩვენებოდათ, იმაზე ბევრად ხნიერი იყო.

ვერავის ვერ გაეგო მისი წლოვანება. ერთხელ მისის ხნის გაგების სურვილით გატაცებულმა იმას მივალწიე, რომ მეფე გეორგ მეოთხის და რეგენტობის ხნის ამბავი მოვაცოლებინე, მაგრამ მაინც კიდევ ვერ გავიგე, რა ხნისა იყო: მისმა გონებამ, ალბად, მეტად ადრე იწყო განვითარება და ამიტომ მეტადვე ადრე შესწყვიტა თავისი მოქმედება და თითქო შეჩერდა. არაფრად ეპიტნავება მას თანამედროვე საქმეთა მდგომარეობა, თანამედროვე პოლიტიკა, წარსული ისტორიული მოვლენანი კი კარგად ახსოვს და დიდის სიამოვნებით ბაასობს მათ შესახებ. ინგლისში რეფორმათა დროს რომ მოაგონებენ, უნდოთ აქნევს თავს და ჰკიცხავს რობერტს პილს, პურის შესახებ კანონი რად გააუქმაო. მისის აზრით, რობერტ პილის,

ამ გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწის სიკვდილმა დააგვიანა ინგლისის ისტორიული აყვავება; ყველაფერი, რაც მის სიკვდილს შემდეგ მოხდა, ისეთი წვრილმანია, რომელიც ლაპარაკის ღირსიც კი არ არის.

მხოლოდ ეხლა, როდესაც დავვაჟაკადი და ექიმი გავხდით, გავიგე, როგორ ჩამორჩენია ქვეყნიობას ეს მოხუცებული კაცი და რამდენად უფრო წარსულ თაობათ ეკუთვნის, ვიდრე ეხლანდელს. ექიმობას იმ დროს სწავლულობდა, როდესაც თვით საექიმო საგანი პირველში ირკვევოდა და ექიმის ხარისხის მისაღებად ანატომიის ცოდნაც კი არ იყო საჭირო. მისი შეხედულება ექიმობაზე უფრო ჩამორჩენოდა ჩვენსას, ვიდრე პოლიტიკაზე მსჯელობა. საზოგადოდ უკანასკნელ ორმოცდაათ წელიწადს სრულებით არაფერი არ მიუმატნია მისთვის, თუმცა არც არა წაუტომევია: ყვავილის აცრა მის ახალგაზდობის დროსაც იცოდნენ და ამიტომ ახლაც მისი მომხრე იყო. მაგრამ ხშირად დიდის სიამოვნებით სისხლს გაართმევდა ავადმყოფს, რომ საზოგადოებისაგან ვაკიცხვის არ შინებოდა. ქლოროფორმი, მისის აზრით, ვილაც შარლატანთა მოგონილი მეტად საშიში საშუალებაა. მასთან რომ ახსენებენ ქლოროფორმს, როგორღაც გაატკატუნებს ენას, გაიქნევს თავს და თითის ქნევით იტყვის, გირჩევთ ყველა მაგისთანა რაღაც ახალ მოგონილ საშუალებას გაუფთხილდითო. მიკროსკოპსაც კი არა სდებს ჯეროვან პატივსა და ფრანგულ სათამაშოს ეძახის.

მაგრამ ყველა ამასთან ვინტერს მაინც არ ეოქმის უვიცი, რადგან იწერს და გულმოდგინედ ჰკითხულობს საყოველკვირაო საექიმო ჟურნალს, თუმცა გულახდილად აღიარებს, რაც შიდა იბეჭდება ყველაფერი სისულელეა, კაცთა ცნობის მოყვარეობის არასაკირო ნაყოფა, უვარკისი ბალლასტი და კაცთა ყოველნაირ ექსპერიმენტისადმი გადამეტებული სიყვარულიო. ბაცილათა თეორია ხომ სასაცილოდაც აღარ ჰყოფნიდა. რამდენს არ ოხუნჯობდა მის შესახებ! „არიქა, დახურეთ კარი, დახურეთ, — იძახდა ხოლმე ავადმყოფის ოთახში, — თორემ ბაცი-



ლები არ შემოგვიცვიდნენ“... დარვინის თეორია მეცხრამეტე საუკუნის ხუმარულ მიმართულების აპოთეოზად მიაჩნდა.

— ბავშვები საბავშვო ოთახში სცხოვრობენ და ჩვენი წინაპარნი კი თავლაში, ამბობდა ის და კვდებოდა სიცილი-საგან.

ცხოვრებაში ყველაფერზე მოდაა და დღევანდელი მოდა ხვალ გადავარდება მისთვის, რომ ზეგ ისევ შემოიღონ. ექიმი ვინტერი ისე ჩამორჩა ცხოვრებას, რომ ხან-და-ხან მოდაში რომ შემოვიდოდა, მეტად უკვირდა. მაგალითად, მის ახალ-გაზდობის დროს დიდ მოდაში იყო დიეტით ექიმობა; ამიტომ ამ ბოლო ხანებში ამგვარ ექიმობას რომ დაუბრუნდნენ ისევ, ვინტერი ყველა ჩვენზე უფრო გიმოცდილი გამოდგა. შემდეგ მასსაყი. მისი მნიშვნელობა დიდის ხნისაგან იყო დაფასებული, ჩვენ კი რალაც სიახლეთ მიგვაჩნდა. ექიმი ვინტერი სწავლულობდა იმ დროს, როდესაც სადოსტაქრო იარაღი ან სულ არ იყო ანა და რაც იყო, ეხლანდელზე ბევრად უარესი, ამიტომ მაშინდელ ექიმებს უფრო თავიანთის ხელების იმედი ჰქონდათ. მართლაც ნამდვილი სადოსტაქრო ხელი ჰქონდა ჩვენს ვინტერს. ან ძალას საიღამ იკრფუდა, ან მგრძობელობას თავის ხელებში. თითონ ამბობდა ხოლმე, ყოველ თითის წვერზე თითო თვალი მაქვსო. არასოდეს არღამავიწყდება, მე და ჩემი ამხანაგი პეტერსონი აპერაციას ვუკეთებდით ჯონ სერველს და ვერ იქნა, ვერ ვიპოვეთ სადღაც გაჩხირული ტყვია. საშინელი წამი იყო. მისგან იყო დამოკიდებული მთელი ჩვენი მომავალი, ჩვენი ოცნება, თავის გამოჩენის და გამოჩენილის. ექიმის სახელის მოპოების იმედი. ასისტენტად ვინტერიც დაგვესწრო. უნდა ვსთქვა, რომ უფრო საპატიო მაყურებლად დავპატიეთ. შეგვატყო, ამათი საქმე ცუდად არისო, დაიკაპიწა ერთბაშად სახელოები და შეჰყო ქრილობაში თითი, რომელიც ჩვენს აღელვებულს წარმოდგენას მეტად გძელი ეჩვენა მაშინ, და ამოიღო ტყვია.

— აი რა კარგია, ჯიბეში რომ ერთი მეტი ტყვია მოგეპოვება.— გვითხრა მან სიცილით,— თქვენ კი, ყმაწვილე-



ზო, მეტად ჭკუიანები ხართ და ამნაირებს ვერ მიხვდებით ხოლმე.

როდესაც ჩვენს ოლქში დაარსდა „ინგლისურ საქიპო საზოგადოების“ განყოფილება, ჩვენ, რასაკვირველია, როგორც ყველაზე უფროსს, ექიმ ვინტერს ვსთხოვეთ თავმჯდომარეობა, მაგრამ მან უარი გვითხრა, ეხლანდელი ახალგაზდობა მეტად ჭკუიანი არისო.

— რა თავმჯდომარე ვიქნები, თუ არა გამეგება იმისი, რასაც თქვენ ლაპარაკობთ?— გვეკითხებოდა ვინტერი და თან გულკეთილად იღიმებოდა.

მაგრამ მისი ავადმყოფები ყველანი კარგად ხდებიან. უეჭველია, კარგის ხელისაა. ვინ გააგებს, რას ნიშნავს კარგი ხელი, მაგრამ კარგი ხელი რომ აქვს, უეჭველია. სენი მიღთვის იგივეა რაც მტვერი სისუფთავის მოყვარულ დიასახლისისათვის: ერთბაშად მოუთმენლობა დაეტყობა ხოლმე. „ოჰ, ჰო, ჰო, განა შეიძლება ესა“! იტყვის ხოლმე და მიედენება სიკვდილს ოთახიდან, როგორც მოუთმენარ კრუხს, რომელიც ვერ მოშორებია თავის წიწილებს. და როდესაც სიკვდილი უარს არის ავადმყოფის ოთახიდან გასვლაზე, როდესაც სისხლის ტრიალი უფრო და უფრო ნელი ხდება და ავადმყოფს თვალები ემღვრევა, მაშინ ექიმი ვინტერი ყველა წამალზე უებარი წამალია. მომაკვდავნი, თითქო წყალწადებული ხავსს ეკიდებო, ეპოტინებიან მის ხელებს, თითქო მისის ხელის მოკიდება ძალასა და გაბედულებას გვრიდეს მათ ამ წუთის სოფელთან გამოსათხოვრად. და რამდენს ადამიანს ჩაჰყოლია საამო გრძნობა ამ კეთილისა, მხნე და ქარბუქში გამოვლილ სახისადმი.

შემთხვევით მე და პეტერსონი, ორივე ახალგაზდა, მხნე და თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი ექიმი, დაგვნიშნეს სწორედ იმ ოლქში, სადაც ამდენ ხანს იღვწოდა ექიმი ვინტერი. მან დიდის სიხარულით მიგვიღო და სიამოვნებით დაგვითმობდა ასპარეზს, მაგრამ ავადმყოფნი თავის გულის აქმისამებრ ისევ ძველ ექიმ ვინტერს არჩევდნენ და ჩვენ

ჩვენის ახალის იარაღებით და წამლებით ხელცარიელნი და-  
ვრჩით. ორთავეს ძლიერ გვიყვარდა მოხუცებული, მაგრამ  
ჩვენს შორის მაინც ვკიცხავდით მის ექიმობას, ყველა სენს  
საფალარათო ზეთით სწამლობს-თქო.

— ეგ ყველაფერი საკმარისია უბრალო ხალხისთვის, —  
ამბობდა პეტერსონი, — მაგრამ განათლებულ კაცს შეუძლია,  
ვკონებ, მოსთხოვოს ექიმს უბრალო ხველებისა და ბრონხიტის  
გარჩევა. ექიმისთვის საჭიროა საქმის ცოდნა და ავადმყოფთან  
სიყვარულით მოპყრობა მხოლოდ არ კმარა.

მე სრულებით დავეთანხმე პეტერსონს. არ ვაუვლია  
დიდს ხანს და ჩვენს ოლქში ინფლუენცა გაჩნდა. უსაქმობას  
ვერავინ დავემდურებოდით: სენი საშინლად მოედო არე-მარცხს.  
ერთხელ დილით პეტერსონს შევხვდი და უცბად შევკრთი,  
ისეთი ყვითელი და მოშლილი სახე ჰქონდა.

— რა დაგემართა? — ვკითხე მე.

— არაფერი. — მიპასუხა მან. — შენ კი რა დაგემართა?  
ავად ხომ არა ხარ?

— არა. — ვუპასუხე მე.

თურმე არც მე ვყოფილვარ უკეთესი სანახავი. შინ რომ  
დავბრუნდი, ცუდად ვიგრძენ თავი. მტკიოდა თავი, მთელს  
ტანში მტეხდა, ძილი მერეოდა. ეჭვი აღარ იყო, რომ ინფლუ-  
ენცამ არც მე დამინდო, ექიმის დახმარება საჭირო იყო. რა-  
საკვირველია, ჯერ პეტერსონი გამახსენდა, მაგრამ მისი გახსე-  
ნება როგორღაც არ მიამა და ვეცადე მისი გადავიწყება. არ  
მიამა გახსენება მისის ავადმყოფებისადმი გულგრილობის,  
მისის დამადონებელ და დაუსრულებელ გამოკითხვის, მის გულ-  
ზე კაკუნის და გულზე ყურის დადების. მე ვგრძნობდი, რომ  
ჩემთვის რაღაც უფრო დამამშვიდებელი და მოსიყვარულე რამ  
იყო საჭირო.

— მისის გუდსონ, — მივმართე ჩემს დიასახლისს, — ერთი  
სიკეთე მიყავით, ჩაირბინეთ ექიმ ვინტერთან და სთხოვეთ  
ჩემს მაგიერად მნახოს.

დიასახლისი წავიდა და ჩქარა პასუხიც მომიტანა.

— ექიმ ვინტერმა ნახევარ საათს უკან მოვალო, ეს-ეს არის ექიმ პეტერსონთან დაიბარეს!

## II

## გაგათა ცოდვა

ტემზისაკენ მიმავალი ქუჩა სკუდამორი ნაკლებად არის განათებული საღამოობით და ცუდს შთაბეჭდილებას ახდენს. ორ რიგად ჩამწკრივებული მაღალი დაღვრემილი შენობები ვიწრო ქვაფენილები და რიყის უშველებელის ქვით მოკირწყლო ქუჩა, საშინელი ბრაგუნის და ხმაურობა ბარგის დაუსრულებელ ეტლებისა ამ ქვებზე, ყველა ეს რაღაც უსუფთაობის, ქუჩყიანობისა და დაღვრემილების ფერსა სდებს ამ ქუჩას. მაგრამ სავაჭრო შენობებსა და საქონლის უშველებელ საწყობებს შორის შეხედვებით აქა-იქ ძველებურ სახლებს, ბატონურ პალატს. ერთ-ერთს ამგვარ სახლში ქუჩის მარცხენა მხარეს ცხოვრობს ექიმი ჰორას სელბი. ქალაქის შუაგულიდამ ასე შორს ცხოვრება სწორედ რომ მხოლოდ გამოჩენილ სპეციალისტს შეუძლია, რომელიც არ დასდევს იმას, რამდენად ემარჯვება მის პაციენტებს ასე შორს სიარული, და არც პრაქტიკას დაეძებს. გარდა ამისა თვით პაციენტებიც კმაყოფილნი არიან, რომ ამგვარ სენტა მკურნალები ასე შორს ცხოვრობენ.

საღამოს ათი საათი იყო. როგორც იქნა, ლონდონის ხილზე მიწყდა ვაჭრული ხმაურობა და ეხლა მხოლოდ მიყრუებული, რაღაც გამოურკვეველი ფუჩუნის ისმოდა. საშინლად წვიმდა. ქუჩის სანათები თავისი ყვითელის მბეუტავის სინათლით ძლივს ანათებდნენ სველ ქვაფენილებს. მძველ ქუჩაზე მხოლოდ ერთი კაცი სჩანდა; ის იდგა ექიმ ჰორას სელბის სახლთან.

ეტყობოდა, ეს-ეს არის ჩამოერეკნა ზარა და კარის გაღებას ელოდა. იქვე მდგომ სანათის სინათლეზე იხედებოდა

მისი საწვიმო მოსასხამი და ლამაზი, გონივრული ფერმკრთალი სახე.

გამომეტყველება რაღაც ახირებული ჰქონდა,—თვალეზ გაშტერებულ დამფრთხალ ცხენისა ან კიდევ შიშისაგან ტუჩებ აკანკალებულისა და ხელებ დაშვებულის ბავშვისა, რომელსაც რაღაზედაც შესწრებიან. მოისმა გასაღების ხმა და კარებში გამოიჭიმა მედიდური მოახლე. ამან პირველ შეხედვაზედვე იცნო კარებთან მდგარ კაცში პაციენტი. ან რა საკვირველია, რამდენ პაციენტს გაუვლია მის წინ მის აქ ყოფნაში.

— ექიმი შინ არის? — ჰკითხა მოსულმა. მოახლე შეეყოყმანდა.

— დღეს სტუმრები ჰყავს. არც უყვარს, თუ არა დანიშნულ დროს აწუხებენ.

— მოახსენეთ ექიმს, რომ მე უთუოდ უნდა ვნახო. უთხარით, რომ მეტად საჭიროა; აი ჩემი ბარათი,—და მან ხელების კანკალით დაიწყო ბარათის ძებნა: მე-სერ ფრანსის ნორტონი მქვიათ. სწორედ ასე მოახსენეთ, სერ ფრანსის ნორტონს დინ-პარკიდამ უთუოდ სურს თქვენი ნახვა-თქო.

— ინებეთ, სერ,—უპასუხა მოახლემ, გამოართვა ბარათი და ოქროს ფული ჯიბისაკენ წაიღო.—მიბოძეთ თქვენი მოსასხამი სერ, აგერ ჩამოგვიდებ, თორემ მეტად სველია. დაბდნდით თუ შეიძლებოდეს აქ, მისაღებ ოთახში, მე ეხლავე მოვახსენებ ექიმს.

ბარონი შევიდა დიდ განათებულ ოთახში. ოთახი ისეთის ლბილის ხალიჩით იყო მოფენილი, რომ მისი ფეხის ხმა სრულებით არ ისმოდა. დაშვებული სინათლე და სუნელების და რაღაც ყვავილების ნაზი სუნი მთელს ოთახს რაღაც საიდუმლოებასა ჰფენდა.

ბარონი დაეშვა ღრმა სავარძელში ფერფლ გადაკრულ ცეცხლიან ბუხართან და ყურადღებით დაუწყო ოთახს სინჯვარი ერთი მეორის პირდაპირ კედელი მოკავებული იყო შკაფებით; შკაფები სავსე იყო დიდის გადაყდულის კიდებ



გოჯქრულის წიგნებით. მის წინ ამართულიყო თეთრის მარმარილოს დიდი ბუხარი. ბუხრის თავზე თითქო განგებ მიყრილ-მოყრილი იყო ბამბა, ქიქები, პატარა ბოთლები, სადოსტაქრო სხვა-და-სხვა იარაღი და სხვა რამე. ბარონმა ყურადღება მიაქცია ერთ ბოთლს, რომელშიაც, როგორც ზედ ეწერა, უნდა ყოფილიყო შაბიამანი, და მეორე ვიწრო გადაღუნულ ბოთლს, რომელშიაც ლიპისი იყო. მრგვალ მაგიდაზეაც რაღაც პატარა დანები, სასხურებლები, მარწუყები და ხუთი წითელ კანიანი წიგნი, თვით სელობის სამეცნიერო თხზულებანი მისსავე სასპეციალო საგნის შესახებ, ელაგა და ეყარა არეულ-დარეული, აქვე იდვა სქელი საქემო კალენდარი და ხელოვნური ფაიფურის თვალი შუაზე გაქრილი, რათა უფრო ადვილი დასწახნი ყოფილიყოს მისი შიდა ნაწილები.

სერ ფრენსის ნორტონი არასოდეს არ ყოფილი მაინცა-ლა-მაინც ცნობის მოყვარე და არც დაკვირვებითი ნიჭი ჰქონია, მაგრამ ეხლა დიდის ყურადღებით ათვალიერებდა ყველაფერს. ასიც კი შენიშნა, რომ ერთ რაღაც სიმკავეთ სავსე ბოთლს საცობი ჰქონდა წამხდარი, და გაუკვირდა, შუშის თავსაცობს რად არ შემოიღებს ექიმიო. არ გამოეპარა მის ყურადღებას არც ლაქები მაგიდის საფარზე და სხვა-და-სხვა წარწერა ბოთლებზე. კედლის საათის ხმაურობა აპრაზებდა, რადგან უშლიდა შორიდან მომავალ ლაპარაკის ყურის გდებას. მიუხედავად ამ ძველის სახლის კედლების სისქისა, მას მაინც ესმოდა ცალკე სიტყვები.

„თქვენია რიგება“ ესმოდა მას, „არა, მე ეხლა ვარიგე“. ან კიდე: „კოროლს საიღამ ჩამოვიდოდი, როდესაც დიდიხანია გასულო“. ამას შემდეგ სადღაც გაიქრიქინა კარმა, სადღაც ფეხის ხმა მოისმა და მას ნათლად წარმოუდგა, რომ მის ცხოვრებაში დადგა დიდმნიშვნელოვანი წამი. ექიმი ჰორას სელობი მაღალი, მოსული, წარმოსადეგი კაცი იყო. ნიკაპი და ცხვირი მეტად წამოწეოდა წინ, მაგრამ მისი სახე მაინც მორგვალელებული მოსჩანდა, ერთის სიტყვით მისი სახე მეფე გეორგის დროის თანსაცემლს უფრო შეფერებო-

და, ვიდრე მეოცე საუკუნის ტანისამოსს. წვერ-ულვაშს იპარსავდა, — ან როგორ შეიძლებოდა ამ ლამაზის, გონიერის მოსიყვარულე ღიმილით მოხაზულის ტუჩების დამალვა. წაბლისფერი თვალები კი ხომ რა ლამაზი ჰქონდა! რამდენს სირცხვილით მოკლულს ცოდვილ ქალსა და ვაჟს გააბედვინა ამ თვალებმა თავიანთის საიდუმლოების გამჟღავნება. თმაში ქალარა გამოჩნდა. საკმარისი იყო დანახვა ამ დიდებულის, ღირსებით სავსე აღამიანის, რომ აღელვებული და იმედ გადაწყვეტილი პაციენტი სრულებით დამშვიდებულიყო.

რწმენა და გაბედულება ექიმის მოქმედებაში, როგორც ომში სარდლისაში, უტყუარი მაჩვენებელია ბრწყინვალე გამარჯვებათა წარსულში და მომავალში დიდებულის გმირობის საწინდარი. ექიმ ჰორას სელობის გვერდით ყველანი კარგად გრძნობდნენ თავს, მეტადრე იმ თეთრ ფუნთულა ხელის შეხებაზე, რომელსაც ეხლა ყმაწვილ კაცს უწვდიდა.

— მაპატიეთ, რომ ამდენ ხანს გაცდევინეთ, მაგრამ ორ ცეცხლ შუა ვიყავი, — დაიწყო მან. — მეტად ძნელია ერთ დროს სტუმარს უმასპინძლო და ავადმყოფს რჩევა აძლიო. მაგრამ ეხლა მზად ვარ გემსახუროთ, სერ ფრანსის; თქვენა გცივათ, ვგონებ?

— დიად, ცოტა, — უპასუხა პაციენტმა.

— ო, რა საჭიროა ეს კანკალი, ქარი მოგხვედრიათ, ალბად. იქნება ღვინო ინებოთ?..

— არა, არა! — უცბად სიტყვა გააწყყვეტინა სერ ფრანსისმა. ცოტა შემცივდა, — ისეთი ცივი სუსხიანი ქარია. გარდა ამისა ისე შემეშინდა, ექიმო.

ჰორას სელობი მიიწია სავაჭძლით ყმაწვილისაკენ და მეგობრულად ხელი დაჰკრა მუხლზე.

— მაშ რა აშავია? — ჰკითხა მან მხიარულად და თვალებშიც კქერა დაუწყოა შემინებულ ბარონს.

ეს ბარე ორჯელ შეეცადა ლაპარაკს, მაგრამ ვერ გაეგებენა დაწყება. ბოლოს, საჩქაროდ დაიკაპიწა შარვლის ტოტი.

ჩაიწია წინდა და გაიტიტვლა ფეხის ქვედა ნაწილი. ექიმმა შეიკმუხნა და მხოლოდ ენა გაატკაცუნა.

— ორივე ფეხი?—ჰკითხა მან.

— არა, მხოლოდ ერთი.

— დიდი ხანია?

— ამ დღით.

— მმ... გაულმულია ექიმმა და ნიკაპზე ხელი მოისვა. — იცით, რისგანაა ესა?

— არა.

ღმობიერ სახეზე სიმკაცრე დაეტყო.

— იმედია, ბავშვი არა ხართ და კარგად იცით, რომ მხოლოდ სრული გულწრფელობა...

პაციენტი წამოხტა სკამიდან.

— გეფიცებით, რომ ჩემი ბრალი სრულებით არ არის, დაიყვირა მან.—ნუთუ თქვენ მოტყვილებას მოვინდომებდი?

ეს საბრალო აღელვებული ადამიანი შარვლის ტოტ აკაპიწებულები და წინდა ჩაშვებულები ერთ და იმავ დროს, შესაბრალებელიცა და სასაცილოც იყო.

მეზობელ ოთახში გაისმა მოთამაშეთა მხიარული ხარხარი. ექიმი მიშტერებოდა ავადმყოფს..

— დაჯექით, — თქვა მან ბოლოს. — ჩემთვის კმარა თქვენი სიტყა. ამ სიტყვებით დაიღუნა და დაუწყო ფეხს სინჯვა..

— მმ... დაყრილია!—წაიბუტბუტა მან თავის ქნევით.— კიდევ რასმე გრძნობთ?

— არა, მხოლოდ თვალი დამაკლდა ცოტა.

— დააღეთ პირი.

ისევ ის არ-მოწონების თავის ქნევა და გაკვირვებითი ხმა.

— თვალები როგორ გაქვთ?—ჰკითხა ექიმმა, დაუდგა პაციენტს წინ ლამპა და აიღო ხელში გამადიდებელი შუშა..

ამ თვალების გასინჯვამ, ალბად, უფრო კარგი შედეგი მოუტანა, რადგან ექიმი კინალამ არ ახტა სიხარულისაგან. ასე გახარება შეუძლია მხოლოდ ბოტანიკოსს, როდესაც ის იშვიათ მცენარეს რასმე ნახავს ან ვარსკვლავთ მრიცხველს,



რომელიც დიდის ლოდინის შემდეგ ბოლოს დაინახავს კუდიან ვარსკვლავს.

— დიალ, მეტად ტიპიური შემთხვევაა, წაიბუტბუტა ექიმმა, მიუბრუნდა საწერ მაგიდას და რაღაც დაწერა ქაღალდზე, — საკვირველია, — წარმოიდგინეთ, სწორედ ეხლა ვწერ მაგაზე წიგნს.

ჰორას სელობის დიდის სიხარულისაგან, რომ თვით ბედი აძლევდა ამ სენის იშვიათ ფორმის პრაქტიკულად გამოკვლევის შემთხვევას, სრულებით გადაავიწვდა ავადმყოფი. ის მზად იყო გადახვეოდა მას და მიელოცნა კიდევ და მხოლოდ მაშინ მიხვდა ასეთის სიხარულის უადგილობას, როდესაც პაციენტმა თავის ავადმყოფობის ახსნა სთხოვა.

— დაწვრილებით გარჩევას ნუ შევეუდგებით, სერ, უპასუხა ექიმმა. — რას გიშველისთ, რომ გითხრათ თქვენი სხეული მზად არის ამა-თუ-იმ სენის შესაყრელად, რომ ეხლა ესა-თუ ის გჭირთ? სულ ერთია, ვერას გაიგებთ და დაიტანჯებით. თქვენ თანდაყოლილი სენი გჭირთ, შთამამავლობითი.

ახალგაზდა ბარონი კი არ დაჯდა, ჩავარდა სავარძელში და დაბლა ჩაჰკიდა თავი. ექიმი მივარდა მაგიდას, საჩქაროდ დაასხა ღვინო და დააღვეინა დაჩაგრულ ყმაწვილკაცს.

— რად გეცათ ვერე ელდა? თქვენ ხომ ელოდით ამას, რაკი ჩემთან მოხვედით და არა სხვა ექიმთან?

— დიალ. მაგრამ მე მხოლოდ ამ დილას გავიგე ეს, როდესაც ეს სიწითლე დავინახე. ფეხზე მამა ჩემსაც ასე ჰქონდა.

— მაშ თქვენი სენი მისგან შეგყრიათ.

— არა, პაპისაგან მოდის. გაგიგონიათ როდისმე სერ რუპერტ ნორტონის სახელი, გამოჩენილი ქაღალდის მოთამაშის. ექიმ სელობის ბევრი წაეკითხნა და ამასთან შესანიშნავი მებხიერებაც ჰქონდა. როგორ არ ახსოვდა ის კაცი, რომელიც ოცდაათიან წლებში განთქმული იყო როგორც ლოთი და ბანქოს მოთამაშე. მისი წარმოუდგენელი ქეიფობა და ლოთობა და გარყენილი ქცევა ბოლოს მოსწყინდა იმ მუქთა მჭამელთა საძაგელ ხროვას, რომელიც მონაწილეობდა მის

გიჟურ ქეიფში. ყველასაგან მიტოვებულმა ნორტონმა ერთდღეს, მთვრალმა, ჯვარი დაიწერა ვიღაც მზარეულ ქალზე და მასთან დალია თავისი ბინძური სიცოცხლე. ექიმი უყურებდა საბრალო ბარონს და მის თვალწინ ყმაწვილ კაცის სავარძელს უკან თითქო აიძარტა ბარონის პაპის აჩრდილი. აჩრდილი მდიდრულად იყო გამოწყობილი. ეხლა რაღა დარჩა მისგან? კუბოს დამპალ ფიცრებს შორის ერთი მუქალა სრულიად გამოუსადეგარი მტვერი. მისი ქცევა კი? ო, მისი ბოროტსვიანი შედეგი შენახულიყო და თავს იჩენდა ეხლა ამ სრულებით უდანაშაულო ყმაწვილის კაცის სისხლში.

— გატყობთ, რომ უნდა გაგეგონოთ მისი სახელი, — ძლივს წარმოსთქვა ყმაწვილმა, — მისისავე საშინელის ცხოვრების ღირსი სახელი. მას ერთად-ერთი შვილი ჰყავდა, მამა ჩემი. ეს უკანასკნელი დიდი განათლებული კაცი იყო, სწავლულიც. თავის წიგნებისა, მფრინველებისა და ბუნების მეტი მას არაფერისწამდა: თავისის მართლის ცხოვრებით მან ვერ გამოისყიდა მაინც თავის მამის ცოდვა და სრულებით უდანაშაულოდ დაისაჯა.

— რითი გამოიხატებოდა მისი ავადმყოფობა? ჰყრიდა ტანზე — ჰკითხა ექიმმა.

— ალბად, რადგან მახსოვს, ხელთათმანს ოთახშიაც არ იშორებდა ხელიდამ. შემდეგ ხან ხელს იტკივებდა, ხან ფეხებს. მახსოვს, რა რიგად მომაბეზრა თავი მუდმივის კითხვით, შენ როგორა ხარო. მაგრამ მაშინ ხომ არ მესმოდა ამ კითხვის მნიშვნელობა.

— გყავთ დები ან ძმები?

— მადლობა ღმერთს, არა!

— დიად, ძლიერ სამწუხარო შემთხვევაა და, უნდა გამოვტყდე, ჩემს პრაქტიკაში ყველაზე თვალსაჩინო. მერწმუნეთ, სერ ფრანსისს, ათასობით იტანჯება ხალხი მაგნაირადვე თავის მამა-პაპათა ცოდვათა გამოისობით.

— სამართალი სადღაა, ექიმო, შესძახა ბარონმა, წამოხტა სკამიდან და ოთახში წინ-და-უკან სირბილს მოჰყვა. —

პაპის ჩემის გარყვნილება რომ დამყოლოდა, მაშინ მესმის, ჩემი აღშფოთება უნიადაგო იქნებოდა. მაგრამ მე ხომ წყნარი და უბრალო ცხოვრება მიყვარს, მიყვარს ბუნება და მუსიკა, პოეზია და ხელოვნება. ყოველსავე ბოროტსა და უზნეოს გაუფრთხილარ. ჰკითხეთ ჩემს ნაცნობებს, ისინი აგიწერენ ჩემს ხასიათს. მაშ რილასთვის უნდა დავისაჯო ასე? განა ჩემი ბრალია ჩემი ამ ქვეყნად გაჩენა? ამ საშინელმა სენმა მომკლა და ბოლო მომიღო სწორედ ისეთს წამს, როდესაც სიცოცხლე ისეთი გასატაცებელი და მშვენიერი მომეჩვენა! განა ჩავიღინე რამე? ჩვენ ჩვენს წინაპართ ცოდვებზე ვლაპარაკობთ. მაშ რაღა უნდა ითქვას თვით ბუნების გამჩენის ცოდვაზე?..

ბარონი იდგა შუა ოთახში და მუშტები დაეკუმშა — ამ უმწეო, პატარა ატომს მიკროსკოპიულის ტვინით, რომელიც აეტაცნა დაუსრულეპლობის ქარიშხალს. ექიმი მიუახლოვდა, აღერსიანად მოჰკიდა ხელი და ჩააჯინა სავარძელში.

დამშვიდდით, ჩემო მეგობარო, აღელვება მავნებელია თქვენთვის. ჩვენ ვერ გადავსწყვეტთ მაგ დიდ საქვეყნო საგნებს, რადგან, კაცმა იკითხოს, რას წარმოვადგენთ. რაღაც განუვითარებელ ქმნილებათ, რომელნიც უფრო მედუზების რიცხვს ეკუთვნიან, ვიდრე განვითარებულ კაცობრიობას. განა შეგვიძლია სავსებით წარმოვიდგინოთ ჩვენის ტვინით სრულებით დამთავრებული მოვლენა? რასაკვირველია, ყველა ეს ძლიერ სამწუხაროა, მაგრამ რა გაეწყობა, უნდა დასთანხმდეთ პაპის იმ აზრს, რომ...

ყმაწვილმა კაცმა ხელების ქნევით გააწვეტინა სიტყვა:  
— ეგ ხომ სიტყვებია და მხოლოდ სიტყვები. თქვენთვის, რასაკვირველია, ადვილია მაგისტანა სიტყვებით დაკმაყოფილება, რადგან თქვენ გიცხოვრნიათ და დამტკბარხართ ცხოვრებით. მაგრამ ახლა მე მკითხეთ, ძარღვებში რომ გაფუჭებული, დამპალი სისხლი მდის? მერე განა თქვენზე მეტი დანაშაული მიმიძღვის, რომ ამ ქვეყნად დავიბადე? ვერავინ ვერ გაიგებს ამ ტანჯვას, მინამ თითონ არ გამოსცდის. ექიმო, ერთი რამ კითხვა უნდა მოგცეთ ისეთი, რომლისგანაც დამოკიდებულია ჩემი სიცოცხლე.

ბარონი ისევ მოჰყვა ოთახში სიობილს და თან ხელებს იმტვრევდა.

— მკითხეთ, ჩემო მეგობარო, — სთქვა ექიმმა. — მერწმუნეთ, რომ ძლიერ თანაგიგრძნობთ.

— მე მინდა გავიგო... მე მინდა გკითხოთ, იქნება ეს შთამავლობითი შმახი გადაგვარდა ჩემს სწეულში? ეს იგი, შეიძლება რომ ჩემს შეილებსაც გამოყვეს ეს სენი?

მაგაზე შემძლია გიპასუხოთ, რომ ეს სენი მესამე და მეოთხე მოდგმაში იჩენს ხშირად თავს. თქვენ შეგიძლიანთ სრულებით განიკურნოთ მაგ სენისაგან, მხოლოდ ამისთვის საჭიროა განუწყვეტელი წამლობა რამოდენსამე წლის განმავლობაში, მანამდის კი თქვენ არამც და არამც არ შეგიძლიათ ცოლის შერთვა.

— ჩემი ქორწილი დანიშნულია სამშაბათს, — კვნესით წარმოსთქვა პაციენტმა.

ექიმ სელობის სახე მოეშალა ამ სიტყვების გაგონებაზე, გაჩუმდა და თავის მხრით ჩაჰქინდრა თავი, მეზობელ ოთახიდან ისმოდა მოთამაშეთ აითო-ოროლა სიტყვა..

— ამას რად გადმოდით, ერთი ასაყვანი დაგვეკარგა ხომ შავითი! ყვიროდა ერთი.

— ჩაშ რას გადმოვსულიყავ, თუ არა მაგას, ფიცხობდა შეორე.

— ეგ ხომ ბოროტმოქმედებაა თქვენის მხრით, — სთქვა ზოლოს ექიმმა.

— ნუ გავიწყდებათ, რომ მე თითონ მხოლოდ დღეს გავიგე, რომ ავად ვარ, უპასუხა ავადმყოფმა. — მირჩიეთ, ექიმო სელობი, — განაგრძო მან და ხელები თავში წაიფლო, — რა ვქნა ეხლა. მევერ გადვიტან ამ უბედურებას.

ექიმი იჯღო წარბშეკმუხვნილი და ფჩხილებს იკენეტდა.

— ქორწილი ვერ მოხდება, სთქვა მან.

— მაშ რა ვქნა?

— არ ვიცი, მართალი გითხრათ, მაგრამ ცოლის შერთვა დიდი უზნეობა იქნება თქვენის მხრით.

— მაშ უარი უნდა ვუთხრა?

— უთუოდ.

ყმაწვილმა კაცმა ამოიღო უბის წიგნიდამ თავის საცო-  
ლოს ფოტოგრაფიული სურათი და გაუწოდა ექიმს.

ექიმის მკაცრ სახეს უფრო დიდი მწუხარება დაეტყო.

— მართალია, თქვენთვის ეს დიდს უბედურებას უნდა  
წარმოადგენდეს, მაგრამ სხვა გზა არ არის. გიმეორებთ, ცო-  
ლის შერთვა—უღმერთობა იქნება თქვენის მხრით.

— განა უფრო დიდი უღმერთობა არა იქნება საჯაროდ  
ასეთი სირცხვილი ვაქამო ახალგაზდა ქალს სწორედ ჯვარის  
წერის წინა დღეს? ხომ არ შეიშალებთ, ექიმო? ხომ მთელმა  
ქვეყანამ იცის, რომ ჯვარის წერა სამშაბათს არის დანიშნული.

— მაინც კიდევ თქვენ სამუდამოდ უარი უნდა სთქვათ  
მაგაზე.

— თქვენ გინდათ, რომ მე მიზეზ აუხსნელად უარი ვსთქვა  
სიტყვაზე და ჯვარის წერის წინა დღეს ასეთი სირცხვილი მივა-  
ყენო? არა, შე არ შემიძლიან ეგ.

— ამ რამდენსამე წლის წინად,—სთქვა დაფიქრებულმა  
ექიმმა,—სწორედ ამ ნაირივე შემთხვევა მოხდა. მაშინ ჩემმა  
პაციენტმა განზრახ ჩაიდინა ბოროტმოქმედება, რათა საცო-  
ლის მშობელთათვის უარი ეთქმევინებინა.

— მე ძვირად ვაფასებ ჩემს სახელს და მაგას ვერ ვიქ,—  
უპასუხა ამაყად ბარონმა.

— რასაკვირველია, ეს საშუალება ვერ არის ხელსაყრე-  
ლი.

— სხვა გზა არ არის?

ექიმი ისევ დაფიქრდა.

— იქნება ავსტრალიაში გაქვთ რამე მიწები?.. ჰკითხა  
ექიმმა.

— არა,— უპასუხა დაღონებულის ხმით ყმაწვილმა კაცმა.

— და ფული?

— მაქვს.

— მაშ საჩქაროდ იყიდეთ ავსტრალიაში ორი-სამი მაღა-



ნი და ეხლავე წადით, საცოლეს კი ბარათი მისწერეთ; რომ საჩქარო საქმეებმა ქორწილი გადაგადებინეს. ამრიგად ექვს თვეს მოიგებთ.

— მასე უნდა მოვიქცე. მაგრამ წარმოიდგინეთ, რა ყოფაში ჩავარდება. მთელის ინგლისილამ მოსულან მისი ნათესავეები, მოუტანიათ აუარებელი საჩუქარი და ერთბაშად ასეთი სკანდალი. ნუ თუ სხვა გზა არ არის?

პასუხის მაგივრად ექიმმა მხრები-ლა აიწია.

— მაშ წერილი უნდა მივსწერო. მომცემთ ნებას. აქვე დავსწერო? მაპატიეთ, რომ ამდენს ხანს მოგაშორეთ სტუმრებს.

ამ სიტყვებით ბარონი მიუჯდა საწერ მაგიდას, დაავლო ხელი კალამს და დაიწყო წერა. მაგრამ არ გაეგლო ერთს წამსაც, ისევ წამოვარდა და დაკუჭა დაწყებული წერილი.

— არა, არ შემიძლიან ასე ვიცრუო. სხვა რამ უნდა მოვიგონო. თუ ნებას მომცემთ, ხვალ შეგატყობინებთ ჩემს გადაწყვეტილებას. ნახვამდის. მაპატიეთ, რომ გაგაცდინეთ, მაინცა-და-მაინც დიდი მადლობელი ვარ რჩევისა და იმ თანაგრძობისათვის, რომელიც აღძრა თქვენში ჩემმა უბედურებამ. ამ სიტყვებით ბარონი საჩქაროდ გაეშურა კარებისაკენ.

— მოითმინეთ, წამალი დაგინიშნათ, გააჩერა ექიმმა. — აი, ამ სასმელს დაღვეთ, ამ ფხენილს მიიღებთ ყოველ დილას თითოს და ამ მალამოს წაისობთ. თქვენი მდგომარეობა, მართალია, ვერ არის კარგი, მაგრამ გახსოვდეთ, ღრუბელი გადაიყრება და ისევ გამოიდარებს. მაშ როდის ველოდეთ თქვენგან ამბავს.

— ხვალ დილით.

— კეთილო. ოჰ, რა წვიმაა! თქვენი მოსასხამი, ვგონებ, ქვეით არის. მაშ ხვალამდის.

ექიმმა თითონ გააცილა თავისი პაციენტი და გაულო კარი. ოთახში შემოიქროლა ციემა ნოტიო ქარმა, მაგრამ ექიმი რამდენსამე ხანს იდგა კარებში და თვალს ადევნებდა საბრალო ბარონს. უშველებელი ჩრდილი თან მისდევდა ქუჩაში და ექიმს ისე ეჩვენებოდა, თითქო უშველებელს, შავ

მოსასხამში გამოხვეულს არსებას ხელი ხელს გაუყრია ყმა-  
წვილ კაცისათვის და ისე მიჰყავსო.

მეორე დილას ექიმმა ჰორას სელობიმ მართლაც მიიღო  
ცნობა თავის პაციენტის შესახებ. ექიმი ჩვეულებრივ ჰკითხუ-  
ლობდა საუზმეზედ „Daily News“. ერთბაშად „შემთხვევათა  
ქრონიკაში“ შემდეგი შენიშვნა მოხვდა თვალში: „გუშინ, ვი-  
ლიამის ქუჩაზე, ღამე საათის 12-ზე მებარგის ეტლმა მოიყო-  
ლია კიბიდან გადმომხტარი ყმაწვილი კაცი. საბრალოს იმ  
წამსვე მიეშველნენ, მაგრამ მინამ საავადმყოფოში მიიტანდნენ,  
გონს არ მოსულა ისე გარდაიცვალა. როგორც გავიგეთ, თა-  
ვისსავე გაუფრთხილებლობის მსხვერპლი ბარონ ფრანსის ნორ-  
ტონია დინ-პარკიდამ. განსვენებულს ამ ჯამდენისამე ხნის წი-  
ნად მიეღო დიდი მემკვიდრეობა და ამ დღეებში ერთ წარ-  
ჩინებულის პირის ქალის შერთვას აპირებდა. საბრალო ბა-  
რონის, რომელსაც ასეთი ბრწყინვალე მომავალი მოელოდა,  
უდროვო სიკვდილმა არ შეიძლება არ შეაშფოთოს ყოველი  
კაცი.“

ივ. ზურაბაშვილი.



# ი ა

საადგომო ეტიუდა.

(ტ. შჩეპკინისა)

„O, primavera, gioventu del anns“...

საუცხოვო, გამაცოცხლებელი დილაა. ჰაერში ახლად ამოსული ჰინჰრის სუნი ტრიალებს. ყველგან გაზაფხულის მშვენიერებაა მოფენილი: ცელქად მორბიან მთის ნაკადულები, მოჩუხჩუხებენ გიჟმაჟათ რუები და სჩქეფენ მალლიდამ ჩახრიალები.

მოსჩანან მალლა ამართული, მომლიმარე მთები. თავი თეთრის ღრუბლებით დაუბურიათ და ანკარა ტბაში, ვით სარკეში, ისე მოსჩანან. ტყეს უკვე მოჰფენია მწვანე ხავერდის ხალიჩასავით ბალახი; მზეს იისაჯვის თვალი აუხილვინებია.

მთის ძირას, ზემოდამ, ეშვება გზა, საიდანაც მოლაპლაპე და მოციმციმე ტბა და ნისლით მოცული სავოიის ნაპირები მოსჩანს.

გზაზედ ჩქარის ნაბიჯით ხელი-ხელს გაყრილი ორი ახალგაზრდა ქალი მიგოგავდა. ორივე ერთ-ფერის კაბით იყო გამოწყობილი, წელზედ ყვითელი ქამრები ეკრათ, თავზედ ჩალის თეთრ ლენტიანი თავსაფარი ეხურათ. მიუხედავად იმისა, რომ კაბები ინგლისურს გემოვნებაზედ ჰქონდათ. შეკერილი, მათი მოძრაობა, ბაგეთა მოხაზულობა, ღიმილი, თვალთა და სახის გამომეტყველება ერთს წუთსაც-კი არ გაფიქრებინებდათ, რომ

იგინი ინგლისელები ყოფილიყვნენ. მართლაც-და რუსულად ლაპარაკობდნენ და უმანკო წკრიალა ხმა სუფთა ჰაერს უეროდებოდა.

ერთს მათგანს ხელში მინდვრის ყვავილები და ულპიის წითელი ვარდები ეჭირა. ორივენი ქერა ქალები იყვნენ, მაგრამ ერთს მათგანს მუქი, ოქროს ფერი თმა სახეზედ ჩამოჰშლოდა და ბავშვურს, ცოცხლად გამომეტყველს თვალებს. გარს ევლებოდა. მისი პატარა სხეულიც ფხიზლად, ჯანსაღად გამოიკქერებოდა.

მეორე, მასზედ მაღალი და წვრილის ტანისა, უფრო სუსტ არსებად მოსჩანდა. ბაცი ქერა თმა მშვენიერად ჰქონდა ორთავე მხარეს გადავარცხნილი და გამომეტყველ თვალებთან ერთად მისს სახეს წმიდანის იერს აძლევდა.

— არ დაიღალე, მარუსა? ჩაეკითხა თანამგზავრი რალაც მფარველობის მზრუნველობით, რაიცა მისს ბავშვურს გამომეტყველებას არ შეეფერებოდა.

ქალმა ღიმილით შეჰხედა და სიამოვნებით უპასუხა ამოხვრით:

— არა, ლიუტიკ! მშვენიერებაა. მისდინარ, ჰყლაბავ ჰაერსა და გგონია, თითქოს სანეტაროს რასმესა ჰსვამდე.

— ჩვენში-კი ეხლა თოვლია, სიცივე!... აქ-კი რამოდენა ხანია მარტო კაბებით დადიან.—გაიცინა ლიუტიკმა და უცბად ამოიოხრა.

— მაინც მენატრება, ერთის წუთითაც არის, თვალითაც არის თვალი დამეკრა რუბენოისათვის... ეხლა იქ რა ხდება?

— მართლაც-და, წარმოდგენილი მაქვს... დედა ფუსფუსებს...

— მართალია! ვნების კვირაში დედა სონა ისევე ჰგრონობს თავსა, როგორც ღენერალი ომის წინა დღეს!.. სახლები გადაკარწახებული აქვს... თვითონ ჰხელავს ცომს...

— გუშინ უთუოდ მთელს დღეს პასკებსა და კულიჩებს აცხობდნენ.

— წვრილფეხობა კვერცხებს ღებავს! პეტო უთუოდ მთელს სახეს საღებავით მოითუთხნიდა; ლურჯად, მწვანედ, წითლად...

— ლელა ლიტონისათვის თერთ კაბას იმზადებს... ოჰ, ღმერთო! რა რიგად შინდა მათთან ყოფნა! ჩემო კარგო და ძვირფასო!.. და მარუსას თვალები სევდამ მოიცვა.

ბიძაშვილი უფრო ნაზად მიეკრა და მის სევდის გასაქარვებლად ალაპარაკდა:

— კარგია ერთი, მარუსა! აი, ჰნახავ, რა დიდებულად შევეგებებით აქ აღდგომას. ამ წუთში წამოვიღებთ გრანსილამ ჩვენ კულიჩს, — გესმის, რუსულს კულიჩს! კვერცხები უკვე შევღებეთ, პასკა ჩინებულად გამოვაცხეთ, ახლა შევიბრინოთ ყვავილების კიოსკში, ვიყიდოთ ყვავილები და მაშინ ხომ საუცხოვო, სააღდგომო სუფრა გვექნება. კარგი იყო ლიტონიაზედ ვევეის წავსულიყავით, მაგრამ არა უშავს-რა, თვალი დაუდგა უფულობას, ჯიბე ნებას არ გვაძლევს: ჩვენ შინ ვილოცოთ და გარწმუნებ, ღმერთი გვაპატიებს! შემდეგ გადავკოცნოთ ერთმანერთი და პირი გავიხსნილოთ!

— ჩემო კეთილო და თავგანწირულო ლიუტიკ! შესძახა ნათქვამით აღტაცებულმა მარუსამ. შენ ხომ შეგეძლო, ეხლა რუბეჟროში ჯდომილიყავი, ლიტონიაზედ წასულიყავ, აღდგომის ზარის ხმა გაგეგონა...

— დიახ, მაგრამ შენ ხომ აქ მარტო უნდა ყოფილიყავი და მერე ისიც ავადმყოფი? მართალია, რომ ასეთი საქციელი მადლობის მაგიერი იქნებოდა ბიძა ჩემისა და ძალუასათვის, სამაგიერო იმისი, რომ მეც შენთან ერთად ერთნაირად აღმზარდეს. სხვა რომ არ ვსთქვათ-რა, ისედაც დაჯილდოვებული ვარ სამაგიეროდ! ვისმენ ლექციებსა და ვსწავლობ იმას, რაც რუბეჟროში სიზმრადაც არ მომეღანდებოდა... მერე, გგონია უშეწოდ ჯავრისაგან არ მოგვედებოდი? შექსპირის „ეს როგორ მოგწონთ?“ ხომ გახსოვს, გერცოგი—ბიძა როზალინდას სხვაგან რომ გაავდებს; მას თავისი ბიძაშვილი ცელია გაჰყვება თანა!.. მეც არასოდეს შენ არ დაგტოვებ!.. — დაამთავრა ლუტიკმა დარბაისლურად.

— ოჰ, ჩემო ცელია! — გაიცინა მარუსამ, გამოართო ხელი, მაგრად მიიხუტა გულთანა და ორივემ მხიარულად ჩამოირბინეს მადლობიდან გრანის ბულვარზედ.

კოპწიად მორთულს პატარა საკანდიტეროში ხალხი ბევრი იყო. ქალბატონები მისჯდომოდნენ მარმარილოს მაგიდებს და თითო ჭიქა შერრნის შექცეოდნენ. სუფთა გამსყიდელი ქალები კიდევ ქალაღლის პარკებს ამზადებდნენ. ლიუტიკმა კვიტანცია გადასცა და მანამ შეკვეთილს კულიჩს მიიღებდნენ (მხოლოდ აქ ამზადებდნენ კულიჩებს), ბავშურად გამომეტყველო თვალი შაქარში ჩაყრილს წაბლს გააყოლა, პირში ნერწყვი მოუვიდა.

— ვხედავ, ვხედავ! შეჭნიშნა შეწუხებულმა მარუსამ, — გინდა, განა, წაბლი! გინდა და გიყიდი, ლიუტიკ? ხელ-გაშლილობა დღესასწაულში გვეპატიება.

— უკაცრავად, მარია ნიკოლაევნა! დაგავიწყდათ, რომ ხვალ-ხევით პანსიონის ფული გვაქვს შესატანი; — მაშასადამე, დეიდას ფულების დახარჯვა შეუძლებელია; უიმისოდაც ადვილად არა შოულობენ 60 მანეთს, ყოველ თვე რომ მიგზავნიან, სწავლის ფულის გარდა.

— გეყოფა, გეყოფა დარიგება! შენ ხომ შენს საკუთარს ფულებსა ჰხარჯავ? შეგიძლიან ერთის გაკვეთილის ფასი, რომელსაც აი, გაბერილი დედის-ნებიერისაგან იღებ, შენის სიამოვნებისათვის მოიხმარო.

— არა, ძვირფასო, — შეჭნიშნა კვალად დინჯად ლიუტიკმა, — მერე დიმიტრიევის ქალი-კი დაგავიწყდა?

— რომელი?

— ჩვენი ბოლგარელი სტუდენტი-ქალი.. ხვალ უსათუოდ 10 ფრანკი მაინც უნდა წავუღო, რომელიც მას ათ სადილად ეყოფა.

— მერე შენ რომ ყვავილები გინდა მიყიდო?

— ეგ, არასფერი, ჯერ ერთი რომ შენ ყვავილებს თითქმის აღმერთებ და, მეორეც... უყვავილებოთ რა აღდგომა იქნება? თუ ღმერთი გწამს, ბევრს ნუ ჰბჭობ! გაჯავრდა ბოლოს ლიუტიკი, გამოართვა კულიჩი გამსყიდველსა და მარუსა საკანდიტეროდან გამოიყვანა.

იქვე მახლობლად ყვავილების კიოსკი იყო და შევიდნენ. იქ ღიმილით მიეგება მათ, როგორც ძველ თავის ნაცნობებს, ახალგაზდა თმებ-დახუჭუქებული ქალი წინ-საფარით.

მართლაც-და ორივენი ხშირი სტუმრები იყვნენ ხოლმე: ისე არა იტყუებდა-რა მათ, როგორც ყვავილები, რომლებიც ზამთრობით ცოტა იცის რუსეთში. დიდს სიამოვნებასა ჰგრძობდნენ ხოლმე ყვავილების თაიგულის ყიდვით და ორ ფრანკს მუდამ დაუნანებლად აძლევდნენ ხოლმე. უნივერსიტეტიდან მამავლობისას ლიუტიკი უთუოდ შეირბენდა ხოლმე კიოსკში და 20 სანტიმიანს იის კონას მიურბენებდა მარუსას, რადგან ია მეტად უყვარდა მასა.

კიოსკი ყვავილებით იყო სავსე. ყველანი თვალ მოსატაცად იყვნენ რიგზე ჩამწყვრივებულნი, მაგრამ სხვებზედ ღამაზად და თითქოს უფრო ცოცხალი ისევ ია გამოიყურებოდა.

უმზერდა ლიუტიკი ყვავილებსა და უნდოდა ყველა ერთად წამოეღო, მაგრამ არ შეიძლებოდა, არჩევან იყო საჭირო: აირჩიეს თეთრი ნარგიზი, წყლის დიკა, რამდენიმე ვარდი, უფრო მეტი-კი ია და გამხიარულებულები სახლში დაბრუნდნენ.

ქუჩას, რომელზედაც იგინი სცხოვრობდნენ, „განმარტოებული“ ერქვა. აქედამ უნივერსიტეტი სულ ახლოს იყო, იქვე გორაზედ ამართული; მისასვლელად მხოლოდ ერთი კიბის არბენა იყო საჭირო, ან კიდევ ცაცხვით დაჩრდილულის ქუჩით შეიძლებოდა იქ მისვლა. მათის პანსიონის დიასახლისს, კეთილს „mademoiselle jaecud“-ს მეორე საართული ჰქონდა დაქირავებული, მასვე ჰქონდა დაქირავებული ზევითა ორი მანსარდი, რომელიც საზოგადოდ მოსამსახურეთათვის შენდება, მაგრამ ანგარიშიანი შვეიცარიელები ამასაც აქირავებენ ხოლმე.

აქ ეჭირათ პატარა ოთახი ქალებს. მართალია, ოთახი მეტად პატარა იყო, მაგრამ ნათელი და მასთან სუფთად მოწყობილი კი. ოთახის მოწყობილობას შეადგენდა: ტახტი, დიდი დივანი, რომელზედაც ლიუტიკს ეძინა ხოლმე, ორი სავარძელი, პირის საბანი, კამოდი და შუა ოთახშიაც დიდი მაგიდა, რომელიც ერთსა და იმავე დროს საწერი მაგიდაც იყო მათთვის.



სა და სასადილოც, როცა-კი საზოგადო. სასადილოში არ მოი-სურვებდნენ ხოლმე სადილის ქამასა. ამ სპარტანულს (უბრა-ლო) მოწყობილობას ქალებმა ისეთი რაღაც შეუმჩნეველი რამ მიუმატეს, რომ ოთახი სრულიად დაამშვენეს; კუთხეში ყაზა-ნის ღვთის მშობლის ხატი ესვენა, რუსეთიდან წამოღებული, რომლისაც მარუსას დიდი სასოება ჰქონდა. კამოდზედ სურა-თები ელაგა; კედელზედ საწიგნე რაფა გვიდა და მაგიდასაც ყვავილების თაიგული ამშვენებდა.

ამ კოპწია ოთახში, გემრიელსა და ნოყიერს სადილში; საუზმესა და დილის ყავაში იმდენსვე აძლევდნენ, რამდენითაც დიდის ვაი-ვაგლახით დაიჭერთ ჩვენში პატარა, ბინძურს კუთხე-სა. თვეში თვითეული მათგანი 30 მანეთს იღებდა სახლიდამა და თავისს თავს მდიდრებადა სთვლიდნენ. შვეიცარიაში განსა-კუთრებელად გამოგზავნილი მარუსა არაფერს აკეთებდა, — გა-დამეტებული შრომა აკრძალული ჰქონდა.

ჰხატავდა მხოლოდ სურათებს და იმასაც სულ მცირე ხანს, რადგან მაშინვე გული დაუწყებდა ხოლმე ტკივილსა. სამა-გიეროდ ლიუტიკი (ლიუდმილა, ლიუტიკს-კი მეტ სახელად ეძახდნენ ოქროს ფერ თმებისა გამო) არც ერთ შვეიცარიელს სტუდენტს არ ჩამოუვარდებოდა შრომაში. წამოხტებოდა დი-ლის 6 საათზედ და 7<sup>1/2</sup> საათზედ უკვე უნივერსიტეტისაკენ გარბოდა; 8 — 12-დე ქიმიურს ლაბორატორიაში მუშაობდა, ანალიზებს აკეთებდა; მერე საჩქაროზედ მიიბრუნდა სახლში, ხელ-დახელ ისადილებდა და ორი საათისთვის ისევ უნივერსი-ტეტში ბრუნდებოდა და 6 საათამდე იქა რჩებოდა. ასე იყო მუდამ, წვიმაშიაცა და დარშიაც, საღამოობით ლექციებს გადასწერდა, წაიკითხავდა და კვირაში სამჯერაც ორ საათიან რუსულის ენის, გაკვეთილს აძლევდა ერთის რუსის ქალი-შვილს.

ათი საათის განუწყვეტელი შრომა სრულიადაც არ აბე-ჩავებდა და მხიარულობას არ უკარგავდა; პირ იქით, მუდამ იცინოდა, იასა ყიდულობდა და სარკეშიაც ხშირად იხედებოდა ხოლმე.

სარგებლობდა ყოველისფერით, რაც-კი მისთვის ბედს მიეცა, იყო კმაყოფილი და სიცოცხლეს მშვენიერებათა სთვლიდა.

თავიანთს ქუჩას რომ მიუახლოვდნენ, წინ შემოეხეჩათ კაცი გახუნებულის, ძველის პალტოთი, რომელსაც საყელოს ნაადგილარიც-კი აღარ ეტყობოდა. ახლოგაზდა აღარ იყო იგი, კარგად შეჭალარავებულყო და მისს გაუპარსავეს პირსა და თვალებს რაღაცა უცნაური გამომეტყველება ჰქონდა აღბეჭდილი: სიშვილისა იყო ეს გამომეტყველება, თუ გაბოროტებულ ადამიანისა, ძნელი იყო ამისი გამოცნობა.

მიდიოდა ჩქარა, ქუდი თვალებამდის ჩამოეთხატა, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და ისე აბუზულიყო, გეგონებოდათ სცივაო.

დაუპირდაპირდა თუ არა ქალებს, შეჰხედა უნებურად, მაგრამ მაშინვე სიბრაზით თავი ძირს ჩაღუნა და ნაბიჯს უმატა.

— დაინახე? — უთხრა ნელის ხმით ლიუტიკმა, როდესაც კარგად მოჰშორდნენ. — ჩვენი მეზობელი რუსმა, მასის გვერდით რომ სცხოვრობს.

— ჰოო! ჩაეკითხა გაჭიანურებით მარუსა. — რა საცოდავი შეხედულობა ჰქონდა!.. ნეტა, რას აკეთებს?

— არ ვიცი... M-elle Jacoud-მა მითხრა, ერთს დროს უნივერსიტეტში ლექციებს ისმენდაო. აღბად, ახლა ლექციების ფული აღარა აქვს. რითი და როგორა სცხოვრობს, ღმერთმა იცის. მხოლოდ სახლის ქირას იხდის, საქმელს-კი სადა სჭამს, არავინ იცის.

— იქნება სულაც არა სჭამს?

— ეგაც შესაძლებელია. მგონი, რაღაცას სთარგმნის... თავის დღეში არავინ მასთან არ მოსულა და რუსეთიდანაც წერილები სრულიად არ მოსდის...

— ჰოო?!

— შეამჩნიე, რა გაბოროტებულმა შემოგვხედა... როცა-კი ერთმანეთს შევხვდებით ზოლმე, მუდამ აგრეთის თვალით მიყურებს. მარუსა, რად იქცევა ასე, ნეტავი? რა დაფუშავეთ?

— მეკითხები, ლიუტიკ, რადაო? მე კარგადა ვარ მიმხვდარი. გესმის... როგორც ეტყობა, იგი ძველს თაობას ეკუ-



თენის... როგორ გითხრა... როდესაც ქალს მეტად ეძნელებოდა თავისუფლებისათვის, ცოდნისათვის ბრძოლა. და გასაკვირველიც არ არის, რომ ვინცკი მათგანი იბრძოდნენ, ხშირად ივიწყებდნენ, რომ გასათხოვარი ქალები იყვნენ; დრო არა ჰქონდათ წვრილმანებზედ ეფიქრათ.

ჩვენ-კი, მე და შენ, ორივენი წვრილმანები გახლავართ!.. ჩემს თავზედ არ ვიტყვი, მაგრამ შენ? რა რიგად სწავლობ, შრომობ, მე ამას კარგადა ვხედავ! მიუხედავად ამისა, მაინც გიყვარს, რომ მუდამ სუფთად გეცვას, თმა კარგად გქონდეს გადაფარცხნილი, ზოგჯერ ალაღებ კიდევ შენს თავსა... და აი, ალბად, ეს არ მოსწონს; მისის ფიქრით, ეს ცუდი რამ არის, გესმის?

— მესმის, მარუსა, რასაც ამბობ... მაგრამ მაინც მგონია, რომ აგრეთი შეხედულობა შემცდარია. იცი, რა გითხრა? მე ხომ ქალი ვარ და ჩემი თავის გარდაქმნა არ შემძლიან; სულ ერთია, მეც, როგორც ყველა ქალს, უნდა მიყვარდეს ვინმე, თავისს დროზედ შვილებიც მყავდეს და კარგი დედობა ვისწავლო; მაგრამ, განა ეს დამიშლის ვიმუშავო, ვისწავლო და ვეცადო, ჩემის შრომით ლუკმა პური ვიშოვნო? ერთის გულისათვის მეორე რად უნდა უარ-ვპყო? მე ვარ ახალგაზრდა, ზოგჯერ სარკეშიაც ჩავიხედავ ხოლმე და მესიამოვნება, რომ გონჯი არა ვარ. არა მსურს არც თვალ-მარგალიტი და არც განსხვავებული რამ სამკაულები. ტანთ საცმელი ხომ უთუოდ უნდა გვეცვას და თუ რომ იმავე ფასად, უშნო და ულამაზოს მაგიერ, ლამაზსა და მოხდენილს შევიკერავ, რატომ არ ვიზამ ასე? დილით ხომ უსათუოდ თავის დავარცხნაა საჭირო და აი, მეც თმას ისე ვივარცხნი და ვიყენებ, როგორც უფრო მომიხდება. მასთან ისეთი წვრილმანი რამ არის ესა, რომ...

— ჰო, გინდა, მაშ, სასარგებლო სილამაზეს შეუყავშირო. რასაკვირველია, ყველა რომ ეგრე ფიქრობდეს, ბევრს მიეცემოდა შეღავათი... მაგრამ... ისეა როგორღაც მიღებულზე, რომ სერიოზული მეცადინეობა და კეკლუცობა ერთმანეთს ვერ უდგებიან. ეჭვი შეეპარა ლიუტიკსა, გული ეტკინა და სა-

შინლად ამოიოხრა. მერმე, წარბები შეიქმუხნა და ჩაეკითხა მარუსას:

— მაშ მართალია ეგა? ეს ვერ არის, მაშ, კარგი?..

— არა, ჩემო პატარა ლიუტიკ, ამწვიდებდა მარუსა.— დარჩი ისეთივე როგორცა ხარ, იქონიე მუდამ კეთილი გული და უმთავრესი ეს არის.

ბინაზედ რომ დაბრუნდნენ, M-elle Jacoud-ი დაჰხვდა მათ წინ ხილბანდის ქნევითა და ხუმრობის კილოთი უთხრა:

— დახეთ, როგორ დაიგვიანეთ! რა ხანია, სადილი თქვენ გიცდით! დილითაც არა მივირთმევიათ რა. განა, ეს შესაძლებელია? გახდებით და ჩემს პანსიონს სახელს გაუტეხთ მაგითი.

— არა, M-lle Jacoud! ჩვენ სალამოდის არას გიახლებით, ვმარხულობთ! მიუგეს ქალებმა. ჩაი დაგვალევიანეთ მხოლოდ!

— ჭანჭურის ყელეს მაინც შეექცეოდით ჩაისთან?

— ეგ-კი შეიძლება!

დასხდნენ აივანზედა და ყვავილებს გადარჩევა და შეკვრა დაუწყეს. ნასყიდი ყვავილები და მინდვრისა ერთმანეთში აურიეს. ზემო სართულში ამ დროს ფანჯარა გაიღო და იქიდან ქალებს დამახინჯებულის ფრანგულით ვილამაც ჩამოსძახა:

— Bonchour, metemoiseles!..

— Bonjour, père Mass, სიცილით უპასუხეს ქალებმა.— ჩამოდით, ჩაი მიირთვით!

„père Mass“-მ დიდხანს არ ახვეწია იგინი. ეს გახლდათ ქალების კარგი მეზობელი, ახალგაზდა საქსონიელი, მათთან მეზობლად სცხოვრობდა. ოთახში M-lle Jacoud-თანა და მეტად ორიგინალური ტიპი იყო; ლიუტიკმა და მარუსამ იგი „შპილგაგენის გმირად“ მონათლეს.

იგი იყო შეძლებულის სასტუმროს პატრონის შვილი, საქსონიის პროვინციიდანა და მამის ნებართვითა და დედის ლოცვა-კურთხევით ქვეყნიერობაზედ სამოგზაუროთ წამოსულიყო. მაგრამ რადგანაც ფულები არა ჰყოფნიდა სამოგზაუროდ, ამისათვის თვითოველს დიდს ქალაქში თითქმის ორს წელიწადსა რჩებოდა, იმუშავებდა, შეაქურებდა ცოტაოდენს ფულსა, ისევ

მგზავრობას განაგრძობდა. ორს წელიწადს ამ რიგად ვენას და-  
ჰყო, ეხლაც ორს წელიწადს შვეიცარიაში იყო და აქედამ პა-  
რიზსა, ისპანიასა და იტალიას აპირებდა გამგზავრებასა.

ქალები რო გაიკვირებდნენ ამასა, საქსონელი დინჯად  
უპასუხებდათ ხოლმე:

— სამუშაო ყველგან არის!

და მართლაც, მუშაობდა იგი უბრალო მჭედლათ ქარხნებ-  
სა და სახელოსნოებში, სადაც მოჰხვდებოდა. მუდამ გეტესა  
კითხულობდა და ყოველთვის, როგორც-კი სამუშაოდამ და-  
ბრუნდებოდა, იხებდა მაგრა საპნით პირსა, ასე რომ სახეს მთ-  
ლად გადაიფხეკდა და გადაიტყავებდა ხოლმე თითქმის. კვირა-  
უქმეობით მთლად გაწკრივებული, სუფთად ჩაცმული და გულ-  
ზედ ვარდ-გაკეთებული დაიარებოდა ხოლმე, ასე რომ მხო-  
ლოდ მისი დახეთქილი ხელები თუ ჰმოწმობდნენ, რომ იგი  
უბრალო მუშა იყო. ორ კვირაში ერთხელაც მთაში მიდიოდა  
ხოლმე ედელვეისების დასაკრებათ, ან არა-და მუსიკის მოსა-  
სმენად თავიანთს ფერრეინში. აი, მთლად გასართობი ამ ლამა-  
ზის ყმაწვილის კაცისა, რომელსაც ტანადობა ჰერკულესისა  
ჰქონდა, სული-და გული ბავშვისა და მორცხვობა—განათლე-  
ბულის, გასათხოვარის ქალისა.

როგორც კი ქალები *Jauchend*-თან გადავიდნენ, მაშინვე გამო-  
უცხადა მათ, როგორც უცხოელებს, რომ მათთან ერთად ისა-  
დილებდა უბრალო ხელოსანი და თუ ნებადართ, ცალკე ისა-  
დილებდნენ; ქალებმა, ცოტა არ იყოს, იუკადრისეს დიასახლისის  
ასეთი განცხადება, მაგრამ მეტად ზრდილობიანად მოექცნენ,  
ხელს ართმევდნენ და იგიც მათთან მეტად ზრდილობიანი იყო,  
ვითარცა ახალგაზდა პრინცი. მოუტანდა ხოლმე ედელვეისებსა  
და უამბობდა ხოლმე თავისს სამშობლოს ამბებსა, თავისს ძმის-  
ას, რომელსაც იგი „ქონდრის კაცს“ ეძახდა, უამბობდა თავისს  
დებუს ამბებსა: კეთხენისა, ლიბხენისა და ანხენისას, თავისს  
ოთახისასა, დედისასა და თან თითქმის იცრემლებოდა ხოლმე.

ახლაც იგი მაშინვე ძირს ჩამოფრინდა, კეთილი სახე მთლად  
უბრწყინავდა.

— სხვა, რას შერება ის ღირს-შესანიშნავი ხაქოს ნაზუქი, (პიროვი) გუშინ რომ უთოებითა და აგურებით უნდა დამეზილა? იკითხა ხელის ჩამორთმევისათანავე.

— მას! ის ხომ „პასკა“! დღეს ჩვენი დიდი დღესასწაულია!

— ჩინებული რამ არის! კიდევ მოგიტანეთ ედელვეისები!

— ეხლა-კი ყვავილები, რამდენიც გსურთ, იმდენი გვაქვს, — გაუხარდა მარუსას. ლიუტიკმა-კი ვერ მოითმინა, რო მეზობელი არ გაეხარებინა.

— განა, სუყველა ლინას არ მიეცით? დაეკითხა მწარე ღიმილით მას, ყაყაჩოსავით გაწითლდა, ხელები გააქნია და ვერაფერის თქმა ვერ მოახერხა.

ლინაც იქვე მათთან ახლოს სცხოვრობდა მანსარდში. იგი სავადმყოფოში მსახურობდა ზედამხედველად. ჰქონდა მეტად მკრთალი სახე და მასთან მატყუარა თვალები; იგი მუდამ შავი კაბითა და თეთრი საყელოთი დაიარებოდა და ქცევა წყნარი ჰქონდა. ბაზარიდან შინ რომ დაბრუნდებოდა ხოლმე ნარგიზებით ხელში და მორცხვად თავს ჩაჰლუნავდა, მასს იგი იმ დროს ანგელოზად ეჩვენებოდა. მაგრამ მისს ჭრელს თვალებში იხატებოდა რაღაცა ვნებათა ღელვის წყურვილი და გარყვნილობა, ასე რომ მცოდნე ადამიანისათვის ესეც საკმარისი იყო გასაგებლად. საცოდავი მასი-კი ამას სრულიად არ ფიქრობდა და მალულად, მონურად აღმერთებდა. ლინა ახლა, ალბად, მეტად მოწყალე იყო მასთან, რადგან მასი მეტად მხიარულად იყო და ხალისიანათ გამოჰკითხავდა ქალებს რუსული პასკის ჩვეულებებსა.

ქალებიც გაბრწყინებულის სახითა და მოგონებით ალტაცებულნი უამბობდნენ მასს, თუ როგორ მხიარულადა და დიდებულად ეგებებიან ხოლმე იქ, შორს, მათს სამშობლოში ამ ბრწყინვალე დღესასწაულსა; ყველაფერს როგორა სწმენდენ და ასუფთავენ, როგორა ჰრთავენ მაგიდას ყვავილებითა, ყველანი როგორ თეთრს კაბებს იცვავენ, ისმის გამუდმებული ზარის რეკვა და ყველანი როგორ უერთებენ ამ ხმას თვისს გალობასა და „ქრისტე აღსდგა“-ს. როგორ გრძნობენ



ერთობას, მდიდრებიდგან დაწყობილი ღარიბამდე ყველა როგორ ძმები არიან ამ დღესა, ყველას ერთმანეთი უყვარს, სალამს აძლევენ ერთმანეთსა და ძმურად ჰკოცნიან.

— Aber es ist wunderschön, wunderschön! — იმეორებდა გატაცებული მასი. უცბად დაფიქრდა და სთქვა:

— მესმის, რა საძიძიმო უნდა იყოს ასე შეეგებოს თქვენს ბრწყინვალე დღესასწაულს ის საცოდავი რუსი, ჩემს გვერდით რომ სცხოვრობს; მეორე წელიწადია აგერ, აქა ვსცხოვრობ და მუდამ მარტოკაა!

— მერე, იცნობთ თქვენა? — ჩაეკითხა მარუსა.

— როგორ გითხრათ... შარშან ცოტა ავად ვიყავი. გაეგონა, როგორ ვგმინავდი, მოვიდა და მოვლა დამიწყო, როგორც გამდელმა; მერე როდესაც მივედი მასთან მადლობის გადასახდელად, რაცალა წაიბურტყუნა ცხვირ წინ, რომ „მადლობად არა ღირსო“ და კარებისაკენ იყურებოდა; მეც ავდექი და საჩქაროდ გამოვედი. უცნაური რამ არის: ზამთარში გაუხურებელს ოთახში იმყოფება, პურის მეტი სხვა არაფერი აქვს, ზოგჯერ კიდევ მოჰყავს ძაღლი და პურს აჭმევს... ადამიანი სულ არავინ დაიარება მასთან... ერთხელ ვილაცა პატივსაცემი მოხუცი ქალი იყო მასთან, პირბადე აფარებული: დავინახე, ერთმანერთს რომ ჰმორდებოდნენ, თქვენს ენაზედ ლაპარაკობდნენ, სახე მთლად სველი ჰქონდა ცრემლებისაგან და წავიდა საცოდავი, ქუჩაში მოკრძალებით აქეთ-იქით იცქირებოდა და რიგც ნისლივით მოქუშული იყო. მოხუცი არ გაუცილებია. კარები ჩაიკეტა. მესმოდა მერე მთელი ღამე, როგორ დადიოდა ოთახში და თან საშინლად ოხრავდა. ის ქალი მხოლოდ ერთხელ იყო ჩემს ოთახში მეზობელთანა.

ლიუტიკმა და მარუსამ ერთმანეთს შეჭხედეს.

— საცოდავი! — ამოიოხრა მარუსამ.

ირგვლივ სიჩუმე ჰსუფევდა. ბინდმა უკვე დაჰკრა. მოკრიალებულს ცაზედ დიდრონ-დიდრონი ვარსკვლავები ბრილიანტებივით ციმციმებდნენ. ყველგან სინათლე მოსჩანდა.



სარწმუნოებრივის სასოებით გატაცებულნი მარუსა და ლიუტიკი სდუმდნენ. ბუნების სიმშვენიერე რაღაც მისტიკურს მადლობის გრძნობას იწვევდა მათში.

— იცი, რა არის ლიუტიკი, — უთხრა ჩუმად მარუსამ, — კათოლიკეთა ეკლესიაში მაინც წავიდეთ... იქ ახლა საღამოს ლოცვა სდგას; ღმერთი ხომ ყველგან ერთია!

— ეს არის ახლა მე უნდა მეთქვა შენთვის! შეითამაშა ლიუტიკმა და ორივემ სწრაფად შლიაპები დაიხურეს და ეკლესიისაკენ გასწიეს.

ეკლესიაში თითქმის ბნელოდა, სიჩუმე იყო. კათოლიკეების დღესასწაული უკვე გათავებულიყო და ამისათვის სადღესასწაულო ლოცვა არ იყო. ორგანი ნელის ხმით უკრავდა, რამდენიმე ქალი მუხლ-მოდრეკილი ლოცულობდა.

მარუსამა და ლიუტიკმა მუხლი მოიყარეს პირველსავე ლოცვაზედ და თავები ჩაჰლუნეს.

ერთს წუთს მათ ყველაფერი დაავიწყდათ: მართალია, ლათინური სიტყვები არ ესმოდათ, არც კეთილს ქალარა პატერსა ჰხედავდნენ, საკურთხეველთან რომ მოძრაობდა; მხოლოდ ორგანის ხმა ესმოდათ, როგორც სიზმარში და ეგონათ, ვითომ გარმონიის ხმასთან ერთად მათი წმინდა, უმანკო ლოცვები მალლა ცაში აღიოდნენ. ლოცვა გათავდა. ყველანი მუხლს იყრიდნენ საკურთხეველის წინა და ეკლესიას ეთხოვებოდნენ.

ლიუტიკმა მარუსას ხელი წაჰკრა მან თავი მალლა აიღო. თვალები ცრემლებისაგან მთლად უბრწყინავდა. ღიმილით ეუბნებოდა მარუსა:

— წავიდეთ, ჩემო კარგო!

ყველანი თავჩაკიდულები, მდუმარენი გამოვიდნენ ეკლესიიდან. ქუჩაზედ ჰაჭანებად აღარავინ იყო. ქალები სახლისაკენ გაემართნენ.

ძველი საკრებულო ტაძარი, რომელიც თავს დასცქეროდა მალლიდამ ლოზანას, თითქოს ჰფარვიდა და სდარაჯობდა, ერთ მხრიდამ სრულიად ბნელი იყო, მარცხნივკი მთვარისა-

გან თეთრად გასპეტაკებული, რომელიც ის-ის იყო ნელი-ნელა ამოდიოდა მთებიდამ, მკრთალი, მოყვითაწო.

როგორღაც ჩვენს, რუსეთის მთვარეს არა ჰგავდა, აღმაიანს რომ საოცნებოდ გამოიწვევს ხოლმე; არც იტალიის წარმტაცი, წყნარი და მიმზიდავი მთვარე იყო; თითქოს იცოდა მან, რომ აქ არც სომნამბულები იყვნენ, არც პოეტები, და მალე უთუოდ დაგვიანებული მგზავრებიც კი აღარ იქმნებოდნენ: ყველა თავისს სოროს მიატანდა და მხოლოდ-ღა სახლს ბანებისა, ბუხრებისა და ღამის მცველის განათება დასჭირდებოდა, რომელიც შავად მოსჩანდა ეკლესიასთანა და გაიძახოდა:

— ათმა საათმა დაჰკრა!.. ათმა საათმა დაჰკრა!..

— ახლა ჩვენები უკვე ეკლესიაში იქმნებიან, — სთქვა მარუსამ. — მალე ლიტონიასაც შემოუვლიან...

და ცხადად წარმოუდგა მას სოფლის გამაცოცხლებელი ღამე, ლიტონიის შემოვლა, ჰაერში მოციმციმე ანთებული კელაპტრები და „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“-ის მხიარული გალობა...

ღები და ის მუდამ ერთადა გალობდნენ ხოლმე ამ ღღესა და მოუხდა საშინლად, ახლა იქ ყოფილიყო.

როგორც ყოველთვის, მალე მიუხვდა ახლაც ლიუტიკი რა ჰსურდა.

— მარუსა! ჩქარა წავიდეთ, თეთრი კაბები ჩასაცმელი გვაქვს, ყველაფერი მოსამზადებელი!..

რამდენისამე წუთის შემდეგ ორივენი უკვე თავიანთს ოთახში იყვნენ.

ღრომ მათთვის შეუმჩნევლად გაიბინა, უნდა ანთოთ წითელი ზეთის კანდელი, რომლის შუქიც პეპელასავით მოჰხვდა ქერსა. უნდა ოთახი დაელოგებინათ, მაგიდაზედ თეთრი სუფრა გადაეფარებინათ. ზედ შეღებილი კვერცხები დაეწყოთ და Mlle Jocoud-ის შემწეობით, რომელიც ღამილითა და ცნობის მოყვარეობით შესტკეროდა მათს ფუსფუსსა და „თავის ტეხას“, უნდა პრესიდგან გაენთავისუფლებინათ თავიანთს ხელით მომზადებული პასკა, რომლისთვისაც ყალიბები ენე-

ვიდგან გამოიწერეს. ამ დროს ხომ მთლად აღტაცებულნი იყვნენ.

— იცი, რა არის, ლიუტიკ, დედაშენს უთუოდ საკვებუ-  
ად ეყოლებოდი!

— რას ამბობ? ახლავე ეტყობა, რომ გემრიელი იქმნება!  
ორივენი ალერსითა და სიხარულით შესცქეროდნენ პას-  
კას: მათთვის ეს „ხაჭოს ნაჭერი, ასე უცნაურად მომზადებუ-  
ლი“, როგორც *Жакелиძე*-ი ეძახდა, წარმოადგენდა მთლად ძვირ-  
ფასს წარსულს, ძვირფასის ტრადიციებითა და ბავშვობის ჩვეუ-  
ლებებით სავსეს. ეს იყო ლუკმა, ნაჭერი ოჯახისა, სამშო-  
ბლოსი, უცხო მხარეს მათს პატარა ოჯახში გადმოტანილი.  
ყველა სანთლები და ლამპარიც ანათეს. შემდეგ მაგიდაზედ  
ყვავილები დააწყეს, ჩაიცვეს თეთრი კაბები და მხიარულება-  
მაც იმატა.

კამოდზედ მდგომმა საათმა გარკვევითა და წკრიალით 12  
დაჰკრა. ორივემ ერთმანეთს შეჰხედეს.

— ქრისტე აღსდგა!.. შესძახა მარუსამა და ლიუტიკს გა-  
დაეხვია.

— ჰეშმარიტად აღსდგა, მარუსა!—მიუგო აყვავებით ლი-  
უტიკმა და სამჯერ გადაჰკოცნეს ერთმანეთი. შემდეგ ერთმა-  
ნერთს წელში ხელი გაუყარეს, აღტაცებით მიუახლოვდნენ  
კამოდს, აიღეს მარუსას დედის სურათი და ბავშურად წამო-  
იძახეს:—ქრისტე აღსდგა, დედილო!

— ქრისტე აღსდგა, დედა სონა!..

იგივე გაიმეორეს პოლკოვნიკისა (მარუსას მამას), ლელის,  
პეტოსი და ყველა ბავშვების სურათების წინ.

— დავიდგათ ყველან, მაგიდაზედ, ვინემ პირს გავიხსნი-  
ლებდეთ,—ურჩია ლიუტიკმა,—მაშინ ყველანი ჩვენთან იქმნე-  
ბიან.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი!.. მშვენიერი მოგონე-  
ბაა!—წამოიძახა აღტაცებით მარუსამა. საპატიო ადგილი სუ-  
რათებს დაუთმეს მაგიდაზედ, ღიმილით უმზერდნენ იგინი ორს  
მეგობარსა და იის კონებიც მშვენიერს, ნახსა და ალერსიანს

სუნნელებასა ჰფენდნენ გარშემო. უცბად ზემოდ, ქერიდამ, შიძიმე ფეხის ხმა მოესმათ.

ორივემ ერთმანეთს შეჰხედეს, შეჰხედეს თავიანთს „სა-  
აღდგომო მაგიდას“ და უხმოდ მიუხვდნენ ერთმანერთის აზრს.

რუსი-კაცი თავის მანსარდში იჯდა: პატარა ლამპარი მკრთალს ნათელს ჰფენდა გაშლილს წიგნსა და დაბლაჯილს ქალაღლებს, მაგრამ იგი საწერ მაგიდასთან არ იჯდა, თანჯა-  
რასთან დაყრდნობილიყო და თავი ხელზედ დაეხვინა.

მისი სახე ახლა დილინდებურად ბოროტებით აღარ გამოიყურებოდა, მაგრამ მოწყენით იყო. მისი საყვარელი ადგილი თანჯარასთან იყო. ხშირად იჯდა აქ იგი დღისითა და „ცხოვრებას უსმენდა“. არსებობს „სფერათა მუსიკაც“, ხმაურობა ბუნებისა, უცნაური და მძლავრი: ეს არის ხმაურობა ზღვისა, ხან მრისხანე და ხან ხმა-ტკბილი; ეს არის ხმაურობა ტყისა, საიდუმლო და გაუგებარი ჩურჩული ასის წლის ხეებისა; ეს არის ხმაურობა მინდვრისა, როდესაც ქარიშხალი წამოუქროლებს ოქროს ფრად გაბიბინებულს ყანასა და თავთავს ძირს დაუხრის ხოლმე; ეს არის ხმაურობა ქარისა, ძველ ციხე-კოშკების წვეროვებზე მონავარდე. ასეთსავე სტიქიურ მუსიკად ეჩვენებოდა მას ხმაურობა დიდის ქალაქისა. იქ ერთდებოდა თვლების ჭრიალიც, გამუდმებული სტვენაც რკინის მილებისა, კვერის ცემაც, მანქანების გრიალიც, საყდრის ზარის რეკვაც, ბაგწვეების ტირილი და სიცილიც; ცალკე ხმას იქ ვერ გაარჩევდით. მაგრამ ყველა ეს ერთად შეადგენდა ისეთსავე მძლავრსა და სტიქიურს ხმაურობას, როგორცაა ხმაურობა ზღვისა და ტყისა.—ეს იყო ხმაურობა ათასისა და ათი ათასის სხვა და სხვა არსებისა, მუშაობა და მოძრაობა უცნაურის მანქანისა.

და ამ მანქანას კაცობრიობას ეძახიან. ამ მუშაობას—  
ცხოვრებას და მას, ცხოვრებიდან გარიყულს, შიმშილისა და სიღარიბის წილხდომილს, უყვარდა ამ მუსიკის მოსმენა. იგი ახშობდა მისს გულში კერძო ტანჯვათა და პირადს დაუკმაყოფილებლობასა. არ აძლევდა იგი ნებას წარსულზედ ეფიქრა.

მომავალზედ უიმედობას არ უბადავდა. და ან-კი რა მოელოდა მას მომავალში? რუსეთში დაბრუნება არ შეეძლო. ყოველივე, რაც-კი უყვარდა, იქ დასტოვა, დავიწყებული, გამოცვლილი, მკვდარია მისთვის. აქ-კი როგორღაც ვერ შეუფერდა ცხოვრებას. ამ მაძლარს ქვეყანაში, აბა ვილასთვის უნდა ეშრომნა, ან რა გაეკეთებინა? ყველა ეს არავისთვის საჭირო არ იყო. თავის თავზედ, ლუკმა პურზედ უნდა ეფიქრა მხოლოდ. ამაზედ-კი იმდენად ფიქრობდა იგი, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო. ამასაც მხოლოდ უგულოდ და უნებურად ჩადიოდა. ჰგრძნობდა ნელ-ნელა იგი, რომ მის სულს სიბოროტე ემატებოდა თავის თავის შესახებაც, თავის გაუკუღმართებულს სიცოცხლეზედაც; ბოროტებასა ჰგრძნობდა აგრეთვე სხვათა შესახებაც, მათ მიმართ, ვინც კმაყოფილი იყო, ვინც ჰხარობდა, ვინც იცინოდა.

მაგრამ დღევანდელი დღე მეტად მძიმე რამ იყო.

მიუხედავად იმისა, რომ აგერ 12 წელიწადია შვეიცარიაში სცხოვრობს, ამ დღის მოგონება მუდამ გულს სტკენდა. გული სწყდებოდა აგრეთვე წარსულ ბედნიერ წუთთა მოგონებითაც, როდესაც იგი მხიარულად ეგებებოდა ხოლმე ამ დღესა.

აგონდებოდა ყოველივე ესა და ბრაზი მოსდიოდა; ჰგრძნობდა, მართალია, რომ სულ მოკლეობა იყო ესა, მაგრამ ველარას გამხდარიყო, მორჩილი იყო მისი.

ულმერთო! ულმერთოს უწოდებდა დიახ, თავის თავსა; სწამდა მხოლოდ „შემოქმედებითი ძალა“ (თითქმის ამითი თვითვე უარს არ ჰყოფდა თავისს ულმერთობასა), მაგრამ დღეს საშინლადა ჰსურდა ის ღმერთი, რომელიც დედამ ასწავლა და რომლის წინაც უნდა ელოცნა მასა. იგი მუდამ კეთილის თვალთ გადმოჰყურებდა ხოლმე, ეკლესიაში, სადაც სიჭაბუკეში ცისკარს ისმენდნენ, ასწავლიდა მუდამ ერთუბრთის სიყვარულსა და ძმურს ამბორს ამ წმიდა ღამესა.

და მარტოობა საშინელებად ეჩვენებოდა.

იზორებდა თავიდან ამ ფიქრებს, მაგრამ იგინი მაინც გარს ეხვეოდნენ. არაეინ!.. სრულიად მარტოდ!.. სადღაც, შორსა



ჰყავს დედა, რომელსაც ნება არა აქვს წერილი მაინც მისწეროს თავისს შვილს, მოხუცებული, უბედური, მისუსტებული... არ ძალუძს მოვიდეს მასთან სიკვდილის წინ უკანასკნელად გამო-სამშვიდობებლად... აქა?... აქ რაღაა?... გადაღრძვები, როგორც უკანასკნელი მშვიერი ძალი და ვერც-კი ვერავინ რას გაიგებს... მშველელი ვინა გყავს... აგერ ჩემს ქვემოდაც ორი ფრინველია... თავს ისე აჩვენებენ ხალხს, ვითომ რაღაცას სწავლობენ... „ნუ-თუ მე იმათაც-კი შურით ვუყურებ?—ღიახ, შურით ვუყურებ. დღევანდელს ღამეს იგინი მარტონი არ არიან. რასა ვჩავდივარ, ჭკუიღამ ვიშლები, თუ რა მომდის? განა, მე, ჭაღარა შერთულს, შემშვენის დამეჩაგებული ქალწულივით გრძნობა ნაზობა? მარტო ვარ, დეე, მარტო ვიყო: არ იყო, თვითვე ვერ მოვახერხე რისამე შექმნა... მე, ბებერი, ჩურჩუტი იდეალისტი ვიყავი!... აი, ესეც ჯილდო ჩემის იდეალისტობისა...“ და მწარე ფიქრები ჩაქუჩითთ უკაკუნებდნენ საფეთქლებში, ღამის სრული მყუდროებაც თითქოს ჰშველოდა ამ ფიქრებსა.

— ოჰ, რა საშინელი ტანჯვაა!..

ირგვლივ სამშვიდე ჰსუფევდა.

გახურებული თავი მალლა აიღო. გამოღებულ სარკმლიდან სუნნელოვანი, გაზაფხულის ღამის სიგრილე შემოდინდა, ჰაერი იყო მთლად გაჟღენთილი ახლად გაფურჩქნულის ხეების სუნით, მოციმციმე ვარსკვლავთა სხივები, კაშკაშა მთვარის შუქი, ყველა ეს ერთად საუკუნო ღეთაებრივს ჰარმონიას წარმოადგენდა.

მაგრამ მასთან ერთად მისს სულს მწუხარება შეეპარა...

სინანული და მწუხარება რაღაცა გამოურკვეველ სიტუაციებისა, რომელიც შეიძლებოდა ახლა მასთან ყოფილიყო.

„რაღაცამ ამ წუთს ფრთები შეაფრთხილა, რაღაცამ დაჰბერა... მის გულს ნაზად შეეხო და წინადგრძნობა აუტოკა...“

„რა იყო ეს? სხვისა ბედნიერებამ თუ აურბინა გვერდით? ან სხვის სიყვარულმა?“

უცნაური მოლოდინი უცბად განჰქრა.

ძველის საკრებულოს კოშკიდგან შეუბრალებელმა საათის ხმამ ერთი საათით ადრე სიკვდილის მოახლოვება ახარა ყველას. თორმეტი დაჰკრა, წამოხტა იგი უცბად და დაქრილი მხეცივით ოთახში დაიწყო რბენა. შუბლზედ ღრმა და შავი ნაოქები აღჰბეჭდვოდნენ.

გარედან მოკრძალებით, კარების ნელი კაკუნი მოესმა: მოულოდნელობისა გამო იგი თითქმის შეხტა კიდევაც.

— მობრძანდით! წარმოსთქვა აღელვებით და თან თავის თავს დასცინოდა, იფიქრა, ალბად, მეზობელს ასანთი დასჭირებიაო.

მის წინ კარებში, ბნელა დერეფანში, ორი ახალგაზდა ქალი იდგა, თეთრის კაბით გამოწყობილი.

სუბუქი, თეთრი ჩაცმულობ ცხად მოჩვენებადა ჰხდოდა მათ. ოთახი იის სუნით გაივსო.

იის კონები ქალებს ქამრებში ჰქონდათ ჩარქობილი.

ქალები მიუახლოვდნენ. პატარამ, ანგელოზს რომ ჰგავდა, წითელი კვერცი გაუწოდა და მორცხვად წაიჩურჩულა:

— ქრისტე აღსდგა!

ჯერ გონს ვერ მოსულიყო, რომ ქორთა, უმანკო ტუჩები შეუმჩნევლად შეეხნენ სამჯერ მისს ლოყებსა. ეს იყო პასუხი მისგან უნებლიედ წარმოთქმულის:

— ქეშმარიტად!— ისა.

მეორე ქალიც ღიმილით მიუახლოვდა მაშინ და ბავშურის ხმით შესძახა:

— ქრისტე აღსდგა! თან სიხარულით გამოიძრო იის კონა და გაუწოდა.

იდგა იგი გაბეცებული და სრულიად დაბნეული და არ იცოდა, რა ეპასუხნა. ქალებს-კი თითქოს უხაროდათ, რომ უმთავრესს მორჩნენ.

— გვაპატიეთ, რომ ასე დაურიდებლად შემოვედით თქვენთან,— დაიწყო ლიუტიკმა,— მაგრამ ვიცოდით, რომ თქვენ რუსი ხართ და ვიფიქრეთ, მათთვისაც სასიამოვნო იქნებაო პირის გახსნილება...

— წამობრძანდით ჩვენსა, რუსული პასკა გვაქვს!..

— ჩვენ თვითონ გავაკეთეთ, — დაუმატა მარუსამ და თან შესცქეროდნენ და ნდობით უღიმოდნენ.

— მე... მე... გმადლობთ... წაილულლულა. მაგრამ სიტყვა ყელში შეეყინა, დაეშვა სკამზედ, პირზედ ხელები აიფარა და დიდის ხნის უმტირალობა — არც დარღისა და არც სიმშილისათვის — თვალთაგან ქალების წინ მდულარე და გულის გამქარვებელი ცრემლების ნაკადული გადმოანთხია.

ახ. სოლოდაშვილი.

# ს ა მ უ ო ზ ლ ო

ოთხ-მოქმედებიანი დრამა

თხზულება ქემალ-ბეგისა.

(1837—1888)

ოსმალურით ნათარგმნი სანჯაღ-ბეგის შვილის აბაშიძისა

მოქმედნი ჰირონი

ზ ე ქ ი ე—ახალგაზდა ქალი.

ხ ა ნ ი ფ ე—მისი გამზრდელი.

ი ს ლ ა მ - ბ ე გ ი—მოთავე თავისუფალ მეომრებისა.

ა ხ მ ე დ ს ი დ კ ი - ბ ე გ ი—რაზმის უფროსი.

რ ო ს ტ ო მ - ბ ე გ ი—პოდპოლკოვნიკი.

ა ბ დ უ ლ ა ჩ ა ვ უ შ ი—იუნკერი პოლკოვნიკისა.

პ ო დ პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი.

მ ა ი ო რ ი.

პ ი რ ვ ე ლ ი ა ფ ი ც ე რ ა.

მ ე ო რ ე ა ფ ი ც ე რ ი.

მ ე ს ა მ ე ა ფ ი ც ე რ ი.

ჯ ა რ ი ს კ ა ც ნ ი და თავისუფალი მეოპარნი.

## მოქმედება პირველი

(ფარდა აიხლება და გამოჩნდება ოთახი, რომელიც ქუჩას გადაჭყურებს. ალბანურად ჩატყუი ზეკიე მშვენიურად არის ტანისამოსში გამოწყობილი და ტახტზე მიწოლილი; ხელთ წიგნი უჭირავს, წინ სანთლები უდგას. მოთავე თავისუფალ შეომკებისა ისლამ-ბეგი ოთახის წინ, ქუჩაზედ, დასვირნობს.

## სურათი პირველი

**ზეკიე** (წიგნს სკივრზედ დააგდებს). ოპ!.. დედი! დედი! რისთვის მიეცი ჩემს გულსა და გონებას ამდენი სისუსტე! რისთვის გამიხსენ და გამივითარე ამდენად აზრი და ფიქრი? შენც რომ გენახა ეხლა შენი ქალიშვილი, ინანებდი—„რად ვასწავლო...“

როგორ უნდა გაუძლოს გულმა და გონებამ ამ საშინელს ცხოვრების ტალღებს! როგორ უნდა აიტანოს ჩემმა ფიქრმა ამგვარი წარმოდგენები, ოპ, როგორ მიცემს გული! თითქოს მკერდი უნდა ამოხეთქოს და გადმოვარდესო... ტვინი როგორ მიდუღებს! თითქოს ქალა უნდა ამხადოს და გარშემო არეს მოეფინოს... (ხელებს სახეზე მიიფარებს). დედაჩემო! მარად უამს მამიჩემისათვის საფიქრებელსა და შენგან განვითარებულს ჩემს ფიქრებში დღეს სხვა ნავარდობს! სულ მუდამ შენის სიყვარულისათვის აღზრდილსა და გაწვრთნილ ჩემს გულ-გონებას დღეს სხვა განაგებს! შენ ხომ მამაჩემს აღუ-



ზრდინარ. ამიტომაც იყო, რომ გადაჰყევ და თავი ანაცვალევი. მე-კი შენ მასწავლე, შენ აღმზარდე, მაგრამ არამც თუ სიკვდილი არ შემიძლია შენის გულისათვის, ტირილიც-კი არ მომდის ფიქრად, რომ ვიტურო შენის სიკვდილისა გამო!

ოჰ!.. მუდამ ის! ლანდად ის! ფიქრად ის! ის! ის! ის და ის!.. ერთხელ ქუჩაში ვნახე... ნეტავი, მისის სახის დანახვისათანავე, ასეთი ცეცხლი რომ ჩამივარდა, პირველადვე თვალები დამბრმავებოდა... პირველ დანახვაზედ, რაც სხეულ-არსებაში ძალ-ღონე მომეპოვებოდა, ერთად მოვიკრიფე და მოვინდომე, რამე ნაირად თვალები მომერიდებინა; მაგრამ, როგორ!.. ვერც ღონე და ვერც უფლება ველარას გამივიდა თვალებზედ, თითქოს რაც რომ ჩემს სიცოცხლეში ნანახი, განაგონი, წანაკითხი და ნათიქრი მქონდა ლამაზი, ყველა ეს ერთად შეჯგუფებულა და ერთი ადამიანის სახე მიუღიაო, ისე პირდაპირ დამიდგა თვალ წინ.

(მცირე დაფიქრების შემდეგ) რა უცნაური რამა ყოფილა ცხოვრება! რამდენისამე დღის წინად რომ ეტირა ვისმე ჩემთან, მეგონებოდა თვალებიდან სიამოვნების კრემლები სცვივაო. დღეს-კი ჩემს ყურებს სიცილი და ხარხარი გლოვის ხმად ესმის! ამ რამდენისამე დღის წინად რომ მოქუშულ ღრუბლებში ელვა-ქუხილს დაეჭეკა, მომსვლელის სამახარობლო ხმა მეგონებოდა. დღეს-კი, ახალგაშლილი დანამული ვარდიც ვილაცა უილაჯოს ნატირი, ნაცრემლი თვალი მგონია! რამდენისამე დღის წინად სახე სულ მიცინოდა... თითქოს ყოველივე საგანი ჩემთან ერთადა ხარობდა! დღეს-კი გულიცა ტირის და გონებაც... თითქოს ყოველივე საგანი ჩემ გულგონებასთან ერთადა სტიროდეს!

გათენდა ისევ. მაგრამ ჩემს თვალებს ისევ ძილი

არ მოეკარა ერთ წუთს... (სანთლებს ჩააქრობს) საბრალო სანთლებო! ნუ-თუ მეც თქვენებრ აღ-მოღებული უნდა ვიწვოდე და ბოლოს გავჰკრე?... ხუთს წუთს მაინც დამძინებოდა... იქნება სიზმრად მენახა, ხელ-ფეხზე ვემთხვეოდი, გულიდანა და გონებიდან უხამის ამოღებამდე ტირილით კარგად გავძლებოდი...

ღმერთო ჩემო! ის ბარათი რაღა იყო?...

ცეცხლით რომ დაეწერათ, კიდევ არ დასწვავდა იმდენად ადამიანის გულსა. დავიწყე თუ არა კითხვა, თვალებმა მაშინვე სახისა და მკერდის პირდაპირ აღ-მურის ნაკვეთ-ნაკვეთი ნაქრები და ნაპერწკლები მოჰფინა...

არ ვიცი, ძიძამ რო მომიტანა, სირცხვილისაგან რატომ მიწამ არ მიყო პირი...

ადამიანს სიზარული არა ჰკლავს, მაგრამ უგონოს კი შეიქმს!. როგორც კი სიტყვა „ბარათი“ გავიგე, მაშინვე მივხვდი, რომ იმისაგან იყო მოსული. თვითონ რომ მოსულიყო, იქნება შემრცხვენოდა და ისეთის მღელვარებითა და სიზარულით არ მივეშურებოდი... გულსა და გონებაში სასწაული ხდება, თუ რაა?... ხანდახან თითქოს წინასწარმეტყველობს კიდევ?...

ოჰ! ვინ მყავდა იმ დროს საფიქრებელი სხვა? და ახლაც ვიზედა ვფიქრობ? მამისაგანაც რომ მომსვლოდა ბარათი, ნუ-თუ ისევ იმისი არ მეგონებოდა? რაც ამ ქვეყნად დავიბადე და გავიზარდე, მას შემდეგ, ერთი მისი სახის დანახვისთვის მუდამ უამს ნანატრი, მამიჩემისაგანაც რომ ყოფილიყო მოსული, ვიწყენდი ეგებ!...

მიყვარს. როგორც მე ვერ ვიკავებ სიყვარულისაგან თავსა, ისე იმასაც ვუყვარვარ. და რომ ვუყვარვარ, ბარათშიაც სწერია... მისი ხელითაა

ნაწერი... მაშ მართალია... არა! უსათუოდ მართალია... მოწყალე ღმერთი იმისთანა მშვენიერს არსებაში ცბიერებას არასოდეს არ დაასადგურებს. (მცირე ღუმისი შემდეგ) მაგრამ ვინ იცის? იქნება მშვენიერსა-და ტურთა ვარდთა შორის გველიც იმაღავს თავსა!?..

ღმერთო! ღმერთო! რა იქნებოდა, რომ ადამიანის სახესავით გული და გონებაც ხილულად გაგეჩინა.

### სურათი მეორე

(ისლამ-ბეგი და ზეკიე)

**ისლამ-ბეგი** (ფანჯრიდან გადმოძვრება). მე ჩემს გულსა და გონებას ფიანდაზად წინ გადაგიშლი. მაგრამ რა ვუყო, რომ შიგ მყოფი საიდუმლო შენ არ გენახვის?

**ზეკიე** (ისლამ-ბეგის დანახვისთანავე ჯერ უცბად შეკებებს მონდამებს, მაგრამ მალე ისევ თავს შეამკრებს და დაღონებული, მცირე სიჩუმის შემდეგ, თავს-თავად ჩაილაპარაკებს რაღაც გასგანის ხმით). ყოველ დღეს რომ სიკვდილსა ვსთხოვდი ღმერთსა, ნუ-თუ არა ვარ მართალი? რო ვინმემ შამოგასწროს და გახოს, რას იტყვიან მერე ჩემზედა.

**ისლამ-ბეგი**. ვისგანმე ჩემი დანახვა შეუძლებელია. თავი რომ არ გამომეჩინა და არავის დავენახე, ისე დღე და ღამე არა ყოფილა, რომ მიწაზედ გულით არ მელოლოს... ღამე თავდება, მაგრამ ძილი მაშინ იწყება. თენდება, მაგრამ თვალები ხალხის არახილულა... ყოველ დღე-და-ღამე მათში ვტრიალებ, ენდე ჩემს გამოცდილებას...

**ზეკიე** (სიამოვნებასა ჭეშრავს და ცივად). გთხოვთ ვინმემ, ან მოგიპატიეთ?

**ისლამ-ბეგი**. ღვთის გულისათვის, სახეზედ ხელებს ნუ იფარებ,

ქვეყნიერება მხოლოდ დღეს დავინახე, რადგან შენა ხარ ჩემი სამყარო. ნეტავი, თუ განახავ-ლა კიდევ ჩემს სიცოცხლეში? ღმერთმა იცის!..

რაც რომ წელან ილაპარაკე, ფანჯრის ქვეში-დან ჯაშუშივით მიღმა (აქეთ) ყველა ვისმინე (ზექი-ეს სწეინს ეს). დანაშაულობა რომ დიდი ჩავიდინე, ეს კარგად ვიცი. ამნაირად რომ სხვა ვინმე მოქცე-ულიყო ჩემთან, საუკუნოდ შერცხვენას ვერ გადურჩე-ბოდა. (ზექიეს წეენა და ჯჯიმი მკემატება ამ სიტუეებ-ზედ) გადარეულივით ფანჯრიდამ სახლში შემოველ. (მეტად სწეინს ზექიეს ეს სიტუეები და უსიამოვნოდ ჩამოსტიკის ჰიკის-სახე) ჩემსავით რო ვაებედა ვისმე და შემოსულიყო ჩემსას, მისს სისხლს ალაღად ჩავ-თვლიდი და სიცოცხლეს მოვუსპობდი. მაგრამ რა ვუ-ყო, რომ მე ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი?

მე შენ მიყვარხარ... მაგრამ უნდა გაგშორდე... რომ შენც გიყვარვარ, შენმა მშვენიერმა და ტკბილ-მა ენამ თვით გამაგონა დღესა... მაგრამ, ვაი, რო დღესვე უნდა გამოგეთხოვო... აი, გული და გონება შენი რომ ჩემგან განშორებასა ნდომობს, ფეხები მაშინ ჩემსკენ მოდიან... მეც რომ ჩემს თავს ვეკუ-თვნოდე, რასაკვირველია, თავს შევიმაგრებდი... ვეცდებოდი უსათუოდ, რომ შენთან მაინც არ ჩამედიანა ამ გვარი დანაშაულობა.

მაგრამ შემობრალე! შემობრალე! ვიცი, რომ ამგვარს ნათლით მოსილს არსებას ქვის გული არ ეკადრება.

**ზექიე.** (თითქმის გონებას ებრძვის, ცოტა შეჩერდება და თავისთვის). ამდენი ხანია ტანჯვა-წვალებას ვიტან. აღარ მოხერ-ხდა... აღარა... (ისღამ-ბეგს მიუბრუნდება) ნეტა, რა გსურს? მე ჩემდა თავად ვწვალობდი, ვიტანჯებოდი და ვიყავი... მაგრამ უცბად ეშმაკივით ამიჩნდი. გული და გონება წარმტაცე. მძინავს, ძილში მესი-

ზმრები, მღვიძავს, თვალ წინ ლანდათ მიდგეხარ! ხალხში რომ ვარ, გულს ჩამესვები, მარტოდ ვრჩები, არა მშორდები! მუდამ შენ და მუდამ შენ! თავი გსურს ჩემი? აჰა, ტყვე ვარ. სული გინდა, — ამომართვი ბარემ და მომარჩინე.

**ასღამ-ბეტი.** დამინახე თუ არა, თვალის მორიდება მოინდომე... მაშ აგრე შე შეუბრალებელო? მე-კი-რო გხედავ, იცი, გული ან გონება რას მიგრძნობს მაშინ? მგონია, თვალის დახამხამებაზე სიცოცხლე მთლად მეკარგება!.. მადლობა ღმერთს ათასჯერა, რომ შენც ჩემსავით არ გიყვარვარ გაგიჟებით; რომ გონება კიდევ გამორჩილებს.

შენ მე ერთხელ დამინახე. მეც ერთხელ დაგინახე. სჩანს, მაშ გული და გონება ჩვენი ერთი ყოფილა. შენი ჩემთვის, ჩემი შენთვის ღმერთს მოუცია...

კარგი! შენ სული და მე არსება! შენ სიყვარული მე — გონება! შენ სილამაზე, მე მოყვარე, მომტრფე სულითა! სახეზედ რო შემოგხედავ, შენ მხესავით თვალს ცრემლით მივსებ. მე-კი შენი შუქივით შენ ფეხთ ქვეშა ვარ დაფენილი!

ღღეს რომ გავშორდეთ ერთმანერთს, ხვალ შევერთდებით... ცალკე გამოვჩნდებით... ისევე შევერთდებით... სხვებს ცალკე სულად ვეგონებით... მუდამ-კი ერთნი ვიქმნებით...

მოდი... მოდი ჩემთან... აღთქმა დასდევი და დაიფიცე, რომ გინდ გავიყაროთ, გინდ არა, სააქაოდ თუ საიქიოდ, ჩემს გარდა, სხვისა არავისი არ იქმნები...

**შუქი**

(თავს ვეღარ შეიმავრებს). ღმერთს... (თავს შეიკავებს) აზრი თქვენი ვეღარ გავიგე!... (ძალ დატანებით) ჩემდა თავად ვლამპარაკობდი... საიდგან გამოჩნდით... მე... მე არაფერი... არ მითქვამს... ვსთქვი!... მაგრამ რა-უნდა მეთქვა?... (თავს ვეღარ შეიმავრებს,



გონიერებას დაჰკარგავს). ჰო, გიყვარვარ? მჲშ, რილა...  
სათვის უნდა გავიყარნეთ?

ისლამ-ბეგი. უნდა წავიდე. იმიტომ, რომ...

ზექაიე (გულ-მოსული გააწვევტინებს სიტუვას). გულსა და გონებას მამაჩემისა და დედიჩემის სიყვარული ამოჰგლიჯე. ერთი საფლავი-ლა დამრჩენოდა გონებაში ჩემის ძმისა, ისიც დამავიწყე. მისი ლანდი ახლა მასავით შავს მიწაშია დამალული. საფლავის დაუნახველად აღარა მაგონდება-რა! არც ძილი შემრჩა... არც გული აღარაზე მიმდის... გულში მხოლოდ შენ-ლა მყევხარ... ეხლა-კი გინდა შენი თავიც გამომგლიჯო ხელიდან და სამახარობლოც-კი თვითონვე მოგაქვს შენა... გული და გონება ფინდაზად უნდა გადმოგეშალა ჩემთვის და ეს სამართლიანი მოქმედება და წყალობა გეჩვენებია! (გაგულისებუდი დადის და თავისთვის დაჰკარგავს). ბოლოს რაღა უნდა იყოს? ამ ქალაქიდან წავა. მეც წავალ ამ ქვეყნიდან. სიცოცხლის ყოველ გვარს ვემონებას რომ დავჰკარგავ, მერე რაღა შიშია შავის მიწისა? რამდენისამე წუთით სულის სიმწარეს უნდა შევეუშინდე?

ისლამ-ბეგი (თავს ვერ იკავებს). უნდა წავიდე...

ზექაიე (მაჰყარდება და სიტუვას გააწვევტინებს). ჯერ მაშ პირველად მე მომკალ.

ისლამ-ბეგი (თითქოს არ გაუგიათ). უნდა წავიდე...

ზექაიე (ისევ გააწვევტინებს სიტუვას). შენ თუ არ მოგეძებნება იმდენი ვაჟკაცობა, მევე მოვიკლავ თავსა.

ისლამ-ბეგი (შიშიედ გაიმეორებს სიტუვას). უნდა წავიდე... უნდა წავიდე... წავიდე... ჯოჯობეთის ცეცხლებიც რომ დამეფინოს გზაზედ, მაინც უნდა წავიდე... სიკვდილმაც რომ მომდვას კლანჭი, უნდა წავიდე მაინც... მამაჩემის საფლავი და თვით დედა ჩემიც რომ ფეხთ ქვეშ გამიხდეს გასათელად, რაც უნდა

მომივიდეს, მაინც უნდა წავიდე. მართლაც რომ მოჰკვდე ჩემის გულისათვის და ვიცოდე კიდევ ესა, მაინც უნდა წავიდე.

**ზექიე** (გულ-მოსული დაღის და გასაცხინად ღაჰაჰაკობს). ოჰ! არა სჯერა... არა სჯერა, რომ უნდა მოვკვდე იმის გულისათვის... ეგებ რო მოვკვდე, მაშინაც არ დაიჯეროს? (გულ-მოსული ისლამ-ბეგს მიუბრუნდება) მილიხარ?... რად მილიხარ... რად უნდა წახვიდე?...

**ისლამ-ბეგი** (მძიმედ). დღესასწაულებში სასაფლაოზედ ხომ შენც წახვალ ხოლმე!

**ზექიე** (გულ-მოსული). წავალ ხოლმე... მერე?...

**ისლამ-ბეგი**. ჯერ ჩემი ოჯახიდან იქ მწოლარე გმირნი ხომ არ გინახვანან სამშობლოსათვის რომ გაუწირავთ თავი და სისხლით მოურწყავთ; ორმოც-და-ორი მარტო წამებულ წმიდანის სახელი ვიცი იმათგან. ნეტარებით თავისს ტახტსა და საგებელზედ ერთის სიკვდილიც არ გამიგია. ახლა ხომ გაიგე? ერთის სიკვდილიც არ გამიგია... ხვანთქარს ომი დაუწყია. მტერი საზღვარზეა, ჩვენის მამა-პაპის კუბოს ფიცრებსა და ძვლებს მოსვრას უპირებს. როგორ იქნება, რომ იარაღი მტრისა სამშობლოსადმი იყოს მომართული და მოპირდაპირეთ პირველად მკერდი ჩემი არა ნახონ? როგორ იქნება, სამშობლო განსაცდელში იყოს და მე სახლში ნეტარებით დროს ვატარებდე? როგორ იქნება, ხვანთქარი თავისის ამალით ადგილიდან შეიძრას და მე-კი აქ დალურსბულივით დავრჩე. როგორ იქნება, რომ სამშობლოს-სიყვარული დღეს ყოველ არსებაზე უმანკო, უბიწო იყოს და მე-კი მარტოდ შენის სიყვარულით მიძგერდეს გული? როგორ იქნება, ქვეყნიერებაში ყოველივე საქმის წინმსვლელობა გაგებული იყოს და მე ჩემს წინაპრებს ჩამოვრჩე? სამშობლოვ! სამშობლოვ!... სამშობლო განსაცდელშია-მეთქი, გეს-

მის? მე ღმერთმა გამაჩინა, მაგრამ სამშობლომ გამ-  
ზარდა. ღმერთი მივლის, მაგრამ სამშობლოსათვის  
მივლის, დედაჩემის მუცლიდან რომ დავიბადე და  
სამშობლოში მოველ, მშიერი ვიყავ. სამშობლომ  
მუცელი გამიძლო... შიშველი ვიყავ, სამშობლოს  
წყალობით ჩავიცვი... სამშობლოს სიუხვე, ყურად-  
ღება და წყალობა ძვალ-რბილსაც არ დაუვიწყნია.  
ჩემი სისხლ-ხორცი, აგებულება სამშობლოს მიწა-  
წყლისაგან შესდგება... სუნთქვა ჩემი—სამშობლოს  
მშვენიერ ჰაერისაგან... სამშობლოსათვის თუ ვერ  
მოვკვდები, მაშ რაღათ დავიბადე? ნუ-თუ ვაჟი ვიყავი  
არა ვარ? მოვალეობა არა მაქვს?.. სამშობლო არ  
უნდა შევიყვარო?

ოჰ, თუ სამშობლოს ვერ შეიყვარებს, იმ ლა-  
ჩრისგან სიყვარულს შენ როგორ მოელი?

გეგე.

სამშობლო... თუ მიზეზი სამშობლო... მე... რა-  
ღას ვიტყვი? რა მეთქმის?.. წადი, ბატონო!.. ამ  
გვარი მდგომარეობაც ჰქონია ზნეთ წუთი სოფელ-  
სა. სამშობლო რაც არის, ვიცი. სიტყვა სამშობლო  
გაგონილი მაქვს... მაგრამ ერთი მეორესთან შეკავ-  
შირებულსა და შეერთებულს გულს თუ მოაშორებ-  
და, ეს-კი არ მეგონა! მოჰგლეჯს და მოაშორებს თუ-  
რმე. აკი მეც მომგლიჯა... ჯერ კიდევ არ გაჩერე-  
ბულა გულში მდინარე სისხლი. თვალით ნახულისა-  
ვით ვიცი. დეე, იდინოს; რამდენიც ჰსურდეს, წადი,  
ბატონო! მე მხოლოდ ორ წვეთს ცრემლს დავდვრი.  
მაგრამ თუ ნებას არ მომცემ, იმასაც არ დავჰკარ-  
გავ. შამოვინახავ გულში, თუნდაც ყოველივე წვე-  
თი მისი შხამიც იყოს. საბრძოლველად მიდინარ,  
არა? სამშობლოსათვის მიდინარ, არა? დამივიწყე  
მეც, მთლად ქვეყანაც...

მე... ახლა ბარათსაც კი აღარა გთხოვ. ღვთით,  
მშვიდობით და სალამით მობრუნდები შენს სამშობ-

ლოში. და აი, მაშინ დაგხვდება აქ ერთი მონა. მე ყოველთვის მონა ვარ შენი... ან იქნება არა... ოჰ! ყოველი სიტყვის გამოთქმაზედ. გულიდან თითქოს ალმურის ნაკვეთი მომდის, ყელზედ მეხვევა. (გულ-  
:მოსკვნითა სტირის და ძიხს დაქმნობა).

**ასლამ-ბეგი.** ბარემ მეც გავათავო. თუ მომცა ღმერთმა ბედი და ჩემის სამშობლოს მსხვერპლი შევიქენ, შეგიძლიან მაშინ შენც სხვა ამოირჩიო.

**ზექიე.** ათასჯერ ამომართვას სული ღმერთმა, შენ თვალწინ, ჩემის ხელით უნდა მომაკლევინო თავი?... შენ რომ ეწამები და მოჰკვდები, შემდეგ მე რაღა კავშირი უნდა დამირჩეს ამ ქვეყნად? მე რილასთვის უნდა ვიცოცხლო... სიცოცხლისაგან თავ-მოძულე-ბულთათვის ამ ქვეყანაზედ სიკვდილზე ადვილი რაღა იქნება? ისე გგონია, მართლა, თითქოს შენთვის სიკვდილს მე ვერ შევძლებდე. შემომხედე ერთი! შვედრისაგან თუ გამოვირჩევი? (თავისთვის) ნეტა, ერთმანერთისაგან განშორებული და დაკარგული ორის ყარობის საფლავის მიწა ჰაერშიაც არის ერთს წამს იყოს შეაერთოს! არა აქვს სიმართლიანი მოქმედება განგებასა. (სიყვარულით შიშვანთავს). მოდი, ბატონო... ფიცსა მთხოვდი, არა? ვფიცავ მისს ძლიერებას, რომელმაც შეჰქმნა სიყვარული და გააჩინა ეს სამყარო, რომ სააქაოდ თუ საიქიოდ ზექიე შენი მუღმივი მონაა.

**ასლამ-ბეგი.** მაშ მეცა ვფიცავ ღმერთსა...

**ზექიე** (სიტყვას გაწყვეტინებს). სსუ! არ მინდა, რომ დაიფიცო; შენგან ტყუილის წამოცდენა რომ ერთს წუთსაც არის გავიფიქრო, მაშინვე გადავირევი. ოჰ! რომ იცოდე, როგორ გხედავს ჩემი თვალები? გული-გონება როგორ გცნობილობს?...

რომ შემოგხედავ, გგონია ღვთისგან ნაბოძები წყალობა გასულდგმულებულა და თვალ-წინ მიდგას-

მეთქი. შენ ვაჟაკი ხარ და იქნება არც კი მოგივიდეს ამ გვარი რამ მოსახრება ფიქრად. რომ დავინახავ რაეხსა ვფიქრობ, იცი? ჩემიდგან რომ წახვალ, შენს გონებაში ჩარჩენილი ხსოვნა ჩემის სურათისა მევე მენახრება, მეშურვება და მსურს, სულმთლად დამივიწყო. სისულელეა... არა?..

**ისლამ-ბეგა.** მოითმინე, ღვთის გულისათვის, მსურს გამოგეთხოვო. ჩემი გული და გონება მართლა რკინისა ხომ არა გგონია?

(თავისთვის) მოვალეობის წინაშე ყველაფერს გავწირავ ამ ქვეყანაში. არ მეგონა, თუ ჩემს გარდა არის-ლა ვინმე, ღღეს კი თხუთმეტის წლის ქალის ოდნობაც ვეღარ შევძელი. მე მწუხარებისაგან იმასა ვსცდილობ, რაიმე ნაირად თვალითაგან ცრემლი არ გადმოვჰყარო, ის კი ღმობიერებისაგანა და გულწრფელობისაგან იმასა სცდილობს, რომ გაიცინოს.

(მჭირუ დაფაქრების შემდეგ) ღღეის იქით რომ მოვკვდე კიდევ, იცოდე შენთვისაც აღარ უნდა ვინაღვლო... სამშობლოში შენისთანა ქალი-შვილის დანახვა ჩემთვის შენს შეძენაზედ უფრო ღიღია.

(თითქოს გამოფხიზდება). ღიღ... დამშვიდდი... არამც თუ მტერი, ცეცხლ-მოდებული მთები და კუდიანი ვარსკვლავებიც რომ დამესიონ, მაინც არ უნდა მოვკვდე.

**ზეკაიე.** იმედი... ოცნება...

**ისლამ-ბეგა.** შენ ღვთის სამართლიანი მოქმედება არ იცი?

**ზეკაიე.** ცოდნით რა იქნება?

**ისლამ-ბეგა.** გაითვალისწინე და იფიქრე ერთი, აბა. სამშობლო რომ ყოველისავე ადამიანის ცხოვრებისა და უფლების დამცველი არის, მისი მტრისაგან დაცვა რომ შეიქმნას საჭირო, სამშობლოს შვილებს საზღვარზედ სახრით ელალებიან. სამშობლო რომ ყოველი ადამიანის ქვეშაირიტი ღედაა, ზოგიერთი ადა-



მიანი თავის ჯანმრთელობაში მის რძისაგან და უნდომობაში კი წამლისაგან რჩენასა სცდილობს! სამშობლოს ყოველი მტკაველი მიწა რომ ჩვენის წინაპრების სისხლით არის მორწყული, არავის ჰსურს, რომ ორი წვეთი ცრემლი დაუშვას ზედა! სამშობლო რომ ორმოც მილიონ სულს უფლის, თავისის სურვილით, დამცველათ, რომ თავი ანაცვალონ, ორმოცი კაციც ვერ უპოვნია! ერთს დროს რომ სამშობლოს ფარ-ხმალის ჩრდილში რამდენიმე სამეფო ირჩენდა თავსა, დღეს რამდენისამე სამეფოს შემწეობით ძლივს იცავს თავსა. ჯერაც არ გაუგიათ სამშობლოს შინაარსი ჩვენს ვაჟკაცებსა და ქალებს, ჩვენსა მისი სახელი! — თუნდ ამაყობა დაარქვი, თუნდ ქედ-მაღლობა, თუნდა სილაჩრე, როგორც გნებავდეს. ამ სამშობლოს შენად და ჩემად საპატრონებლად ვსთვლი... ჩემი გულს ლაშქარი უნდა, რომ რაც გინდ იმედი ჰქონდეს ფიქრად, ან გულ-გონებას სურვილი და წადილი, სამშობლოს ხსენებაზე ყოველივე ეს გარიჟრაჟი დილის ვარსკვლავსავეთ მთლად წაიშალოს. შენის ბუნებისა და ხასიათის დედა უნდა, რომ სამშობლოს ჩემისთანა შვილი გაუზარდოს.

აბა, ღვთის ძლიერებასა და მისს სამართლიანს მოქმედებას როგორ ეკადრება, რომ ჯერ ჩვენს სამშობლოში ეს აზრი და ფიქრი ერთგულობისა და ბეჯითობისა დედის მუცელში ჩასახულ ნაყოფივით ნორჩი იყო და შენ და მე მოგვსპოს!? თვით აზრიც და მათი პატრონი არსებაც ამ ქვეყნად ამაოდ დასტოვოს?!

ღმერთო, მიწყალე... დედაკაცის მუცლის გაპობა და შიგ მყოფ უბუხუსო, უმანკო და აღაღმართალ ჩვილის გაფლეთვა და გაგლეჯვა ხომ მწყეტების საქმეა... ბედისწერა იმგვარ მძლავრობისა და მჩაგვრელობისაგან გამორიცხულია...

უნდა ვიცოცხლოთ ამისათვისა და სამშობლოს მომავალი ბედნიერება თვალითა ვნახოთ. უნდა დავუტოვოთ სამშობლოს ისეთი შვილები, რომ იმის გულისათვის ათას წელ სიცოცხლეს სიკვდილი ირჩიონ. არ გავა დიდი ხანი და ჩემს მკერდს მალე შუბისა და ტყვიის მრავალ ქრილობითა ჰნახავ შეხვეულსა...

**ზეკია.** ოჰ, ოცნება!... ოცნება!... მამაჩემიც სულ ამ გვარ რაღაცეებსა ლაპარაკობდა თურმე! მამაჩემიც ამ იმედებით იყო თურმე გატაცებული, დედა ჩემი მუდამ ღამ ამას მომითხრობდა...

ბოლოს რა იქმნა? სად მოკვდა, ჯერაც არაფერიცის!

**ასლამ-ბეგი.** რად გადაგიწყვეტია, რომ მოკვდა?

**ზეკია.** ცოცხალი კაცი, მაშ, თავის მეუღლეს, ვაჟი-შვილსა და ქალს ამ თხუთმეტის წლის განმავლობაში ერთს წერილსაც არას არ მოსწერავდა?

**ასლამ-ბეგი.** ვინ იცის? ღვთის ნებითა და წყალობით, თუ შინ მშვიდობით მოსვლა გვეღირსა, იქნება მამიშენის გავიგო რამე.

**ზეკია.** მკვდრისას, აბა, რაღას ვაიგებ?

**ასლამ-ბეგი.** თუ საფლავიც არის არ დაკარგულა, მაინც ვაიგებთ. მაგრამ დრო მოდის განშორებისა. შოდი, ვაჟკაცურად გამოვეთხოვოთ ერთმანერთს. დალოცუვარდივით ნათლით მოსილის შენის პირით შენი სამშობლო... იმედია, ღმერთი უსათუოდ შეიწყნარებს. (თავს შეიმავრებს და გაცინებს სცდილობს). მაგრამ რა არის ეგა, რომ თვალთაგან მარგალიტის მარცვლებსა ჰყრი? ეგაა შენი მოთმინება? ეგაა შენი იმედი, არ ვიტყვებო? ნუ-თუ ღმერთს არ მიიკარებ? ეგ შენი ვარდივით სახე რომ სიცილს ჰშორდება, მიღამებულ თვალეზედ უფრო მკმუნვარე არის.

(თავისთავს) თუ ვაჟკაცური გამოთხოვება ეგაა, არშიყისას ღმერთმა, დეე, ნურავინ მოასწროს.

მოთმინება ვიქონიოთ მცირე... მოთმინება...  
 ღვთისათვის მიმინდვიხარ... სამშობლოსათვის ლო-  
 ცვას ნუ დაივიწყებ. აი... აი... მივდივარ... მივდი-  
 ვარ... მივდივარ... (მწუხარება და შიშით) მივდივარ...  
 სამშობლოს გაუმარჯოს (ზეკიე იქვე დაეცემა ძირს.  
 ისლამ-ბეგი გაყა)

## სურათი მესამე

ზეკიე

(ორი-ორე წუთს ასე დარჩება, მერე ოთახს მიმავლებს  
 თვალებს), წავიდა... იქნება სიზმარი იყო? ოჰ...  
 სასიამოვნო რომ ყოფილიყო რამ, იქნება სიზმარი  
 გამომდგარიყო... მეც თავისავით შემძლებელი ვგო-  
 ნივარ, რაკი ვმაგრობდი, ჰგონია მართლა ასეა? ოჰ,  
 რა ალი მიტრიალებს! რა ცეცხლი მწვავს გულ-  
 ღვიძლსა! რა შხამი მიდგა თვალებში! რომ სკოდნო-  
 და, ხომ ასრე არ მიმატოვებდა, შემიბრალებდა და  
 მომკლავდა, ბარემ ისე წავიდოდა...

ბატონო ჩემო! შენ მე სამშობლოს გულისთვის  
 დამტოვე. მე, მე ვილას გულისათვის უნდა დაგტოვო?  
 ჩემი სამშობლოც შენ იყავ, ჩემი სულიც. მხოლოდ  
 ორჯერ მეღირსა ნახვა. რომ შესაძლებელი იყოს  
 დამიბრუნდეს წუთი დანახვისა, სიცოცხლეს მთლად  
 შევსწირავდი. ეს არის ეხლა თვალ წინა მყავდა.  
 დამეკარგა. ხმა ესმის ჩემი... თითქოს ხელი აქვს  
 ჩემს გონებასა... კლანჭები ჩხუკილია, ყელში მიჭერს,  
 სულსა მხუთავს! თითქოს ბორკილი ედვას ჩემს  
 გონებასა... ირგვლივ მომიცვა, მაუძლოურებს, ფეხს  
 არ მადგმევიწებს?

ისევ მწუხარება, ისევ ნაღველი... და განშო-  
 რება. ოჰ, თითქოს სულ თქმა მეკვრის, გული მიმდის.

(მცირე ღუმიჯის შემდეგ) რისთვის გავჩერდე და  
 მოვეუცადო სიკვდილსა? მაინც თითქმის ყოველს

სულთქმაზედ სიცოცხლე მიმდის მთლად. ამ ყოფაში ხომ სამს დღესაც ველარ გავატან.

რა იქნება, რომ თუნდ დღესვე მოვკვდე? დაუკოდარი ხომ აღარა დაპრა-რა ჩემს გულსა? დღე ერთი ქრილობაც კიდევ დაემატოს.

(მცირე ღუმიჯის შემდეგ) იმან... იმან უნდა იცოცხლოს... მაგრამ რომ შეიტყოს და ჩემს შემდეგ თავი მოიკლას?... რისთვის?... რისთვის მოიკლას?... იმას სამშობლო აქვს... სამშობლოს უნდა გაუწიოს სამსახური... სამშობლო რომ ჩემზედ მეტად არ ჰყვარებოდა, ხომ არც წავიდოდა... მერე სიკვდილს შემდეგ კი მუდმივ ვებსომები? მინდა დედაჩემი წარმოვიდგინო, მაგრამ ვერ მომიხერხებია.

საბრალო დედაკაცს საფლავშიაც რომ ჩაახედონ, თვალის გუგაში უთუოდ ჯერ კიდევ ზეკიე ეყოლება ჩასახული. რისთვის უნდა ჰქონდეს მუღამი უამს ჩემზედ ფიქრი?...

შავი მიწა რას არ დაჰფარავს! არარაობა რას არ დაჰსჩრდილავს! (მცირე ღუმიჯის შემდეგ) აბა ჩემს შემდეგ... ჩემს შემდეგ... რომ ვინმე სხვა შეიყვაროს... ქვეყნიერებაა ეს... ვინ იცის?... არც დაიფიცა... არ დავანებე... (თითქოს რაღაც მოელოდა, შეშინდება და ტახტს შეეკრძნობს)

არა... არა... ქვეყნიერებაზედ ჩემს გარდა სხვას არ შეიყვარებს... არა... რომ შეიყვაროს, საფლავს გამოგარდევ და სისხლიანი სუდარით წინ დავუდგები... (მწარედ გაიხიხის) მე იმის გულისათვის მოვკვდე და იმან კი სხვა შეიყვაროს! ოჰ! თავი მოვიკლა და მტერი ჩემი უმტროდ დავტოვო? (ისევ ტახტზედ მიესვენება) ღმერთო ჩემო! ღმერთო! მე საფლავისა, გველებისა და ქვეწარმავალთა თანახმაცა ვარ... თვალ წინ რაღაცა საშიში ლანდი მიდგას!.. ოჰ, დედი!.. დედი!.. შავს მიწაში ყოფნასა შენს ქალი-

შეილთან რომ ყოფილიყავ, რა იქმნებოდა? გაშალე... ხელები გაშალე... უბეში ჩამისვ... ოჰ!... მცივა... მეშინია... ჩემისავ თავისა მეშინია... უბეს თუ ველარ გამიშლი, საფლავის ჯარი მაინც არის გამიხსენ და მეც ერთს კუთხეს სადმე მივემყუდრები...

### სურათი მეოთხე

**ზეკიე ოთახშია. ისლამ-ბეგი და თავისუფალნი  
მეომარნი ქუჩაში.**

**ისლამ-ბეგი (ქუჩაში).** ამხანაგნო, ყველანი აქა ვართ?

(ზეკიე სმას გაიგონებს თუ არა, უცბად ფანჯარას მიჭკარდება და ერთს კუთხეში მიიმალება).

**თავისუფალი მეომარნი (გაღათვადიერებს უგელას).** ყველანი აქა ვართ.

**ისლამ-ბეგი.** ძმანო! სასახელოა ჩემთვის, რომ ჩემის დროშის ქვეშ მოგიყრიათ თავი. მაგრამ არ ვიცი, კმაყოფილი დარჩებით თუ არა ჩემი? საბრძოლველად მივდივართ. მაგრამ საბრძოლველად კი არა, სასიკვდილოდ. თავისუფალს მეომარს ჯამაგირი არავისგან არ ეძლევა. ვინც რომ ჯამაგირს თხოულობს, დეე, ახლოს ნუ მომეკარება. ძარცვა-რბევისა და დავლის ფიქრიც სრულად არა მაქვს. ვინც რომ ფიქრობს ვიდავლავებო, სჯობს აქვე ჩამომეცალოს. ნეტარებას მე არა ვძებნი. ვინც მძებნელია, დეე, უკან ნუ გამომყვება. ტყვისა და ყუმბარის შიში არა მაქვს. თუ ვინმე შიშობს, ვურჩევ, ფეხი არ მოიცვალოს და ცოლთან დარჩეს.

რომ შესაძლებელი იყოს, მთლად ჩემის სამშობლოს ძმებს ამ ჩემს სუსტს არსებას ფარად გავუხსნიდი... რომ შესაძლებელი იყოს, სამშობლოს გულში შევიწინახავდი და სანამ ჩემს გულ-მკერდს არ



გააოხრებდნენ მთლად და არ გაანადგურებდნენ, მანამდის იმის ერთს ქვასაც ხელს ვერვინ ვერ ახლებდა... გეყურებათ? გესმით, რას ვამბობ? სიკვდილის შიში მთლად უნდა განდევნოთ. მკერდი თქვენი სამშობლოს დასაცველად ამართულ ციხე-დარბაზისათვის უნდა იყოს უშიშრად მდგარი. შეგიძლიანთ, თქვენი თავი ახლავე მკვდრებში ჩარიცხოთ? შეგიძლიანთ სიკვდილის საძებნელად თვითონვე წასვლა?... უნდა სამშობლო დავიფაროთ და ღმერთი ჩვენ დავგიფარავს.—თუ არ ინებებს, თვით იცის; თქვენს თავს მიენდეთ! სად მივდივართ, ის რომ იცოდეთ... ჩემსავით რომ წარმოიდგინოთ... ექვი აღარ მექნებოდა, რომ ყველანი ჩემსავით შეურყეველნი იქმნებოდით. ამხანაგნო! ღუნაის ნაპირას მივდივართ... ღუნაი ჩვენი უკვდავების წყაროა. სახელი ღუნაისა რომ არ იყოს ჩვენში, სამშობლო ველარ იცხოვრებდა; მაშინ კი სამშობლოშიაც ველარავინ იცხოვრებდა... მაგრამ იქნება მოიპოვოს ვინმე მცხოვრები... ღიად! იქნება.

(გულმოსუჯი) არა!.. არა!.. მცხოვრებნი მოიპოვებინ, მაგრამ ადამიანი კი არა. ადამიანმა რომ თავისი სამშობლო ფებთქვეშ გათელილი ნახოს, ველარ იცხოვრებს. ადამიანმა რომ თავისი ღვიძლი დედა ფებთქვეშ ნახოს გათელილი, ველარ იცხოვრებს; მწყალობელი ბატონი ფებთქვეშ თელილი ნახოს და კიდევ იცხოვროს? მაშინ ხომ პირუტყვზედ უფრო უარესი იქნება... ძმებო! ადამიანი პირუტყვზედ უარესი არ არის? არამც თუ უარესი, პირიქით, ადამიანზედ მაღალი მხოლოდ ერთი ღმერთია! ღმერთი გვიბრძანებს, სამშობლო გიყვარდეთ. ჩვენი სამშობლო ღუნაია. იმიტომ, რომ ღუნაი შუა ჩაგვიდგეს, სამშობლო აღარ დარჩება. რომელი ნაპირიც უნდა მოიაროთ ღუნაისა, ყოველი

მტკაველი მისი თქვენის მამა-პაპისა და ძმების ძვლებით დაგხვდებათ მოფენილი... ღუნაი რომ აიმღვრევა, ზედ მოდებული ლაფი მის დასაცველად განწირულ გმირების სხეულებისაგან შესდგება. რაც ოსმალს ხმა ისმის, ღუნაი მუდამ ხელთა სჭერიათ. დიდი, დიდი ხანია მას შემდეგ... ღუნაი არას დროს არ აღებულა... ვერც აიღებენ, სანამ ოსმალს სახელი იხსენება. მაგრამ თუ ოსმალები არ დაივიწყებენ, ოსმალელობა რა არის, კიდევ არ აიღება. მზადა ხართ სამშობლოსათვის შავი გასწიროთ? ღუნაის ნაპირას სიკვდილს არ მოერიდებით? სანამ ცოცხალი ვიქმნები, მტერმა ღუნაიზედ ვერ უნდა გაიაროს. მაგრამ, თუ გაივლის, ჩვენ ან მკვდრები, ან დაქრილნი უღა ვიყვნეთ. სიკვდილი, მაშ, გარდაწყვეტილი მაქვს. ვინ არის, მაშ, თქვენში, რომ არ ეშინოდეს სიკვდილისა? შემფიცეთ, რომ უკან აღარ დაიხვეთ.

**თავისუფალი მეომარი.** ვფიცავთ ღმერთს, რომ არ გიღალატებთ. ბესაა\*), ბესაა. ბესაა.

**ისლამ-ბეგი.** ვინც ჩვენია და მოყვარეა, მაშ, არა დროს უკან არ დაიხვეს, არ მომცილდება.

### სურათი მესამე

**ზეკაი.** (იჯანჯრის კუთხიდან მწარედ იცინის). ბატონს თურმე ერთ გული და მოყვარე არას დროს არ მოსცილდება! შეხეთ, ლაპარაკშიაც სამშობლოს მეტი არავინ ახსოვს. ნახეთ, აბა, თუ მოაგონდეს, რომ აქაც უიმედო და საბრლო ვინმეა ერთი... რომელსაც მისგან მოშორება სიკვდილზე უმძიმესად მიაჩნია და ვეღარ მოუხერხებია, რომ არ მოშორდეს! შენ მოყვარე არას დროს არ მოცილდება. ხომ ასეა? აი,

\*) აღზანულების დიდი ფიცია.

მეც არ უნდა მოგცილდე... მაგრამ კაცი რომ არა  
ვარ?... თუმცა რას გაიგებს?..

### სურათი მეთექვსმეტი

- (**ზექიე** და **გამზრდელი** ძიძა მისი **ხანიფა**)
- ხანიფა** (ოთახში შევა). გოგონი! ბატონო ჩემო!
- ზექიე** (საჩქაროდ შეიჭრა ოთახში შევა).
- ხანიფა**. სად მიდის? სადა, გოგონი! ბატონო ჩემო! ჩემს უქეი-  
ფობაში, ჭიქა წამალს ძლივს ორსაათში მომიტანდა.  
ახლა-კი თავის სასურველ საქმისთვის, შეხეთ, რო-  
გორ კაკაბივით დარბის!..
- ზექიე** (ნიხეურად ჩაგმული, ხანიფას ვერ დაინახავს, ისე შემოვა  
ოთახში და დაიწეებს ჩაგმას). ჰო, ძმაო, ბატონო ჩემო!  
ჩემს უბეში რომ დალიე სული და ეს ტანთსაცმელი  
გეცვა, მიტომ შექონდა შენახული, ახლა, ვინ იცის,  
მეშვეის უბეში უნდა დავლიო სული და ზედ დამრჩეს?..  
ავადმყოფობა გადამდები თურმეა! ნეტავი, მართლა  
აგრე იყოს და მეც გადამედოს. ნეტავი, მეც ძმა  
მყავდეს და მის უბეში დამელია სული!
- ხანიფა**. ეს რასა ჰნიშნავს, რას შვრები.
- ზექიე** (გულმოსულად და მჭმუნვარედ, თრთოლვით). აქ მოდი,  
ქალო! ვინ გითხრა, ბაღში წამიყვანე და ვაჟკაცები  
მანახვეო, ვინა, ვინ გითხრა, ვაჟკაცის წერილი მომი-  
ტანეო, ვინა? ვინ გითხრა? სთქვი, გავიგონო, ვინა?
- ხანიფა**. ჩემო გოგონი! ბატონო ჩემო! რა გემართება?
- ზექიე**. რა მემართება? მე ვიცი რაც მემართება? უნდა გადა-  
ვირიო. ჭკუა მერყევა. თავი უნდა მოვიკლა. გაიგე?  
საბაბიც შენა ხარ, შენა ყველაფრის საბაბი... ყველა-  
ფრისა...
- ხანიფა**. უიმე, გოგონი ჩემო! მე რა ვქენ, განა?
- ზექიე**. რა ჰქენ „არას დროს მოყვარე არ მომცილდებაო“,  
არ გაიგონე? ჯერაც-კი ისმის იმისი ხმა, არ გეყუ-  
რება? გულზედ შემოხვეულს ლომის კლანჭებს განა

ვერ ჰხედავ? იმას მივყევარ... ვერ ჰხედავ, როგორ მივყევარ!... სახეზედ შემომხედე! ჩემი თვალები, განა, ამგვარად დასიხლიანებული გინახავს სადმე? სახე ჩემი, ამგვარად გალურჯებული გინახავს სადმე? მივყევარ ლომის კლანჭებს. მივყევარ. დეე, დაესვას გულს... სულის სიღრმეში დაიდოს ბინა... საბაბი შენა ხარ... გაიგე თუ არა? რა მიქნიაო, იმას ნუ იტყვი...

(ტრეჩილით ტახტზედ დაქმობა) არ სჯობდა, შხამი გეწოვებინა და მე-კი ეს დღე არ მენახა?

ხანაფა.

ზეკაე

გოგონი ჩემო! ჩემო ბატონო. ღმერთი მრისხავდეს და სული ამომხდეს, თუ ვიცოდე, რა უნდა ესთქვა. (თავს შეიმაცრებს). ძიძავ! ჩემო ლმობიერო და გულწრფელო ძიძავ! განა, მე შენ ამ გვარს მწარე სიტყვებს გეტყვოდი? ამგვარად მღელვარე შემოგისმობდი? მაგრამ თავი ვერ შემიმაცრებია. ოჰ, არ იცი, რა დღეში ვარ, ჩემო ძიძავ!... შენი რძე ჯერაც ძვალ-რბილში მიდგას. ჯერაც არ დამივიწყნია. პატარაობაში რომ ვიტირებდი, მწუხარებისაგან შენ მწარედ იცინოდი. რომ გამეცინა, სიხარულისაგან თვალები ცრემლით აგვესებოდა ხოლმე. მე რომ როგორმე გუნება შემეცვლოდა, შენ მაშინვე უქეიფოდ შეიქმნებოდი. ჩემი უქეიფობა შენ სასიკვდილოდ გაგწირავდა ხოლმე. შეხე, ამ ხნისა ვარ და შენს უბეს არა ვშორდები... არ კმარა, განა, რაც ჩემის გულისათვის აქამდის იტირე? მოღვარებულს ცრემლს შენს სახეზედ კვალი ღრმად დაუჩნევია! გული ხომ არ მიტყენია? არ გეწყინება განა? ძუძუსა და ერთგულებას არ დამაყვედრი, არა, ჩემო ძიძავ?! შენი შრომა და ზრუნვა ჩემზედ ალალი იქნება ხომ! მივდივარ.

ხანაფა.

ზეკაე.

ქალო, ხომ არ გადარეულხარ? ამ თეთრის თმით ხომ საგიეფში არ გამგზავნი? სად მიხვალ, სადა?

ოჰ! როგორ მიყვარს, რომ იცოდე! რომ არ წავიდე, ხომ თავი უნდა მოვიკლა. საა ქაოც და საიქიოც ორივე წამიხდეს... მაგრამ არ მენადლეება. ჯოჯო-



ხეთში თუ დავიტანჯები; ეს ღვთის სჯება. ის უნდა დარჩეს ამ ქვეყნადა, ის... მე შავს მიწას მივებარო. ის სხვისა იქნება...

(მწუხარედ მიჭკარდება ხანაფას უბეში) ოჰ! დედი, დედი! თითქოს სამარიდან ამდგარა და ტანთსამოსი გამოუტყვლიაო—გამიშვი! ნულარ მაფიქრებ!... გინდა, მთლად გადავირიო? ვერც თავს ვიკლავ და მკვლარი ცხოვრებაც ვერ შევიძელი!

(ტირილით) უნდა წავიდე, წავიდე. მოყვარე მას არა ღროს თურმე არ მოსცილდება.

ხანაფა

(გაშტერებული). გოგონი ჩემო, გოგონი! ვაი, რატომ ფეხები არ დამემტვრა! რატომ პირი არ გამიშრა და ათასი უბედურება არ დამატყდა თავსა!

ზექიე.

სსუ!.. ნუ იწყევლები! მე ეხლა ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი. გონება დავკარგე. სიკვდილზედ უარესს ღღეში ვარ. ჯოჯოხეთის ტანჯვას ვეწიე. მაგრამ ამ ვაი-უბედურობისა ერთი წუთიც სიცოცხლეზედ უფრო ტკბილად მიმაჩნია. უნდა წავიდე ახლა, მაგრამ ვინ იცის, ამაღამ რომელი ხის ქვეშა და რომელ საფლავზე უნდა დავწვე? ვინ იცის, გარს მორიელები და გველები მეხვეოდნენ... ვინ იცის მშიერი უნდა დავრჩე თუ მწყურვალეობისაგან უნდა მოვკვდე. მაინც უნდა წავიდე... ისლამს უნდა მივყვე უკანა. ისიც ჩემსავით იძახდა: უნდა წავიდეო.

(ზექიეს ამ სიტყვებზედ ხანაფა გაოცებული დარწხება. ზექიეს კი უფრო და უფრო მოემტება გულადობა და ვაჟკაცური გამბედაობა).

უნდა წავიდე, წავიდე. ის წავიდა, მე კი ჯერ ისევ აქა ვარ. (ზექიე კარს მაგრა მიიხურავს და გავა).

### სურათი მეშვიდე

ხანაფა

(თავში შემოიკრავს). ოჰ! კარი როგორ მიაჯახუნა! მიღის, ჩემი გოგონი! ზექიე! გოგონი! მართლა მიღის, მართლა წავიდა! ოჰ!... (ტანტზედ დაქცემა და ფარდა ჩამოეშვება).





# გ ლ ე ხ ი კ ა ც ი

გაღჭკულმ ფონ-პოლენცისა

II

სომუილ გარრასსოვიცი საკუთარ დახურულ ეტლში იჯდა და, როგორც ეტყობოდა, ქალაქს გარედ თუ მიდიოდა, რადგან ამ ეტლს მხოლოდ ამ შემთხვევებში გამოატანინებდა ხოლმე. მეეტლეს ოქროს ბუზმენტებით მორთული ტანისამოსი ეცვა; ეს ტანისამოსი სომუილმა საჯარო ვაქრობაში ნახევარ ფასათ შეიძინა ამას წინათ. გარრასსოვიცი სოფ. ვერმსბახში მიდიოდა, სადაც ერთი და ორი სახლი და მამული არ ეკუთნოდა მოხერხებულ ვაქარს.

ვერმსბახის გზა გალბენაუზედ მიდოდა. მართალია გალბენაუში გაჩერებას არ აპირებდა, მაგრამ, მოჰკრა თუ არა ბიუტნერიანთ სახლს თვალი, ბიუტნერიანთ ნახვა და იმათი ყოფაცხოვრების გაგება ძალიან მოუნდა. ერთი საათიც რომ დააგვიანოს, მაინც დიდი უბედურება არ იქნება, თუმცა „დროზედ აღგილზედ ყოფნა“ გარრასსოვიცის საიდუმლოს შეადგენდა.

ესეც რომ არა ყოფილიყო, გარრასსოვიცს ბიუტნერიანთ მამულიც და იქ მცხოვრებლებიც ძალიან მოსწონდა. ვაქარს, ღვთის წინაშე, არც გულკეთილობა აკლდა, მაგალითად, იმას სრულიადაც არ ეჯავრებოდა ხოლმე ის ხალხი, ვისაც ნელ-ნელა ძირს უფხვრიდა და ქსელში აბამდა. ის მშვიდათ და აუჩქარებლავ მოქმედებდა ყოველთვის, საქმეს უცებ, გაუმადლრათ და ხარბათ რომ მივარდნოდა, ეს უქკუობაც იქნებოდა და ვერც სიამოვნებას მოუბოვებდა. თავის აუჩქარებ-

ლობით გარრასსოვიცი ცოტას არ სიამოვნებდა და ეს სიამოვნება იმაში მდგომარეობდა, რომ ჯერ კაი ხანს შეჰყურებდა ხეხილს, კაი ხანს სტკებობდა იმის ცქერით და როცა გაძღებოდა, მერე დაბერტყავდა ხოლმე სასურველ ხილსა.

სამუილმა მეეტლეს უბრძანა შარა გზილამ მარცხნივ გადაეხვია და ცოტა ხნის შემდეგ ეტლი ბიუტნერიან ეზოსთან მიგორდა.

შესავალ კარებთან დედაბერი ბიუტნერი გამოჩნდა, მაგრამ იცნო თუ არა ვაჭარი, საცოდავი ისე შეეკრთა, რომ სალამის მიცემაც კი დაავიწყდა.

— რა, ბ. ბიუტნერი შინ არა ბრძანდება?—დაეკითხა სამუილი. დედაბერმა უთხრა, მოხუცი და კარლი ტყეში არიან და გუსტავი მებატონის მამულში წავიდაო.

— სახლში მარტო მე და ქალები ვართ,—მიუგო შემკრთალმა დედაბერმა.

— ძალიან კარგი, ჩემო კარგო, ძალიან კარგი!—უპასუხა ვაჭარმა და ეტლიდამ გადმოვიდა. —თქვენი ქმარი შრომის მოყვარული კაცია,—მიუხედავთ იმისა, რომ ხანში შესულია, ის მაინც თავისას არ იშლის და მუშაობას თავს არ ანებებს, ეს ძალიან საქებია, ჩემო კარგო. ჩემ მეეტლეს ცოტა შვრიას ხომ ვერ მისცემ ცხენისთვის?

დედაბერმა მიუგო, მზათა ვართ ყველაფრით გემსახუროთო და იმ წუთშივე შვრიისა და თივისთვის ერნესტინა აფრინა.

— ცხენს საძაგრავი გადახურე!—უბრძანა გარრასსოვიცმა მეეტლეს. —წყალი აღარ დააღვინო, გესმის? მანდ ქუში არ გაუჩნდეს და არ დამღუპო!

როცა ყველაფერი გაარიგა და ცხენის მოვლის და გამოძღობის თავდარიგს მორჩა, სამუილი დედაბერს მიუბრუნდა.

— მე კი ყავა რომ მალეინოთ, ძალიან კარგს იზამდით, ჩემო კეთილო ქალბატონო! გზაში, ცოტა არ იყოს, შემცივდა, გარდა ამისა, თქვენ თურმე ყავას ჩინებულად აკეთებთ—ეს მე დიდხანი არის, რაც გავიგე.

ამ სიტყვებით სამუილი სახლში შევიდა და დედაბერს მეგობრულად მხარზედ ხელი დაჰკრა.

დედაბერი ბედნიერი და დიდი მოხარული იყო, რომ ბ. გარდასსოვიცის სიამოვნება შეეძლო. ოჯახის იმედიცა და შიშიც ეს კაცი იყო. სახლში ამის ხსენება ხმა მალლა არც კი შეეძლოთ, უსათუოთ ჩურჩულით უნდა დაეწყოთ იმაზედ ლაპარაკი. დედაბერმა მშვენივრათ იცოდა, რომ ოჯახის ბედიცა და უბედობაც ამ კაცს ექირა ხელში. სხვა ქალებსავეთ ბიუტნერის ცოლიც იმ აზრის იყო, რომ მტერის მოგერება ისევ პირფერობით და ტკბილი სიტყვით თუ შეიძლებაო. მიუხედავად იმისა, რომ დედაბერს ფეხები სტკივოდა და ამ ზამთარს ზომ ძალიან დაიწყო კოჭლობა, მაინც ერთი ფაცი-ფუცი დაიწყო, ქალებს უყვიროდა და აჩქარებდა. ერთს ცეცხლის დანთება უბრძანა და თითონ რაც-კი საქმელი მოეძებნებოდა სახლში, ყველაფერი მაგიდაზედ დააწყო.

ამასობაში სამუილმა თხუნელის ტყავის ქურქი გაიხადა და ქალებსა სთხოვა ბუხრის წინ გაეფინათ, რომ არ გაციებულყო და მერე თითონაც ბუხრის ახლო დაჯდა.

— რა თბილი და მყუდრო სახლი გაქვთ, დედი!—სთქვა გულკეთილათ ხუმრობის კოლოთი.—გლეხის სახლში რაც უფრო ძლიერა თბილა, ისა სჯობიან. მე მინდოდა გალბენაუსთვის ამეარა, რადგან სხვა სოფლებში მივდიოდი, მაგრამ გავიფიქრე—მოდრი შევივლი და ბიუტნერებს დავხედ რას სჩადიან მეთქი.

დედაბერს სიტყვა ველარ მოეძებნა, რომ ამგვარი პატივის ცემისთვის საკადრისი მადლობა გადაეხადნა.

— ზამთრობით სოფელში მშვიდი ცხოვრება—განაგრძო სამუილმა.—მინდორში სამუშაო სულ არა გაქვთ ხოლმე, არა? მაგრამ სანაცვლოთ გაზაფხულზედ კი რაც ძალი და ღონე გაქვთ, სულ მინდორს უნდა მოანდომოთ. მე გავიგე, მეორე შვილიც დაგბრუნებიათ.

— გუსტავი?

— აის, ჯარის კაცად რომ იყო. მგონი, კარგათა შველის მამას, ჰა?

— რასაკვირველია! უშველის, მაშ რას იზამს! მაგრამ აგერ საცაა ცოლს შეირთავს და ისიც ცალკე დასახლდება. ჩვენი სახლი როგორღაც არ მოსწონს. გაქანებული დადის და ადგილს დაედებს. აი ეხლაც თქვენ მოსვლის წინ მებატონეს კოშკში წავიდა, მგონი, მეეტლის ადგილი განთავისუფლებულა და მის ადგილსა თხოულობს.

— კარგი, მაშ გრათთან აპირებს სამსახურსა, ჰა? ჩემ მაგიერ უთხარით, ნუ იზამ თქო. მობატონესთან სამსახურს ყმობა სჯობია. ჩემთან მოვიდეს და მე უფრო კარგ ადგილს ვუშოვნი. აი, მაგალითად, ვერსმბახში ერთი მამული მაქვს, რომელიც თქვენი შვილისთანა ახალგაზდა კაცს ძალიან მოუხდება: სახლი, ბაღი და ერთ ოცი დღის მიწა. ამ მამულს იჯარით მივცემდი იაფ ფასათ. იქ უსათუოთ ბედი გაუღიმებდა. ასე უთხარით თქვენ შვილს ჩემ მაგიერ!

დედაბერი სამუილის ყოველ სიტყვებზედ ღრმა სალამს იძლეოდა. ამასობაში მაგიდა საქმლებით აავსეს. დედაბერი მივიდა და უთხრა:

— უკაცრავათ კი, ბ. გარრასსოვიც, რომ ჯეროვანათ ვერ დაგხვდებით. ყველი და პურიო, კეთილი გულიო. რაც გვაბადია, იმითი გაგიმასპინძლდებით. რა ვქნათ, მეეტლესაც რამე უნდა ვაქამოთ. არაყს ხომ დალევს თქვენი მეეტლე. ან იქნება ყავა სჯობია, რომ გავუღზავნოთ?

— გაუგზავნეთ, ქ. ბიუტნერ, — უთხრა სამუილმა სიცილით და ტიტველა ხელზედ უჩქმიტა. — თქვენ ძალიან მააზიზებთ, მე და ჩემმა ღმერთმა.

ამის შემდეგ საუზმესაც შეუდგა.

ტონიმ ყავადანი მოიტანა და მოგიდაზედ დასდგა. ერნესტინას ჭურჭლის განჯინილამ საუკეთესო ჭიქა უნდა გადმოეღო. დედაბერმა საკუთარის ხელით გაუკეთა ყავა. ყველანი სცდილობდნენ გარრასსოვიცისათვის როგორმე ესიამოვნებინათ, რაიც სამუილს ძალიან მოსწონდა; ყავის სმის დროს სამუილი ხაზგამოშვებით ოქროს სათვალეების ზეიდან ქალებს გადახედავდა ხოლმე და კანტი-კუნტათ კითხვებს იძლეოდა. ქალე-

ბი ძლივს უბედავდნენ ჰასუხის მიცემას, მოშორებით იდგნენ, ხმაჩაკმენდილნი და ბატონის შექცევას თვალს ადევნებდნენ.

სამუილმა ჭიქას მიაქცია ყურადღება, რომელსაც ოქროს სიტყვებით ოცდა ხუთი ეწერა. დედაბერმა აუხსნა—ეს ჭიქა ამ ხუთი წლის წინათ გვაჩუქეს მე და ჩემ ქმარს, როცა ჩვენი ქორწინების ოც და ხუთი წლის იუბილენი ვიდღესასწაულეთო.

— მაშ ოც და ათი წელიწადია, რაც ჯვარ დაწერილნი ხართ?—შესძახა სამუილმა.—კარგი დრო გაგჩინა ჩაღვებით! რაც უფრო ბედნიერია ადამიანი, მით უფრო შეუმჩნევლად გარბის დრო. არა? აგერ საცაა მეც ვიდღესასწაულებ ოც და ხუთი წლის იუბილენის. უფროსი ვაჟი უნივერსიტეტში მყავს კიდევ. იურიდიულ ნაწილზე, გესმით, იურიდიულ ნაწილზედ! სააღდგომოთ დაამთავრებს კიდევ სწავლას. რა ჭკვიანი რამ არის, რომ იცოდეთ! აბა, თავი იმან დაიკვებოს, აი! მაგრამ ცოტაც არ დამიჯდა იმის სწავლა: ღვთის წინაშე, მე იმისთვის არა დამიზოგია-რა.

როცა თავის ნიჭიერ შვილზედ ლაპარაკობდა გარრასოვიცი, მუდამ სახე შესამჩნევათ უბრწყინავდა ხოლმე. ეხლაც ნეტარის ღიმილით გაბრწყინებული შესტკეროდა ყველას და ძალიან მოსწონდა, რომ ყოველ იმის სიტყვებს დიდის მოწიწებით და განცვიფრებით ისმენდნენ აქა. მერე ტონისაც გადაავლო თვალი, მაგრამ ისე უზრდელათ და უხეშათ კი დაუწყო ცქერა, რომ საცოდავი გოგო სულ ერთიანათ აიტკიცა და იმვე კუნძულში ფუს-ფუსი დაიწყო ვითომ, რაღაც საქმეს ვაკეთებო.

ვაქარმა დედაბერს თვალი უყო, თავისთან მოიხმო და ხმა მალლა დაეკითხა:

— ეგ როგორ მოხდენია თქვენ ქალსა, ბატონო? მე რამდენადაც ვიცი, თქვენი ქალი გასათხოვარია... და!.. ერთი კიდევ მიაპყრო ტონის თვალები.

— თქვენა გგონიათ, ვითომ... და ამას ტონის რომანის გაქიანურებული ამბავი მოჰყვა. დედის სიტყვებში იმდენათ ბრაზი და წყენა არ იხატებოდა, რამდენადაც იმის სინანული, რომ ქალს ასეთი შეცდომა მოუვიდაო.



ორთავე დანი ოთახში იყვნენ და, რასაკვირველია, სიტყვიდამ სიტყვამდის სულ გაიგონეს რასაც დედა უამბობდა გარარასსოვიცსა.

გარარასსოვიცი დიდის სიამოვნებით ისმენდა ამ ამბავს და დრო-გამოშვებით თავს აქანთურებდა.

— მაშ, მაშ! ახალგაზდა ქალები მეტად გაუფრთხილებლები არიან. თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ, რომ ქვეყანას ერთი სული ადამიანი მოემატება ხოლმე. ახლა როგორმე უნდა უშველოთ საქმეს. ერთხელ მაინც არ გაგიფიქრიათ, რომ შეიძლება ძიძათ გაგზავნოთ თქვენი ქალი?

დედაბერი ვერ მიხვდა, ვაჟარს რის თქმა უნდოდა.

— ჰო, ძიძათ, მაშ! ნუ თუ არ გესმით? ეხლანდელ დროში თქვენი ქალი ცოტა ფულს კი არ იშოვნის, თუ ქალი ჯანსალია და ღონიერი... გესმით... ქალაქებში ძიძებს ძალიან ეძებენ. თქვენ ქალს უბრძანეთ, კუნჭულიდამ გამოვიდეს.

ტონის არ ეჩქარებოდა ვაჟრის ბრძანების შესრულება.

— ტონი!—დაუძახა დედამ ქალსა.—აქ მოდიო, არ გესმის? აქეთყენ, ბ. გარარასსოვიცს ეახელ, უნდა განახოს.

ბოლოს ძლივს გადმოდგა ტონიმ ფეხი; საცოდავი ისე დარცხვენალი იყო, რომ არ იცოდა, საით მიბრუნებულყო და საით მიეხედნა. ის ვითომ იცინოდა, სახეზედ ხელს იფარებდა და ნამდვილათ კი მზათ იყო ყოველ წუთს ქვითინი ამოეშვა.

— ეგრე კი ნუ იკატუნებთ თავსა!—უთხრა სამუილმა და ისე დაუწყო სინჯვა, როგორც ყასაბი გასაყიდ ძროხას ან ხარს სინჯავს ხოლმე.

— უკეთესი რაღად გინდათ? ყველაფერი რიგზეა. თქვენ ქალს ძალიან მოუხდება ის ტანთსაცმელი, რომელსაც შპრევილდში ატარებენ. ბერლინში სულ იმნაირად იცვამენ ძიძები. თავზედ თეთრი თავსახური, მოკლე მწვანე ან წითელი ქვედა ტანი, სავერდის სარტყელი და შავი წინდები. რასაკვირველია, ყველა ეს კაი ფასისა უნდა იყოს. ამნაირი ტანთსაცმელი ძალიან მოუხდება ახალგაზდა ქალსა. აბა, ბატონო, რას მეტყვიით ამაზედ?

დედაბერი სულ ერთიანათ დაიბნა ამ წინადადების გაგონებაზედ. იმას არას გზით არ უნდოდა გარრასსოვიცის წყენა და უარის თქმისა საშინლათ ეშინოდა. მაგრამ მეორეს მხრივ იმასაც ცხადათა ჰგონებდა, რომ გარრასსოვიცა ცუდსა და უზნეო საქმეს ურჩევდა: ვარდა ამისა ქალის განშორებაც უძნელეზობდა.

გარრასსოვიცი კი თავისის გაიძახოდა.

— მე კარგ ადგილს ვუშოვნიდი, — განაგრძო სამუილმა — ჩემ გათხოვილ ქალს, ბერლინში რომ სცხოვრობს, ზაფხულის ბოლოში შვილი უნდა მიეცეს ეს სწორედ კარგ დროს მოხდება. მაშინ თქვენი ქალი ჩინებულ სახლში გაჩნდებოდა, — ბერლინი, ტირგარტენის ქუჩა, — ამაზედ უკეთესს სიზმარშიც კი ვერა ნახავდა თქვენი ქალი. ერთის სიტყვით, თქვენი ქალი სრული ბედნიერი შეიქნება, თუ ბედმა გაუღიმა და მართლა მოხვდა იმ სახლში! აბა, რას მეტყვით, ბატონო, ბარემ გავათავოთ ეს საქმე!

ვაქარმა ხელაც გაუწოდა დედაბერსა, მაგრამ რაკი ეს უკანასკნელი როგორღაც იგვიანებდა, ვაქარმა ჯიბეს იკრა ხელი.

— მე ამ საათშივე ბესაც მოგცემთ, რომ თქვენ ხუმრობა არ გეგონოთ.

ამასობაში დედამ მოისაზრა კიდევ ყველაფერი. იმაში დედის გრძნობამ გამოიღვიძა.

— არა, ბატონო გარრასსოვიცო, არა! — შესძახა იმან. — აგრე როგორ იქნება? ემაგაში კი ძალიან აჩქარდით! ჯერ ყველას უნდა დავეკითხოთ ოჯახში, კარგა მოვისაზროთ. ესეც რომ არ იყოს, ჯერ მაგის აზრიც უნდა გავიგოთ, იქნება მაგას თითონ არ უნდა იქ წამოსვლა.

— როგორც გნებავდეთ! აი, მოელაპარაკეთ! — უთხრა გარრასსოვიცმა და ფული ისევ ჯიბეში ჩაიღო. — მე ყოველ შემთხვევაში ვეცდები გავიგო გადაწყვეტილება.

სწორედ ამ დროს დერეფანში ფეხის ხმა გაისმა, თითქოს ვრდაცა თოვლიან ფეხებს იბერტყავსო, მერე კარები გაიღო და ოთახში გუსტავი შემოვიდა.

გუსტავი მებატონის სახლიდამ მოვიდა, სადაც შროფფთან ხანგრძლივი ლაპარაკი ჰქონდა. კარებ წინ ეტლი რომ დაინახა, მეეტლეს ჰკითხა, ვინ არის ჩამოსულიო და გარრასსოვიცის გვარი რომ გაიგონა, სისხლი თავში აუვარდა: ოთახში საშინლათ აღელვებული შევიდა—ეს მტერი ჯერ არასოდეს არ ენახა გუსტავს.

სამუილი რომ დაინახა, განცვიფრებული გაჩერდა. გუსტავს სულ სხენაირ კაცად ჰყავდა წარმოდგენილი. გარრასსოვიცი. უნდოდა ისეთი რამე ეპოვნა ამ კაცში, რაც იმას ეშმაკურ სიბოროტისა და გესლის მომასწავებელი იქნებოდა და ამის ნაცვლად მის წინ ჩასუქებული, თავმოტვლებილი და ქერა წვერიანი კაცი იჯდა. როგორ დაეჯერა, რაც გაეგონა ამაზედ? ღმერთო, რაებს არ ლაპარაკობდნენ ვაჟარზე, რამდენის კაცისა და ოჯახის დაღუპვას არ აბრალებდნენ!

გუსტავმა უცებ იგრძნო, რომ ამ კაცისთვის თავისი ზიზღი უნდა გამოეხატა. დაე იცოდეს გარრასსოვიცმა, რომ გუსტავს მისი სრულიადაც არ ეშინიან. იმან თითონაც არ იცოდა, საიდან გაუჩნდა ეს გაბედულობა. თითქო ვერც კი ჰხედავს, რომ სახლში უცხო კაციაო, გუსტავმა ქუდი კუნჭულში მოიქნია და დაიყვირა:

— მამა ჩემი სად არის?

გარრასსოვიცი დიდის ცნობის მოყვარეობით სინჯავდა ახალგაზდა კაცსა.

— მაშ, ეს არის მეორე ნომერი, ბ. უნტერ-აფიცერი? გილოცავთ, დედი, კარგი, ჯანსაღი შენობა გყალია. აი სწორედ ამისთანა ხალხია ჩვენთვის საჭირო.

დედაბერი მიუახლოვდა შვილსა და ჩუმათ ანიშნებდა, რომ მოსულიყო და სტუპარს მისალმებოდა. მაგრამ რაკი ნიშნებით ვერას აგებინებდა, მოუბრუნდა შვილსა და ნახევარის ხმით უთხრა გარრასსოვიცის ვინაობა.

— რამდენი წლისა ხართ, ყმაწვილო?..—სწორე ამ დროს დაეკითხა გუსტავს სამუილი.

გუსტავმა არა უპასუხა-რა. მაშინ კი შეამჩნია დედამ, რომ გუსტავი თავის ქერქში არ იყო, იმას ეგონა, ალბათ, თვრალი თუ არისო. გარდა ამისა დედამ ისიც იცოდა, რომ გუსტავს

გარრასსოვიცი არ უყვარდა და შეეშინდა, ვარ თუ ცუდი რამე ჩაიდინოსო. ახლა შვილის ხასიათიც კარგათ იცოდა—თუ ერთი გამოვიდოდა მოთმინებიდან, თავსა და კისერს დაჰკარგავდა და ყველაფერი ავიწყდებოდა,

ამიტომ დედა თითონ მივიდა გარრასსოვიცთან და შვილის მაგიერ უპასუხა:

—ოც და შვიდის წლისაა, ბ. გარრასსოვიც, დიახ, ოც და შვიდისა. კარგი, წარმოსადეგი ყმაწვილია, არა ბატონო?

და ამ სიტყვებს რაღაც უაზრო და შეუხამებელი ღიმილი დააყოლა.

—მერე რა კარგი შვილია, ბ. გარრასსოვიც!—განაგრძო დედამ.

საცოდავი დედაბერი ერთის მხრით იღიმებოდა, რომ ვაჰკარს გუნება არ გაჰფუჭებოდა და მეორეს მხრივ საბრალოთ შეჰყურებდა შვილსა, რომ რამე დაუფიქრებელი საქციელი არ ჩაედინა.

ამასობაში მაგიდაზედ დაწყობილ საჭმელებზედ, დედის სახის გამომეტყველებაზედ და დების შემკრთალ სახეზედ გუსტავმა ნათლათ დაინახა იმისი ახლო ნათესავეები რამდენათ დამცირებულან ამ კაცის წინ. უცბათ სისხლი ყელში მოებჯინა. ეს უსინდისო და უგვანი გაპარპაშებულია მედიდურათ და ამის დედის მოტანილ საჭმელს შეეჭყვევა! უსათუოთ უნდა გააგდოს სახლიდან! არაფერ ლაპარაკს აღარ დაუწყებს: განა ჩააგონებ რამეს ამისთანა კაცსა? ამას სხვანაირი გამასპინძლება უნდა.

—მე ყური მოგეკარ მებატონესთან წასულობართ, —უთხრა გარრასსოვიცმა, რომელიც შეუსვენებლივ ილოდნებოდა,—მეეტლეთ თურმე გინდოდათ დამდგარიყავით, რა ჰქენით, რა გაარიგეთ?

—გუსტავ! ბ. გარრასსოვიცი გეკითხება, რა გაარიგე მებატონესთან... რა ვქნა, რას ეძებ აგრე გაქანებული?

—ჩემ ჯოხს ვეძებ, დედი, ჯოხსა!—მიუგო შვილმა და

სტუმარს მრავალმნიშვნელოვანად გადახედა. — რა ვქნა, სად გადამეკარგა?.. აგერ, სადა ყოფილა!

ჟუკანასკნელ სიტყვებზედ სამუილი სულ გადაირია. ბუნებას გამჭირახი გონებით დაეჯილდოვებინა ვაჭარი და, რასაკვირველია, მალე მახვდებოდა, რაც მოელოდა. როგორც სახე, ისე მიხერა-მოხერაც გუსტავისა აშკარად ლაპარაკობდნენ იმ ჟამათ. ვაჭარი ჟცებ წამოხტა, ბუხრის წინ გადაშლილ ქურქს ხელი დასტაცა და კარებისკენ გაუჩქარა. დედამ გზა გადაუღობა შვილსა და განძრახვა სისრულეში არ მოაყვანინა. — შვილი თუ ჯოხს მოიქნევდა, ისევ მოხუც დედას დასჯიდა და არა ვაჭარს.

ასე, ამგვარათ, ვაჭარმა უბედურებას, როგორც იყო, თავი დააღწია. ქალები შემოეხვივნენ გუსტავს და ევედრებოდნენ გონება მოეკრიბა და დამშვიდებულიყო მაგრამ, დიდი ხვეწნა საჭირო აღარ იყო, რადგან დაინახა თუ არა გუსტავმა თავისი მტერი ასე დაბეჩავებული და დამცირებული, ჯოხი ხელიდან გააგდო. მართლაც კაცს სიცილი უნდა წასკდომოდა აქ. საზიზღარი კაცის ცქერით, რომელსაც ხელები მალა აეშვირა და საზარლათ გაჰკიოდა და ვიღაცას შველასა სთხოვდა. გუსტავს ისეთი სიცილი წასკდა, რომ ფერდები ხელებით ეჭირა. რადგან სიმხიარულე ადვილათ გაიტაცებს ხოლმე ადამიანს, ძმასთან ერთათ დებმაც მორთეს კისკისი.

დედაბერი კი ეზოსკენ გაჩანჩალდა, რომ ვაჭარისთვის კიდევ მიესწრო და შვილის მაგიერ ბოდში მოეხადა. მაგრამ გვიან-და იყო: ეტლი ეზოდამ გასულიყო კიდევაც.

### III

კაშელერნსტი ქალაქში წავიდა. უმთავრესი მიზეზი ამ მგზავრობისა სამიკიტნოსთვის საქონლის ყიდვა იყო. რადგან სამიკიტნოს წყალობით კაშელს იმისთანა ხალხთანა ჰქონდა ხოლმე საქმე, რომელნიც ლუდითა, ღვინით და სიგარებით ვაჭრობდნენ და რომელთაც საქმის დაბოლოვება ყოველთვის ქაშნიკით იციან ხოლმე, მიკიტანი სადილს შემდეგ უკვე შე-



ზარხოშიანებული იყო. კაშელი არასოდეს არ დათვრებოდა ხოლმე იმ ზომამდის, რომ გონება დაეკარგა. დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა არ იყოს ქანაფობდა და ვირთავური სახე დალურჯებოდა, არც ერთი გრძნობა არ დახშობოდა და ამ ნეტარ მდგომარეობაში ეშმშკობა და გაიძვერობა მაინც არ აკლდა. ამ გუნებაზედ კაშელი თავის მეგობრის სანახავათ წავიდა.

საპუილ გარრასსოვიცის კანტორაში კაშელერნსტი მუდამ საყვარელი და დიდათ სასიამოვნო სტუმარი იყო. ეტყოდნენ თუ არა სამუილს კაშელის მოსვლის ამბავს, იმ წუთსვე უბრძანებდა პატარა ოთახში შემოეწვიათ. მიკიტანს ყოველთვის ძვირფასი და მეტად საკირო ამბები ჩამოჰქონდა ხოლმე სოფლიდან.

კაშელერნსტს ჩვეულებრივ აქაც მიუთავაზეს ღვინო. ლაპარაკი სხვა და სხვა საგანს ეხებოდა. მიკიტანმა ბევრი საინტერესო ამბავი უამბო. როგორც სამიკიტნოს პატრონმა, სადაც კაცი ადვილათ გაიგებდა ყველა ახალ ამბავს, კაშელმა ბევრი იმისთანა რამე იცოდა, რაც სხვისთვის დიდ საიდუმლოს შეადგენდა. დღეს კი საუკეთესო ამბავი საბოლოოთ შეინახა. ეს ამბავიო, თვალის ჩაკვრით ეუბნებოდა მიკიტანი, ორთავეს შეგვეხებაო: სალანდის გრაფს უნდა ბიუტნერი ფეხზედ წამოაყენოსო.

სამუილი გველ-ნაკბენსავით წამოხტა.

— ეგ კარგი ამბავია!

— დიად, მე მართალს გეუბნები!— მიუგო კაშელერნსტმა.— მე გრაფი მისწორდება და, მაშასადამე, ბიუტნერი თავის მამულში დარჩება. დიად, საქმე ასრე გახლავთ!

გარრასსოვიცს წყევლა-კრულვა ამოსკდა პირიდან. მერე ერთს კიდევ დაეკითხა,— მართალი კია ეგ ამბავი, იქნება ტყუილი ხმაა და შენ მართალი გგონიაო? მაშინ მიკიტანმა აუხსნა, რომ გრაფს თავის მოურავისთვის უბრძანებია კიდევ, გირაოს ქალაღლი ჩემ სახელზედ გადმოიტანეო.

— ჩემთვის კი, სწორე რომ სთქვას კაცმა, ეს უკეთესი იქნება,— განაგრძო ეშმაკურის ღიმილით კაშელერნსტმა. — მეტი რაღა მინდა, თუ გრაფი ჩემ ფულებს მინაზლაურებს?

— თქვენ უმაგისოთაც არ დაგეკარგებოდით თქვენი ფული, თუ როგორმე მოვარიგებდით ამ საქმეს! — დაიყვირა გაცოფებულმა ვაქარმა. — გარდა ამისა მე სხვა ფულებსაც მოგაგებინებდით! ეს ხომ თქვენც კარგათ იცით, თუ ისე მობრუნდა საქმე, როგორც თქვენ ამბობთ, მაშინ ჩვენი პირობა დაირღვევა. გლენი კვლავ წამოდგება ფეხზედ. ოჰ, ეგ საძაგელი, უსინდისო არისტოკრატები! ყველაფერში უნდა წასჩხირონ თავისი საძაგელი ცხვირი! ან რამ მოაგონა, ნეტავი, გრაფს ვილაც ოხერი, უპატრონო გლენი? პატიოსან ხალხს პირიდან ლუკმას აცლიან, განა ეს რა სამართალია?

გარდასსოვიცი მართლა გაბოროტებული და განრისხებული ლაპარაკობდა. გრაფის სურვილი გარდასსოვიცს დიდ უსამართლობათ მიაჩნდა და დარწმუნებული იყო, რომ გრაფი თითქმის საკუთრებას ართმევდა ხელიდან, მაშინ როდესაც ამის უფლება სრულიად არა ჰქონდა გრაფსა.

კაშელერნსტი მეტის-მეტე კმაყოფილებით, ხელებს ისრესდა და სიამოვნებით იღიმებოდა. იმას უხაროდა, რომ სამუილი ასე ცხარობდა. მერე ერთი ჭიქა ღვინო გადახუხა და უთხრა:

— მე მგონია, ეხლა კი ველარაფერი მოხერხდება!

ამ სიტყვებით წამოდგა და გავიდა.

სამუილი ამის შემდეგაც ცუდ გუნებაზედ დარჩა. იმას სწყინდა, რასაკვირველია, რომ ბიუტნერის მამული ხელიდან ეცლებოდა. გულში, რამდენი ხანია იმ მამულს როგორც თავის საკუთრებას, ისე უყურებდა. სხვათა შორის, ორთქლის აგურხანის შესახებ მოლაპარაკებაც დაიწყო ზოგიერთებთან. ამის გარდა, ისიც გადაწყვეტილი ჰქონდა — ამ მამულიდან რა უნდა გაეყიდნა და რა დაეტოვებინა თავისთვის. ყველაზედ მეტი იმედი კი ტყისა ჰქონდა, რომელიც, იმის აზრით, სალანდის მებატონეს კაი ფსად უნდა ეყიდნა მისგან. ეხლა კი მთელი ეს გეგმა უნდა ჩაჭტუშოდა, რადგან, თუ გრაფმა მართლა გი-

რაოს ქალღმერთი თავის სახელზედ გადაიტანა, მაშინ ბიუტნერის მამული საჯაროთ აღარ გაიყიდება და გარდასსოვიცს ხომ ამის მუცლის გლეჯა ჰქონდა. რამდენი თავი იმტვრია და ეხლა კი ყველაფერი უნდა გაუქარწყლდეს! ამაზედ საწყენი რაღა იქნებოდა.

მაგრამ სამუილს დიდი ხნით დარდი და სიბრაზე არ შეეძლო. საჯავრელათაც დრო იყო საქირო და „დრო ხომ იგივე ფულია“. სამუილი ისე ძვირათ აფასებდა ფულსა, რომ დაკარგულ საქმეზედ ფულის ფუქათ გადაყრას ვერ გაჰბედავდა. თუმცა ჯავრი და სიბრაზე არ უყვარდა, ფიქრს კი მაინც არ დაანებებდა ხოლმე თავსა. აი, ეხლაც ღრმით ჩაუკვირდა ამ საქმეს და სცდილობდა როგორმე ეს ცუდი გარემოება თავიდან აეცდინა და ამ საქმიდანაც გამარჯვებული გამოსულიყო; მართლაც, ძალიან მალე მიაგნო იმას, რასაც ეძებდა.

მაშ ედმუნდ შმეისი რაღაში ექნაქება? განა შმეისმა ცოტაჯერ დაუმტკიცა თავისი გამჭრიახობა და საქმის მოხერხებულათ გათავება? ედმუნდ შმეისი ამ საქმისთვის სწორედ ზედგამოჭრილი იყო.

ვაქრის გეგმა შემდეგში მდგომარეობდა: სალანდის პატრონი აფიცერი იყო და სამსახურის გამო ბერლინში სცხოვრებდა. სამუილი თუმცა პირადათ არ იცნობდა ახალგაზდა გრაფს, მაგრამ მაინც კარგათ იცოდა, რომ გრაფს, როგორც ახალგაზდა კაცს და გამოჩენილ პირს, მამულის საქმეები ეგრე რიგათ არ აინტერესებდნენ და არც თუ უნდა სცოდნოდა საქმის ვითარება. გრაფი ზაფხულობით და შემოდგომობით რამდენიმე კვირით ჩამოდის ახალგაზდა ცოლით სოფელში და წლის დანარჩენ დროს სატახტო ქალაქის ცხოვრებით იყო გატაცებული. ახალგაზდა გრაფი მამულის საქმეებში თითონ არ უნდა ჩარეულიყო — ამისათვის იმას სხვები ჰყავდა დაქირავებული. ლაპარაკი არ უნდა, გრაფს მარტო შემოსავალი აინტერესებდა და იმის სურვილი მხოლოდ ის უნდა ყოფილიყო, რომ მამულის შრომა და ფიქრი ბევრი არ მონდომოდა. გარდა ამისა, გრაფს არც თავის მეზობლების მდგომარეობა უნდა სცოდნოდა. თუ

რამე იცის, ისიც, რასაკვირველია, თავის მოსამსახურეებისაგან უნდა ჰქონოდა გაგებულო. აბა, როგორ წარმოიდგინოს კაცმა, რომ გრავს ვილაც ბიუტნერის ბედ-იღბალი ეკითხებოდეს და იმის დახმარებას აპირებდეს?

სამუილ გარრასსოვიცი იმდენათ სულელი არ იყო, რომ გრავისთვის გლენობის მეგობრობა მიეწერა. სამუილი მშვენივრათ იცნობდა თავად-აზნაურობას! თუ გრავს ბიუტნერის ტყე უნდოდა, უსათუოდ სანადიროთ ენდომებოდა. ამ საქმეში; თქმა არ უნდა, რაღაც ეგოისტური აზრი უნდა ყოფილიყო დაფარული და არა გლენობის დახმარების სურვილი.

მაგრამ სამუილმა როგორ უნდა მოარიგოს საქმე ისე, რომ გრავს ხელი შეუშალოს და გლენის დასახსნელად გაწვდენილი ხელი გრავს უკან წააღებინოს? ეს საქმე სახუმრო არ იყო და დიდი სიფრთხილე დასჭირდებოდა.

ამნაირი არისტოკრატები ყოველთვის დიდი ამაყები არიან, მარტო თავიანთ თავზედ ჰფიქრობენ და არ უყვართ, როცა ვინმე თავს აბეზრებს ხოლმე. მეორეს მხრივ ისინი ადვილათ იჯერებენ სხვის სიტყვებს და მსჯელობაში მეტად აჩქარებულნი არიან; იმათი დაყოლიება ძნელი საქმე არ არის, რომ ყოველი საქმე საკადრის და სასიამოვნო სახით იქნეს წამართული.

გარრასსოვიცი თავის თავს მშვენივრათ იცნობდა და, რასაკვირველია, იცოდა, რომ თითონ ვერაფერს გაარიგებდა, ბერლინში სხვა ვინმე უნდა გაეგზავნა მოსალაპარაკებლათ. სამუილი სრულიადაც არ იყო იმ აზრისა, რომ ზრდილობა, პატიოსანი მიხვრა-მოხვრა და სიტყვა-პასუხი მაკლიაო, მაგრამ მაინც ცხადათ იცოდა, რომ გრავისთანა კაცს, მით უმეტეს თუ ის სამხედრო პირიც არის, სამუილისთანა კაცი გულის ვერ მოუგებდა და ვერც ვერაფერს გაარიგებდა.

ერთი სიტყვით, სამუილმა გადასწყვიტა ამ საქმეში თითონ დამალული ყოფილიყო. ედმუნდ შმეისი კი სულ სხვაა! შმეისი ისეთი „ზრდილი“ და ყოველთვის ჩინებულათ ჩაცმული ახალგაზდა კაცი იყო, რომ ამ საქმეში იმაზედ კარგს ველარავის მოსძებნიდა. სამუილი ყოველთვის სიხარულით შესცქეროდა



ხოლომე თავის მეგობრის ქცევას და ზრდილობიან სიტყვას - პასუხს. გარდასსოვიცს ეჭვი არა ჰქონდა, რომ შმეისი მარტო გარეგნობითაც მოიგებდა გრაფის გულსა.

ასე ამგვარად ბერლინში გასაგზავნათ ედმუნდ შმეისი იყო ამორჩეული. რასაკვირველია, ჯერ სასყიდელზედ მოილაპარაკეს, რადგან უამისოთ საქმიანი ხალხი არაფერს ჰკიდებს ხოლომე ხელსა.

თუ კი შესაძლებელი იქნებოდა, სამუილი ერთ საქმეს ყოველთვის მეორესაც მიაბამდა ხოლომე. რაკი გადასწყვიტა შმეისის გაგზავნა ბერლინში და საამისო ფულიც გაიმეტა გარდასსოვიცმა, ისარგებლა შემთხვევით და სხვა საქმეებიც ბევრი დააბარა. სამუილს ბერლინში ყოველთვისა ჰქონდა ხოლომე საქმე. სამუილმა დაავალა ზოგიერთა ვაჭართან მისულიყო და ბირჟის შესახებ რამეები გამოეკითხნა. სამუილს სურდა იმათი აზრი გაეგო, ვინც ვაჭრობის საიდუმლოებაში სრულათ იყო ჩახედული. უფრო კი ამ ჟამათ ხორბალი აინტერესებდა გარდასსოვიცს. ბერლინის გაზეთებში თითქმის ყოველ დღე სწერდნენ: „ხორბლის ფასი აღარ მატულობს, ბირჟაზედ სიწყნარეა.“ მაგრამ სამუილი ამ ანგარიშებს ასე ადვილათ არ დაუჯერებდა. ეს სიწყნარე უსათუოდ ქეკა-ქუხილის წინამორბედი უნდა ყოფილიყო. ბაზარზედ ხორბალი ბევრი არ იყო გატანილი და ფასები კი მაინც არ მატულობდნენ! არც ქვავისა და არც ხორბლის ფასი არ იცვლებოდა. დიდ ფირმებს უსათუოთ იმედი ჰქონდათ, რომ ბაზრის მიწყნარებით ისარგებლებდნენ და საქონელს ჩუმ-ჩუმათ შეიძენდნენ ნაკლებ ფასათ, რომ შემდეგ უცბათ აეწიათ ფასი. რასაკვირველია, ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ბაზრის დამქაშების აზრი გაიგოს დროზედ, იმათი აზრით თითონაც ისარგებლოს და თავის საქმეებიც შესაფერისად წაიყვანოს.

\* \* \*

ასე ამ გვარად ედმუნდ შმეისი ბერლინში გაემგზავრა.

უპირველეს ყოვლისა იმან მშვენიერი ცილინდრი, მუქი მიხაკის ფერი ხელთათმანები და ჩინებული ყელსაბამი იყიდა.



შმეისმა გრაფს არ შეატყობინა, რომ იქ მისვლას აპირებდა, რადგან ეშინოდა წინდაწინვე უარი არ მიეღო. იმას უნდოდა მოულოდნელათ მისულიყო, რომ გრაფი მოუმზადებელი დახვედროდა, ამ აზრის მისაღწევათ კი შმეისს საუკეთესო დროდ შუა ღღე მიაჩნდა. საუკეთესო ეტლი დაიქირავა იმ პირობით, რომ ეტლს კარებზედ მოეცაღნა იმისთვის და უბრძანა მეეტლეს იმ ქუჩისკენ წასულიყო, სადაც გრაფი სცხოვრობდა.

იმასთან ერთათ ვილაციის დახურული ეტლიც გაჩერდა გრაფის კარებ წინ. მოსამსახურე ფიცხლავ ჩამოხტა და ეტლის კარები გააღო, საიღამაც ახალგაზდა აფიცერი და ახალგაზდავე ქალი გადმოხტდნენ. აფიცერმა კიდევ რაღაცეები უბრძანა მეეტლეს და ქალის კვალზედ ისიც კარებში შევიდა.

ელმუნდ შმეისი ცნობის-მოყვარეობით ადევნებდა ამ სურათს თვალსა და ეცადა ორთავეს სახე დაესომებინა. მერე ეტლს მიუახლოვდა, მოიხადა ქუდი და მეეტლეს დაეკითხა—ამ ეტლით ვინ მობრძანდაო. მეეტლემ თავიანთ ბატონების გვარი უთხრა.

შმეისი კმაყოფილი დარჩა: ეხლა ცხადათ იცოდა, რომ გრაფი შინ იყო. იმან ერთხელ კიდევ გადაჰხედა ეტლსა: ცხენების მოსართავი, მეეტლეს ტანთსაცმელი თუ ხელთათმანი სულ საუკეთესო და ღიღის გემოვნებით ამორჩეული იყო. შმეისმა ცოტა მოიცადა, მიიარ-მოიარა და მერე პირდაპირ სახლისკენ გასწია. ზარა ჩამორეკა თუ არა, მოსამსახურემ კარები გაუღო. შმეისმა გადასწყვიტა თავი თავისუფლათ და ამაყათ სჭეროდა, რადგან იცოდა, რომ ასე უფრო შთაბეჭდილებას მოახდენდა მოსამსახურეზედ. მაღალი ტანის, წვერ-ულვაშ მოპარსულმა მოხუცმა თავადურის ამაყობით თვალი ააფლო სტუმარს და გამოუცხადა, რომ მათი ბრწყინვალეობა შინ არ არისო. ამ სიტყვებზედ მოსამსახურე კარების მოკეტვასაც აპირებდა, მაგრამ შმეისი როგორც მალე მოისახრებდა ხოლმე ყველაფერს, აგრეთვე ფიცხლავ მოქმედებდა,—ის შიგ კარებში ჩადგა და ასე ამგვარად მოსამსახურეს კარები არ მოახურვინა.

— მოახსენეთ მათ ბრწყინვალეობას, — ძალითი ხმა აამაღლა შმეისმა, რომ თითონ გრავს გაეგონა მისი ლაპარაკი, — რომ სალანდიდან ძალიან საჭირო ამბები ჩამოვუტანე. აი ჩემი სადარბაზო ფურცელი.

მოსამსახურემ სადარბაზო ფურცელს გადახედა, ეთხელ კრდევ დააშტერდა შმეისს, მხრები შეიშმუშნა და სახლში შებრუნდა.

შმეისმა ცოტა არ იცადა და ბოლოს მაინც, როგორც იყო, დაბრუნდა მეკარე, მაგრამ ეხლა უფრო მეტის ზიზლით უყურებდა მოხუცი. ბატონები საუზმობენ, — აუწყა მოხუცმა, — მაგრამ მათმა ბრწყინვალეობამ ბრძანა, ვისაც ჩემი ნახვა უნდა, ცოტა გვიან შემოიაროსო.

შმეისმა არ იცოდა, რა ექნა! წავიდეს და მართლა ერთი საათის შემდეგ დაბრუნდეს? მაგრამ იქნება გრაფი ჩემთვის სულ აღარ იყოს შინა. უსათუოთ ეს უბრალო ეშმაკობა იყო, რომ როგორმე ზრდილობიანათ მოეშორებინათ დაუპატიებელი სტუმარი! არა, აქედან ფეხის მოცვლაც კი აღარ შეიძლება! რაკი იმას მაინც მიაღწია, რომ სახლში შეუშვეს, ამისთანა ხელსაყრელ შემთხვევას ხელიდგან როგორ-ღა გაუშვებდა?

შმეისმა გამოუცხადა მოსამსახურეს, რომ სანამ ბატონი ისაუზმებდეს, მეც მოვიცდიო. მეკარემ უფრო მეტის ზიზლით და სიძულვილით გადახედა სტუმარს.

— თუ ლოდინი გსურთ, მაშ აქ მობრძანდით! — და ამ სიტყვებით რაღაც კარები გაიღო. — აი, აქ შეგიძლიანთ მოიკადოთ.

შმეისი ვიწრო, ერთ ფანჯრიან ოთახში გაჩნდა; ეს ოთახი კი არა, მგონი, ტანთსაცმელის შესანახი იყო. კედლებედ ქურქები და სხვა ტანთსაცმელი ეკიდა, ძირს ფეხსაცმელები ელაგა. აქვე პატარა ტახტიც იდგა და კედლებზედ რამდენიმე სურათი ეკიდა, ეს სურათები ალბათ ოთახებიდან გამოძევებულნი თუ იყვნენ. ოთახში ციოდა.

შმეისს თუმც დიდი თავმოყვარეობა არა ჰქონდა, მაინც ბევრად არ ესიამოვნა, რომ ამისთანა ოთახში შეიპატიეს. ამ-

ითი ცოტა არ იყოს პირადობაც შეუღახეს. ბრჭყინვალა ცი-  
ლინდრისა და სულ კეწკეწი ტანთსაცმელის მიუხედავად, ეს  
საძაგელი კაცი მაინც ნამდვილ ბატონათ არ მიგულებსო. ამ  
ფიქრით შმეისმა კუნჭულში მიღებულ ვეებერთელა სარკეში  
ჩაიხედა, ეს სარკე უსათუოდ იმიტომ იყო აქ გამოტანილი,  
რომ ერთ ადგილს ცოტათი გაბზლარული იყო. იმის აზრით,  
ყველაფერი „პირველი ხარისხისა“ ეცვა. რათაც უნდა კაცი,  
იმათ მიიღებდა, გინდა სამოქალაქო ტანთსაცმელში გადაცმულ  
აფიცრათ, გინდა გრათათ და გინდ ბარონათ.

მაგრამ ამ საძაგელმა კი რა მალე აიღო აღლო!

შმეისის საბედნიეროთ, ის არ ეკუთნოდა იმ პირთ, რო-  
მელნიც დიდი ხანი არიან ხოლმე ცუდი გარემოებით გონება  
დაბნეულნი და შეწუხებულნი. მართალია, კარგათ არ მიიღეს,  
მაგრამ იმას ხომ უმთავრესათ საქმე აინტერესებდა; მნიშვნე-  
ლოვანი და ძვირფასი მისთვის შედეგი იყო და შედეგი რომ  
სასურველი იქნებოდა, ამის ეჭვისაჰქირო აღარ იყო ეხლა, ამის  
თავდები ის იყო, რომ ის ეხლა გრაფის სახლშია და გრაფს  
აღარ შეუძლიან არ ინახულოს. ყოველ საქმეში ყველაფერ-  
ზედ უძნელესი საჭირო კაცის პირადათ ნახვაა და რაკი აქ ამო-  
ჰყო თავი, ეხლა კი უეჭველათ კეთილათ დაავიკრვინებდა სა-  
ქმეს.

შმეისი ტახტზედ ჩამოჯდა და ოთახი მიათვალ-მოათვა-  
ლიერა. მაგიდაზედ ბრინჯაოს სხვა-და-სხვა გვარი სანათები და  
ფაიფურის ძვირფასი ნივთები ელაგა—ყველა ეს ხელმწიფის  
ქარხნიდან იყო გამოტანილი. ბერლინში ზამთრის გატარება  
იაფად არ უნდა უჯდებოდეს გრაფსა, — ფიქრობდა შმეისი —  
ოჯახის შენახვა, მოსამსახურე, ეტლები, ამასთანავე საუკეთესო  
ქუჩაზედ მთელი პირველი სართული ჰქონდა დაქირავებული,  
რაც ძალიან ძვირად უნდა ღირებულებოდა. შმეისმა ანგარიშიც  
კი დაიწყო, აქ ცხოვრება გრაფს დაახლოვებით რა უნდა უჯდე-  
ბოდესო, მაგრამ გულის ყურით ველარ ჩაუკვირდა ამ საგანს,  
რადგან მეზობელ ოთახიდან. რაღაც ხმაურობა მოესმა — იქ  
ქურჭელის წკრიალს რაღაც ხმები უერთდებოდნენ. ჰოო, ეს

ოთახი სასადილო ყოფილა? შმეისი ქალების ხმას თავისუფლათ არჩევდა. ალბათ, მხიარული ლაპარაკი უნდა ჰქონოდათ, რომ ყოველ სიტყვას გომერიული სიცილ-კისკისი მოსდევდა. უკეთესათ რომ გაეგონა ლაპარაკი, შმეისმა ადგილი იცვალა. შმეისს არასოდეს არ შეჰხვედროდა გრაფებთან სადილი და ერთათ ყოფნა და საშინლათ უნდოდა შორიდან მაინც მოეკრა ყური იმათ ლაპარაკისთვის, რომ გაეგო იმათთანა ხალხი თავინათ წრეში როგორ ლაპარაკობენ და როგორ მხიარულობენ.

თუმცა შმეისს ყურთა სმენა კარგი ჰქონდა, მაინც ცალკე სიტყვებისა და უკავშირო წინადადებების მეტი პირველათ ვერა გაიგონა-რა. ეტყობოდა, საუბრე გათავებული უნდა ჰქონოდათ, რადგან ქურქლის წკარუნი აღარ ისმოდა. გატაცებული ლაპარაკი ჰქონდათ. ეხლა კი კარგა არჩევდა ყოველ სიტყვას, რადგან ყური შეაჩვია კიდევ მოლაპარაკეთა ხმას.

როგორც ეტყობოდა, ლაპარაკი უბრალო, უმნიშვნელო საგანზედ უნდა ყოფილიყო. შმეისმა ლაპარაკში ორ სახელს მოჰკრა ყური. ვილაც „ვანდა“ და „იდა“. უნდა ყოფილიყვნენ სასადილოში. მაშასადამე, თითონ გრაფი და იმისი ახლონათესავები ყოფილან.

მერე სკამების რახუნი მოისმა, ალბათ საუბრიდან ადგნენ. ამის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა და შმეისს ლოცვის სიტყვები მოესმა, რამაც გარრასსოვიცის წარმომადგენელი ცოტა არ გააკვირვა. მერე ვილაც ვაჟკაცის ხმა მოისმა.

— თქვენო ბრწყინვალეზავ, ის კაცი ისევ აქ იცდის.

— ვინ კაცი?—დაეკითხა ვილაც.

პასუხათ შმეისმა თავისი გვარი გაიგონა.

— რა ვქნა, რას გადამეკიდა ვილაც შმეისია!—წამოიძახა ვილამაც, რასაც ქალების სიცილი მოჰყვა.

— „შმეისი!“ \*) გაიგონე? შმეისი რქმევია იმ ვაჟბატონს.

ამას ხომ უფრო დიდი ხარხარი და სიცილი მოჰყვა. მერე ვილაც ვაჟკაცმა სიცილით წამოიძახა:

\*) Schmeisz—გერმანულად ნიშნავს ნაგავს, ფრინველების განავალს.

— იდა, არ გინდა შმეისის ცოლი იყო?

იდამ რალაც უპასუხა, მაგრამ ისეთი სიცილ-ხარხარი დაიწყეს, რომ კაცი ველარაფერს გაარჩევდა.

შმეისი უცბათ წამოქარხლდა, რაც ძალიან იშვიათათ მოუხდებოდა ხოლმე ამ ვაჟბატონს. ამ სიცილმა და იმის გვარის ზიზლით წარმოთქმამ გული ბოროტათ აუმღვრია. კბილების კრაქუნით გაიშალა წელში და მუქარით გადიხედა იქითკენ, საიდანაც ეს ლაპარაკი მოისმოდა. ეხლა ვისმეს რომ დაენახა შმეისი, ადვილად მიხვდებოდა ამ კაცის შეურაცხყოფა რა საშიში იყო.

მალე კარები გაიღო და ნაცნობმა მეკარემ გამოუცხადა, რომ მათ ბრწყინვალეობას ეხლა სურს თქვენი მიღებაო.

შმეისმა ფიცხლავ უღვაშებზედ გადისვა ხელი; გახამებულ პერანგის მაჯები გაისწორა და მოსამსახურეს გაჰყვა.

გრაფმა კაბინეტში მიიღო უცნობი. გრაფი ძალიან წერწეტი ტანის კაცი იყო. სახით უფრო ხნიერსა ჰგავდა, ვიდრე ნამდვილათ იყო. ოქროს ფერი თმა შესამჩნევად გასახელებოდა. ცხვირი მეტის-მეტე გრძელი და წაწკვეტებული ჰქონდა, რაც მეტად აუშნოვებდა გრაფსა. მსხვილ თვალეში კეთილი გული ნათლად გამოსჴვიოდა და მხოლოდ ეს თვალეში თუ სდებდნენ მის გადაფითრებულ და ცოტათი დაღმეკილ სახეს სიცოცხლის ელფერს. გრაფს ტუფურკა ეცვა.

შმეისს ჯერ ის გრძნობა უნდა დაეძლია, რომ დიდი კაცის წინა ვდგევარო, მაგრამ ამას დიდი ხანი არ მოანდომა; იმან გაიფიქრა, რომ შიში ამ შემთხვევაში სრულიად მცტია. გრაფი, მართალია, დიდი კაცია, მაგრამ ჯერ კიდევ არავინ იცის ვინ უფრო ჴკვიანია ამათში—შმეისი თუ გრაფი,—ამის დანახვას კიდევ მოვესწრებითო, გაიფიქრა შმეისმა.

შმეისის თავდაბალ სალამზედ გრაფმა ოდნავ დაღუნა თავი და სკამზედ მიუთითა, რითაც დაჯდომის ნება მისცა, მერე თითონაც ჩამოჯდა.

— აბა, ბატონო...—გრაფმა სიტყვა „ბატონო“ ძალიათ გააგრძელა, რადგან უნდოდა ამ ხნით ესარგებლნა და უცნობი კაცის გვარი მოეგონა.



# ცხოვრება და ღვაწლი

თქლი გრიგოლ ბრეზილიანისა

1853 წლის \*) დამლევს გრიგოლ ხელ-ახლა გაგზავნეს შუ-  
რაში. არგუთინსკი-დოლოგორუკოვის ადგილზე, ჯერ დროებით,  
თანამდებობის აღმასრულებლად, (12 იანვ. 1854 წ.) და შემ-  
დეგ თანამდებობაზედაც. (4 აპრ. 1855). ზაქათალის მოშო-  
რება დიდად სწყენოდა პოეტს. „გამოვეთხოვე ზაქათალას  
და სწორედ გითხრა ძალიან შევწუხდი—სწერდა ის—შევეჩვიე  
ადგილს, ხალხსა, შევიტყე იქაურობის ავიცა, კარგიცა; ვი-  
ცოდი რა დროს რა წამალი უნდოდა, ხალხიც მომენდო, შე-  
მეჩვია და ახლა უნდა კიდევ სხვა უღელი ახალი დავიდვა კი-  
სერზედა და ამისთანა სიშორე მაწუხებს ძალიან; აქ კი ზაქა-  
თალაში ჩემი თავი შინ მეგონა. ამის გარდა ესოდენმა აყრა-  
დაყრამ გამიწყვიტა ილაჯი, გროში არ შემრჩა. მე ხომ ვერ  
ვეტყვი ფული მომეცით და! \*\*)

დაღესტანი ძალიან საშიშ მდგომარეობაში იყო ამ დროს.  
რა კი ოსმალოსა და რუსეთს შორის ომი გაიმართა და მაჰ-  
მადიანთ ქვეყანაში გაიშალა მაჰმადის მწვანე ბაირალი, შა-  
მილმა ხმა დაჰყარა, ხონთქარმა მთელი კავკასია მიწყალობაო  
თბილის-ერევნით და დაიწყო დიდი მზადება. მისი ხელის-კა-  
ცები ყოველგან ქადაგებდნენ შამილის ძლიერებასა და რუსე-

\*) მე-IX-თავის ბოლო შეცდომით იყო დაბეჭდილი მე-III №-ში  
და ამიტომ ხელახლავ ვბეჭდავთ აქ.

\*\*) წერილი 22 ნოემბ. 1853 წ.

ბის სისუსტეს. ორბელიანს კარგად ესმოდა ამ ხმების სიბრძნეც და სიცრუეც: ის ნათლად ხედავდა შამილის ძლიერებას და თავის სისუსტეს და ითხოვდა მარცხენა ფლანგის კომანდირის თავადის ბარიათინსკისაგან გამოეგზავნათ იმისთვის კიდევ ოთხი ბატალიონი. იმას უნდოდა ცალკე ატრიადათ დაეყენებინა კაზიკუმისის ადგილებში. თუ ამას არ იზამდნენ, შამილი შევიდოდა ყაითალში და ტაბასარანში და იქიდან მუსრს აადენდა აყუშას, დერბენდის მაზრას, კიურინის სახანოს, ყუბას, ახტას და ყაზიყუმუხს. მაგრამ ჯარების სიმცირის გამო ორბელიანს არა თუ არ გამოუგზავნეს ოთხი ბატალიონი, პირიქით, იმას მოსთხოვეს გაეგზავნა აზიის ბრძოლის ველზე თვისი ოთხი ბატალიონი. თუ ამისთვის საჭირო იქნებოდა, იმას ნება დართეს დაეტოვებინა რამდენიმე ციხე და გარნიზონებით 4 ბატალიონი ჯარი შეეკრიბა. ორბელიანმა ამაზე ნამდვილი კასანდრის ყვირილი გააბა. ის ევედრებოდა ბარიათინსკის, ნუ ღუპვენ მხარეს, ნუ კარგვენ ორმოცდა ათის წლის შრომას და ხარჯს. ლეკები რომ დაინახავდნენ მიტოვებულ რუსის ციხეებს, რას არ იტყოდნენ ჩვენს სისუსტეზე, ვინ მათგანი არ სტაცებდა ხელს ხმალსა, ვინ არ დაედევნებოდა გარნიზონს, ვინ არ შეუერთდებოდა შამილს, რომ დაეჭირათ შურა, პეტროვსკი, დერბენდი, ყუბა და შემდეგ თვით თბილისი. მერე სპარსეთი? განა სპარსეთი არ მოინდომებდა დაებრუნებინა უკანვე წართმეული პროვინციები? ვინ მოსთვლიდა ყველა უბედურებას, რომელიც მოჰყვებოდა ჩვენი ჯარის შემცირებას დაღესტანში. თავის წერილს ბარიათინსკისაგან ორბელიანი ათავებდა ასრე: „Князь! Спасите обширный этот край и честь, и славу нашего оружія заступничествомъ Вашимъ; голосъ вашъ слышнѣе у высочайшаго престола! или убейте меня прежде, чѣмъ я увижу потерю славы нашихъ вайскъ и торжество непріятеля“.\*) ეს თხოვნა უმეტესის გულს-მოდგინებით განუმეორა სარდალმა ბარიათინსკის, როდესაც ამ უკანასკნელმა გამოუგზავნა დაღესტნის გაუქმების პროექტი.

\*) 24 მარტის წიგნი 1854.

შთავრობას მაშინ განზრახვა ჰქონდა სულ მთლად ხელი აეღო დაღესტნისთვის, თუ სპარსეთიც გამოესარჩლებოდა ოსმალოს. ერთი დივიზიით, მეტი იქნებოდა თუ ნაკლები, ორბელიანის აზრით, რუსეთის არმიის საქმეს არავითარი ცვლილება არ მიეცემოდა და კავკასიაში მშვიდობა კი იქნებოდა დაცული.

„Спокойствіе всего Закавказья зависить отъ Дагестана—სწერდა ის ბარიათინსკის — какъ было всегда. Не будите же дракона, еще не вполне сознавшаго свои силы.“ \*\*) კავკასიის იღბალზე, დაღესტნის დაცლა არ მოხდა და პოეტს აღუსრულდა თვისი სურვილი.

1854-ს ორბელიანს ომი არ ჰქონია ლეკებთან. აქა-იქ მხოლოდ იმის ჯარს მოუხდა კინკლაობა ზოგიერთა აულებში და მთებში, როგორც, მაგალითად, დიუზ-ტაუს, ბურთუნაის, თურჩიდა-ლა ბულღელს. სხვათა შორის, მან დააქცია და ააოხრა ყაითაღელი სოფელი ურკრახი, რომელშიაც შეეფარა თავი ყველა ავაზაკებს და შარიატის მქადაგებლებს, საიდანაც ვრცელდებოდა დაღესტანში არეულობა და მთავრობის წინააღმდეგობა.



პოეტ-სარდალს, როგორც მამულის მოყვარეს და ნათესავების თაყვანის-მცემელს ამ დროს ორი გარემოება აწუხებდა. ერთი ვარანცოვის წასვლა კავკასიიდან და მეორე — შამილისაგან ტყვედ წაყვანა დავით ქავჭავაძის სახლგულობისა, რომელშიაც ერია მისი ძმისწული გიორგი, თავის დედით ბარბარეთი.

ვარანცოვი მაშინ დროებით იყო წასულბ კავკასიიდან, თუმცა ყველამ კი იცოდა, რომ ის არ დაბრუნდებოდა ჩვენს ქვეყანაში. ორბელიანმა წასვლის წინად ვერ ნახა მთავარბარათელი, რადგანაც დაღესტანში იყო, და გამოთხოვების წერილზე, სხვათა შორის, ეს პასუხი მისცა ვარანცოვს:

\*\*) 27 აპრილის 1854.

Съ отъѣздомъ вашей свѣтлости Грузія одѣлась покровомъ печали, наносимой скорбною мыслью, что, быть можетъ, ваша свѣтлость не пожелаете возвратиться сюда. Въ теченіи десятилѣтняго блистательнаго правленія вашего народъ привыкъ видѣть васъ своимъ благотворнымъ гениемъ и въ мирѣ и въ войнѣ. Онъ по слову вашему возсталъ, преобразился нравственно и быстрыми шагами пошелъ по пути процвѣтанія въ умственномъ и матеріальномъ отношеніяхъ, достигнувъ жизнь облагороженную, изящную. Пусть даже замолкнетъ исторія; не замолчитъ народъ, который всегда съ благословеніемъ произнесетъ ваше имя, и молитвы котораго послѣдуютъ всюду за вами.“

თქვენის უგანათლებლობის საკართველოდან წაბრძანებამ ქვეყანა მწუხარებით მოიცვა; ნაღვლობენ, ვაი-თუ, თქვენა უგანათლებულობავ, უკან დაბრუნება აღარ ისურვოთ. ათის წლის განმავლობაში თქვენ მიერ ბრწყინვალედ ქვეყნის მართვა-გამგეობამ მიიჩვია ხალხი მშვიდობიანობისა თუ ომიანობის დროს თავისს კეთილმოქმედ გენიად ჰყოლოდით დასახული. სიტყვისამებრ თქვენისა აღსდგა იგი, ზნეობრივად განახლდა და გონებრივად თუ ნივთიერად აჰყვავების გზაზე სწრაფის ნაბიჯით იწყო სვლა. პატროსანსა და კეთილზნეობრივს, ტკბილს ცხოვრებას მოეწია. დეე, სდუქდეს ისტორია, ხალხი აროდეს არ გაჩუმიდებან და მუდამ კუთხვეით მოიგონებს თქვენსა სახელსა, თან გაგყვებათ მისივე ლოცვა“.

შემდეგ, როდესაც გამოცხადდა, რომ ვარანცოვმა სამუდამოთ დასტოვა კავკასია, გრიგოლი სწერდა იმას:

„Участь Грузіи рѣшена: ваша свѣтлость не возвращаетесь въ страну всегда васъ благословляющую, которая такъ пышно разцвѣла и начала жить жизнью человѣческою только въ блистательное отечески попечительное ваше правленіе! Не возвращаетесь, когда въ эти смутныя, опасныя времена генийъ вашъ, ваше великое имя, были бы путеводителями къ побѣдамъ и лучшимъ ручательствомъ за прочное спокойствіе Грузіи, вокругъ которой уже два года раздаются грома кровопролитной войны, отъ успѣха которой зависитъ жить или не жить Грузіи! Проидутъ годы многіе въ очередь займутъ ваше мѣсто, но васъ не замѣнятъ! И долго, долго глазъ нашъ не привыкнетъ къ новымъ хозяевамъ Тифлиса\*).

\* ) 26 ნოემბ. 1854.



„გადასწყდა ბედი საქართველოსი: აღარ უბრუნდებით, თქვენო უგანათლებულეობაჲ, ქვეყანას, რომელიც მუდამ ეამს კურთხევით გიკონებ-სო და რომელიც მხოლოდ თქვენის მამობრივის, მზრუნველობით აღსავსე ბრწყინვალე მართვა-გამგეობის დროს ეღირსა აპყვავებასა და აღამიანურს ცხოვრებასა! აღარ უბრუნდებით ამ არეულობისა და შიშინაობის დროს, როდესაც თქვენი გენია, თქვენი დიდებული სახელი გამარჯვებათა მომასწავებელი და საუკეთესო თავდები იქმნებოდა, რომ მტკაცვე მყუდროება საქართველოსი, რომლის გარშემოც აგერ ორი წელიწადია სისხლის მღვრელ ომიანობის ჭახა-ჭუხი და გრგვინვა მოისმის, არ შეიწყვოდა და რომლის ყოფნა-არ-ყოფნაც მთლად ამ ომის შედეგზეა დამყარებული! განვლიან მრავალნი წელნი, რიგ-რიგით დაიჭერენ აქ თქვენს აღგილს, მაგრამ თქვენს მაგიერობას-კი მაინც, ვერავინ გაგვიწევს! და დიდ-ხანს, დიდ-ხანს ვეღარ მიეჩვევა ჩვენი თვალი ტფილისის ახალს მმართველებსა.

ყოველ კაცს არ შეუძლია ასე რიგად დაფასება თანამედროვე კაცისა. საზოგადოდ კაცი იგივე ხელის მოსამსახურეა, რომლისთვისაც, ანდაზისა არ იყოს, დიდი კაცი არ დიდკაცობს. მხოლოდ დროსა აქვს ზეგარდმო მინიჭებული მაღლი თანამედროვე კაცის მცირე ნაკლულევენებას დავიწყების სუდარი გადააფაროს და ღირსება უფრო ნათლად და თვალსაჩინოდ გახადოს, დიდს ღირსებას დიდი სახელი მისცეს. დროებამ მალე გაამართლა ორბელიანის მაღალი, ჰაზრი ვარანცოვზე. ცამეტი წლის შემდეგ მაღლიერმა კავკასიამ ძველი აღუმართა იმას და დღეს იმისი სახელი ნამდვილი ისტორიული სახელი არის, რომლის შუქი მთელს მე-XIX საუკუნეს ანათებს. ძველი ეკკლესიების და ციხეების ნანგრევებს თამარ მეფის სახელს მიუწერს ხალხი, თუნდ ეს ციხე-ეკკლესიები მეფე ერეკლესგან იყოს გაშენებული; მე-XIX საუკუნის სიკეთეს—ვარანცოვს, თუნდაც ეს სიკეთე ერმოლოვის წყალობა იყოს, ან როზენისა. ამიტომაცაა 1867 წელს, როდესაც ძველი აღუმართეს ვარანცოვს, სთქვა ორბელიანმა: „არის კიდევ სხვა ძველი ვარანცოვისა... ეს ძველი დიდი ხანია რაც აღმართულია ჩვენს გულში“.

ქვეყნადის სახლობის ტყვეობის ამბავი ვინ არ იცის? ლეკები ჩამოვიდნენ მთიდან, გააპეს ალაზანი, მიუხდნენ წინან-



დალს, დასწევს და დასდაგეს ალექსანდრე ქავჭავაძის სახლი და ტყვედ წაასხეს მისი შვილის დავითის სახლობა: ცოლი— ბატონიშვილი ანნა—ექვსის შვილითა; ცოლის და—ბატონიშვილი ბარბარე—რძალი პოეტისა, თავის შვილით გიორგით, ფრანკუზის ქალი დრანსე და მოახლენი. ლეკებმა კარგად იცოდნენ დატყვევებულთა ვინაობა და ესენი პირდაპირ შამილს მიჰგვარეს დარგოში. შამილმაც დიდი მატერიალური სარგებლობა გამოხადა ამ ტყვეობას.

ორბელიანმა—ამ ჟამად კასპიის ახლო ადგილთა ჯარების გამგემ და სარდალმა—მიწერ-მოწერა გამართა შამილთან დატყვევებულებზე. ეს იყო მისი მოვალეობა როგორც სამსახურის კაცისა, ისე ნათესავისა. ეს ტყვეობა იმას სიცოცხლეს უმწარებდა. ჯერ ერთი რომ ქავჭავაძის ოჯახი პირველი ოჯახი იყო კახეთისა და მეორე: თითონ პოეტს ბევრი ბედნიერი წამები გაეტარებინა ამ ოჯახში სიყმაწვილის დროს. მაგრამ ყველაფერზე უფრო სწავდა იმას თავის რძლისა და ძმისწულის ბოროტი ხვედრი. ვის არ სწერდა, რას არ სწერდა: თავის უბედურებაზე ორბელიანი? რა ღონის-ძიებას არ ხმარობდა, რომ როგორმე შეემსუბუქნა ტანჯვა დატყვევებულთა, ამ დროის წერილები, მიწერილი განსვენებულ დიმიტრი ჯორჯაძესთან, სავსეა ზვეწითა და ვედრებით დატყვევებულებზე. ის სწერდა ამ უკანასკნელს გაეგზავნა დატყვევებულთათვის: თბილი ბატინკები, კალოშები, გრძელ-ყელიანი წინდები, ფლანელი, პერანგები და კაბები, თბილი წამოსასხმელი, ჩაი, შაქარი, ერთი სიტყვით სულ ყველაფერი „სასარგებლო და არა საკოხტაო“. ერთს წიგნში, რომელშიაც ჩამოთვლილია, რაც უნდა გაეგზავნოს დატყვევებულებს, პოეტი, ბოლოს, ხელის-მოწერის შემდეგ, აწერს პოსტ-სკრიპტუმად: „თეთრი სუხარიც იამებათ ჩაიზე კარგია“. „მეტად შეწუხებული ვარ—სწერდა იგი ჯორჯაძეს—და ეს უფრო მტანჯავს, რომ ჩემი მწუხარება უნდა შეძლებისამებრ დავმალო და არ უჩვენო არცა ჯარს და მეტადრე არცა აქაურთა მცხოვრებთა, რომელნიცა შემომცქერიან და უნდა შემატყონ—იქნება თა-

ვიანთ სასიხარულოდაც—მწუხარება რაიმე, მაგრამ არ გავახარებ არა ვისა! ხომ არ მოგსვლია ამბავი ჩვენის ტყვეებისა? ან რა ისმის მანდა იმათი?\*\*) მეორე წერილში მისი სასოწარკვეთილება უფრო აშკარა არის: „თუ შეგეტყოს რამე ამ უბედურთათვის შემატყობინე, ნურას დამიმაღავ; თუ გინდა იყვნენ დახოცილნი ნუ დამიმაღავ: მე დიდი ხანია განმზადებული ვარ ყოვლისა უსაზარელის შემთხვევისათვის. აღსრულდეს ნება ღვთისა“.\*\*\*)

„Откровенно скажу вамъ—სწერდა პოეტი ამავე საგანზე ფლიველ-ადიუტანტს ბარონ ნიკოლაის—что сколько я не стараюсь превозмочь скорбь мою, но малодушие овладѣваетъ мною. Мнѣ казалось до сихъ поръ, что никакое несчастіе не поколеблетъ твердости моего духа; но этотъ ударъ, нанесенный мнѣ прямо въ душу свыше моихъ силъ, испытаніе слишкомъ тяжкое! Не постигаю какъ эти несчастныя слабыя женщины, слабыя дѣти могутъ еще существовать до сихъ поръ? Вижу, Господь Богъ еще не совсѣмъ лишилъ меня своей милости \*\*\*).

„გამოგიტყდებით,—სწერდა პოეტი ამავე საგანზე ფლიველ-ადიუტანტს ბარონ ნიკოლაის,—რომ სულმკლემბამ შემიპყრა, თუმცა დიდადა ვცდილობ ვძლიო როგორმე ეს ჩემი მწუხარება. ძველნა აქამდისინ, რომ სიმტკიცეს ჩემს სულისას ვერავითარი უბედურება ვერ შეარყევდა; მაგრამ ამ ეჟმად პირდაპირ სულს დაესვა ლახვარი, არ შემიძლიან ავითანო, განსაცდელი ეგე მძიჟეა მეტად! ვერ გაჰიკია, ეს უბედური სუსტი დედაკაცები და ბავშვები როგორ-ღა არიან აქნობამდის ცოცხლები? ვხედავ, უფალს ღმერთს ჯერ კიდევ მთლად არ გამოუწირია ჩემთვის თავისი მოწყალება.“

ამგვარსავე სულის კვეთებით სავსე წიგნებს სწერდა ორბელიანი ვარანცოვს, შჩერბინინს, ბარიათინსკის და თვით შამილსაც. შამილმა პასუხად შემოუთვალა: პირველად სალამი; მერე „თქვენნი წერილი მომივიდაო, რაც მასში ეწერა, ყველა

\*) წერილი 30 ივლ. 1854.

\*\*) წერილი 1 აგვისტ. 1854.

\*\*\*) წერილი 10 აგვ. 1854.

ესცანიო“; მასუკან: „ღვთისაგან გამოგზავნილი ვარო და მისი ყოველი ბრძანება უნდა აღვასრულოვო, თქვენც თქვენის ხელმწიფის ბრძანებისა ხართ აღმასრულებელიო. ინშაჰლლა, რაც შემოძლიან კარგად შევინახავ ტყვეებსაო და ჰატისაც ვაძლევო. ამათ გამოხსნისათვის მოსალაპარაკებლად კაცს გამოვგზავნი თქვენთან, როცა ანუ შურაში მოხვალთ და ანუ ხასავიურთაშიო“. ამის პასუხად ორბელიანმა შემდეგი წიგნი მისწერა შამილს.

Главѣ Мусульманскихъ Богомольцевъ Иمامу Шамилю.

30 авг. 1854. лагерь на высотахъ Гамашаи.

Господь Богъ да воздасть вамъ по дѣламъ и помышленіямъ вашимъ! Мы всѣ въ рукахъ у Бога и ничто не совершается безъ воли Его, и потому человѣкъ истинно-поклонящійся Богу, не гордится въ счастіи, не унываетъ когда желтое лице несчестія настигнетъ его на пути скоропреходящей жизни. Въ этомъ обманчивомъ мірѣ все проходить, все умираетъ, остаются только дѣла добрыя, съ которыми угодникъ Божій долженъ наконецъ предстать предъ судомъ Всемогущаго. И горе тому, кто все это зналъ, но не исполнилъ заповѣдей Божіихъ! Слава же безсмертія тому, кто твердо и неуклонно шель по пути спасенія.

Теперь обращаюсь къ вамъ, глава мусульманскихъ Богомольцевъ! Еще прежде братъ мой Илья находился у васъ въ плѣну—онъ только не давно умеръ—а жена его съ маленькимъ сыномъ и племянницею, также попались къ вамъ же въ плѣнъ вмѣстѣ съ родственницею моею Анною съ дѣтьми и прислугами. Здѣсь ясно видно, что наказаніе это послано отъ Бога и я безъ ропота покоряюсь Его святой волѣ... Но вы, по благородству вашихъ чувствъ и сердца, оказываете плѣннымъ моимъ родственницамъ въ дни скорби и печали человѣколюбивое вниманіе и Богъ наградитъ васъ за это. Повѣрьте, и я не затерянный въ мірѣ человѣкъ! Какъ знать, быть можетъ будетъ случай, когда и я могу быть полезнымъ, если не лично вамъ, то вашимъ сыновьямъ; а вы хорошо знаете, что благодарность, какъ и мщеніе долго живутъ на свѣтѣ!

Письмо ваше я получилъ съ удовольствіемъ вчера. И прежде, и теперь я прошу все объ одномъ: объ освобожденіи плѣнныхъ моихъ родственницъ съ дѣтьми и прислугами. Не торгуйтесь со мною: это не прилично ни мнѣ, ни вамъ; мы оба не купцы! Повѣрьте, я не измѣню своему слову и дамъ за ихъ выкупъ все что я въ состояніи. Но если вы думаете, что наше правительство приметъ на себя ихъ выкупъ, повѣрте, это будетъ ошибка съ вашей стороны, и этимъ только замедлится ихъ освобожденіе; а слабыя женщины и дѣти не вынесутъ долгое время суровость вашего климата, перемрутъ и тѣмъ только мнѣ одному причините зло безъ великой пользы для васъ.

Если, не зная меня, можетъ быть, вы не совѣмъ, довѣритесь моимъ словамъ, и потому не согласитесь отпустить моихъ родственницъ безъ торговъ и переговоровъ, то по крайней мѣрѣ пришлите всѣхъ маленькихъ дѣтей и беременныхъ женщинъ и мою племянницу, которая очень больна и оставьте у себя залогомъ жену моего брата Варвару и сестру Анну до окончанія переговоровъ. Хотя мы и враги, но вы, по внушенію благороднаго вашего сердца и великодушію, должны выполнить по крайнѣй мѣрѣ эту послѣднюю мою просьбу.

Князь Давидъ Чавчавадзе, мужъ Анны, пріѣхалъ въ Хасав-юрти. Это мѣсто очень близкое къ вамъ, самое лучшее для скорѣйшаго окончанія этого дѣла и потому прошу васъ приказать вашему довѣренному лицу прибыть туда къ нему и окончить это дѣло такъ, какъ я васъ прошу; повѣрьте, вы не останетесь въ потерѣ. Я самъ не замедлю явиться туда; но во всякомъ случаѣ Давидъ ли, или я, все равно, потому что онъ мой племянникъ.

Еще прошу васъ дозволить моему мальчику Захаркѣ прибыть въ Дарто и находиться для услуженія при моихъ родственницахъ.

Въ книгѣ сказано: только добрыми, Богоугодными дѣлами открываются человѣку двери спасенія; остальное все прахъ и суета!



„ღვთის მლოცველ მუსლიმთა უფროსს იმას შამილას.

30 აგვ. 1854 წ. გამაშის მწვერვალთა ბანაკი.

უფალმა ღმერთმა მოგიწყოსთ საქმეთა და განზრახვათაებრ თქვენთა! ჩვენ ყველანი ღვთის ხელთ ვართ და გერეშე ნებისა მისისა არა არა ხდების. ამრტომაც ჭეშმარიტად თაყვანისმცემელი ღვთისა არ ამაცობს ბედნიერებითა თვისითა და არა ჰკარგავს სასოებასა, როდესაც მსწრაფლ წარმავალ ცხოვრების გზაზედ უბედურება რამ შემთხვევა. ამ ცაუ ქვეყანაში ყოველივე წარმავალი, შომაკედავია, რჩებიან მხოლოდ კეთილნი საქმენს, რომლებითაც მშოსაკი ღვთისა უნდა წარუდგეს დაბოლოს ყოველად შემძლებელის სამართალსა. და ვაი იმას, ვინც ყოველივე ესე უწყადა და მცნებანი ღვთისა არ შეასრულა! ხოლო დიდება უკვდავობისა მას, ვინც მტკიცედ და შეურყვევლად ადგა ხსნის გზასა.

მოგმართათ ახლა თქვენ, ღვთის მლოცველ მუსლიმთა უფროსო! ჯერ ისევ წინად ჩემი ძმა ილია გყავდათ ტყვეთ, — რომელიც დიდი ხანი არ არის გარდაცვალა, — ახლა-კი ტყვეთ ჩაგივარდნენ მეუღლე მისი პატარა ვაჟითა და ძმისწულით ნინოთურთ, მათთან ერთად ჩემი ნათესავი ქალი ანნაც თავისის ბავშვებითა და მსახურებით. ნათლად სჩანს აქედგან, რომ სასჯელი ესე ღვთისაგან მომერგო, და მეც არა ვდრტვინავ მისს წმიდა ნებას ვემორჩილები, მაგრამ თქვენ, თქვენის გულისა და გრძნობათა კეთილშობილობით, ჩემს ტყვე ნათესავ-ქალებს ასეთის მწუხარებისა და ურვის დროს კაცთმოყვარებრივს ყურადღებას არ აკლებთ, რისათვისაც ღმერთი მოგაგებთ ჯილდოსა. მერწმუნეო, მეც დაკარგული არა ვარ ამ ქვეყნად! ვინ იცის, აქნება შემთხვევა მომეცეს და მეც გამოგადგეთ, თუ პირად თქვენ არა, თქვენს შვილებს მაინც; თქვენ-კი კარგად უწყით უთუოდ, რომ მადლობისა და შურისძიების გრძნობა დიდხანს სცოცხლობენ ამ ქვეყნად!

თქვენგან მიღებულმა წერილმა გუშინ მასიამოვნა. უწინაცა და ახლაც ერთსა გთხოვთ მხოლოდ: ტყვედ მყოფი ნათესავი ქალები, მათი შვილები და მსახურნი განგვითავისუფლოთ. ნუ მევაჭრებით, რადგან არც მე და არც თქვენ ეს არ შეგვფერის. ვაჭრებიხომ არა ვართ! მერწმუნეთ, რომ ჩემს სიტყვას არ გჯდლატებ და გავიღებ მათდა გამოსახსნელად ყოველისფერს, რასაც-კი შევიძლებ. მაგრამ თუ გვონიათ, რომ მათს გამოსყიდვას მთავრობა იკისრებს, მერწმუნეთ, თქვენის ნხრივ ეს დიდი შეცდომა იქნება და ამით მხოლოდ დააგვიანებთ მათს განთავისუფლებასა; საბრალო ქალები და ბავშვები-კი დიდხანს ჯერ აიტანენ თქვენის ჰავის სიმკაცრესა, დაიზოცებიან და ამითი მხოლოდ მე მომაყენებთ ბოროტსა და თქვენც ვერას ისარგებლებთ.



მაგრამ შეიძლება, ჩემს სიტყვას, როგორც უცნობისას, არ ენდოთ და უეპტრობოთ, მოულაპარაკებლივ არ გაანთავისუფლოთ ჩემი ნათესავი ქალები; გთხოვთ მაშინ პატარა ბავშვები და ორსულად მყოფი ქალები და ჩემი ძმისწული მაინც გამოგზავნოთ, რომლებიც ძალიან თურმე არიან ავად და მოლაპარაკების გათავებამდე მხევლათა გყვანდეთ ჩემი რძალი ბარბარე და მიცი და ანნა. მართალია, მტრები ვართ, მაგრამ თქვენის კეთილშობილ გულისა და სულგრძელობის შთაგონებით ეს უკანასკნელი თხოვნა მაინც არის უნდა უთუოდ ამისრულოთ.

ანნას ქმარი თავადი დავით ქავჭავაძე ხასავ-ურთშია. თქვენზე ეს ძაან ახლოა, გთხოვთ ანაათვის საქმის ჩქარა გასათავებლად უბრძანოთ თქვენს რწმუნებულსა, რომ მივიდეს იქა და საქმე ისე გაათავონ, როგორცა გთხოვთ; მერწმუნეთ, ამითი თქვენ არას დაჰკარგავთ. მეც საჩქაროდ მოვალ იქა, მაგრამ ყოველს შემთხვევაში, დავითი იქნება თუ მე, ორივე ერთია, რადგან ჩემი დისწულია იგი.

გთხოვთ ამასთანავე ნება დაჰართოთ ჩემს ბიჭს ზაქარას, რომ დარგოში მოვიდეს და ჩემს ნათესავს ქალებს ემსახუროს.

ნათქვამია წიგნში: მხოლოდ კეთილის და ღვთივ-სათნო საქმეებით მოიპოვებს ადამიანი ცხონებასა; დანარჩენი ყოველივე მტვერი და ამოყბააო!

ამ გვარს წიგნში არ იცი კაცმა, რას უფრო დაუკვირდე: სიტყვის ძლიერებას, კაცის გულის ცოდნას, მთიელთან ხერხიანად ლაპარაკს, თუ პოეტიურს ნიქს, რომელიც მწუხარებას უფრო მალლა აუწევია? შამილმა ამ წერილის პასუხად მოითხოვა: 1) მისი შვილის დაბრუნება (ეს შვილი რუსის სამსახურში იყო აფიცრად), 2) დაბრუნება მისი ძმისწულისა და ორის ავარიელებისა, რომელნიც დიდის-ხნიდან რუსეთში იყვნენ გაგზავნილნი და 3) ერთი მილიონი ფული. პირველს ორს პირობაზე ორბელიანმა შეუთვალა შამილას შუამდგომლობა წინაშე ხელმწიფისა. უკანასკნელს პირობაზე კი სრული უარი, რადგანაც ეს ფული დატყვევებულთა ნათესავებს არ ჰქონდა. ეხლა უნდა ნახოთ, რა ხერხიანადა სწერს შამილას პოეტი ამ ფულის სიდიდეს.

„Вы требуете миллионъ денегъ—სწერდა ის შამილს 14 სექტ. 1854 წ.— Это такая огромная сумма, что ежели бы человекъ сталъ считать словами одинъ, два, три и пр. то пройдетъ

болѣ мѣсяца пока сочтетъ эту сумму. Гдѣ-же намъ взять такую громаду денегъ, которыя если насыпать вмѣстѣ, составили бы большую гору серебра?

„თქვენ იახოვთ მილიონს,—სწერდა ის შამილას 14 სექდ. 1854. —ეს ისე დიდი თანხაა, რომ კაკმა სიტყვითა თვალთ: ერთი, ორი, სამი და სს., თვეზე მეტი გავა, ვიდრე დასთვლიდეს. საიდგან უნდა ვიზოვოთ. ეს ამოღენა ფული, როდესაც ერთს ადგილას დაგროვებული უშველებელს დიდს ვერცხლის მთას ეგვანებოდა?“

მიწერ-მოწერამ და მოლაპარაკებამ ტყვეების გამოხსნაზე ერთობ დიდი-ხანი გასტანეს. ბოლოს 1855 წლის დამდეგზე პოეტ-სარდალი სწერს გენერალს ალექსანდრე საგინოვს: „... ჩვენის ქალების საქმე ღვთის მოწყალებით იმედია, რომ მალე დაბოლოვდეს კეთილად. თქვენი ხელზე მკოცნი ისაიბ (გრამოვი) გავვზავნე დარღოს შამილასთან და ახლა დაბრუნდა და მომიტანა ქალების ამბავი და წერილებიცა; სულ ყველანი მშვიდობით არიან. დავითის შვილსა და პატარას გიორგის ფეხი აუდგამთ და დაცუნცულებენ; დავითის ქალებიც ასე შეეჩვივნენ შამილასა, რომ სულ წვერს უგლეჯენ.— შამილასა ძალიან კარგად და პატივით მიეღო ისაია და ახლა ამის ტრახახობისაგან აღარა ვართ: ჰაი მე ასე უთხარ, ჰაი იმან ეს მითხრა და სხვანი ამგვარნი“. აპრილის თვეში მოლაპარაკებაც გათავდა. შამილა დასჯერდა შვილის დაბრუნებას და 40 ათას მანეთს, რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა უწყალობა დავით ქავკავაძეს სახლობის გამოსახსნელად. ორბელიანს აუსრულდა გულის წადილი; უნაკლოდ დაუბრუნდა ძვირფასი ნათესავები. ტყვეები მოვიდნენ თემირ-ხან-შურას, საცა დაჰყვეს პოეტთან ორი კვირა. თვისს სიხარულს ის აუწერდა თავად ვარანცოვს ამ სიტყვებით:

„... Въ продолженіи двухъ недѣльнаго пребыванія ихъ здѣсь, домъ мой преобразился въ рай для меня. Съ ранняго утра дѣти князя Чавчавадзе и мой племянникъ Георгій, прекрасные, какъ купидончики, приходили ко мнѣ; ихъ радостные крики, бѣготня, рассказы доставляли мнѣ истинно душевное

наслаждение! Какой прекрасный мальчик мой племянник! Здоровый, толстый и порядочный забіака...“\*)).

„მათის ორის კვირით აქ ყოფნის დროს ჩემი სახლი სამოთხეს და-  
ეგვანა, დილა ადრინვე მოიბრუნდნენ კუპიდონებივით მშვენიერი ბავშვე-  
ბი თავ. ქავეჭავაძისა და ჩემი ძმისწული გიორგი; მათი მხიარული ყვირი-  
ლი, სიბილი და ლაპარაკი ქვეშაბრტად მატკობდნენ სულიერად! რა  
მშვენიერი ბიჭია ჩემი ძმისწული! ჯანმრთელი, სხილი, ზორბა მოჩხუ-  
ბარი“...

პოეტის მიცვალების შემდეგ ერთხელ განსვენებულმა და-  
ვით ქავეჭავაძემ გვიამბო იმისი იმ დროინდელ მწუხარების  
ნიმუშებად:—ამ მოგონებით ჩვენ ვათავებთ მისი ნათესავების  
ტყვეობაზე ლაპარაკს.—ერთხელ, როდესაც შამილისგან გამო-  
გზავნილი კაცი ტყვეების დახსნის პირობაზე ელაპარაკებოდა  
იმას ქავეჭავაძის იქ ყოფნაში, გამოგზავნილმა დიდ-გულობა  
დაიწყო და იმის ლაპარაკს ყურიც არ ათხოვა. ამასთან ლეკი  
წამოწვა დივანზე, ფეხები მალლა აიშვირა და თავის ქექა და-  
იწყო. ამის დამნახავმა ბრაზ-მორეულმა გრიგოლმა უთხრა  
ქავეჭავაძეს:

— დავით! ერთი დავკრა ამ ურჯულოსა!.. მაგრამ ვაი  
რომ ამით სულ წავახდენთ საქმეს... ეჰ, წავიდეთ ერთი ბოლ-  
თა ვკრათ, ეგებ როგორმე გულის ჯავრი სიარულით ამოვი-  
ყაროთ.

საღამოს პირი თურმე იყო და ცხარედ მობაასეთ ვერც  
კი შენიშნეს შტაბთან დაახლოვება.

— КТО ИДЕТЬ? დაიძახა ყარაულმა.

— СОЛДАТЪ, ხმა-ჰყო ორბელიანმა.

მობაასეთ განაგრძეს ლაპარაკი: სად უნდა ეშოვნათ იმათ  
შამილის მისაცემი ფული, ვისთვის უნდა მიემართნათ, სად  
რა დაეგირავენინათ. ამ მუსაიფში და მოედანის გარშემო სია-  
რულში ხელ-ახლად ყარაულის ხმა:

— КТО ИДЕТЬ.

— СОЛДАТЪ.

\*) წეხილი 7 მაისს 1855.

ვინ იცის რა გაჭივრებაში იყვნენ ტყვეები. სიცივე, სიმ-  
შილი, ცუდი სადგომი, ცუდი სამსახური როგორ უნდა გაე-  
ძლოთ სუსტ ქალებს, ორსულ დედაკაცებს, უსუსრ ბავშვებს  
განცხრომით ცხოვრებაში ნამყოფთ. სად იყო სამართალი, კაცო-  
ბრიული გრძნობა, რომელიც...

— КТО ИДЕТЬ.

— ახა, ღმერთო ჩემო, რას გადამეკიდნენ: солдаты, იყო  
ხმა ორბელიანისა, რომელმაც ეხლა კი სიცილი ვერ შეიკავა.

### X I

შამილმა შეილი დაიბრუნა და ორმოცი ათასი მანეთი  
შიილო, მაგრამ ომი კი არ შესწყვიტა. მთელი 1855 და 1856  
წელი ორბელიანმა დაუცხრომელ ბრძოლაში გაატარა ლე-  
კებთან. იბრძოდნენ: ქუთისის მაღლობებში, წუდახარში, გერ-  
გებილთან, სალათავის მთა-გრეხილზე, გამაშის მაღლობებში,  
ზანაგს, დალიშის ვიწროებში, დეშლაგართან, ხუდუმ-ბაშთან,  
ხოჯალ მახინის ციხესთან, ჩირ-იურთას, ყაზიყუმუხის სამთავ-  
როში, გიმრში, ყარანაევის დაშვებაზე. იმასთან ტაბასარანში  
შარიატის მქადაგებელთა მოახდინეს არეულობა და ორბელიან-  
მა გენერალი მინკვიციის შემწეობით დაამშვიდა იქაურობა.  
„ჩემო საყვარელო დიმიტრი, ანუ ჩემო ბურიენო—სწერდა  
ის დიმიტრი ჯორჯაძეს—(ბურიენი ნაპოლეონ პირველის  
შეკრეტარს ერქვა)... ტაბასარანელები სრულებით არ მოელო-  
დნენ იმას, რომ მე გავბედავდი აქ მოსვლასა: ნადირ-შაჰიმ  
ყალუხის მთილამ ვერ გაბედა ამ ხეობაში შემოსვლა; მად-  
თოვმაც რუსის ჯარი ვერ მოაწია აქამდის; არლუთინსკიმაც  
სხვა გზაზედ აიარა; წლეულს მინკვიცი ორიოდე დღე იდგა  
ყალუხზედ და დაბრუნდა იქილამ. ამა მიზეზთა გამო ახლაც  
იმასვე იძახდნენ: „ბევრჯელ მოსულან და დაბრუნებულან“  
და სრულიად გულმოსვენებით ელოდნენ, რომ მეცა შორი-  
დამ დაუწყებ ლაპარაკსა, ვიდგები ერთი-ორი დღე და წავალ  
იქა, საილამაც მოველ. მაგრამ ძალიან შესცდნენ და ახლა

თავ-პირში იცემენ, ჰხედვენ რა თუ როგორ. ინგრევ-იქცევა-იწვის მართლად მშვენიერად აშენებულნი თლილის ქვით ჩუქურთმიანნი სახლები. ამ ორს სოფელში (ხანაკში და რულუჯში) უშვებ მხოლოდ ერთს მეჩითსა და დანარჩენსა კი ვსთხრი ძირიანად.—ამა ორის სოფლის გაოხრებამ შეაძრწუნა ტაბახარანი და ყაითალი და ახლა მოდიან დეპუტატები ერთგულებისა და მორჩილებისა განცხადებისათვის“.\*) ტაბახარანის ეკსპედიციით მთელი ყაითალი დამშვიდდა და თვით შილალიცა. შარიატის მქადაგებელთაც შეუმოკლდათ დღე და ჟამი. ზოგი გაიქცნენ, ზოგნი დაიპირეს. „გუშინ ერთი შიხაჰმადის თანაშემწე მომგვარა ჯამბეგის შეილმა—სწერდა პოეტი დ. ჯორჯაძეს—დიდი თურმე მწიგნობარი, სახელად აბდულ-ყადიბ ყადი. ჯერ შარიათისთვის ვებასე; აუხსენ რაი არს სწორე შარიათი და მერე გავმათრახე, ასე რომ ჩემს შარიათსა არ დაივიწყებს თუ ცოცხალილა დარჩა.“

ორბელიანის განკარგულებაში ამ დროს თორმეტი ბატალიონი ჯარი იყო. შამილმა ამისგამო ვერ გაბედა იმაზე მისვლა და პოეტ-სარდალმა მთელი თვისი ღონის-ძიება მოახმარა დაღესტნის გაშენებას. შტაბ-კვარტირები დაფუძნდნენ და სალდათებს მიეცათ მკვიდრი სადგური, შურა გამშვენიერდა შადრევანებით, შენობებით, ციხე-ბურჯებით, ეკლესიით, რომელიც შენდებოდა გაგარინის პლანით. დიშლაგარში გაშენდა ეგრეთივე მშვენიერი ეკკლესია. შურასა და დერბენდს შორის გაიმართა სამი მშვენიერი სტანციები. ვაჭრობამაც ამოჰყო თავი. ერთ წელს მარტო გაიტანეს რუსეთში 153 ათასი მანეთის ენდრო. ცოტ-ცოტათ შრომის-მოყვარეობაც დაიბადა ომიანობის ქექა-ქუხილის ხმაურობის ქვეშ.

აუწერს რა ჰაჯიმურადის გზის გაკეთებას, ორბელიანი სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს: „იქამდის მივიყვანე საქმე, რომ ტაბასარანელები გამოვიყვანე 500 კაცამდის ცულებითა და ვაკაფინე იმათივე ტყე. მაგრამ სასაცილო ეს იყო, რომ თი-

\*) წერილი 31 ოქტ. 1855 წ.



თონვე ამბობენ: „ჩვენ უზღველები ვართ თავისუფალნი, მუ-  
შაობა ჩვენი საქმე არ არის; ეს მამა-პაპას არ უქნია.“ ამას  
ამბობენ და ჰკაფვენ კი ტყესა! მეტადრე საღამ-საღამოს რომ  
დავახვედრებდი ცხვრებსა სამწვადედ და ამასთანა კარგს შე-  
სხმასაც ვეტყოდი ამათის ერთგულებისათვის, ყოველივე ავი-  
წყდებოდათ და იძახოდნენ: კნიაზ სალოდსუნ!“\*)

18 მარტს 1856-ს პარიუის ტრაქტატმა ბოლო მოუღო  
აღმოსავლეთის ბრძოლას. შამილას ცოტ-ცოტად იმედი ეკარ-  
გებოდა. მალე მოვიდა კავკასიაში ახალი მთავარ-მართებელიც,  
რომელსაც ბოლო უნდა მოეღო მისი ძლიერებისათვის. ეს იყო  
თ. ალექსანდრე ივანეს ძე ბარიათინსკი, პოეტის დიდი მეგობარი.

ჯერ ვარანცოვი არ წასულიყო კავკასიიდან, რომ ორ-  
ბელიანი სწერდა ბარიათინსკის:

„Я не умру, пока не увижу васъ проконсуломъ Кав-  
каза“.\*)

ამ წინასწარ-თქმამ ხუთი წელიწადი მარტო უცადა თვის  
განხორციელებას. ვარანცოვის შემდეგ, ომის საქიროებათა  
გამო, ნიკოლოზ პავლეს ძემ გამოგზავნა კავკასიაში გენერალი  
მურავიევი და ომი რომ გათავდა, ახალმა ხელმწიფემ, ალექ-  
სანდრე II-მ, კავკასიის მთავარ-მართებლად დანიშნა თ. ბა-  
რიათინსკი.

ახალი მთავარ-მართებელი მოვიდა კავკასიაში დაღესტ-  
ნით. ორბელიანი მიეგება იმას პეტროვსკში როგორც ის სწ-  
ერდა დიმიტრი ჯორჯაძეს „ვენზილებითა, ტრიუმფალნის ვა-  
რატებითა, შჩიტებითა და ქლაგებითა“. პოეტი ყოველ ამ  
გვარი დღეობის და ნადიმ-ზეიმისა დიდი მოყვარე იყო. დი-  
დათ მოსწონდა იმას მართლა დიდ-კაცური ხასიათი და ქცე-  
ვა ბარიათინსკისა. ის იყო მისთვის: უხვი, მდაბალი, მაღალი.  
პირველს სადილზე მისი სადღეგრძელო რომ დალია, შემდე-  
გის სიტყვებით მიუსალამა იმას თვისი გრძნობა:

\*) წერილი 17 ნოემბ. 1855.

\*) წერილი 3 ივნ. 1852 წ.

— ჩემი გვარი შმეისი გახლავთ,—დროზედ ჩაურთო შმეისმა.

— დიად, ბ. შმეისო, რამ გაიძულათ, რომ ჩემთან მოხველით?

შმეისმა ერთი ფეხი წინ წასწია და ბრწყინვალა ცილინდრი მუხლზედ დაიდო. მერე გაბმულის ცოცხალის ენით მოსვლის მიზანი აუწყა; მიუხედავად იმისა, რომ ხმაშიაც და ლაპარაკშიც შმეისი სცდილობდა თავდაბლობა გამოეჩინა, გამოცდილი კაცი გაიძვერობასა და ქვეშ-ქვეშობას მაინც შეამჩნევდა.

გრაფი როგორღაც მოწყენილად უგდებდა შმეისს ყურსა და თან ფრჩხილებს იწმენდავდა. როცა ათივე თითი გაიწმინდა და ფრჩხილებს თავები გადაუფხიკა, გრაფმა მაშინ ასწია თავი, შეხედა შმეისსა და ცხვირში წაიდუღლუნა:

— ეგ კი ეგრე ბ... მაგრამ მე მაინც არ მესმის!.. თქვენ გეთქვათ წედან, სალანდიდან ღირსშესანიშნავი ამბები ჩამოვიტანეო... მეც იმიტომ მიგიღეთ. ეხლა კი მე მაინც არ მესმის, რაშია აქ საქმე და თქვენ რა გინდათ?

— სწორედ ეგ უნდა მომეხსენებინა, თქვენო ბრწყინვალეზავ. უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, ნება დამრთეთ, რომ ყველაფერი დაწვრილებით მოგახსენოთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი წინადადება თქვენი მამულისთვის დიდათ სასარგებლო იქნება. გლეხი ბიუტნერის ტყე თქვენი ბრწყინვალეზავის ტყეს საზღვრავს და შიგაც არის შექრილი...

— ეგ მეც კარგათ ვიცი და, მგონი, თქვენზედ უკეთესადაც! — შეაწყვეტინა გრაფმა, რომელსაც მოთმინება ელეოდა. — რამდენი წელიწადია მაგ ტყის შესახებ მოლაპარაკება მაქვს ბიუტნერებთან. მე მინდა დროზედ გათავდეს ეს საქმე. ან არა და რა არის აქ სალაპარაკო და თავის სამტვრევი! რაღაც ორმოც და ათი თუ სამოცი მორგენი მიწა განა ღირს თავის შეწუხებათ?

— ბევრი არ არის, მაგრამ თქვენ ბრწყინვალეზავს ცოტა ფული არ დაუჯდება ეს ტყე. ჩვენ კი მეტად იაფად შეგაძენინებდით.

გრაფმა განცვიფრებით გადახედა მობაასეს. მასპინძელმა მხოლოდ ეხლა მიაქცია შმეისს ყურადღება და სტუმარი იმდენად სასაცილო ეჩვენა, რომ თავი ველარ დაიჭირა და გაიცინა.

— განა, თქვენ ვინა ბრძანდებით, ბატონო, რომ ამ საქმეში ერევით! მე მხოლოდ ერთს გეტყვით, ბატონო... ბატონო შმეის, რომ როცა ჩემ გლახებთან რაიმე საგანზედ მოლაპარაკება მაქვს, შუა კაცები ჩემთვის საჭირონი არ არიან ხოლმე...

— თქვენო ბრწყინვალეზავ! მე ჩემით კი არ გეახელით, — ამას მე არასოდეს არ გავბედავდი. მე თითონ კომმისიონერი გახლავარ და სამუილ გარრასსოვიცის მონდობილებითა გეახელით. ეს გვარი თქვენც უნდა გქონდეთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, გაგონილი. ეს ფირმა დიდი ხანია პურიტა ვაქრობს და იმის პატრონი ჩინებული და ჭკვიანი კაცია.

გარრასსოვიცის გვარის გაგონებაზედ გრაფი უცებ შეკრთა, წამოდგა ფეხზე და საწერ მაგიდაზედ რაღაცას ძებნა დაუწყო.

— აი... ჩემი მოურავი მწერს... — და ისევ ძებნა დაიწყო, — მაგრამ ვერასგზით ვერ ვიპოვნე.

შმეისმა, რასაკვირველია, მალე შენიშნა, რომ გრაფი მეტად უგულოდ ეძებდა მოურავის წერილს.

— მაგრამ სულ ერთია... კაპიტანი შროფფი მწერს. ის... ის — აი ის კაცი, თქვენ რომ ახსენეთ ეხლა...

— გარრასსოვიცი! — მოაგონა შმეისმა, რომელმაც პირველი სიტყვებიდანვე შენიშნა გრაფსა, რომ გვარებს და სახელებს ძნელათ იხსომებდა.

— ჰო სწორედ ეგ გარრასსოვიცი. მაგ გარრასსოვიცის ხელობა საბრალო გლახების გადატაკება და გაძარცვა ყოფილა თურმე.

ედმუნდ შმეისმა იფიქრა, ეხლაკი დრო მოვიდა თავის გამოჩენისაო, შეურაცხყოფილი კაცის სახით წამოხტა და მკვახეთ უთხრა:

— მე ძალიანა ვწუხვარ, თქვენო ბრწყინვალეზავ, რომ ეგრეთი შეუსაბამო და ცრუ ხმები გსმენიათ. გარრასსოვიცი მეტად პატიოსანი კაცია და არ დაგავიწყდეთ, — ჩემი მეგობარიც არის.

ამ სიტყვებზედ შმეისმა სერთუკის ღიღები შეიკრა; შმეისს თეატრში ენახა, რომ შეურაცხყოფილი გმირები ასე სჩადიოდნენ.

ძნელად იტყოდა ადამიანი, რომ გრათს ხალხის ცნობა აქვსო: გრაფი ბუნებით ჩვილი და კეთილი გულის პატრონი იყო და ეშმაკობა სრულიად არა ჰქონდა. იმას ყოველთვის ეშიზნოდა შეურაცხება არავის მივაყენო და ამიტომ დამამშვიდებელის ხმით უთხრა:

— დარჩით, ნუ წახვალთ!—ამ სიტყვებში საშინელი არაფერია.

— რას ბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალეზავ? გლეხების გაძარცვა ეს ისეთი საშინელი და საზარელი შეურაცხებაა. მე გულშიც კი ვერ გხვივლებ მაგას ჩემ მეგობარ გაარასოვიცხედ, არამც თუ ხმა მალლა ვსთქვა! მე ვარჩევ სრულიად არც კი გადავცე ჩემ მეგობარს თქვენი სიტყვები.

გრაფმა ვერც კი შენიშნა ამ სიტყვებში ის მუქარა, რომელიც, შმეისის აზრით, ამ სიტყვებში ნათლათ უნდა გამოთქმულიყო.

— კარგი, კარგი! დაჯექით და ტყუილათ ნუ სცხარობთ!— გულ კეთილათ მიუბრუნდა გრაფი შმეისს.

— მომისმენთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, თუ არა?— შეურაცხყოფლის ხმით დაეკითხა შმეისი, მაგრამ იმ შეურაცხყოფილი კაცის ხმით კი, რომელიც მხათ არის შეურიგდეს თავის მოქიშპეს. გულში კი საშინლათ ეცანებოდა გამოქნილ კომისიონერს.

— განაგრძეთ, განაგრძეთ. რა გინდათ ჩემგან ან თქვენ ან თქვენ მეგობარ გარასსოვიცს? მე კი ვერას გზით ვერ გამოვიგია და! ის გაღბენაუელი გლეხი...

— თქვენ, მგონი, ბიუტნერზედ ბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალეზავ?

— დიალ, დიალ ბიუტნერზედ! ეს მოხუცი გლეხი მეტად პატიოსანი და მართალი კაცია და, როგორც კაპიტანი შროფი მწერს, საჯაროთ თურმე უნდა გაუყიდონ მამული. რამდე-

წიშე ათასი მარკა სრულიად თურმე იხსნის ამ გლეხს უბედურებისაგან.

— მიპატიეთ, თქვენო ბრწყინვალეებავ, რომ სიტყვას გაწყვეტინებთ. ჩვენ ძალიან კარგათ ვიცნობთ ბიუტნერსა და სულ სხვა აზრისა ვართ იმაზედ. ჩვენის აზრით, თქვენი ბრწყინვალეობა ვილაცას შეცდომაში შეჰყავს და სურს ისეთს კაცს აღმოუჩინოთ შემწეობა, რომელიც სრულიად არ არის მაგის ღირსი. თქვენი ფული მეტად საეჭვო საქმეზედ დაიხარჯება, თქვენო ბრწყინვალეებავ. ჩვენ შემთხვევით გამოვამჟღავნეთ იმათი გეგმა და სწორედ ამ გეგმის ჩასაფუშათ გეახელით ბერლინში.

ამ სიტყვებს გულით და სულით ამღვრეულ კაცის ხმით ლაპარაკობდა შმეისი და თან გაფაციკვებით გრაფის სახეს თვალს ადევნებდა. თუ შეატყობდა, რომ გრაფი მოთმინებით ისმენდა იმის სიტყვებს, მაშინ სხვა რამეზედაც გადაუკრავდა სიტყვას. გრაფი განცვიფრებული და ნახევრათ პირდაღებული შესცქეროდა მოლაპარაკეს; იმ დროს ვისაც უნდა შეეხედნა, გრაფი ქკვიან კაცათ არ ეჩვენებოდა.

— განა ეგრე კარგათ იცნობთ იმ.. იმ ბიუტნერსა? — ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ დაეკითხა გრაფი.

— როგორც ჩვენ ხუთ თითს, ისე კარგათ ვიცნობთ ბიუტნერსაც და მთლად იმის ოჯახსაც.

— ჩემი მოურავი კი ძალიან მიქებს ბიუტნერებსა და!

— შე მგონია, რომ ბ. შროფფის აზრი... მაგრამ მირჩევნია არაფერი მოგახსენოთ, თქვენ, მგონი, ძალიან აფასებთ თქვენს მოურავს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბ. შროფფს ჩემ მგობარ გარდასსოვიცხედ ისეთი რამე მოუხსენებია, იმის აზრი ჩემთვის ყოველად უმნიშვნელოა. თქვენ, რასაკვირველია, ჩემ გულის თქმას მიმიხვდებით, თქვენო ბრწყინვალეებავ!

— მგონი, ოჯახში რაღაც უბედურება მოხდომია გლეხსა და იმიტომ ჩავარდნილა ამგვარ განსაცდელში.

— სრულიადაც არა, თქვენო ბრწინვალეებავ! თუ დღეს განსაცდელშია, მარტო იმიტომ, რომ კაი მუშა ვერ არის და



ცუდათ მიჰყავდა საქმეები. მოხუცი დაუდგარი კაცია, ამასთანავე, სამწუხაროთ,—ლოთიცი. ვაჟებიც შორს არ წასულან და ქალები ხომ წელიწადში თითო ნაბიჯვარსა ჰყრიან. თუ ჩემი სიტყვა არა გჯერათ, შეგიძლიანთ სხვასაც დაეკითხოთ და მაშინ ცხადათ დარწმუნდებით, რომ მე სრულ ჭეშმარიტებას მოგახსენებთ. მე თითონ ვყოფილვარ იმათსა და ყველაფერი კარგათ ვიცი. აბა, რალა თქმა უნდა, თუ ისევ ძველებურათ განაგრძობს ბიუტნერი საქმეებს, მამული თან-და-თან დაქვეითდება. ყელამდის ვალშია, თქვენო ბრწყინვალეზავ! გარასსოვიცისა მართებს და მეც ცოტა ფული არ დამეწვა იმაზედ. ვერ წარმოიდგენთ, რა ეშმაკურათ მოგვატყუილა და დავგლეზა—რა ვქნათ, ჩვენ კაი კაცი გვეგონა და ვენდეთ. განა მარტო ჩვენ მოვტყუვდით, რამდენი სხვა პატროსანი ვაქარი მოატყუილა ბიუტნერმა. მთელ ნათესავებთან ნაჩუბარია. ერთი კაცი არა ჰყავს მადლიერი. აგერ სიძემაც უჩივლა სასამართლოში. თუ ჩემი არა გჯერათ, შეგიძლიანთ სხვასაც დაეკითხოთ, თქვენო ბრწყინვალეზავ. ეს საქმე დალუპულია.

გრაფმა თავი გააქნია.

— თუ საქმე აგრეა, მაშ მე სულ სხვანაირათ რად ამიხსნეს?

— ალბათ თქვენი გულკეთილობით... სდომებიათ სარგებლობა, თქვენო ბრწყინვალეზავ. უსათუოდ ასე ჰფიქრობდნენ: გრაფი ახლა ბერლინშია და რამდენიმე ათასი მარკა იმისთვის არაფერს დანაკლისს არ შეადგენსო. აკი მოგახსენეთ, თქვენი დიდსულოვნობის იმედი ჰქონიათ. მაგრამ თუ სხვა შემთხვევაში დიდ სულოვნობა ჩინებული და საქმები თვისებაა კაცისა, დღეს კი, ამ შემთხვევაში, სრულიად უადგილოა. ვსთქვით ორი ათასი მარკით განსაცდელს გადაარჩინეთ გლეხი, თუმცა, მართალი უნდა მოგახსენოთ, ეს ყოვლად შეუძლებელია: მე ნამდვილად ვიცი, რომ ბიუტნერს სხვებისაც ბევრი მართებს, რომელთაც სასამართლოსთვის ჯერ არ მიუშარტნიათ, ასე რომ თუ დღეს ერთ მოვალეს მოაშორებთ, ხვალ მეორე უჩივლებს და ზეგ მესამე. უძირო ქვევრში რამდენი წყალიც გინდა ჩაა-

სხა, მაინც ვერ გაავსებ. რა პირობაც უნდა მოგცეთ ბიუტნერმა, ერთი წლის შემდეგ მაინც თავის პედისწერას ვერ ასცდება. იმას რომ გალატაკება მოელოს, ეს ცხადზედ უცხადესია. თუ ამ საქმეში ჩაერევიო, უსიამოვნების მეტს ვერაფერს ნახავო, თქვენო ბრწყინვალეებავ, და გარდა ამისა ფულსაც დაჰკარგავო.

— ძალიან სამწუხაროა, რასაც ამბობთ, — უთხრა გრაფმა და ხმაზედ შეეტყო, რომ ეს სიტყვები წრფელის გულით წარმოსთქვა.

— დიად, მეტად სამწუხაროა, მეტად! — გაიმეორა შმეისმა.

— მაშ, მაგისტანა ხალხს სრულიად არ უნდა უშველოს კაცმა?

— რასაკვირველია! მაგისტანა ხალხს როგორ უნდა დაეხმაროს კაცი, თქვენო ბრწყინვალეებავ? — შესძახა გახარებულმა შმეისმა. გაზეთებში ყოველ დღე გლეხის გაჭირვებაზედ სწერენ. ლიბერალური, ეგრეთ წოდებული დემოკრატიული ორგანოები ხომ ყველაფერში მსხვილ მემამულეთ ამტყუნებენ. ისინი უნიავებენ საწყალ გლეხს მამულს და შეუბრალებლათ: „სწოვენ გლეხს სისხლსაო“ — გაიძახიან ასეთი გაზეთები. სულ გლეხის გალატაკებაზედ ჰყვირიან და იმას კი, რომ ამ გალატაკებაში თითონ გლეხებივე არიან დამნაშავენი, იმას არავინ იძახის. სხვები აღატაკებენო! გლეხობა თავის, საკუთარი მიზეზით იღუპება და არა მხვილ მემამულეთაგან; აი, ამისთანა მოვლენის საუკეთესო მაგალითს ბიუტნერში ვხედავთ.

უკანასკნელ სიტყვებს შმეისი აღტაცებული ამბობდა და ისეთის ხმითა და კილოთი ლაპარაკობდა, თითქოს თავის იღუმალ და ძვირფას აზრებს უზიარებსო. ამისთანა სიტყვებმა გრაფზედ მალე იმოქმედეს. იმასაც ესმოდა ხოლომე ამ ბოლოს დროს მსხვილ მემამულეთა ლანძღვა და, რასაკვირველია, არც მოსწონდა ამისთანა ქადაგება, აი რა მიზეზი იყო, რომ მსხვილ მემამულეთა დაცვა ძლიერ მოეწონა გრაფსა.

— ეს დემოკრატიული გაზეთები მტკნარ სისულელეს სწერენ, — გამოაცხადა გრაფმა. — განა ესპით რამე იმ ვაჟბატო-

ნებსა? ჯერ სოფელში უნდა იცხოვრონ რამდენიმე ხანი, ნახონ საკუთარის თვალთ, რაცა ხდება იქა, და მერე სწერონ პრტყელ პრტყელი სიტყვები. ყველა რედაქტორები და განამ-  
შრომლები ერთი ორი კვირით სოფელში უნდა გაგზავნო და მიწა ახვნევიანო—ეს კარგი სასჯელი იქნება იმათთვის. თქვენ როგორა გგონიათ, კარგი არ იქნებოდა, რომ ეს მეგაზეთეები ან გუთანს მოუყენოთ ან პატივი ეაზიდინოთ?

ამ სიტყვებზედ გრათმა სიცილი მორთო და, რასაკვირველია, გრათს შმეისიც აპყვა: იმასაც ძლიერ მოეწონა ეს აზრი. ლაპარაკი ეხლა უფრო თავისუფალი და თითქმის მეგობრული იყო მათ შორის და გრათი ეხლა უწინდებურათ მედიდურათ აღარ დაჰყურებდა სტუმარს.

— განა შეიძლება ვინმემ მისაყვედუროს, რომ ბიუტენერისთანა კაცს დახმარება არ გავუწიო?—დაეკითხა ბოლოს გრათი.

— პირიქით, თქვენო ბრწყინვალეზე!—შესძახა შმეისმა.— მე მგონა, დიდი დანაშაული იქნებოდა თქვენის მხრით, რომ იმისთანა კაცისთვის სამეგობროდ ხელი გაგეწვდინათ. ბიუტენერისთანა ხალხს ვედარაფერი უშველის და არც ერთი ჭკუათამყოფელი კაცი არ ვაპბედავს და გულ-გრილობას ვერ დაგწამებთ, თქვენო ბრწყინვალეზე.

ამის შემდეგ ხომ შმეისს აღარაფერი შრომა აღარ დასჭირებია, რომ გრათი დაეყოლებინა. იმისთანა კაცს, რომელიც თითონ არა მსჯელობს და კეთილი გულის პატრონი კია, ძალიან ადვილად გადაჰქმნიან ბოროტათ. გრათი ძალიან გაჯავრდა. მაშ ამ შემთხვევითაც უნდა ესარგებლნათ ჩემი გულკეთილობითა? ჭეიქრობდა განრისხებული გრათი და მოურავს გულში საშინლად ემუქრებოდა.

შმეისი წავიდა დარწმუნებული, რომ მიზანს მიაღწია და გამარჯვებული თითონ დაჰჩა. ლაპარაკის გათაგებისას გრათი უფრო კარგათ ექცეოდა და წასვლის-წინ სიგარაც კი მისთავაზა.

გრათის სახლიდან რომ გადიოდა, შმეისი თავის თავზედ უწინდელზედ ეხლა უფრო მეტის აზრისა იყო და გარდა ამისა

ის აზრიც, რომ ეს არისტოკრატები თუმცა დიდი კაცები არიან, მაგრამ დიდი რეგვენებიც არიანო, ეს აზრი როგორღაც სასიამოვნოდ უღელვებდა გულსა და სიამოვნებას ჰგვრიდა.

## IV

ერთ დღეს გუსტავი სოფლის ქუჩაზედ კაპიტან შროფტს შეჰხვდა. კაპიტანი ცხენზედ იჯდა და საღლაც მიდიოდა.

— კარგი რომ შეგხვდით, ბიუტნერ! — მიუბრუნდა კაპიტანი გუსტავს. — მე თქვენსა ვაპირებდი შემოვლას. თქვენი საქმის შესახებ ამბები მომივიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, სასიამოვნოს კი ვერაფერს გეტყვით. გამომყეთ პატარას, თორემ ჩემ ცხენს ერთ ადგილს გაჩერება არ უყვარს.

გუსტავი ხმა ამოუღებლივ გაჰყვა კაპიტანსა, რომელმაც დაწყებული ლაპარაკი ისევ განაგრძო:

— გრაფმა უარი შემომითვალა. პირველად კი სრულიად დამეთანხმა და მე ჩვენ ვეჭილსაც მივანდე მიკიტანთან მოლაპარაკება. მაგრამ ამ რამდენიმე დღის წინად უცბად დეპეშით უარი შემომითვალა. რა უნდა მომხდარიყო იქ ამ ხნის განმავლობაში, თითონ ეშმაკიც ვერას გაიგებს! რაღაც ორი ათასი მარკა გრაფს, რასაკვირველია, არ დანანდებოდა! თქვენ როგორა გგონიათ, ბიუტნერ, რა უნდა მომხდარიყოს იქა?

გუსტავმაც არ იცოდა, რასაკვირველია, რამ შესცვალა ასე უცბათ გრაფის აზრი.

— მე იმ დღესვე მივწერე გრაფს მეორე წერილი, რადგან ეს საქმე ძალიან მაინტერესებს, მაგრამ მეტად მოკლე პასუხი მივიღე. გრაფი მწერს: მე თუ „არა“ მოგწერეთ, ეს სრულიად „ჰო“-ს არა ნიშნავსო. ახლა კი მე აღარაფერი შემძლიან. იძულებული ვარ გრაფის ბრძანება სავსებით შევასრულო. რაც უნდა მომხდარიყოს ბერლინში, შედეგი მაინც მეტად სამწუხაროა, მეტად!

ამ სიტყვებზედ კაპიტანი მოიღუშა და ნაღვლიანის სახით სივრცეში დაიწყო ცქერა.

— რა ეშმაკი აბრმავებს ამ დიდკაცებს! — წაიდუღუნა კაპიტანმა თავისთვის და სიბრაზით კბილები გააკრაჭუნა. ცხენმა უცბათ მოუსვენარი ბორბვა დაიწყო, კაპიტანი ისე გართულიყო, რომ თავისავე შეუჩნევლად აღვირი: ძლიერ მოეწია. მაგრამ გაიგო თუ არა ცხენს რაც აწუხებდა, იმ წუთსვე აღვირი მოუშვა.

— ტპრუ, ტპრუ! — ამშვიდებდა ცხენს კაპიტანი და გავაზედ ნაზად ხელს უსვამდა. — დიად, ეხლა კი ვედარაფერს გიშველით, ჩემო მეგობარო. მე კი აღარა შემძლიან რა და! მაგრამ გულახდილად გეტყვით, ამ საქმეს მე გულგრილად ვერ ვეკიდები. თქვენ მაინც შემატყობინეთ ხოლმე როგორ წავა თქვენი საქმე, გესმით? აბა, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

ამ სიტყვებზედ შროფთვა ოდნავ ამოუჭირა ცხენს დეზები. ცხენმა ლამაზი გოგმანით მხედარი სოფლის ქუჩისკენ გაიტაცა.

გუსტავმა მიმავალ მხედარს გულნაკლულად გადახედა. იმას უწინდებურად ეხლაც უყვარდა ცხენები და ეხლა, როდესაც გული და ჭკუა სულ სხვა ვარშითა და დარდით ჰქონდა სავსე, მაინც შურით უყურებდა კაპიტანს. ახალგაზდა ბიუტნერმა სოფლის ქუჩას თვალი ვედარ მოაშორა, სანამ მხედარი სოფლის შენობებს არ მოეფარა და იმის თვალიდან სრულიად არ მიიმალა. მერე მობრუნდა და სახლისკენ გასწია, რომ მამისთვისაც ეამბნა ცუდი ამბავი.

ახალგაზდა კაცი გულჩათუთქული მიდიოდა. კაპიტანის დანაპირებით გუსტავი კვლავ აღფრთოვანდა და კვლავ გამოცოცხლდა იმედებით. მომავლის გეგმებიც ცოტა არ შეადგინა. მაგრამ ეხლა უკანასკნელ წუთს კი ყველაფერი უნდა დაჰფუშოდა!

მოხუცზედ ამ ამბავმა არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა. იმას, ღვთის წინაშე, არც-კი ჰქონია იმედი, რომ საქმე კეთილათ დაგვირგვინდებოდა.

მოხუცმა კვლავ ჩაიხურა გული. ეხლა აღარავინ იცოდა ჰქონდა მოხუცს კიდევ რამის იმედი თუ არა. მალე სასამართლოს უწყებაც მოუტანეს ბიუტნერს, რომელშიაც საჯაროთ



გასყიდვის დღე იყო აღნიშნული, მაგრამ არც თუ ამან აღაშფოთა მოხუცი.

მამულში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ვერც კი ვერავინ შეამჩნევდა, თუ ამ სახლს შავი ბედი ყორანსავით ყოველ წუთს თავს დასჩხავოდა. გაზაფხულზედ ისევე შეუდგნენ ხენას, რომელსაც წინა წლებში კარლი კართოფილის კვალებზედ პატივს და ყანებზედ გათხელებულ, წყალში გათქვეფილ პატივს ეზიდებოდა. არავინ არა კითხულობდა—ვინ მომკიდა ყანებს და მოსავლით ვინ ისარგებლებდა. ყველა თავის საქმეს გაჩუმებული აკეთებდა. მინქანა ჯერ ისევ მოძრაობაში იყო და ხმაურობაც არ შეეწყვიტა. თუ ვისიმე უცხო ხელი სწვდება და გააჩერებს, მაშინ რაღა იქნება?

მოხუცი ჯიუტად ერიდებოდა ამ კითხვას და არც თუ სხვებს აძლევდა ნებას, რომ ამ საგანზედ ელაპარაკნათ. ერთხელ გუსტავმა რომ ჩამოაგდო ამ საგანზედ ლაპარაკი და ჰკითხა—ჩვენ რა დაგვემართება მამული რომ გაგვეყიდოსო, მოხუცმა „ქალაჩუნა“ უწოდა.

ამ საგანზედ ფიქრი კი ეხლა მეტად საჭირო იყო, რადგან საჯაროთ გასყიდვის დრო თან და თან ახლოვდებოდა. არავინ იცოდა მამულს ვინ იყიდდა და ახალი პატრონი ან მამულს, ან სახლს რას უზამდა და პატრონებს როგორ მოეპყრობოდა. იქნება გარეკონ კიდევ სახლიდან! ამის მოლოდინი, რაც უნდა იყვეს, უეჭველათ უნდა ჰქონოდათ. ერთ მშვენიერ დღეს ქუჩაში გაჩნდებიან უსახლკარონი და იქნება საგლახავოთაც გაუხდეთ საქმე.

გუსტავი სხვა კითხვებშიაც ბევრს ეკამათებოდა მოხუცს. ბიუტნერი თავისას არ იშლიდა და მამულზედ მაინც ფულებსა ხარჯავდა, თუმცა ფულის უქონლობა ოჯახს ყოველ ნაბიჯზედ ეტყობოდა. გუსტავი იმ აზრისა იყო, რომ მამულს აღარავითარი გაუმჯობესობა აღარ უნდა რადგან, სულ ერთია, ბიუტნერიანთ ოჯახი ამ მამულს ხელში ვეღარ შეიძინოსო. მოხუცი კი ჯიუტობდა და თითქოს გადაწყვეტილი აქვს, რაც შეიძლება მეტი ფული დავხარჯო მამულზეო, რაც კი ებადა,

ისევ იმას აყრიდა. გლეხმა ახალი გუთანი შეიძინა, გზები შეაკეთა, ბოსელს ჭერი შეუკეთა და საჯინბოს ახალი ჭერას დახურვას უპირებდა. ამან ხომ დიდი ალიაქოთი გამოიწვია მამასა და შვილს შორის.

ამგვარ დამოკიდებულებას ის შედეგი მოჰყვა, რომ გუსტავი უფრო ხშირათ მიდიოდა სახლიდან და უმეტეს ნაწილს სხვაგან ატარებდა. ყოველი დღე ნათლათ უმტკიცებდა, რომ ამ სახლში დარჩენა მეტად სამძაზო და თითქმის შეუძლებელი ჰხდებოდა მისთვის. რად უნდა დაუკავშიროს თავისი პედი მამისას, როდესაც მამა იქამდინ დაბერებულა, რომ ძნელათ თუ როდისმე მოიკრებს ჭკუასა? მშობლების სახლში დღით, დღე სევდა და ვარამი მატულობდა. მოხუცი თავისთვის განცალკევებული სცხოვრობდა. აგი ძაღლისავით დრო გამოშვებით გამოვარდებოდა ხოლმე თავის სოროდან და მზათ იყო შუაზედ გაეფათრა, ვინც ამ მყუდროების დარღვევას მოისურვებდა. მოხუცის დედაკაცი ხომ ტირილისა და ზერე-ქვერე ავათმყოფობის მეტს აღარას აკეთებდა. ტერეზა კარლს ეჩინარებოდა. ტონი გულგრილათ ელოდა ლოგინობას და ერნესტინა, რომელიც ასე ყმაწვილი გამხდარიყო ამგვარი სცენების მოწაშე, უფრო ეგოისტი და ფიცხი ჰხდებოდა. აი, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ გუსტავი სცდილობდა მამის ოჯახს მოშორებოდა, რომ მიწიერი ცხოვრება ჯოჯოხეთათ არ გადაჰქცევოდა. გუსტავი უფრო მეტ დროს პაულინასთან ატარებდა. პაულინასა და იმის ბიკუნას დედ-მამისა თუ ძმისა და დის მაგიერობა უნდა გაეწიათ მისთვის.

ქორწინების დრო ახლოვდებოდა და გუსტავი კი ჯერ უადგილოდ იყო. ხანდახან სხვა ქვეყანაში გადასახლებასაც კი აპირებდა ხოლმე. ამგვარი გადასახლების შედეგი ხომ ყოველ წუთს თვალ წინა ჰქონდა: ვინც კი წასულიყო გაღბენაუდან, ყველას ქონება შეეძინა და კაცად ქცეულიყო. განა სოფელში რამეს გააწყობს კაცი? სამშობლოში ყველაფერი მოწამლული იყო მისთვის და ამ უკანასკნელის დროის უბედურებების წყალობით ხომ ქირსავით შეზიზღდა გაღბენაუ. მაშ, მშვიდო-

ბით, გალბენაუ! დავიბერტყო ფერხთა მტვერი და ბედი უცხო მხარეს ვეძებო! მაგრამ სად? საითკენ გაემგზავროს? ქალაქში? მერე ვინ დაუდგება თავდებათ, რომ იქ უსათუოდ იშოვნის ადგილსა? ესეც რომ არ იყოს, ცოლითა და შვილით გამგზავრება ისე ადვილი არ არის, როგორც მარტო ხელი კაცისთვის: მარტო ხელ კაცს რა უნდა? ხურგზედ გუდა-ნაბადი მოიკიდოს და ხელში კეტი აილოს, მეტი არაფერია საჭირო! მაგრამ ეს სიძნელეც რომ არა ყოფილიყო, გუსტავი მეტად კარგი შვილი იყო და მოხუც მშობლებს ამ გასაჭირში თავს როგორ დაანებებდა? თავი დაანებოს ავთომყოფ დედას და მოხუც მამას, რომელიც გუშინ მსხვილი მესაკუთრე და შეძლებული გლეხი იყო და დღეს კი უსახლ-კაროთ და უბინაოთ რჩება? იმათი ცქერაც კი საბრალოსი იყო მისთვის! გუსტავს დიდ უბედურებათ მიაჩნდა ამ მდგომარეობაში მათი დატოვება.

სწორედ ამ დროს გუსტავს მომავლის იმედები გადაეშალა თვალ წინ.

\* \* \*

გუსტავმა უწინაც წაიკითხა გაზეთში, რომ ვილაც ციტვიცი, რომელიც „უფროს აგენტს“ უწოდებდა თავის თავს, ახალგაზდა კაცებსა და ქალებს დასავლეთ გერმანიაში სამუშაოთ გაგზავნას ჰპირდებოდა. მერე თავის ნაცნობებისაგანაც გაიგო, რომ ამ ციტვიცს მახლობელ ქალაქში მუშათა დასაქირავებელი კანტორაც კი გაეხსნა და სოფლიდან სოფელში დადის ამ მიზნითაო.

უწინ აქაურებს არც კი გაეგონათ, რომ საზაფხულოთ საქსონიაში დიდ ძალი მუშა ხალხი იგზავნებოდა. დასავლეთ გერმანიიდან გამოგზავნილ აგენტსაც პირველათ ჰხედავდნენ აქა. ჯერ აგენტი არც კი ჩამოსულიყო გალბენაუში, რომ გლეხები საქსონიაზედ საარაკო ამბებს მოუთხრობდნენ ერთი მეორეს. ამბობდნენ, ვინცკი წავიდა საქსონიაში სამუშაოთ, ერთი ზაფხულის განმავლობაში გაკეთდა და უზრუნველყოფილი შეიქნაო. ზოგი ილანძღებოდა და ამბობდა—ვაი იმას, ვინც მაგ

გაიძვერების ქსელეებში გაეზნის, იმას ყმობა მოელოს და არა გაკეთებაო.

გუსტავს ჯერ სალდათობის დროსვე ენახა ბერლინში საქსონიაში მიმავალ მუშა ხალხს ერთი სადგურიდან მეორეზედ როგორ ეზიდებოდნენ. ავეჯის გადასახიდ ურმებზედ ქალი და კაცი ჭერებნივით ეყარნენ ხოლმე და თითქმის თავებზედ ეწყობთ თავიანთ ბარგი-ბარხანა; ფეხით მიმავალებიც ბევრჯერ უნახავს, რომლებსაც საქონელსავით მიერეკებოდნენ ხოლმე ქუჩა-ქუჩა. მაგრამ ეს მუშები დაგლეჯილ-დაფლეთილი პოლონელები იყვნენ. გუსტავი ზიზლის მეტს არაფერს ჰგრძნობდა მათდამი და იმათში ჩარევას არა თუ არ იკარებდა, ვერც კი წარმოიდგენდა.

ერთხელ როგორღაც გუსტავმა ცეცხლის ჩამქრობი რაზმის შენობაზედ გაკრულ განცხადებას მოჰკრა თვალი. ამ ქალღლით კიტვიცის ჩამოსვლას აუწყებდნენ ხალხსა, რომელიც კაშელის სამიკიტნოში თურმე ჩამომხტარიყო და ახალგაზდობას მოსალაპარაკებლათ იქ იწვევდა.

გუსტავი საცოლოსთან მიდიოდა, მაგრამ გაჩერდა და რამდენჯერმე გულის ყურით წაიკითხა განცხადება. წავიდე და შევეკრა პირობით? არა, ეს არასოდეს არ მოხდება! როგორ შეუძლიანთ გამიბედონ და უნტერ-ოფიცერს ბიჭ-ბუჭებში ჩარევა შემომკადრონ? იქ წასვლა კი რა საკადრისია, მაგრამ რატო არ გავიგონო, რას ილაპარაკებს ეს ვილაც კიტვიცია? იმის ყურის გდება ხომ მე არაფერ მოვალეობას არ დამდებს?!

სამიკიტნოს შორიდანვე რაღაც არჩვეულებრივი სიცოცხლე და მოძრაობა ეტყობოდა. ზოგი მდიოდა, ზოგი უკან ბრუნდებოდა. სამიკიტნოს შესავალში ახალგაზდა ბიჭები გაჩერებულიყვნენ, პირში სიგარები ჩაეჩართ, ხელები ჯიბეებში ჩაეწყობთ და სამიკიტნოში მომავალ გოგოებს მასხარათ იგდებდნენ. გუსტავიც ამ ჯგუფს შეუერთდა, რადგან სამიკიტნოში შესვლისა ჯერ ისევ რცხვენოდა.

ამ ჯგუფში მყოფი ბიჭები იგინებოდნენ და ილანძლებოდნენ. ჩიოდნენ, რომ ეს ვილაც კიტვიცია სოფლის გოგოები



სულ ერთიანათ გადაგვირიაო. რაებს არა ჰპირდება, რა საკვირველ მოქმედებას არ უამბობს საქსონიის შესახებ! ზოგი იმოდენათ გაიტაცა, რომ მზათ არიან ხელშეკრულობაზედ ეხლავ მოუწერონ ხელიო. მაგრამ ის მარტო ახალგაზდებსა და ლამაზებს არჩევს და ქმრიანებს იწუნებს. მარტო ამაზედაც ეტყობა რა ცუდი და რა საზიზლარი მიზანი უნდა ჰქონდეს ამ ვაჟბატონსაო. რას არ ამბობდნენ და რა არ ელანდებოდათ აღშფოთებულ ბიჭებს. ერთმა აუწყა—მე ამას წინათ გახეთში წავიკითხე—ბოლოს სად ამოჰყოფენ ხოლმე ამისთანა გოგოები თავსა და რა იღბალი მოეღობათ.

გუსტავმა კაი ხანი იტრიალა ამ ჯგუფში, რაცა სთქვეს, ყველაფერი მოისმინა და მერე გამოაცხადა—ცუდი არ იქნებოდა ჩვენც შევესულიყავით სამიკიტნოში და გვენახა როგორ აკეთებს ეს ვაჟბატონი თავის საქმესაო. თუ რამე უსინდისობა შევატყუთ, მაშინ ხომ აქედან გაძევებასაც მოვახერხებთო.

ახალგაზდობიდან ზოგი გაჰყვა გუსტავს და ზოგი ისევ შესავალში დარჩა სალაყბოთ.

დიდი დარბაზი გაქედილი იყო ხალხით.

შესავლის პირდაპირ მაგიდა იდგა, რომელზედაც ქალაღი და საწერ-კალამი ელაგა. ამ მაგიდას მოსჯდომოდა ციტვიცი, მაგიდას ირგვლივ ახალგაზდები თუ ხნიერი ხალხი შემოსხდომოდა. გოგოები უფრო კედლებს გაჰკროდნენ; როგორც ეტყობოდათ, ძალიან დარცხვენილნი იყვნენ და წინ გამოსვლას ვერც ერთი ვერა ჰბედავდა.

„უფროსი აგენტი“ სასიამოვნო სახის და წაბლის ფერ წვერიანი ვაჟკაცი იყო; ტანზედ მიხაკის ფერი ტანთსაცმელი ეცვა. მისი მსხვილი, შავი და მკვირცხლი თვალები ნება-უნებურად ყველას ყურადღებას იპყრობდნენ.

გუსტავი რომ შევიდა, ციტვიცი, ვილაც ორ ახალგაზდასამხედრო ქუდებიან კაცს ელაპარაკებოდა. გუსტავმა შეხედა თუ არა, შეამჩნია, რომ ეს ორი ახალგაზდა აქაურები არ იყვნენ. ისინი ეუბნებოდნენ ციტვიცს, რომ შრომის ფასს ძალიან ცოტას იძლევიან და მაგისტრის ვერე შორს გადახვეწა არა ღირსო.



თუ სიმშლით სიკვდილი მოგველის, ბარემ აქვე დავიხოცნეთ, მუშაობა მაინც არ დაგვკირდებაო.

აგენტი ერთსაც ყურს უგდებდა და მეორესაც და არც ერთს სიტყვას არ აწყვეტინებდა. ის გულგრილად იჯდა მაგიდასთან და, როგორც ეტყობოდა, დარწმუნებული იყო გამარჯვებაში. ის მხოლოდ აქეთ-იქით იყურებოდა და ზოგიერთ პირებს ათვალიერებდა.

ორ უცხო-ყმაწვილს გალბენაუელი ბიჭებიც მიემატნენ. რასაც თქვენა გვირდებით, ის საცხოვრებლათაც არ გვეყოფა არამც თუ შევინახოთ რამე საჭიროდ თუ სალხინოთაო, ეუბნებოდნენ ისინიც. თუ აგრეა, ისევ შინ დავრჩეთ და ცალიერი პური ვჭამოთო.

ესლა კი წამოდგა ციტვიცი და მოლაპარაკეთა გუნდს შიუახლოვდა, მერე ერთ მოლაპარაკეს წინ გაჩერდა და დაეკითხა: თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, აქრომ დარჩეთ, რა ხელუფასს აიღებთ?—ახალგაზდა ბიჭი დაიბნა, ჯერ ვერა მოახერხებდა. მაგრამ ბოლოს მაინც დაასახელა რასაც აიღებდა. მაგრამ სხვები არ დაეთანხმნენ და უმტკიცებდნენ, რომ მაგდენს არავინ მოგცემს აქაო. ამას დიდი ლაპარაკი და კამათი მოჰყვა. ციტვიცი მედიდურის ღიმილით ყურს უგდებდა მოლაპარაკეთა და ჯერ პასუხს არავის არ აძლევდა. მერე კი ახალგაზდა ბიჭის დაბნეული ლაპარაკით ისე ისარგებლა და ისე აიგდო მასხარათ, რომ სხვებიც აჰყენნენ და დარცხვენილი გლეხი ყველამ აბუჩად აიგდო.

მაგრამ სიცილს მალე დაანება თავი და დამსწრეთ პატარა სიტყვით მიჰმართა.—ცოტა ნდობაა საჭირო, ცოტა! მე მეგობრად მოვსულვარ და არა მტრად! მე ძალიან კარგად ვიცი, რა გაჭირვებაშიც არის საწყალი გლეხობა. მე თითონ მუშათა წოდებიდანა ვარ გამოსული და თუ კაცად ვიქვეც, მხოლოდ წემი შრომის მაღლიერი უნდა ვიყო.

ეს კაცი მეტის-მეტ კეთილ კაცადა სჩანდა, სიტყვაში თუ მიხვრა-მოხვრაში რალაც პატიოსანი და მართალი გრძნობა ეხატებოდა; ამ თვისების წყალობით ციტვიცმა ლარიბთა გული უცბათ მოიგო.

დამსწრე გლეხობის უმეტესი ნაწილი დღიური მუშები და უმიწა-წყლო გლეხები იყვნენ, რომელნიც დღესა თუ ღამეს წვითა და დაგვიან ატარებდნენ. იმათში ორი მათხოვარიც ერია. რაღა თქმა უნდა, რომ უმეტესი ნაწილი დროს გასატარებლად იყო აქ შემოსული.

სამიკიტნოში თავმოყრილი ხალხი ბევრსა სვამდა, ყვიროდა და ლაპარაკობდა. დახლს კაშელი მოსდგომოდა, რომელიც ღარიბებისაგან თუ მდიდრებისაგან ერთნაირის სიხარულით და სიამოვნებით იღებდა გროშებს. „პატარა საქონელიც პატივს იძლევაო“, ფილოსოფიურად მსჯელობდა მიკიტანი. რიხარდი მაგიდებს შორის დამჯვებოდა, ცალიერ ჭიქებს ალაგებდა, სავსეები მოჭქონდა და ფულებს ჰკრებავდა. დამსწრეთ წამოქარხლებულ სახეზედ და ხმა-მალალ ლაპარაკზედ ცხადათ ეტყობოდათ, რომ ბევრნი დამთვრალიყვნენ კიდევ.

ამასობაში ციტვიცი დარბაზის მეორე კუთხეში გავიდა, საცა ჭუკებსავით ახალგაზდა გოგოები მიკუნჭულაყვნენ და შემკრთალნი აქეთ-იქით იყურებოდნენ. აგენტი მიუახლოვდა და ტკბილის სიტყვებით თუ აღერსიანის ცქერით სცდილობდა გოგოები შეეჩვია და იმათი ნდობა მოეპოვა. ის აღტაცებული უქებდა თავის პირობებს. იმისი ქება-დიდება ქალების ყაირათობის კოდნით იყო გამოანგარიშებული. უმეტეს ნაწილს შემოდგომისთვის სამასი მარკა მოაქვს ხოლმე შინა, მაგრამ მისეთიც ბევრი ვიცი, რომელთაც ხუთას მარკაზედ ნაკლები არ მოუგროვებია ერთი ზაფხულის განმავლობაში. ბევრმა ერთი ზაფხულის მუშაობით მშვენიერი მზრთვეიც გაიწყა.

გოგოები ძალიან კოტას ლაპარაკობდნენ, მაგრამ სახეზედ ნათლად ეტყობოდათ, რომ მზათ იყვნენ ეხლავე ხელი მოეწერათ ხელშეკრულობისთვის და უცნობ კაცს საცა უნდოდა, იქ გაჰყოლოდნენ. პირველად გუსტავი თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა იმას, რაც აქა ხდებოდა. იმან მხოლოდ ციტვიცის ხელშეკრულობა გულდადებით წაიკითხა. ამ ქალაქისთვის ხელი ჯერ არავის მოეწერა. გუსტავი გულგრილათ აქეთ-იქით იყურებოდა, მაგრამ იმ კუთხისკენ კი რომ გაიხედა,

საცა გოგოები მიკუნქულიყვენენ, მთლად განცვიფრდა და გაშტერდა — გოგოებს შორის თავის და ერნესტინაც დაინახა. სხვა გოგოებთან ერთათ ის წინა რიგში ჩამჯდარიყო და ციტვიცის ლაპარაკს გაფაციცებით ყურს უგდებდა. ნუ თუ ესეც აპირებს იქითკენ გამგზავრებას? გუსტავი მივიდა და აგენტს ზურგს უკან ამოუდგა: იმას უნდოდა გაეგონა, აგენტი გოგოებს რას ეუბნებოდა და რაებს ჰპირდებოდა.

სწორედ ამ დროს ციტვიცი საქსონიაში ცხოვრებას უწერდა გოგოებს. ისინი ყველანი ერთათ იცხოვრებდნენ დიდ სახლებში, რომლებსაც იქ კაზარმებს უწოდებდნენ. მარტო ლოგინი და ტანთსაცმელი უნდა წამოიღონ თანა, თორემ დანარჩენი ყველაფერი მზა-მზარეული დახვდებათ. ყოველ გვარ სანოვანს მზას მიიღებენ, მხოლოდ დილით, სამუშაოზედ მოსვლის წინ, ყველამ თავისი ქოთანნი უნდა შესდგას ცეცხლზედ: ერთ ერთი გოგო შინ დარჩება და ცეცხლსა თუ ქოთნებს თვალყურს ადევნებს. საღამოობით სრული თავისუფალნი იქნებით, ისევე, როგორც ყოველ უქმე დღესა.

ეს კაცი ისეთის ფერადის სურათებით ჰხატავდა იქაურ ცხოვრებას, რომ ადვილად გაიტაცებდა ყველას. მერე იქაურ სამუშაოზედაც დაიწყო ლაპარაკი. იქაური სამუშაო ძალიან მსუბუქია და იმ მუშაობასთან შედარებით, რომელსაც აქ ეწევიან ქალები, თითქმის ხუმრობათ და დროს გატარებათ უნდა ჩაითვალოსო. იმათ ჭარხალი უნდა შემოთოხნონ და გამარგლონ ხოლმე, მერე მოკრეფის დროს კონებათ შეჰკრან, შემოდგომაზედ კი კარტოფილს უნდა მოუარონ, ეს არის და ეს, პეტი არაფერი! იქ უსუფთაო საქმე, გულ ამრევი სამუშაო არაფერი არ იქნება, მაგალითად: პატივის ზიდვა, მიწის თხრა, ლეწვა, ძროხების მოწველა ან ფარცხვა და სხ. ამნაირი სამუშაო აქა აქვთ ქალებს და იქ კი — არასოდეს. სამუშაო უმეტეს ნაწილად ნამუშავარის თვლით დაფასდება და ამიტომ მუშებს ზედამხედველი არავინ ეყოლებათ, სრული თავისუფლები იქნებიან. ამაზედ კეთესი რაღა იქნება? შემოდგომაზედ კი გახარებულნი და ფულიანები ისევე შინ დაბრუნდებიან.

ციტვიცი ამაზედ გაჩერდა. იმან ისე გაიტაცა გოგოები, რომ ისინი მზათ იყვნენ იმ წუთსვე დასთანხმებოდნენ.

მაგრამ გუსტავმა წინ გადმოსდგა ფეხი და გამოაცხადა, რამდენიმე კითხვის მოცემა მინდაო.

— თუ ღმერთი გწამთ!—მიუგო ციტვიცმა.— მე სწორედ იმიტომ ჩამოველი აქა, რომ ყოველ კითხვაზედ პასუხი მოგიგოთ. რასაც მეტსა მკითხავთ, მით უფრო მაღლიერი დაგრჩებით.

ეს სიტყვები თუმცა დიდის ზრდილობითა და სიამოვნებითა სთქვა ციტვიცმა, გუსტავს კი მაინც ეჭვის თვალით გადახედა.

— აი ჩვენ ყველამ გავიგონეთ აქა,—უფრო ვაყებს მიუბრუნდა გუსტავი ვიდრე ქალებს,—რა ჩინებული ქვეყანა ყოფილა ის მხარე, საცა ეს ბატონი გვიწვევს ყველას.

აქ კი გამოუცდელ გუსტავს ენა დაება: ბევრ ლაპარაკს, მერე ასეთ პირობებში, გუსტავი სრულიად არ იყო ჩვეული. ერთი წუთით სულ დაებნა აზრები.

ეს არის, ვეღარას ვიტყვი!—გაიფიქრა გულში გუსტავმა, მაგრამ მალე მოიკრიბა აზრები და ისევ განაგრძო:

— ჩვენ ყველას გვინდა იმ ბედნიერი კუთხის ნახვა. მაგრამ სანამ ხელშეკრულობაზედ ხელს მოვაწერდე და იქ წასვლას გავბედავდე, მე ერთი რამე მინდა გავიგო: რატომ იქაური ახალგაზდობა არ მიდის სამუშაოთ და მშვენიერ შემოსავალს სხვებს რად უთმობს? ან იქნება იქ სრულიად აღარ არის მუშა ხელი? ეს ხომ დაუჯერებელი ამბავი იქნებოდა.

დამსწრენი სმენათ გადიქცნენ. ვაყებმა მოლაპარაკეს თანაგრძობა გამოუცხადეს. საქმე ხათელ დღესავით აშკარა იყო. ბიუტნერი მართალს ამბობს! საკვირველია, რატო იქაურები არ სარგებლობენ ამ ჩინებული პირობებით.

ციტვიცმა მხრები შეიშმუშნა და ჩაიციინა. იმას, თითქოს გუსტავის სიტყვების ხუმრობით გადაქცევა უნდოდა, რომ კითხვაზედ პასუხის მიცემა როგორმე თავიდან აეცდინა.



— მეგობრებო! — დაიძახა ბოლოს ციტვიცმა, — თქვენ კი არ გეგონოთ, რომ იქაც ასე იყოს ყველაფერი მოწყობილი, როგორც აქა. იქ სულ სხვა გახლავთ...

ამას მოაყოლა იქაური ნოყიერი ნიადაგის ამბავი. იქ მიწას სულ სხვანაირად ამუშავებენ, ისე, რომ დიდ ძალი მუშა ხელი უნდება იქაურ მეურნეობას. რასაკვირველია, რომ ადგილობრივი მუშა ხელი არა ჰყოფნით და მესაკუთრენი იძულებულნი არიან სხვა ქვეყნებშიც იქირაონ მუშები.

მაგრამ ამ სიტყვებმა სასურველი შთაბეჭდილება ვერ მოახდინეს დამსწრე საზოგადოებაზე. იქნება ეს კაცი ძალიან ქვიანურათაც ლაპარაკობს, მაგრამ გუსტავის კითხვამდ მაინც პირდაპირი პასუხი ვერ მისცა ხალხსა. ალბათ, აქ რაღაცა იფარება!

გუსტავმა სწორედ დამსწრე საზოგადოების აზრი გამოსთქვა, როცა დაეკითხა ციტვიცს: — იქნება იქაური ახალგაზღობა მეტად აზიზად არის აღზრდილი და იმ სამუშაოს არა კადრულობს და მესაკუთრენი იძულებულნი არიან შორს ქვეყნებში ეძებონ მუშებიო?

აგენტმა აუხსნა, რომ იქ საზოგადოდ ხალხი უფრო შეძლებულია, ვიდრე აქაო. ბევრნი მეურნეობას თავს ანებებენ და ქალაქებში მიდიანო.

— ნახეთ, ძმებო! — დაიყვირა გუსტავმა. — განა ვცდებოდით? ჩვენ თურმე ის საქმე უნდა ვაკეთოთ, რაც იქაურებს არ მოსწონთ. ჩვენ ისეთ სამუშაოზედ გვიწვევენ, რასაც იქაურები დამამცირებლად სთვლიან თავიანთთვის. მაგრამ მაგგვარ სამუშაოს ხომ არც ჩვენ ვიკადრებთ, სხვებს არც ჩვენ დაუვარდებით.

ამ სიტყვებით გუსტავმა მიიხედ-მოიხედა, თითქოს დამსწრე საზოგადოებას რაღაცას ეკითხებაო. ვაჟები ვაშას უძახდნენ და მეგობარს ამხნევებდნენ. ციტვიცმა შეატყო, საქმე ცუდათ მიდისო და ხმა აამალლა; ის მხოლოდ ერთსა სთხოვდა, რომ მოთმინება ექონიათ და მოესმინათ, რადგან ყველაფერს ადვილად აუხსნის ამ საათში. მაგრამ ყურს აღარავინ უგდებდა,



ყველა ხმაურობდა და ილანძვებოდა. რა, ვინა ჰგონია ამ ვაჟბატონს გალბენაუელები? სულელებათ გვიგულებს, თუ როგორ არის ამის საქმე?—იძახოდნენ ყველანი. ჩვენ აგრე ადვილად ვერავენ მოგვატყუილებს. „რალაც ქსელებს გვიგებენ, ვერა ჰხედავთ?“—წამოიძახა ვილაცამ.

ირგვლივ ამისთანა ლაპარაკი ისმოდა. წინათ თუ ვერა ჰხედავდნენ თავიანთ აზრის აშკარად გამოთქმას, ეხლა აღარავინ ერიდებოდა. ციტვიცი კი, როგორც ეტყობოდა, საქმეს წაგებულად როდი სთვლიდა; ის ხან ვის გააჩერებდა, ხან ვისა, ხმას იმალდებდა, ჯავრობდა, მაგრამ ველარაფერი ჰშველოდა. ვერ იქნა და საქმე ველარას გზით ველარ გასწორდა. ყოველმა შრომამ ფუჭათ ჩაუარა, რადგან აღარავის სჯეროდა იმისი ლაპარაკი. რაკი ერთხელ ეჭვი დაებადა ამ უბრალო, გაუნათლებელ ხალხს, ეხლა რაც უნდა პრტყელ-პრტყელი სიტყვები ეთქვათ, მაინც ველარას გახდებოდნენ.

წელან თუ ვინმე აპირებდა ხელშეკრულობის ხელის მოწერას, ეხლა ამას ველარავინ გაჰხედავდა, რადგან ყველას ეშინოდა თანამემამულეებმა მასხარად არ ამიგდონო. გოგოები ნელ-ნელა გალაგდნენ სამიკიტნოდან: ეშინოდათ ჩხუბიც არ ატეხილიყო აქა.

ბოლოს ციტვიცმა თავისი ქალღლები მოჰკრიბა და სადღაც გაჰქრა.

\* \* \*

ვაჟები ჯერ კიდევ იცდიდნენ და სამიკიტნოდან წასვლას არ ეჩქარებოდნენ. გუსტავი ამ დღის გმირი იყო. ეს გრძნობა მისთვის ახალი, ჯერეთ უცნობი იყო. იმის გრძნობამ, რომ თანამომხმეებმა დააფასეს, საკუთარი ღირსების პატივისცემა ჩაუნერგა გულში. ეს ამბავი სრულად მოულოდნელად მოხდა და ამგვარ შედეგს არასგზით არ ელოდა გუსტავი. ციტვიცის პრტყელ-პრტყელ სიტყვებმა უცბათ გამოიყვანა გუსტავი მოთმინებიდან და ათქმევინა ის, რაც სრულ ჭეშმარიტებად მიაჩნდა: რასაკვირველია, ქება-ღიდების და გმირობის იმედი სრულიად არა ჰქონია. იმას თითონვე გაუკვირდა თავის გამარჯვებისა.

მაგრამ ის ყურადღება, რომელიც იმან ასე უცბათ დაიმსახურა, მეტად სასიამოვნო და ტკბილი იყო, იქამდის ტკბილი და სასიამოვნო იყო, რომ გულს ნეტარის გრძნობით უთბობდა და თავმოყვარეობას უღვიძებდა. დამსწრენი კი ისე იქცეოდნენ, რომ ამ გრძნობას უფრო უორკეცებდნენ—ისინი გამარჯვებას დღესასწაულობდნენ და თავი მოჰქონდათ, რომ ციტვიცს საჩუღამოდ საქმე გაეუფუჭეთო.

— მაშ რა ეგონა!—ისმოდა ირგვლივ.

ეს ამბავი თითქოს მეორედ ხდებოდა; ათასჯერ იმეორებდნენ ერთსა და იმავეს, უმატებდნენ ბევრს იმისთანა რამეს, რასაც ნამდვილად ადგილი არა ჰქონდა სამიკიტნოში. არყის ბოთლი ხელიდან ხელში გადადიოდა. მალე ლუდიც მოითხოვეს; ხან ერთი უმასპინძლდებოდა მეგობრებს, ხან მეორე.

გუსტავსაც დასჭირდა ფულის ამოყაჭვა, ისიც გაუმასპინძლდა ამხანაგებს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც თავისი სიამოვნება და შურისძიება არ დაავიწყდა.—მან უბრძანა, ლუდი და არაყი თითო ჭიქით ეზიდნათ და მეტის-მეტად სტკებოდა, როცა რიხარდ კაშელი ცეცხლ წაკიდებულსავით დარბოდა და ხან ვის მისთავაზებდა ლუდს, ხან ვისა. დახლს იქით ეხლა ოტილიაც გამოჩნდა. ის ჩუმად კატასავით შესცქნაჲოდა თავის ბიძაშვილს და მოღრეცილი პირით უღიმოდა. გუსტავმა ჭიქა აიღო ხელში, ოტილიას ანიშნა შენ სადღეგრძელოსა ვსვამო და ხმა მალლა დაუყვირა:

— შენი სილამაზის გამარჯვებისა იყოს!..

ამ სადღეგრძელოს პასუხათ ხალხში საშინელი სიცილ-ხარხარი გაისმა და ნაწყენი ოტილია მალე მიიმალა. ამ სიცილ-ხარხარის დროს ვილაც უცნობი კაცი შემოვიდა სამიკიტნოში. ტანთსაცმელი მგზავრი ხელოსნისა ეცვა, ზურგზედ ტყავის გუდა ეკიდა და ხელში ჯოხი ეჭირა.

— გამარჯობა, ძმაო:—მიესალმა ერთი დამსწრეთაგანი, რომელიც ოდესღაც სოფლიდან სოფელში თითონაც დაწოწიალებდა და ამგვარი ხელოსნების ენა და ზნე-ჩვეულებები კარგათ შეესწავლა.

— გაგიმარჯოს, ძმაო! — უპასუხა ახალ შემოსულმა მგზავრმა.

— რას აკეთებ, მეგობარო!

— იქნება გგონია, სხვის კარებებს ვცვითავდე? არა, ჩემო ძმაო, ჩემ მშობლებს მეტად პატიოსანი სისხლი უღით ძარღვებში მაგ ხელობისთვის მომეკიდა ხელი.

— კეთილშობილება კი ცოტა გეტყობა, ჩემო ძმაო და! იქნება გაგიჭირდა საქმე და ქვის ტომარაში ჩაძვერი?!..

— მე ჩაფიქვრი ქვის ტომარაში? ეგ ამბავი ჩემ ღღეში არ მომხდომია და არც მომიხდება! ჩემი ქალაღდება მე მუდამ თანა მაქვს. გინდა გაჩვენო?

— იქნება ჯაშუში ხარ! შენ ქალაღდებას თავი დაანებე და ერთი ეს გვითხარი, ჩვენთან ერთად ვერ გადახუხავ?

— რასკვირველია, ცუდი არ იქნებოდა, რომ ბუხარი ჩაგვეწმინდა. თქვენ რაღასაც ღღესასწაულობთ, როგორც გიტყობათ.

— გზაში უსათუოდ დიდი ხანია, რაც პირში არა გდებია რა.

— გზაში მუდამ ქეიფი როდი შეიძლება. ტანტსაცმელიც გამიცვლა, აგერ წაღებიც საქმელს ითხოვენ და სუფთა პერანგი სამი კვირა მეტია არა მცმია.

— მაშ ნება მომეცი დაგპატიყო, მეგობარო!

— მე წინააღმდეგი არაფერი მაქვს!

— მაშ აბა მიირთვი!

— შენი საღღეგრძელო იყოს, კაცობრიობის მეგობარო!

ამასობაში გუსტავი დიდის ყურადღებით ათვალღერებდა ახლად შემოსულს, რა ჰქნას, თითქო საღღაც უნახავს. დასწყევლოს ღმერთმა... ნუ თუ ეს ის არის?... ხელს მოვიჭრი, ეს თუ გეშკე არ არის. გეშკე, ჩემი ამხანავი. ერთ ნაწილში ვმსახურობდით და რა დამეპართა, რომ ვერ ვიცანი. მართალია, ძალიან გამოცვლილა — წვერი ამოსვლია და მაწანწალასავით აცვია, მაგრამ მკვირცხლ თვალეზზედ როგორ არ უნდა მეცნო.

— გეშკე, კარლ! — დაიყვირა უცბათ გუსტავმა და ახლათ გაცნობილთ ლაპარაკი შეაწყვეტინა.

ხელოსანმა მოიხედა.

— ბიუტნერი! დასწყევლოს ეშმაკმა! ბიუტნერი, გუსტავი?

— ერთი ქიქა ლუდი კიდევ, ჩემი ამხანაგისთვის, აბა ჩქარა!— დაუყვირა გუსტავმა და პირი დახლისკენ მიიბრუნა.

ამას ცხარე ლაპარაკი მოჰყვა—ერთიც ეკითხებოდა და მეორეც. არ იცოდნენ რომელს ეამბნა თავისი ცხოვრება. აგერ სამ წელიწად ნახევარია, რაც ერთმანეთს არ უნახავთ. გეშკემ გაათავა თუ არა სამსახური, შინ წავიდა და გუსტავი კი კიდევ დარჩა სამსახურში.

გუსტავმა ამხანაგი გვერდით მოისვა და სთხოვდა დაწვრილებით ეამბნა რაც გადახდენოდა ამ სამ წლი-ნახევრის განმავლობაში. გაათავა თუ არა სამსახური, მაშინვე თავის სამშობლო საქონიაში წავიდა. რაკი ხელობით მქედელი იყო, ჯერ ერთ კაცს დაუდგა, მაგრამ იმასთან მალე უსიამოვნობა მოუვიდა და სამსახურს თავი დაანება. მაშინ წავიდა და ამნაირი წოწილით თითქმის მთელი გერმანია მოიარა. ვესტფალიაში ცოტა ხანი არ დარჩა ერთი გომბიოს გამო. იქ ერთ ქარხანაში დადგა, მაგრამ მუშების შეთქმულობა დაიწყო და იძულებული შეიქნა ჯოხი აეღო და ისევ სამგზავროდ წასულიყო. ზამთარი პოზნანში გაატარა, შაქრის ქარხანაში ცეცხლის აპნთების თანამდებობა ებარა. ახლა კი ისევ ცასა და დედამიწის შუა დარჩა უადგილოდ.

ბიუტნერი გეშკეს კაი მეგობარი იყო. იმათ ერთათ გაატარეს სალდათობის პირველი თვეები, როცა ერთ ოთახში სცხოვრობდნენ. ბიუტნერმა მალე მიიღო აღმატება, იმას ეფრეიტორობა მისცეს და გეშკე თუმცა უბრალო სალდათათ დარჩა, მეგობრობა მაინც არ შეუწყვეტნიათ. გეშკე ყველასთვის საყვარელი ამხანაგი იყო, თუმცა მთავრობას ენა-ქარტალობისთვის და ქარაფუტობისთვის არ უყვარდა. მაგრამ ბუნებრივი ენა-მახვილობა და გამჭრიახობა ამხანაგების თვალში მეტ ფასსა სდებდა გეშკეს.

ეხლა ყველაფერი გაიცხოველეს, მოიგონეს საყვარელი უფროსი და თავიანთი თავგადასავალი. აღლუმების დროს რაც გადახდენოდან, ყველაფერი დაწვრილებით უამბეს ერთმანეთს.



რალა თქმა უნდა, რომ გეშევე გუსტავის სტუმარი იყო. გაიგონა თუ არა გუსტავმა, რომ ამხანაგს დღეს არაფერი უჭამიაო, იმ საათში უბრძანა პური, კარაქი და ძეხვი მოერთმიათ.

სადილს უკან დრო ასე გაატარეს.

ჩამოზინდებამ ყველას მოაგონა, რომ დრო იყო სახლებში წასულიყვნენ. გუსტავს გულში ეშინოდა, ვაი თუ დანახარჯი ბევრი გადამახდევინონო; მაგრამ არ უნდოდა ვისმეს შეენიშნა მისთვის ამის აზრი. პირიქით; კაშელებს ისე აჩვენებს თავსა, ვითომც რამდენიმე მარკა იმისთვის არაფერია. ამ აზრით გუსტავმა უბრძანა, ყველასთვის თითო არაყი კიდევ მოეტანათ, რომ „პირი გამოერეცხათ“.

სამიკიტნოდან რომ გამოვიდნენ, გეშევე გუსტავს გაჰყვა. როცა მარტონი დარჩნენ, ხელოსანმა ჩივილი დაიწყო: ორი კვირა მეტია ხეირიან ლოგონში არა ვწოლილვარ. უკანასკნელი გროშები ღამის გათევაში მივეცი ერთ სამიკიტნოში, ტანთსაცმელი ზედ შემომეგლიჯა და ცუდი ფეხსაცმელისაგან ხომ ფეხები დამემტვრაო. მართლაც საშინლათ იყო გეშევე დაგლეჯილ-დაფლეთილი. მერე დაეკითხა მეგობარს: ძველი მეგობრობის წყალობით ხომ არას მასესხებ. ცოტაოდენი ფული რომ მაშოვნინა, შინ რკინის გზით წავადლოდი, როგორც თითონ ამბობდა „ცეცხლის ცხენს შევახტებოდი“ და როცა ჩავიდოდი, ვალს იქიდან გამოვეზავნდიო.

გუსტავს ისედაც აწუხებდა სინიღისი, რომ დღეს ბევრი ფული დავხარჯეო. ეხლა თუ მისცემდა რამეს, იმ ფულისთვის უნდა დაეკლო, რომელიც საქორწილოთ ჰქონდა გადადებული. გაჭირებაში მყოფი ამხანაგი ძალიან ებრალებოდა, მაგრამ რას იზამდა? გუსტავი თუმცა შეზარხოშებული იყო, მსჯელობა მაინც შეეძლო და ამიტომ აუხსნა ამხანაგს, რომ დახმარებას ვერასგზით ვერ გაგიწევ, რადგან მე თითონ გაჭირვებაში ვაროდა ესეც რომ არ იყოს, ამ მოკლე ხანში ქორწინებასაც ვაპირებო.

მაშინ გეშევემ სთხოვა, თავშესაფარი მაინც მომეცი, რომ რამდენიმე დღე დავყო აქა და ცოტა შევიხვენო. ამ ხნის



განმავლობაში ტანთსაცმელს დავიკერებ, დაიარავებულ ფეხებს მოვირჩენ და ისევ ჩემს გზას გავუდგებო.

ამის უარს კი გუსტავი ვერას გზით ვერ ეტყოდა. მამის სახლში საამისო ადგილი კიდევ მოიძებნებოდა. მერე გეშეკეც არწმუნებდა, რომ საცა უნდა მოეთავსებინათ, ის დიდათ მადლიერი და კმაყოფილი დარჩებოდა—იატაკზედ იქნება, საბძელში თუ თივაზედ,—სულ ერთია. გუსტავი კი ლოგინსაც დაჰპირდა.

ასე ამ გვარად, გუსტავმა ეს უცნობი კაცი მამის ოჯახში მიიყვანა. შინ როცა მივიდა, ოჯახი ვახშობდა, გუსტავი გადაკრული იყო და ამიტომ ენა ჩვეულებრივ დაბმული არა ჰქონდა. იმან ბევრი მიჩმახ-მოჩმახა, უცნობი კაცი როგორც კარგი მეგობარი და ამხანაგი გააცნო და გამოაცხადა, რომ იმის ძველ ამხანაგს თავშესაფარი უჭირს და ის მოვალეა თავისთან იყოლიოს ჯერ ჯერობით. ქალები წვეროსან მგზავრს განცვიფრებულნი შესცქეროდნენ. უცნობი კაცი ოდნავ მბრუნებულ პრაქის სინათლეზედ საიმედო კაცს ვერა ჰგავდა. მოხუცმა არა სთქვა-რა, ის ისე იყო ჩახურული, რომ ჯიუტ სიჩუმიდან ვერას გზით ვერ გამოიყვანდნენ. უწინ გააფთრებულ ლომსავით ეცემოდა იმას, ვინც ამისთანა მაწანწალის მიყვანას გაჰბედავდა სახლში, მაგრამ ეხლა ამისთვის სულ ერთი იყო. არც თუ დედას ეჭაშნიკა მოულოდნელი სტუმარი, მაგრამ შვილის შიშით კრინტი არ დაუძრავს—შვილის წყენას ერიდებოდა. ტერეზამ პირველმა ამოიღო ხმა. გუსტავი რომ დაეკითხა: სტუმარი სად უნდა მოვათავსოთო, რძალმა მიუგო: სალორეში ერთი თავისუფალი ადგილი კიდევ არის და იქ თუ დააძინებ შენს მეგობარსაო. როცა ტერეზას ქმარი დაუკვირდა ამ სიტყვებს და იმათი იღუმალნი აზრი გაიგო, მეტად მოეწონა ცოლის მახვილი პასუხი და ისეთი ხარხარი მორთო, რომ კაცს ეგონებოდა, ამ ხარხარს აღარასოდეს აღარ გაათავებსო. გუსტავი მთლათ გაფითრდა სიბრაზით.

— თუ აგრეა, მაშ, გეშეკე ჩემ ლოგინში დაიძინებს!—გა-

მოაცხადა გუსტავმა.—დეე ნურავინ გამკიცხავს, რომ ამხანაგი ქუჩაში გააგდო, წამომყე, გეშკე!

— შენ სადღა დაიძინებ, შვილო?—ალერსიანათ დაეკითხა დედა, როცა დაინახა, რომ შვილი თავის სიტყვების გამართლებას აპირებდა.

— მე ჩემ ადგილს ვიპოვნე, დედილო!—მიუგო გუსტავმა.

მართლაც გალბენაუში იყო ისეთი ადგილი, ისეთი სახლი, სადაც გუსტავი დღისით თუ ღამით ძვირფასი და სასურველი სტუმარი იყო.

ივ. ზალუმბარდგინოვი.

(შემდეგი იქნება).



„Ваше сіятельство! Вы вступили уже въ границы того обширнаго края, который Высочайше ввѣренъ просвѣщенно — попечительному управленію Вашему. Да благословитъ-же Богъ и начало вашего вступленія въ этотъ край и дальнѣйшее служеніе Ваше Великому престолу для благоденствія столько тысячъ народовъ и войскъ съ восторженностью Васъ ожидающихъ. И всегда славными, всегда доблестными подвигами да радуете сердце Царя!“

„თქვენო ბრწყინვალეზავ! უკვე დაადგით ფეხი საზღვარს იმ ვრცელის ქვეყნისას, რომელიც თქვენს განათლებულს ზრუნვასა და გამგეობას მიენდო უმადლესად. დეე, აკურთხოს ღმერთმან თქვენი ამ ქვეყნად მობრძანებაცა და დიდებულ ტახტის წინაშე შემდგომი სამსახურიც იმ მრავალ ათასოვან ერისა და მხედრობის სადღეგრძელოდ, რომელიც ასე აღტაცებით მოგელისთ. ახარეთ მუდამ გული მეფისა მარადის სახელოვანისა და ქველის ღვაწლითა!“

პოეტ-სარდალმა უჩვენა მთავარ-მართველს ხალხი; ჯარი, ადგილები... მერე გამოაცილა ბაქომდის და გამოისტუმრა ქალაქისკენ. ამავე დღეს აფრინა ქალაქისკენვე წერილი. „ჩემო საყვარელო ძმაო ყაფლან! მოდის თქვენკენ მთავარ-მართველი კნიაზი ბარიათინსკი, კაცი ღვთისაგან დალოცვილი, სრული ყოვლის ფრით: გულით, გონებით, კეთილ განმზრახველობით. — მოდის დიდის სიყვარულით, დიდის სურვილით საქართველოს გაბედნიერებისათვის. ღმერთმან მისცეს შემწეობა თვისი და სიცოცხლე აღსრულებისათვის ყოვლისა მის, რაიცა მიაგებო თავის პლანებიდამ. ხელმწიფესა და თვით ღმერთსა ჰყვარებია საქართველო, რომ ეს კაცი გამოგზავნეს აქა მთავარ-მართველად. აბა რაც შეგეძლოსთ, მხიარულებით მოეგებენით: ზურნით, ნალარით, ცხენის ქენებით, ყიჟინით, ყვირილით, ვინც როგორ იცოდეთ ისე მოეგებენით, სულ ბაირალებით!.. გეთაყვანე, ჩემო ყაფლან, შენებურად წინ მოეგებე ცხენით ბარამჯიბილსავით. ბიძია ალექსანდრეს შეეხვეჩემ მაგიერ, რომ წამოვიდეს მოსაგებებლად ლაზათიანის დასტითა. აბა ძმებო, ვინძლო გამახაროთ თქვენის კარგად გამოჩენითა. მე იმიტომ გწერთ, რომ ვიცოი რაც ამბავია. — გიერ

ნიკო თუ მანდ იყოს, მაშინვე გააგდე კახეთში, რომ მთლად ყმაწვილ-კაცობა მოჰგლიჯოს კახეთისა და მიეგებოს მთავარ-მართებელსა ყანწებიტა, ქვევრების ახლიტა, მარნებიტა. თუ ასე არ გიქნიათ, იკოდუთ ჩემი მტერი იქნებით და თქვენის თავისაცა.“\*)

თბილისში თ. ბარიათინსკის თან მოჰყვა განცხრომა, ლხინი, დღესასწაულები, ბალები, ტანცაობა, ნადირობა, წვეულება... ქალაქისთვის ნამდვილი მეორე იმპერიის ბრწყინვალე დღეები დაადგა. ორბელიანი დაბარებულ იქნა საქმის გამო თბილისში და როდესაც დაბრუნდა შურას; დიდის აღტაცებით აუწერდა ქალაქის ყოფას ბარონ ნიკოლაის (ლენინს): თავის დღეში ქალაქი ასე მხიარული და ხმიანი არა ყოფილა. ამ განცხრომასთან ახალი მთავარ-მართებელი დიდი საქმის კაციც იყო, დიდი პლანების მექანი. თუ ყველა იმისი ჰაზრი ასრულდებოდა ჩვენი ქვეყანა ძლიერ წინ წავიდოდა! წიგნის ბოლოს ის სწერდა საიდუმლოდ ბარიათინსკის განზრახვას: დაეყენებინა 80 ბატალიონი სპარსეთის სამზღვარზე და დახმარებოდა შაჰს, თუ ინგლისი არ დაანებებდა თავს სპარსეთთან ბრძოლას. ვინ იცის მაშინ როგორ დატრიალდებოდა საქმე. ვინ იცის რით გათავდებოდა ინდოეთის მხვედრი!

Баронъ, тогда прочь вьючные сундуки, дагестанскія скалы, чеченскіе лѣса! Войдемъ сражаться на слонахъ, подобно героямъ баснословной поэмы „Караманіани“! სწერდა ის ამავე წერილში.\*\*)

1857 წელს ორბელიანმა „კახეთის სისხლი აიღო“! იმან რამდენჯერმე დაამარცხა სალათავიაში შამილის ჯარი, „თიბათვეში ამოველ ჯარითა სალათავიაში,—სწერდა პოეტი ყაფლან ორბელიანს—სადაცა ვაშენებ ციხესა. შამილიც იყო აქ დიდის ჯარითა, ქურდსავით ტყეში იდგა და რამდენჯერაც გამოვიდა ტყილამ, იმდენჯერ დაამარცხებული ცხვირ-პირ-ჩამტვრეული

\*\*) წერილი 22 თქტ. 1856 წ.

\*) 13 მარტ. 1857 წ.

შირბოდა. 24 ივნისს ვეება ხევი ავაესე იმათის დახოცილებითა; ორნი ნაიბნი და მრავალნი მწიგნობარნი ყადიები სულ შტიკებზე ავაგებინე. იმ დღეს ოთხასზე მეტი დაიხოცა იმათი. 27 მკათათვესა კიდევ დამარცხდა, მრავალი დახოცეს, 44 ტყვე და ერთი ბაირილი წავართვით; ამის გარდა 29 მკათათვესა კიდევ დამარცხდა, 250 მოუკლეს, 70 დავიჭირეთ და კიდევ ამის გარდა 1 აგვისტოს დავამარცხეთ და 12 დავიჭირეთ და ბევრი დახოცეს. დღეგრძელობა შენ გქონდეს, რომ შე ისინი დათესავით ვალრიალე და კახეთის სისხლი ავიღე!“

წ. ოკლომბერს ორბელიანმა აიღო უკანასკნელი ძალა შამილისა სალათავაში, ბურთუნაი. ამ სოფლის გასამაგრებლად შამილმა მოიხმარა მთელი თვისი ვეება ჯარი და მართლა დიდათაც გაამაგრა ციხე: სამ საჟენზე მეტი თხრილი ჰქონდა შემოვლებული გარშემო სოფელსა და მასზედ დაწყობილი იყო გოდორყუები მიწითა და ქვებით ავსილი, მაგრამ ორბელიანმა ისეთი დრო უპოვა მტერსა და მარჯვედ მიიტანა იერიში, რომ ციხის აღებას 14 დაჭრილი სალდათით მორჩა. ერთი დღე რომ დაეგვიანა, ციხის აღება შეუძლებელი იყო, რადგანაც მეორე დღეს შვიდის ნაიბის ჯარები უნდა მოსულიყო ადგილის გარნიზონად. გამარჯვების შემდეგ პოეტი სწერდა დიმიტრი ჯორჯაძეს: „მზე ამოვიდა ბრწყინვალედ; შე მეჩითის ბანზედ ვსვამდი ჩაისა; ბარაბანსჩიკები უკრავდნენ ახალს აღებულს ციხეში ფარსა, როდესაც გამოჩნდნენ მურყუდის ჯარები გუმბეთის გზაზედ და შენ იფიქრე იმათი პირდაღებით გაოცება, რო სრულებით მოულოდნელად ნახეს რუსის ჯარი ბურთუნაიაში... შამილსაგან აშენებულს ციხეში მყუდროდ და მოსვენებით. ჰსდგას ჩვენი სამი ბატალიონი ოთხის ზარბაზნით.“\*)

ბურთუნაის და გარშემო ადგილების აღებისათვის ორბელიანს მიეცა გენერალ-ადიუტანტობა (10 ნოემბ. 1857). ბარიათინსკიმ მიულოცა იმას ხელმწიფის წყალობა და თავი-

\*) წერილი 6 ოქტ. 1857 წ.



სი ექსელბანტები გაუგზავნა. ის სწერდა პოეტს ერთს შემდეგს წერილში:

„Вы не даёте мнѣ рѣшительно опомниться, почтеннѣйшій князь Григорій Дмитріевичъ, и оглушаете насъ, почти всякій день громомъ блистательныхъ и рѣшительныхъ побѣдъ Вашихъ... Завтра съ фельдъшеремъ отправляю Ваше донесеніе къ Государю Императору, который безсомнѣнно обрадованъ будетъ успѣхомъ новаго своего генерала-адъютанта!\*)“.

„აღარ მაცდით თითქმის გონს მოვიდევ, უპატივცემულესო თავადო-გრაიგოლ დიმიტრის ძევ, ისე თავსბრუს მხვევა თითქმის ყოველდღე თქვენის ბრწყინვალე და ჩანებულ გამარჯვებათა გრგვინვა ქუხილით... ხვალ ვატან თქვენს მოხსენებას ფელდსგერემს ხელმწიფე იმპერატორისათვის წარსადგენად, რომელიც, ეჭვი არ არის, მოხარული იქნება თავის ახალგენერალ-ადიუტანტის წარმატებისა.“

სალათავიას აღება მით უფრო სასიამოვნო იყო მთავარ-მართველისთვის, რომ ეს შეადგენდა მის პლანს. დაღესტნის ომი ერთობ დიდხანს გაგრძელდა, ერთობ ძვირად უღირდარუსეთს, რომ ეხლა, როდესაც აღმოსავლეთის ომი გათავდა, არ ეხმარა იმას სრული თვისი ღონე და მეცადინეობა — ბოლო მოეღო შამილის ძლიერებისთვის. ამ განზრახვით დანიშნეს თუ არა თ. ბარიათინსკი მთავარ-მართველად, იმან შეადგინა ახალი პლანი აღმოსავლეთის კავკასიის დაპყრობისა. ამ პლანით შამილის დამორჩილებას სამ გვარის საშვალეობით უნდა შესდგომოდა რუსეთის ჯარი: უნდა უფრო მჭიდროდ გარშემორტყმოდა იგი იმ საზოგადოებათ, რომელნიც შამილის მომხრენი იყვნენ; უნდა აეღო სალათავია და აუხი, როგორც საიმედო ბაზისი მტრებთან ბოძოლისათვის, და დასასრულ უნდა დასცემოდა შამილს ერთსა და იმავე დროს სამის მხრით. ამ პლანის ასრულებაში მოყვანამ მართლა დასცა შამილი. 25 აგვისტოს 1859 წ. დაღესტნის გმირი თითონ გამოცხადდა ბარიათინსკის ბანაკში და დანებდა ხელმწიფე იმპერატორის სულ-გრძელობას მთელი თვისის ერთგულის მიუხრდენითა და ამალით.

ბურთუნაის ალების შემდეგ ორბელიანს დიდი ხანი არ დასცლია დაღესტანში. 1858 წლის დამდეგს თ. ბარიათინსკიმ გადმოიყვანა იგი ქალაქს და დანიშნა კავკასიის მთავარ-მართებლის რჩევის თავმჯდომარეთ. ამასთან, როცა მთავარ-მართებელი არ იქნებოდა ქალაქს, იმას უნდა აისრულებინათ თვით ხელმწიფის-ნაცვლის თანამდებობაც. ორი წლის შემდეგ სულ ყველა ამ თანამდებობასთან ორბელიანი დანიშნეს თბილისის გენერალ-გუბერნატორად. ცოტ-ცოტად მოთმინებაში, შრომაში, ერთგულმა და პატიოსანმა სამსახურმა გრ. ორბელიანი მიიყვანეს სასამსახურო იერარხიის უმაღლეს ხარისხამდე. ეხლა კი მართლა შეეძლო ეთქვა ყაფლანს: ზურაბიანნი წავიდნენ წინაო!

პოეტის დაღესტანიდამ გადმოყვანის მიზეზად შემდეგს შემთხვევას ასახელებენ. ახლად დაწესებულ ქუთაისის საგენერალ-გუბერნატოროში ბარიათინსკის უნდოდა დაენიშნა გენერალ-ადიუტანტი ბარონი ვრანგელი, რომელიც პეტერბურგში იყო იმ ჟამად. ეს ბარიათინსკის სურვილი ხელმწიფე იმპერატორმაც იცოდა. ვრანგელმა, ბევრის ფიქრის შემდეგ, უარი შემოუთვალა მთავარ-მართებელს ამ ადგილზე. ამის ბარათი მოუვიდა თ. ბარიათინსკის სწორედ მაშინ, როდესაც ის ემზადებოდა თეატრში წასასვლელად. თეატრში, პირველის აქტის შემდეგ, როდესაც მთავარ-მართებლის ლოჟაში შეკრბა ჩაიზე ქალაქის მაღალი საზოგადოება, დიდი ბატონი მთავარ-მართებელი მიუბრუნდა იქ მყოფს გიორგი რომანოზის ძეს ერისთავს და უთხრა: კნიაზო გიორგი, მე თქვენ გნიშნავთ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად. იმედი მაქვს, გაამართლებთ ჩემს თქვენდამი ნდობას.“ დანიშვნას მილოცვა მოჰყვა, მილოცვას ქუთაისში წასვლა და თანამდებობაში შესვლა... ამ დღის შემდეგ კარგი ხანი რომ გავიდა, ერთხელ ხელმწიფე-იმპერატორს, როცა ის დასეირნობდა ნევის პირად, შემოეყარა ბარონი ვრანგელი.

— როგორ! ბარონ, თქვენ კიდევ აქა ხართ! რა კარგს იზამდით, რომ ჩქარა წახვიდოდეთ კავკასიაში და უშველიდეთ თ. ბარიათინსკისა.

ხელმწიფის სურვილი ქვეშევრდომთათვის ბრძანება არის. ბარონმა მაშინვე შეიკრა ბარგი და წამოვიდა კავკასიაში, რადგანაც პეტერბურგში არ იცოდნენ ერისთვის დანიშნვა. რა უნდა ექნა ბარიათინსკის? ერთის მხრით მისი დიდკაცური სიტყვა და დანიშნვა იყო, რომელსაც ის ვერ უმტყუნებდა, მეორეს მხრით ხელმწიფის ბრძანება. მაშინ ვრანგელისთვის შესაფერი ადგილი რომ მიეცა, ბარიათინსკიმ დაღესტნიდამ გადმოიყვანა თბილისს ზრ. ორბელიანი და ვრანგელი დანიშნა კასპის ზღვის ახლო ადგილებზე მყოფის ჯარების სარდლათ.

ასე ამ გვარად გათავდა გრ. ორბელიანის დაღესტანში მსახურება და მისი სამხედრო კარიერა. დაწვლილებით აღწერა მისის ხანგრძლივის სამხედრო სამსახურისა ჩვენ არც გვექონია აქ სახეში და არც შეგვეძლო იმ მცირე მასალების საშუალებით, რომელიც ჩვენს ხელთ იყო. ჩვენ მხოლოდ ჩამოვთვალეთ პოეტის სხვა და სხვა თანამდებობა, აღვნიშნეთ ადგილები, საცა უომნია იმას, ვუჩვენეთ რა ქვეყნებში და რა ხალხებში ყოფილა იგი თვისის ორმოცის წლის თითქმის ლავრად ცხოვრების განმავლობაში და თითო ორ-ორი სიტყვა ვთქვით ყველა ამ ადგილებზე და თანამდებობაზე. ჩვენ შეგვეძლო მოგვეყვანა აქ არა ერთი განკარგულება და დარიგება ორბელიანისა, როგორც სარდლისა, რომელიც დაგვანახებდა მის გონიერებას, მაგრამ მოვერიდეთ დეტალების მოყვანას, რომ ტყულა-უბრალოდ არ დაგვემძიმებინა საზოგადო ცხოვრების აღწერა პოეტისა.

ვათავებთ რა ამ სამხედრო სამსახურზე ლაპარაკს, არ შეგვიძლია არ შევჩერდეთ ერთს გარემოებაზე. პოეტის მიწერ-მოწერიდამ სჩანს, რომ ორბელიანი დაღესტანში მსახურების დროს დიდი გულ-ფიცხი კაცი ყოფილა, რომელსაც არად მიაჩნდა კაცის-კვლა, სოფლის აკლება, ხალხის გადასახლება. რამდენად ამართლებდა ამ გვარს მისს საქციელს გარემოება და რამდენად მართალია თითონ სიმკაცრე, რომელზედაც ამბობს პოეტი? თუ გახსოვთ, ერთ დროს ის სწერდა თვის ძმას ზაქარიას ავარიიდან: „მე მხოლოდ ერთი გზა მაქვს ხალხის

შეძინებისა—მოწყალება, მას უკან სიმართლედ და ამათ ჩვეულებებისამებრ ქცევა და სამართალი“. იმ კაცს, რომელსაც ესეთი დევიზი დაუდევს თავის თავისთვის, შეიძლება, ბევრი რამ შეეგმთხვეს ცხოვრებაში, მეტადრე ომის დროს, მაგრამ იმას მის დღეში არ დაეძახება უგულო, უღმერთო, უმოწყალო. პირაქით, როცა ის დანიშნეს შურაში ნაცვლად არგუთინსკისა, რომელიც დიდათ ფიცხელი კაცი თურმე იყო, პოეტს უსაყვედურეს მისი გულ-ჩხვილობა, ხასიათის სისუსტე და გააგონეს, რომ ლეკების მორჯულება ამ გვარის კაცთ-მოყვარეობით შეუძლებელი იყო. პოეტმა მაშინ პასუხად ეს უთხრა: „ორ გვარად შეიძლება ველური ცხენის დაურვება: მათრახ-დებითა და მოფერებით. ღმერთმა იცის რომელი სა-შუალება უკეთესიაო!“. ან რათ იქნებოდა უწყალო ჯერ ქართველი და მერე პოეტი! მხოლოდ ომის მოთხოვნისთვის ამასაც პასუხი უნდა გაეცა და საცა საჭირო იყო, მათრახიც ეხმარა და თავებიც ექრევივინებინა. მაშ რა უნდა ექნა? ხომ ის სარდალი იყო, ხომ იმის გარშემო მტერი იდგა და მტრის ტყვიას გაჰქონდა მის ბანაკში კაცის სიცოცხლედ? ერთმა დიდად განათლებულმა და ენა-მახვილმა გუმანისტმა, ჩემმა მეგობარმა, რუსული გაზეთის ნარედაქტორალმა; მითხრა ერთ დღეს თბილისში: „ხომ ხედავ ამ მშვენიერს ქალაქის სახლის შენობას? როცა ქალაქის თავად ამომირჩევენ, მაშინვე ძირს დავცემ ამ მავრიტანულ გუმბათს. ისტორია მაშ რათა გვაქვს თუ მტრებს მოყვრად ვაფიხდით და ქრისტიანენი მაჰმადიანებს დავესესხებით თუნდ ჩუქურთმასა, თუნდ სახლს?“ ეს უბრალო მოსაზრება არ უნდა დაივიწყონ იმ პირთ, რომელნიც განიკითხვენ ორბელიანს.

ორბელიანის დაღესტანში ყოფნის აღწერის დასასრულს მოვიგონოთ ისიც, თუ რა გვარად ექცევოდა პოეტი მის ხელქვეით მყოფ ქართველ აფიცრებს.

ერთხელ, ახალ-ჩამოდამებულზე პოეტ-სარდალმა მოულოდნელად ყაზარმები გასჩხრიკა. ქართული მილიციის სადგურ-



ში მთავარ-სარდალმა ნახა, რომ ჩვენი აფიცრები მოსხდომოდნენ სტოლს და ასონანს თამაშობდნენ.

— შეიღებო, რატომ არაფერს აკეთებთ? ან იკითხეთ რამე, ან სწერეთ, ან პოდრიადი აიღეთ და მოიგეთ რამე. როგორ არა გრცხვენიათ სულ ქალაღდი, ქალაღდი!

— რა ვქნათ, თქვენი ჭირიშე, ჩვენ პოდრიადს ვინ გვადირსებს, თორემ გაქვთ სიცოცხლე ჩვენ მუშაობა არ დავიზაროთ.

— რატომ არ მოგცემთ, შეიღო, ოღონდ კი იმუშავეთ! მომიცია: შენთვის აგურის მოტანა, შენთვის—ქვიშა, შენთვის კირი. აბა ვნახოთ როგორ გაამართლებთ თქვენს სიტყვას და მეც არ შემარცხვენთ.

თქმა იყო და ბრძანების გაცემა.

ამას შემდეგ გავიდა ერთი თვე და გრიგოლმა ხელ-ახლა გასჩხრიკა ყაზარმები. ჩვენი ნაცნობი აფიცრები ისევ იმ სტოლს გარშემო უსხდნენ და ქალაღდს თამაშობდნენ. გრიგოლის ოთახში შესვლა ვერავინ შენიშნა.

— ჩამოვდივარ ერთ ურემ ქვიშას, დაიძახა ერთმა.

— აჰა, ეს ერთი ურემი კირიც, დაუმატა მეორემ.

— აი, ეს ურემი აგურიც, ხმა ჰყო მესამემ.

პოეტმა რა გაიგონა, სიცილი მოერია და გაჯავრებული დაბრუნდა თავის სადგომში.

„არა გვაქვს პოდრიადობის და ვაქრობის ლაზათი, ჩვენი საქმე არ არისო“—იტყოდა ამ შემთხვევის მომგონე განსვენებული პოეტი.

## ❖ ❖

„თანამდებობა ჩემი ჰრის მშვიდობიანი, უშფოთველი, უზრუნველი, სავსე ამოცების ცხოვრებითა, რომელსაცა ვერ შევჩვეულვარ აქამომდის და იქნება ვერცა სიკვდილამდის შევეჩვიო“,—სწერდა პოეტი, ქალაქში გადმოყვანის შემდეგ,



თვის ძველ მეგობარს და სეკრეტარს დიმიტრი ჯორჯაძეს \*). ძნელიც იყო, მართლა, ამ ახალი ამაოებით საესე ცხოვრების შეჩვევა. განა თუ საქმე არ ჰქონდა მთავარ-მართველის რჩევის თავ-მჯდომარეს, გარნა ეს ისეთი საქმე იყო, რომელიც თითონ ქალაქში კეთდებოდა, რომელსაც არც ექსპედიცია უნდოდა, არც მთა-ტყე სირბილი, არც თოფ-იარაღი, არც სისხლის ღვრა. წმიდად, ლამაზად ჩაცმა, გალაქულის წაღებით და ფაეტონით „სოვეტში“ მისვლა, მშვენიერად მორთულ სასახლეში წითელ მაუდს გარშემო განცხრომით სხდომა და მოხელეებთან ბაასი, ქალაქლების წერა და ხელის მოწერა, მერე მთხოვნელების მიღება, ვიზიტი, თეატრი, ბალი—აი როგორი ცხოვრება მოჰყვა იმ შიშით და გაჭივრებით საესე ცხოვრებას, რომელსაც თვისი სპეციფიური გემო და სიამოვნება ჰქონდა, რომელიც თითონ პოეტმან ასეთის ხელოვნებით ასწერა ერთს თვისს, ზემოთ-მოყვანილს დღიურში.

პირველსავე ხანებში ორბელიანს შეხვდა დიდ მთავრებთან შოგზაურობა თბილისიდან ბაქომდის. ვის არ გაუგონია რა დიდებით მიიღო ამ წელს თ. ბარიათინსკიმ დიდნი თავადნი: ნიკოლოზ და მიხაილ ნიკილოზის-ძენი? სხვას რომ თავი დაეანებოთ, იმან რომ ნადირობა გუმართა ყარაიასში დიდ სტუმრებს, ნამდვილ საარაკო იყო. ამ დღისთვის თბილისში არ დარჩენილა არც ცხენი, არც ფაეტონი. მთელი ქალაქი იქ იყო. დიდი მთავრები რომ მიუახლოვდნენ ყარაიასს, შვიდ ვერსზე მოეგება იმათ მამუკა ორბელიანი, ამ დღეობის გამგე, მთელის ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობით, თათრებით, ქურთებით, თუშებით, ხევსურებით. ყარაიასში მთელი ქალაქი გაშენდა კარვებისა, მშვენიერის ხალიჩებითა და მუთაქებით მორთული, არაფერი არ აკლდა ამ საარაკოდ მიწიდან ამოსულ ქალაქს: არც ქუჩები, ფარნებით განათებული, არც სალონები, არც ხალები, საცა მეფის წულმა ბარბარემ და პოეტის რძალმა წარუდგინეს დიდ-მთავრებს ზოგიერთა თბილისის მანდი-

\*) წერ ლი 13 აპრ. 1853.

ლოსნები, არც უცხო ქვეყნების წარმომადგენელი, არც ტან-ცაობა, არც სიმღერა, არც თეატრი, საოცარი მელოდია ვერდის შესანიშნავი ოპერისა „რიგოლეტო“ ხელად აშენებულს თეატრში დიდ ხეებ-ქვეშ, საგანგებოდ მოსულის მორთულ-მოკმაზულ პუბლიკის დასწრებით... ამის მსგავსი წარმოდგენა, მგონი, არასოდეს ეხილოს ამ უკვდავ ოპერას... თითონ ბარიათინსკი ავადმყოფობის გამო ვერ წავიდა ყარაიას და მის მაგიერად დიდ-მთავრებს ახლდა გრიგოლ ორბელიანი. ნადირობის შემდეგ ეს უკანასკნელ სწერდა მთავარ-მართველს:

Могу успокоить Ваше Сіательство, что все было въ превосходномъ видѣ; даже самыя темныя рѣчи старика—Эристова, котораго не могли удержать никакія просьбы мои отъ страсти къ рѣчамъ, много веселили великихъ князей!“\*).

შემიძლიან დაგამშვიდოთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, რომ ყველაფერმა ჩინებულად ჩაიარა; თვით მოხუცებულ-ერისათვის ყოვლად გაუგებარმა სიტყვებმაც-კი, —რომელმაც არ შეისმინა არავითარი ჩემი თხოვნა და არ დასთმო თვისი სიტყვები, —ბევრი ამზიარულეს დიდი მთავრები.

ყარაითდამ მუხროვანით, თელავით, ზაქათალით და შემახიით გრ. ორბელიანმა მოაცილა დიდი მთავრები ბაქოს და აქედამ დერბენდით, შურით, ბურთუნაით და ჩირ-იურთით გაისტუმრა რუსეთს. მალე წავიდა რუსეთს თვით თ. ბარიათინსკიც და იმის თანამდებობის აღმასრულებლად დარჩა კავკასიაში გრიგოლ დიმიტრიჩი.

შამილი მიწურულზე იყო და ბარიათინსკი ორ-სამ კვირაზე მეტს არ დარჩენილა პეტერბურგს. გამოსვლის წინადის სწერდა ორბელიანს სატახტო ქალაქილამ:

Государь Императоръ былъ весьма милостивъ и внимателень ко всѣмъ моимъ представленіямъ и съ особеннымъ удовольствіемъ говорилъ о Васъ. Его Величество приказалъ мнѣ передать вамъ свое желаніе видѣть васъ въ Петербургѣ ко дню совершеннолѣтія наслѣдника Цесаревича“

\*) წერილი 14 სექტ. 1858.

„დიდის მოწყალებითა და ყურადღებით მოეპყრა ხელმწიფე იმპერატორი ყველა ჩემს წარდგენილებასა და განსაკუთრებულის სიამოვნებით საუბრობდა თქვენ შესახებ. მიბრძანა მისმა უდიდებულესობამ გადმოგცეთ, რომ ჰსურს მემკვადრე ცესაჩევიჩის სრულ წლოვანობის დღეს პეტერბურგში გიხილოს.“

მაღე ბარიათინსკიც დაბრუნდა. „ჩემი ნამესტნიკობაც დასრულდა! ეჰ, ორი დღე ხომ ვიყავ, ესეც კმარა თავმოწონებისათვის“, სწერდა ის თავის დიმიტრის.

ბარიათინსკი პირ-და-პირ დაღესტანში მივიდა და ორბელიანიც აიყარა პეტერბურგს წასასვლელად. შორი გზა სიარული და სამასი თუმანი ვალი, რომელიც იმან აიღო სამგზავროდ, არაფრად მოსწონდა იმას, მაგრამ ხელმწიფის სურვილს გარეშე მისი ფიქრი და ჰაზრი არ არსებობდა. აგვისტოს დამდეგს 1859-ს ის წავიდა რუსეთს პირ-და-პირ ატრიადიდამ, ახალის ამბებითა ხელმწიფის მოსახსენებლად. აგვისტოს დამდეგს შამილიც დაეცა და შესანიშნავი პატიმარი გაამგზავრეს პეტერბურგს. „იმპერატორმა, იმპერატრიცამ, ველიკი კნიაზებმა და მათმა ცოლებმა მიმიღეს დიდის მოწყალებით, დიდის აღერსით, ასე რომ თითქოს მე ვიყავ ვილაც მათი შინაურთაგანი. ველიკი კნიაზები ხშირად წამიყვანდნენ სადილად ისე სერთუკით; მათი ცოლები მიჩვენებდნენ პატარას თავიანთ შვილებს სააღერსოდ და როგორც ნათესავნი ისე გამომესალმნო\*—სწერდა ის დიმიტრი ჯორჯაძეს. შამილის შეპყრობამ დიდი სიხარული გამოიწვია პეტერბურგში. ნევის პროსპექტის მალაზიები გაივსო თურმე ბარიათინსკის და შამილის პროტრეტებით. ბევრს უხაროდა პირველის ძღვევით შემოსევა. „შამილი გავიცან პეტერბურგში—სწერდა ორბელიანი იმავე წერილში,—კარგი დარბაისელი კაცი ყოფილა, მაგრამ, ძალიან გაოცებული იყო ყოველითა მით, რასაც ჰხედავდა. მითხრა: კნიაზო, დიდათ ვსწუხავარ, რომ ვერ ვნახე თქვენი ნათესავნი ქალები, რომ ბოდში მომეთხოვაო; ახლა ვხედავ რასაც ნაკლულეევანებაშიაც იყვნენ ისინი, მაგ-

\*) წერილი 31 ოქტ.

რამ როგორ მოვიფიქრებდი, რომ კაცები ასე განცხრომით სცხოვრობდნენ, როგორც აქაო. დიდის სიმწარით მიაბმო, რომ მილალატეს ყოველთა მათ, ვინც იყვნენ დაახლოვებულნი ჩემთან და ვინც ჩემს მფარველობას ქვეშე და ჩემის მოწყალებით სცხოვრობდნენო. იმათვე ამიკლეს სრულებით ასე რომ ეს თეთრი ჩოხა ბარიათინსკიმ მიწყალობაო“.

ოქტომბრის დამლევს ორბელიანი დაბრუნდა კავკასიაში მღეთის დაშვებაზე. ჩვენ, შეძლებისაებრ, არა ეპიზოდს, არა მოგონებას, რაც უნდა უმნიშვნელ იყოს ის, არ ვტოვებთ პოეტის შესახებ. იმას შემოეყარა გზაზე რამდენიმე ჩვენენებური ყმაწვილი კაცი რუსეთში გამგზავრებულნი და, სხვათა შორის, მყოფადი ავტორი „კაცია-ადამიანისა“ და „განდეგილისა“. „გრიგოლი ფეხით მოდიოდა, — გვიამბო ამან — ჩვეულებრივად ზურგს უკან ხელებ შემოწყობილი, პირ მლიმარე, დაფიქრებული; დაშორებით მოსდევდა იმას ნელის ნაბიჯით ეკიპაჟი. ჩვენ რომ დავინახეთ პოეტი თვისის ელემენტით, კავკასიის მთებით და ღრუბლით გარშემოზღუდვილი, აღტაცებული ვთქვით ერთმანერთში: სწორედ ეხლა, ამ დამშვიდებულ გულზე, ლექსს რასმე უწერს. ამ მშვენიერს ბუნებასო! დასწერა მაშინ რამე ლექსი თუ არა, არ ვიცვი, მაგრამ ის კი ვიცით, რომ როდესაც დუშეთს პლატონ იოსელიანს გამოუყარა და ეს არ დაუხვდა შინ, კარებზე დაუწერა ქართველთა რიტორს:

„გირაკუნე და არ გამიღე კარია,  
„მწყუროდა და არ მასვი ჩაია.“

იოსელიანმა, როგორც ამბობენ, შემდეგში ამ წარწერას რამკა გაუკეთა.

1859-ს, შამილის რუსეთში გაგზავნის შემდეგ, თავ. ბარიათინსკიც წავიდა პეტერბურგს და ორბელიანი ხელ-ახლა დარჩა კავკასიაში მთავარ-მართველის მოვალეობის აღმასრულებლად. ბარიათინსკის ამ დროს მისცეს ფელოდ-მარშლობა და მილოცვის წიგნზე გრიგოლ ორბელიანს მოსწერა, სხვათა შორის,



ხელმწიფის ბრძანება, რომ 25 აგვისტო ილდესასწაულებოდეს ყოველ-წლივ აღმოსავლეთის კავკასიის დამორჩილების სახსოვრად და ისეც, რომ კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარეს წარედგინა მასთან მოხსენება ტრიუფალურის ბჭეების აღმართვაზე ქ. თბილისში.

ამ მოგზაურობიდან მთავარ-მართველი დაბრუნდა კავკასიის ცოტას ხნით, სანამ ავადმყოფობა არ აიძულებდა იმას ხელ-ახლა და დიდის ხნით დაეტოვებინა ჩვენი მხარე. იმაზე აღრე წავიდა კავკასიიდან შტაბის უფროსი მილიუტინი, რომელიც სამხედრო მინისტრის ამხანაგად დანიშნა რუსეთში. „მთავარ-მართველი მობრძანდა ვლადიკავკაზიად, —სწერდა ამ შემთხვევაში ორბელიანი თ. ლევან მელიქოეს —და ჩვეულებრივ გაიმართა პრიომები და აეატრები და მეცა რაც კი შემძლიან ვეხახუნები აქა-იქ. —მილიუტინი გავაცილეთ დიდის ყოფით. — აბა რეჩები იყო, რომ აქ ითქვა! არამც თუ აქა ღუშეთშიაც წამოიძახა პლატონმა:

Жители Душета, столь знаменательнаго въ исторической жизни Кавказа...

კიდევ:

Въ судьбѣ Кавказа, въ дѣлахъ кавказской Илиады читается судьба Душета.“

„ერთი მიბრძანეთ, ეს ჩვენს წიტიანს ღუშეთზე ამბობს თუ სხვა ღუშეთიც არის სადმე? მაგრამ მაინც კი მოსაწონებელი რეჩი იყო.“

ბარიათინსკის წასვლის შემდეგ ორბელიანი მთელი ორი წელიწადი დარჩა კავკასიის მთავარ-მართველად. ამ ხანებში ცოტ-ცოტად ლაგდებოდა და მშვიდდებოდა დაღესტნის საქმეები, რიგდებოდა ყუბანის ყაზახების არეულ-დარეულობა, რომელიც ვედოკიმოვის წყალობით კინალამ სისხლის ღვრით არ გათავდა, გენერალი მირსკი ბოლოს უღებდა ჩაჩნების მოთავე კაცების ათაბაის და უმას ძლიერებას, უბიხები სცდილობდნენ ჩვენ მართველობასთან შერიგებას, წესდებოდა უე-



ზღის კომიტეტები და იყრებოდა გუბერნიის კრება თავდა-  
აზნაურთა გლეხ-კაცობის განთავისუფლებისათვის, დაიწყა  
საქართველოში გაშინჯვა მამულებისა, გაჩნდა საერო სტრუქტურა,  
გაკეთდა კავკასის გზა ქვიშეთიღამ კობამდის, ტელაგრაფი  
მოვიდა სტავროპოლს, უსლარმა შეადგინა ჩაჩნების ანაბანა  
და სხ. და სხ.

ამას გარდა ორბელიანის მთავარ-მართველობის დასაწყის-  
შივე, სექტემბრის თვეს, (1861) კავკასიაში მობრძანდა ხელმ-  
წიფე-იმპერატორი. ის მოვიდა ყუბანით, ნოვოროსისკით,  
სუხუმით და ფოთით. ფოთიღამ მობრძანდა ქუთაისს, საცა  
გაატარა ერთი დღე და აქედამ ისევ ფოთით წაბრძანდა ყი-  
რიმს. ორბელიანი, როგორც მმართველი კავკასიისა, დაუხ-  
ვდა იმას ყუბანში და სანამ სანამესტნიკოს სამზღვარი არ და-  
აგდო მისმა უდიდებულესობამ, არ მოშორებია იმას. ვრცელს  
ორ-თაბახიანს წერილში იმან აუწერა ბარიათინსკის კვალ-და  
კვალ ხელმწიფის მოგზაურობა. ეს წერილი სავსეა თავიდან  
ბოლომდის მშვენიერებით. სიდიდის გამო ის ჩვენ ვერ მოგვ-  
ყავს აქ და იძულებული ვართ სხვა, უფრო მოკლე წიგნიღამ  
ამოვიღოთ საყურადღებო ეპიზოდები ხელმწიფის მოგზაურო-  
ბიღამ. აუწერს რა მოგზაურობას ნოვოროსისკიღამ, საცა  
პოეტი პირველად ჩაჯდა პარახოდში („ვეფხი“), ქუთაისამდე,  
ორბელიანი სწერს გენერალ-ილუტანტს თ. ლევან მელიქოვს:  
„ზღვა შავი, შეუპოვარი, ცათამდის ზვირთების მსროლელი,  
დამშვიდდა, დაწყნარდა თავმოდრეკით, სახე გაკრიალებით,  
შედგა რა მის ქედზედ შვიდის იყლიმის მპყრობელი და ასე  
ქვე-ქვეით მოველეთ სუხუმი და მოვედით ფოთსა. აქ დახვ-  
დნენ დიდის მშვენიერებით გურიის თავად-აზნაურობა და ასე  
ხალხი; აქვე წარსდგა დიდ-კაცურად ხელმწიფესთან დესპინა \*)  
თავად-აზნაურის ქალებითა, რომელთა შორის იყვნენ რაოდენ-  
ნიმე მართლად მშვენიერნი. აქედამ პარახოდით ხელმწიფე  
მობრძანდა ქალაღიღამდის, სადაცა ჭილავევისაგან იყო მომზა-

\*) ქაიხოსრო გურიელის ქალი, ჭრეღიღინა.

დებული ნადირობა. ქილაევის სიტყვით იქ უნდა მოერეკათ ღიღროვანნი ნახირები სხვა და სხვა ნადირებისა: ირმების ჯოგები, შვლები, დათვები, ტახები და თითქმის სპილო-ლომებიცა. რასაკვირველია, მეც, გამხიარებული ჰაზრითა, რომ ხელმწიფეს ხელმწიფურად ვანადირებთ, მოვითხოვე ჩემი დიდი თოფი და ამოუჯექ დიდ ხესა. ველი და ველი ირემსა, ან ვეფხვსა, მაგრამ წივილ-კივილის მეტი არა ისმოდა რა. ბოლოს ამით დაბოლოვდა ჩვენი დიდნი იმედები, რომ ერთი პატარა ირემი შინ გაზდილი წამოვიდა, წამოვიდა და სწორედ ხელმწიფესთან კი მივიდა და დაუწყო ყურება. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი შეწუხება, ჩემი გამწარება!... გაბრაზებული, დაღონებული მოველ და რაღას ვეტყვოდი; ვლანძღე ქილაევი, მაგრამ რა გამოვიდა? მახლას! მოვედით ორპირს. გზაზედ: სადილი, ხალხი, სიმღერა... თამაშობა მათი ვნახე რა, ცოტა დამიმშვიდდა. გული და მეტადრე მაშინ, როდესაც კარის კაცები და თვით იმპერატორიც გამხიარულდნენ. საღამოზე ბინდისას მობძანდა ქუთაისს, სადაცა იყვნენ შეკრებილნი სხვადასხვა მხრიდამ დეპუტატები, თავად-აზნაურობა, სამღვდელონი არქიერებით სხვა და სხვა სარწმუნოებისა, სხვა და სხვა ენისა და სჯულისა და ამათ ყველაზე თავს სტაროცა ერისთავი, რომელიცა მიიღო დიდის პატივით. ამასთან ერთად გაჩირაღებული ქალაქი და ქუჩები, შედუღებული ხალხითა!.. მეორეს დღეს იყო დიდი прием. გამობრძანდა ხელმწიფე ბრწყინვალეს სახითა და მოწყალეს გულით და მართლად დაატყვევა ყოველნივე იქ მყოფნი შეხედულობით, მისალმებით, თავმდაბლობით და მეტადრე რეჩით, რომელიცა უბრძანა ჩვენს დეორიანსტვოსა, რეჩი მადლობისა, ერთგულებისა და თავგანწირულებისათვის. იქვე მთლად დეორიანსკის პაჩოტნის ყარაულსა, ვინც-კი იყვნენ, მიულოცა აფიცრობა და გასცა სხვათაცა მრავალთა უხვი წყალობა: ჯვრები, ჩინები, ღენტები, ფულები... რაღა გავაგრძელო, ხელმწიფე წაბრძანდა დიდად მადლობელი ყოვლისა მისთვის რაიცა იხილა თავის მოგზაურობაში ტამანიდამ ქუთაისამდე. ლივადიიღამაც მო-

ვიდა ადღერბერლის წერილი, რომელშიაც იყო გამოთქმული დიდი კიდევ მადლობა და самое приятнѣйшее воспоминание-ამ სიტყვებმა უფრო დამაჯერეს, მაგრამ როცა მომაგონდება ის წყეულის ქილავეის ნადირობა, ეხლაც ამეშლება ზაფრა“\*). — პოეტის აჩრდილის დასამწვიდაბლად ჩვენ შეგვიძლიან მოვიგონოთ, რომ ამგვარი სასაცილო შემთხვევა პირველი არ იყო სპორტის ისტორიაში. ათას რვაასის წლის წინად, როდესაც რომის ტრიუმფირატი ანტონი მოვიდა მშვენიერს კლეოპატრასთან ეგვიპტეში, ამ დედოფალმა თევზის საჭერად მიიწვია სტუმარი და თვისის ჩვეულებრივის ცბიერებობით საქმე იმ გვარად მოაწყო, რომ წინ-და-წინ წყალში ჩაგზავნილი მცურავეები მარილიან თევზს უგებდენ ანკესზე სიყვარულის მახეში გაბმულს რომაელს.

სხვა წერილებიდან ვიტყობთ, რომ ქუთაისს, თავად-ახ-ნაურობისადმი მიმართულ სიტყვაში მისი უდიდებულესობა ელაპარაკა იმათ გლახ-კაცების განთავისუფლების საჭიროებაზე; რომ მან ნახა გზა-გზა სირიაჩქონის ეკკლესია და დიდად გაკვირვებული იყო, რომ ამის სიმშვენიერე ბუნების საშვალ ასეთი ღარიბი ეკკლესია ოპოვება; რომ ქუთაისში სტარიაკა ერისთავმა დალია ხელმწიფის სადღეგრძელო და ამის პასუხად ხელმწიფემ მიირთვა: „За здравіе моего вѣрнаго грузинскаго дворянства“. — „Въ эту минуту я былъ выше челоуѣческаго счастья!“ სწერს პოეტი თ. ბარიათინსკის ამ ტოსტის შესახებ; რომ წასვლის წინად ხელმწიფემ უბრძანა ორბელიანს გამოეუფზავნოს ზოგიერთა იმასგან ნახულის ქალების პორტრეთი და სხ. და სხ.

მას შემდეგ ერთი წელიც გავიდა, მაგრამ ბარიათინსკის მორჩენას არა ეშველა რა. იმას დღითი-დღე აკლდებოდა სიმართლეც და ღონეც. ამის გამო ოქტომბრის თვეში 1862 წ. ის იძულებული შეიქნა სამსახურიდან დათხოვნის ქალაღდი მიერთშია ხელმწიფისთვის და მისმა დიდებულებამ დანიშნა

\*) წერილი.

კავკასიის მთავარ-მართებლად მისი იმპერატორებით უმაღლესობა დიდი მთავარი მიხაილ ნიკოლოზის ძე. 17 ოქტომბერს გამოვიდა უმაღლესი რესკრიპტიც გრიგოლ ორბელიანის სასახლეზე, რომელშიაც ხელმწიფე იმპერატორი მადლობას უძღვნიდა პოეტს ჩინებულის სამსახურისათვის.

„Князь Григорій Дмитрьевичъ! Съ возвращеніемъ нынѣ генераль-фельдмаршала кн. Бярятинскаго къ своему посту, сложивъ съ васъ исполняемыя вами въ его отсутствіе обязанности Намѣстника и Главноначальствующаго Кавказскою арміею, Я считаю справедливымъ долгомъ выразить вамъ при этомъ мою искреннюю признательность за полезныя ваши труды и успѣшныя распоряженія, коими вы оправдали вполне мое къ вамъ довѣріе.

Александръ.“

Царское село.

17 Октября 1862

„თავადო გრიგოლ დიმიტრის ძევი უბრუნდება-რა გერენაჲ-ფელდ-მარშალი თავ ბარიათინსკი თავისს ადგილსა და განთავისუფლებთ-რა კავკასიის ნამესტნიკისა და მხედრობის მთავარ სარდლის თანამდებობისაგან, რომელსაც იმ არ ყოფნის დროს ასრულებდით თქვენ, ჩემდა სამართლიან მოვალეობადა ვცნობ განგიცხადოთ გულითაჲი მადლობა იმ სასარგებლო მოღვაწეობისა და წარმატებულ განკარგულებათათვის, რომლითაც ჩემი ნდობა გაამართლეთ სრულიად.“

ალექსანდრე.

ცარსკოე სელო.

17 ოქტომბერი 1862 წ.

ამ რესკრიპტის შემდეგ ორბელიანი კიდევ ოთხი თვე განაგებდა კავკასიას, სანამ ჩვენს ქვეყანაში არ მობრძანდა ახალი მთავარ-მართებელი. რამდენადაც იმას უხაროდა ხელმწიფის ძმის დანიშვნა კავკასიის მმართველად, იმდენათვე სწყენოდა იმას თ. ბარიათინსკისაგან უდროოდ და მოულოდნელად დატოვება ჩვენის ქვეყნისა. ჯერ რესკრიპტი არ იყო გამოსული, რომ ბარიათინსკის სწერდა პოეტი:

„Не могу выразить Вашему Сіятельству того грустнаго тяжелаго впечатлѣнія, какое произвело на меня послѣднее



телеграфическое извѣстіе, окончивающееся словами, что прѣздъ вапъ на Кавказъ весьма сомнителенъ. Не хочу придавать этимъ словамъ безусловнаго зловѣщаго ихъ значенія; это было-бы слишкомъ тяжело для цѣлаго края, было-бы басмѣшкою судьбы надъ всѣми расчетами человѣческими, надъ всѣми надеждами на будущее.“\*).

„არ ძალ-მიძს განუუხადო თქვენს განათლებას ის მძიმე და მწუხარე შთაბეჭდილება, რომელიც უკანასკნელმა ტელეგრაფის მიერ მოტანილმა ამბავმა იქონია, ვითომ თქვენი კავკასიაში დაბრუნება დიდად საეჭვო-და იყო. არ მსურს ამ სიტყვებს მათი უცილობელი ბედით მნიშვნელობა მივაწერო; ეს იქმნებოდა მთელის ქვეყნისათვის მძიმე და აუტანელი,—იქმნებოდა დაცინვა ბედისა ადამიანის ყველა ანგარიშებსა და მომავალს იმედებზედ.“

ამ გვარადვე სწერდა პოეტი სამხედრო მინისტრს, მილიუტინს.

Мы такъ давно привыкли считать его своимъ, онъ такъ вѣрно понималъ нужды и интересы многообразнаго Кавказа, и такъ недавно еще видѣли его военные подвиги и заботы о гражданскомъ развитіи края, что безъ глубокой душевной грусти не можемъ свыкнуться съ мыслію о разлукѣ съ нимъ. А сколько погибло съ нимъ истинно великихъ предположеній, которые со временемъ могли-бы и осуществиться ко благу этой части имперіи!“\*\*).

„ისე დიდი ხანია მივეჩვიეთ და გვეგულებოდა ჩვენად; ისე კარგად ესმოდა მრავალფეროვან კავკასიის ყველა გაჭირვება და ინტერესები, ისე დიდი ხანი არაა გვინახავს მისი სამხედრო გამარჯვებანი და ქვეყნის მოქალაქობრივად განვითარების ზრუნვა, რომ არ შეგვიძლიან ღრმად არა ვსწუხდეთ და მისს განშორებას შევუყოფდეთ. მეტე მასთან ერთად ჩამდენი ჭეშმარიტად დიდი განზრახვა იქმნა დამარბული, რომლებიც შეიძლება თავისს დროზედ ჩვენის ქვეყნის სასიკეთოდ განხორციელებულიყვნენ!“

მაგრამ le roi est mort, vive le roi!

\*) 1862 წ. რიცხვი არ უწერია.

\*\*) 23 დეკ. 1861.



„Государь, какъ великій сердцеѣдецъ, проникъ задушевную мысль здѣшняго народа, назначивъ Великаго князя Намѣстникомъ Кавказскимъ! Назначеніе это выражаетъ новую особенную милость Государя къ здѣшнему краю...“ \*).

„ვითარცა უდიდესი გულთამბილავი, მიუხედა ხელმწიფე აქაურ ერის გულის წადილსა და კავკასიის ნამესტნიკათ დიდი მთავარი დაუნიშნა! დანიშნულება ესე ჩვენის ქვეყნისადმი ხელმწიფის ახალსა და განსაკუთრებულს მოწყალებას მოასწავებს...“

მერე რა კარგი და საიმედო ხმები მოდიოდა პეტერბურგიდან ახალს მთავარ-მართველზე! ჯერ ერთი, რომ ახალი ნამესტნიკი მარტოდ-მარტო მოდიოდა კავკასიაში. „მე დარწმუნებული ვარ, რომ კავკასიაშიც კარგად დამხედება ისეთი კაცები, რომელთ შემწევობით მე შევიძლებ ამ ქვეყნის მართვასა“. უთქვამს იმას, როგორც ჩამოიტანა ამბავი თ. მირსკიმ. მერე თითონ მთავარ-მართველიც სწერდა ორბელიანს:

„Вполнѣ постигаю предстоящія мнѣ разнообразныя занятія и знаю, какъ много я долженъ трудиться, чтобы оправдать ожиданія Нашега Всемилостивѣйшаго Государя и удовлетворить надеждамъ края и Россіи; но надѣюсь на Бога и укрѣпляюсь мыслью, что честное исполненіе каждымъ изъ кавказскихъ дѣятелей своихъ обязанностей составитъ весьма важное дополненіе къ Моему, самому чистосердечному обѣту посвятить всѣ способности, всѣ силы Мои на пользу края и благоденствія ввѣренныхъ мнѣ народовъ“! \*\*).

„შეგნებული მაქვს სრულიად, რა ზომად დიდი და მრავალფეროვანი ჩემი მომავალი შრომა, რომ ჩვენის ყოვლადმოწყალე ხელმწიფის მოლოდინი და ქვეყნისა და რუსეთის იმედი გავამართლო; მაგრამ იმედი მაქვს ღვთასა და ვნუგეშობ იმ მტკიცე აზრით, რომ ყველა კავკასიელი მოღვაწე უთუოდ პატიოსნად შეასრულებს თავისს მოვალეობასა და მით ჩემს ჭულწრფელს აღთქმას, ქვეყნის სასარგებლოდ და ჩემდამი რწმუნებულ ხალხთა სადღევრძელოდ მთლად ჩემის ნიჭიერებისა და ძალის შელევისას შესაბამად შეავსებს.“

\*) იხ.

\*\*\*) 5 იანვ. 1863.

ეს ამ გვარი ხმები იყო და სიტყვები, რომელთ გამო ორბელიანი იმ თავითვე შეიქნა თაყვანის მცემელი მთავარ-მმართველისა. პირადმა შეყრამ უფრო დაიმორჩილა პოეტის გული. ის დაუხვდა დიდს მთავარს სტავროპოლში და რამდენიმე დღის შემდეგ სწერდა ვლადიკავკაზილამ თ. ლევან მელიქოვს.

„ღმერთმა ნუ მოაკლოს მფარველობა ამ ჩვენს ახალს ბატონს ნამესტნიკს! სახე მშვენიერი, გული სავსე სიკეთითა, გონება განათლებული, ხასიათი დამშვიდებული, აუჩქარებელი და ამისთანა განმზადებული გასაბედნიერებლად ამა მხარისა! მოვიდა სტავროპოლს მარტო სამის აღიუტანთითა, არა როგორც დიდის ხელმწიფის შვილი, დიდის ხელმწიფის ძმა ზვაობით, არა რისხვითა და არცა ძაგებით, როგორც მურავიევი, არამედ თავ-მდაბლობით, სიწყნარით, მოწყალეებით! ღმერთმა აკურთხოს! მახლას, აშიკი შევიქენ იმისი!“\*)

ბოლოს, მარტის თვეში, 1863-ს, თბილისში მობრძანდა მთავარ-მართველი. დიდმა მთავარმა დიდის გულს-მოდგინებით მიჰყო ხელი კავკასიის მართვას: მოხდა რამდენიმე ადმინისტრაციული ცვლილება, გაჩნდნენ ახალნი პირნიც, კრუზენშტერნის მაგიერ ნამესტნიკის მთავარ სამმართველოს უფროსობა მიიღო ბარონ ნიკოლაიმ, მირსკი დაინიშნა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად, ლორის მელიქოვი — თერგის მიდამო ადგილების უფროსად. ყველგან სხვა წეს-წყობა დადგამხარეში. ორბელიანი ამ დროს განზე იყო მიმდგარი, მოსვენებული და ასრულებდა მხოლოდ დიდის მთავრის მინდობილებას. 1863-ს ის იყო, სხვათა შორის, გაგზავნილი ზაქათალის მაზრაში ლეკებისგან მოხდენილის ამბოხების დასამშვიდებლად. ამავე წელში მიიღო იმან ფოთს რუსეთის ტახტის მემკვიდრე, რომელიც დიდის მთავრის შვილის მოსანათლად მოდიოდა აღბულაღს. შემდეგ 1864 წელში ის იღებდა დიდს მონაწილეობას ცენტრალურს კომიტეტში, რომელი არჩევდა გლეხების განთავისუფლების საქმეს. ორბელია-

\*) 23 თებერვ. 1863 წ.

ჩი ხელ-ახლა ასრულებდა მთავარ-მართებლის მოვალეობას 20 აპრილიდან 21 სექტემბრამდე. ამ დროს თბილისში მოხდა ერთი სამწუხარო შემთხვევა, რომლის გამო ჩვენ ვრცლად უნდა გამოველაპარაკოთ აქ მკითხველს. ჩვენ ვამბობთ ამ დროს თბილისში მომხდარს არეულობაზე, რომლის გამო ორბელიანს, საქმის უცოდინარობის გამო, ბევრი თვით მეგობარნი და თაყვანისმცემელნი, სდებენ დიდს ბრალსა და ემდურვიან.

ი. მკუნარგია.

# ვეფხისტყაოსნის

## ახალის გამოცემის რეცენზიის გამო.

17

ახლა მოვიხსენიოთ ის შემთხვევანი, რომელნიც შეეხებინან სიტყვის ფორმათა შეცვლას, თანახმად ტექსტის აზრისა.

4-ე ტაეპის 2-ე სტრიქონში—ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ვკადა გამოჩნეული—ქართველიშვილის და სხვათა გამოცემაში ზმნა ვთქვენი მრავლობითს რიცხვშია—ვთქვენი. ზევით ჩვენ დავასაბუთეთ, რომ ამავე სტრიქონში ვისნიმე კი არ უნდა იკითხებოდეს, არამედ ვისნი მე. ამ განმარტებას თავისთავად მოსდევს ის დასკვნა, რომ ზმნა უნდა ყოფილიყო მხოლობითს რიცხვში—ვთქვენი და არა მრავლობითში—ვთქვენი. ამას კიდევ ის ადასტურებს, რომ შემდეგს მის თანტოლს წინადადებაში ზმნა მხოლობითს რიცხვშია და არა მრავლობითში: მეჯნად ვიხმარე გიშრის ტბა. ზევით რომ ვთქვენი ყოფილიყო, აქ იქნებოდა ვიხმარეთ. ბ-ნი შიო დავითიშვილი არ გვიწონებს ამ ჩვენს გასწორებას და თხოულობს უთუოდ ხელუხლებლად დავტოვოთ მრავლობითი რიცხვი იქ, საცა ამ რიცხვს აზრი არა აქვს, თუმცა საითონ ამ უაზრობის ასაცილებლად მზად არის გადაასწოროს შემდეგს წინადადებაში ზმნა ვიხმარე და დასვას მრავლობითს რიცხვში ვიხმარეთ. შიო დავითიშვილის აზრით, გამოდის, რომ ერთს კაცს კი არ უთქვამს ქება, არამედ ბევრს და მელნად მარტო ერთს კაცს კი არ უხმარია გიშრის ტბა, არამედ ბევრს. თურმე ნუ იტყვიოთ, მეოთხე ტაეპი მკითხვე-

ლის მიმართ კი არ ყოფილა მიმართული, არამედ იმ მოღვე-  
ქსეთა მიმართ, რომელთაც უთქვამთ და უწერიათ ქებანი.  
ამასთან ეს ქებანი თამარისა კი არა ყოფილა, არამედ ვისლაცა,  
რადგან, როგორც წინაღ გვექონდა ნათქვამი, დავითიშვილი  
არ არის თანახმა გასწორდეს ვისნიშე და დაიწეროს ვისნი მე.  
რომ ზნა ვთქვენა უნდა მხოლობითს რიცხვში ყოფილიყო,  
ამას გვემოწმებთან ზოგიერთი ხელთნაწერი ვარიანტებიც,  
სადაც ეს ზნა მხოლობითს რიცხვშია ხმარებული, თუმცა  
ცოტა განსხვავებულის ფორმით: ვთქვი ეე ქებანი (იხ. წერა-  
კათხვის გამავრც. საზოგად. წიგნთსაცავის №№ 1586, 2686  
და 2781).

46.ე ტაევის 1 სტრიქონში—უკე სდგეს და თაყვანი სცეს  
მეფემა და მისთა სჰათა:—ქართველიშვილის და სხვა გამოცემებში  
ნაცვლად სიტყვისა მეფემა არის მის მრავლობითი რიცხვი მეფეთა.  
ასეთი ცვლილება ჩვენ საკმაოდ დავასაბუთეთ შენიშვნაში,  
მაგრამ ბ-ნი დავითიშვილი მაინც ახირებულა და იძახის, სჯობდა  
მეფეთა დარჩენილიყო. ამ სიტყვის მრავლობითის რიცხვის  
ფორმას არ უნდა ჰქონდეს მოყვანილს სტრიქონში აღვლილი  
ჯერ ერთი იმიტომ, რომ, როგორც მოთხრობითგან ჩანს,  
თინათინის ტახტზე ასვლის დროს სხვა მეფე არავინ დასწრებია  
ცერემონიას მის მამის მეტი. მეორეც ესა, მეფეთა რომ ყოფი-  
ლიყვეს ორგინალში, მისთა სჰათა კი არ იქნებოდა, არამედ მათთა  
სჰათა. ტახტზედ აყვანილს თინათინს პატივი სცეს რუსტყვას  
მეფემ და მისმა ჯარმა (ანუ მისთა სჰათა). ჩვენის აზრით, სიმარ-  
თლეს ვერ შეარყევს შიო დავითიშვილის ფიქრი, იქნება არა-  
ბეთში სხვა მეფეებიც იყვნენ, როსტევანის მორჩილიო, ან  
ის მოსაზრება, რომ სიტყვაში მეფენი რუსთაველი მეფე—  
დედოფალს იგულისხმებსო. რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“  
არსად იხსენიებს, რომ როსტევანს ჰყოლოდეს მორჩილი მეფე,  
მეტადრე არსაიდან ჩანს, რომ რომელიმე სხვა მეფე დასწრე-  
ბოდეს თინათინის ტახტზე ასვლას. ამას გარდა საფიქრებელი  
კი არა, წარმოუდგენელია, რუსთაველი სიტყვაში მეფეთა იგუ-  
ლისხმებდეს როსტევანს და მის მეუღლეს, იმ მეუღლეს, რომე-



ლიც არც კი ჩანს ცოცხმლი იყო თუ არა ამ დროს და რომელსაც ცალის სიტყვითაც არ იხსენიებს პოეტი. ამის გარდა, რაც უნდა იფიქროს კრიტიკოსმა, მაინც ვერ ახსნის, რატომ ამბობს პოეტი მისთა სჰათა და არა შათთა სჰათა.

ბ-ნი შიო დავითიშვილი არც თითონ არის კმაყოფილი თავის აზრის დასაბუთებისა და ერთს ქვეიანურს რჩევას იძლევა: „დავიცადოთ, იქნება ძველ ვარიანტებში ვიპოვოთ ამის ახსნა“, ე. ი. იმის ახსნა თუ რატომ არის ხმარებული შეფუთა და მისთა სჰათა. არ ვიცი თითონ ეძებს თუ არა ძველს ვარიანტებში თავის აზრის საბუთიანობის ახსნას, მე კა ჩემის აზრის დამამტკიცებელი ვარიანტები უკვე დიდის ხნის ნაპოვნი მაქვს. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნთ-საცავში შეგიძლიანთ მოძებნოთ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები—№№ 1515, 1586, 2686, 2781 და 2829 \*) და იქ წაიკითხოთ სადავო სიტყვა სწორედ იმ ფორმით, როგორც ჩვენ დავბეჭდეთ ახალს გამოცემაში: „უკუდგეს და თაყვანი სცეს შეფუქან და მისთა სჰათა.“

არის კიდევ ორი შემთხვევა, როდესაც ჩვენ სიტყვის მხოლოდობითის რიცხვის ფორმა ტექსტის მოთხოვნილებით და ვარიანტების მიხედვით შევცვალეთ მრავლობითს რიცხვზე, მაგრამ ამის შესახებ ბ-ნი შიო დავითიშვილი ხმას არ იღებს, შეიძლება იმიტომ რომ იგი თანახმა არის ამ ცვლილებათა. ეს ცვლილებანი ჩვენ განმარტებული გვაქვს 31 და 273 შენიშვნაში.

#### ▼

აქამდის ბ-ნმა შიო დავითიშვილმა გაშინჯა და უარ-ჰყო გარყვნილის ტექსტის იმისთანა შესწორებანი, რომელნიც გამოცემაშივე გვაქვს მოხსენებულნი და დასაბუთებულნი. ჩვენ

\*) ამ ხელნაწერებში ურევია ის დიდის ხნის ცნობილი არტანუჯის ვარიანტიც, რომლის ვითომც ამ დღეებში პოვნა გამოცხადებული იყო გაზეთს „ივერიაში.“

გვეგონა, რომ ყოველი შესწორება მოხსენებული გვექონდა, მაგრამ შიო დავითიშვილმა იწინააღმდეგის სიტყვების დაწერა:

„როგორც ეტყობა, ბ-ნს კარიკაშიღის წინაღობა სდომებია ყოველი მის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში შეტანილი ცვლილებები სხოლიოებით აღენიშნა და კარგიც იქნებოდა, თავის დანაშაულს ცოტად მაინც შეიმსუბუქებდა. მაგრამ შემდეგ ზოგი მივიწყებია და ზოგიც ველარ მოუხერხებია სიმრავლისა გამო. „ვეფხისტყაოსნის“ მტკიცე ყველგან და ადვილად იპოვის გამბედავ რედაქტორ-კრიტიკოსის უსახელო შესწორებას.“

ეს ბრალდება, რომ ტყუილი იყო და რომ ჩვენს გამოცემაში არ მოგვიხდენია არც ერთი ცვლილება შენიშვნებში მოუხსენებლად და დაუსაბუთებლად, თვით იმავე კრიტიკოსმა აღიარა რადენისამე დღის შემდეგ ჩვენის პასუხის წაკითხვის უკან. შიო დავითიშვილი „ივერიის“ № 231—ში სწერს: „დავრწმუნდით, რომ გადაკეთების სათავე გ. ქართველიშვილის გამოცემაში უნდა ვეძებოთ. ჩვენგან წინაღობა ნაჩვენებ ტაყებისა და სხვების (თვრამეტის) განდევნა ამ გამოცემას ეკუთნის. სიტყვებისა, ასოების და ნიშნების გადაკეთებაც, აზრის გადასხვაფერებისათვის, ამ გამოცემის რედაქციას უნებებია.“

საოცარია ჩვენის კრიტიკოსის საქციელი. რატომ ამტკიცებდა ისეთის რიხით, ვითომც ახალს გამოცემაში ტაყები გამოგვეტოვებინოს ან ჩაგვემატებინოს და ტექსტი შეგვეცვალოს მოუხსენებლად და დაუსაბუთებლად, მაშინ როდესაც ჩვენ ნათქვამი გვექონდა, რომ ახალის გამოცემის დედნად გ. ქართველიშვილის გამოცემა გვექონდა მიღებული. თუ გ. ქართველიშვილის გამოცემა, როგორც დედანი, არ მოსწონდა, უნდა თავივე ეოქვა და შემდეგ ახალის გამოცემის საკუთარი ნაკლულევენება მოეხსენებინა. კრიტიკოსმა კი ჩვენის დედნის ნაკლულევენების შესახებ პირველად არამც თუ ხმა არ ამოაღო, არამედ ახალს გამოცემას იმას უკიჟინებდა, რომ დედნის ტექსტი შეცვლილია სხოლიოებში მოუხსენებლად, რამდენიმე ტაყი გამოტოვებულია და ერთიც ჩამატებულია მის რედაქტო-

რის თავნებობითაო. ამ საოცარის საქციელის მიზეზი თვით კრიტიკოსმა აგვიხსნა შემდეგში და გვაუწყა, რომ გ. ქართველიშვილის პირად მივიღე ჩარკვიან-თავართქილაძის გამოცემანი და ახალი გამოცემა ამ გამოცემებს შევადარეო.

ერთის საოცრებითგან გამოსულნი მეორე საოცრებაში ჩავვაგლო ბ-ნმა კრიტიკოსმა. რა საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ ჩარკვიან-თავართქილაძის გამოცემანი გ. ქართველიშვილის გამოცემის პირი უნდა ყოფილიყვენ, როდესაც არც ერთს ამ გამოცემაში არ არის ნათქვამი არაფერი ამის შესახებ და როდესაც ჩვენ პირდაპირ გვქონდა ნათქვამი, რომ ახლის გამოცემის დედნად ქართველიშვილის გამოცემა გვქონდაო? მეორეც ესა, რად უნდა მიეღო ხსენებული ორი გამოცემა გ. ქართველიშვილის გამოცემის პირად, როდესაც არაფერი საერთო აქვთ-რა მათ ამ უკანასკნელს გამოცემასთან? ამის პასუხს ჩვენ ვერ მოვძებნით. ეს კი ცხადია, რომ კრიტიკოსს არ სცნობია თავის დღეში გ. ქართველიშვილის გამოცემა, რომელიც არის ნაშრომი და ნაღვაწი ჩვენის საუკეთესო ლიტერატორებისა და არის ამასთანვე პირველი ცდა „ვეფხის-ტყაოსნის“ შეგნებულად და სიფრთხილით დაბეჭდვისა. ჩვენმა კრიტიკოსმა მხოლოდ ჩვენის პირველის პასუხის შემდეგ გაიგო, რომ გ. ქართველიშვილის გამოცემა სხვაა და ჩარკვიან-თავართქილაძისა სხვა და კიდევაც შეიტყო ცოტოდენი ამ გამოცემის ისტორიის შესახებ, მაგრამ ისე მცირე ხანში, რა თქმა უნდა, დანამდვილებით ვერას შეიტყობდა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კრიტიკოსი ამ გამოცემის შესახებ ამბობს ისეთს უსაფუძვლო და შეუფერებელს რამეებს, რაიცა მხოლოდ საგნის უმეცარს თუ ეთქმის და არა „ვეფხის-ტყაოსნის“ კარგს მცოდნეს.

აი, მაგალითად, რას ამბობს ბ-ნი შ. დავითიშვილი ქართველიშვილის გამოცემის შესახებ: „თუმცა შემუშავება ამ წიგნისა იმ კომისიას მიეწერება, რომელიც ამ ოცის წლის წინად იყო შემდგარი, მაგრამ, ვიმეორებთ, ამ კომისიის შრომა არ არის გამოქვეყნებული და არ ვიცით, „ვეფხის-ტყაოსნის“ გადაკეთებაში რა წილი უძევს კომისიასა და თვით რედაქტორს თავ. ი.

მაჩაბელს. არ ვიცი, რომელ წარჩინებულ მწერალსა და ენის მკოდნეს რა მონაწილეობა ჰქონდა მიღებული, რადენჯერ დაესწრო კრებას და რაგვარ გადაკეთების მომხრე იყო. კომისიის ყველა წევრებს ერთგვარი მონაწილეობაც რომ ჰქონოდათ, მაინც კომისიის აზრი მხოლოდ აზრად რჩება და მისი დადგენილება სავალდებულო არ არის, მით უმეტეს რომ, როგორც გავგივია, კომისიაში ყოველი აზრი ხმის უმეტესობით სწყდებოდა თურმე.“

რა თქმა უნდა, რომ კომისიის აზრი მხოლოდ აზრად რჩება და მისი დადგენილება სავალდებულო არ არის, მაგრამ, ახლა რომ ასე ბრძანებს შიო დავითიშვილი, რატომ ასევე არ ფიქრობდა წინადაც, როდესაც ჩარკვიან-თავართქილაძის გამოცემა ამ კომისიის ნაღვაწი ეგონა და როდესაც დიდს ცოდვად და ბარბაროსობად გვითვლიდა ყოველსავე განსხვავებას ახალს გამოცემაში, თუნდა ეს განსხვავება თანახმა ყოფილიყო ჩუბინაშვილისა და ვახტანგის გამოცემისა?

ჩვენ აგრეთვე ვეთანხმებით ბ-ნს შიო დავითიშვილს, რომ მან არ იცის „ვეფხის-ტყაოსნის“ გადაკეთებაში რა წილი უძევს კომისიას და თვით რედაქტორს თავ. მაჩაბელს. საკვირველი ის კი არ არის, რომ არ იცის, საკვირველი და გასაშტერებელი ის იქნებოდა, რომ სცოდნოდა. ეს იმიტომ, რომ „ვეფხის-ტყაოსნის“ გადაკეთება აზრდაც არ მოსვლია არც კომისიას და არც ივანე მაჩაბელს. ბ-ნი შიო დავითიშვილი წარა-მარად ხმარობს სიტყვას გადაკეთება იქ, სადაც მას აღვლილი არა აქვს. ეტყობა, ამ სიტყვის მნიშვნელობა მას არ სცოდნია, ამიტომ ავუხსნით: გადაკეთება ტექსტისა იმას ჰქვიან, რომ აიღოთ და თქვენის პირადის გემოვნების მიხედვით ტექსტში სიტყვები და ფრაზები შეცვალოთ, ჩაუმატოთ, გამოაკლოთ, გადასვ-გადმოხვათ, სხვა ფორმები მისცეთ და სხვა. ამისთანა რამეები, როგორც ვთქვით, ქართველიშვილის გამოცემის რედაქციას (არც კომისიას მთლად და არც ი. მაჩაბელს ცალკე), აზრდაც არ მოსვლია. მისი აზრი იყო რუსთაველის ნამდვილის ტექსტის აღდგენა ვარიანტების შემწეობით, როგორც



წარმოთქვა რედაქციის მდივანმა ი. მუხუნარგიამ 1 სხდომაზე მუშაობის დასაწყისში. რადგანაც ჩვენს კრიტიკოსს შიშო დავითიშვილს არავითარი წარმოდგენა არა აქვს ამ რედაქციის შრომის შესახებ, ჩვენ გავუზიარებთ მას ზოგიერთს ცნობებს: ვიდრე შეუდგებოდა რედაქცია თავისი შრომას, მან მოიპოვა ოცდასამი სხვა-და-სხვა ხელთნაწერი „ვეფხისტყაოსნისა.“ აგრეთვე მოაგროვა სხვა-და-სხვა დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნები.“ შემდეგ გამოაცხადა დღე პირველის სხდომისა და მოიწვია ყოველი, ვისაც გული შესტკივოდა საქმისათვის, შრომაში მონაწილეობის მისაღებად. სხდომებზე მუშაობის პროცესი ასეთი იყო. რედაქციის წევრებს ეჭირათ თითო-თითო ცალი ხელთნაწერისა დაბეჭდილის „ვეფხისტყაოსნისა“ და თვალს ადევნებდნენ ტექსტს, როდესაც ერთი კითხულობდა. თუ ვინმე შენიშნავდა თავის ცალში რამე განსხვავებას, მაშინვე გამოაცხადებდა და დაიწყებოდა მსჯელობა, რომელი ვარიანტი უფრო შეეფერებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ენას, აზრს და ხასიათს. ბოლოს, კამათის შემდეგ, რედაქცია მისცემდა უპირატესობას რომელსამე ვარიანტს და გადასწყვეტდა მის მიხედვით შესწორებულიყო დასაბეჭდი ცალი. ამნაირად რედაქციის უმთავრესი საგანი იყო სხვა-და-სხვა ვარიანტებში საუკეთესო ვარიანტის არჩევა და მის შეტანა დასაბეჭდს ტექსტში. როგორც ხედავთ, ამ პროცესს თავისდღეში არ დაერქმის გადაკეთება. რედაქცია კიდევ მეორე მხრით შინჯავდა ტექსტს და ასწორებდა. მაგალითად: თუ შენიშნავდა, რომ ხელთნაწერის ტექსტში სიტყვები გადაბმულნი იყვნენ ერთმანერთზე, ან გაყოფილნი იყვნენ, შესაფერად ასწორებდა. რასაკვირველია, არც ამ პროცესს დაერქმის გადაკეთება, როგორც უკვე მოვიხსენიეთ წინად.

მაგრამ მაშინაც იყვნენ იმისთანა პირნი, რომელთაც არ ესმოდათ მნიშვნელობა სიტყვებისა „თავის ნებაზე გასწორება“ და საზოგადოებებში ავრცელებდნენ ხმას, ვითომ რედაქცია თავის ნებაზე ასწორებდა „ვეფხისტყაოსნისა.“ რედაქციის 13-ე სხდომაზე წარმოსთქვა ბ-ნმა უმიკაშვილმა შემდეგი: „საზო-



გადოებაში ვრცელდება უსაფუძვლო აზრი, ვითომ ჩვენ აქ შევყრილვიყოთ და ვასწორებდეთ „ვეფხის-ტყაოსანს“... ჩვენი რედაქციის წევრნი ამ ხმას არ უნდა აძლევდნენ გზას. ყოველს შემთხვევაში, ყოველს ადგილში, საცა იმათ მოუხდებათ ამაზე მუსაიფი, უნდა ლაპარაკობდნენ ამ ხმის წინააღმდეგ და განმარტებდნენ ნამდვილ დანიშნულებას რედაქციისას, რომელიც მხოლოდ ათანხმებს ერთმანერთთან ხელნაწერ ვარიანტებს და თავის მხრით ანტ ერთ ასსს ან ასწორებს ზოგჯერში.“

რედაქციის მუშაობის ხასიათის წარმოსადგენად მოვიყვანთ რავედენსამე ადგილს რედაქციის სხდომების ანგარიშითგან, რომელსაც ადგენდა ბ-ნი ი. მეუნარგია. პირველის სხდომის ანგარიშში ვკითხულობთ: „პირველს და ყოველს სხვა ხანებში, მეოთხე ტაეზზე (ე. ი. სტრიქონზე) გამოგდებული იქნა კავშირი და, რადგან ამ კავშირით რუსთაველის თექვსმეტ-მარცვლიან ლექსს მეოთხე სტრიქონში ემატება მეჩვიდმეტე მარცვალი და რადგანაც ბევრს ვეფხის-ტყაოსნებში ეს კავშირი სრულებით გამოგდებულია“.\*) მეორე სხდომაზე აკაკიმ, რომელიც პირველს სხდომაზე თურმე არ დასწრებიყო რაღაც მიზეზით, თავის შენიშვნები წარადგინა წინა სხდომის დადგენილებათა შესახებ: აი რას ამბობს ბ-ნი მეუნარგია აკაკის შენიშვნების შესახებ: „მისი აზრით, ა, რედაქციას ტყუილიად უნებია, რომ „მისდა საქებრათ-ს“ მაგიერ „მისად საქებრათ“ მიუღია, როგორც უკანასკნელი რედაქცია; ბ, რედაქციისაგან მიღებული ტაეზი „მას ვით შეგვადრჳ ან ვიდ“... უსაფუძვლო არის; უნდა დარჩენი-

\*) შ. დავითიშვილი კი სწერს 1903 წ. ოქტომბერში: „არავის აქა მომდე ეტვი არ გამოუთქვამს, ვითომც ეს ღა ჰოემის ავტორს არ ეკუთვნოდეს. რაოდენადაც ვიცით, ყოველ ძველ ვარიანტში დაცულია ეს ღა.“ აქამდე არავის გამოუთქვამს ეტვიო, ამბობს კრიტიკოსი, თუმცა ოცდარის წლის წინად გამოსტვე, ასეთი ეტვი ლიტერატორების შთელმა კრებულმა, რომელიც ამასთან მოწმობს, რომ ბევრს ვეფხის-ტყაოსანში ყოფილა გამოგდებული კავშირი ღა. კრიტიკოსი კი გვარწმუნებს, ყოველს ძველს ვარიანტში არის დაცულიო. ცარიელის სიტყვებით ძნელია ვინმე დააჩუმუნ ეს კრიტიკოსმა.

ლიყო ის ვარიანტი, რომელიც დაბეჭდილია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „მას არა ვიცი შევკადრე-ს მაგიერ უნდა დაწერილიყო „მას არა ვიცი შევკადრე“. რედაქცია ვერ დაითანხმა აკაკიმ ყველა ამ საგნებზე და რადგანაც ბაასი ძლიერ გრძელდებოდა და აკაკი ამგვარსავე შენიშვნას ყოველს ცვლილებაზე აპირებდა, სხდომამ ამგვარი შენიშვნის გარჩევა გადასდო იმ დროსთვის, როდესაც ის გაათავებდა ხელნაწერების შეთანხმებას და კიდევ ერთჯერ დაუბრუნდებოდა და თვალს გადაავლებდა მთელს წიგნს.“ აი კიდევ ერთი ნიშუში რედაქციის მუშაობისა. მესამე სხდომაზე, ბ-ნის მეუნარგიას თქმით, „აკაკიმ თავის მხრით, წარმოადგინა რამდენიმე შენიშვნა წარსული სხდომის გარდაწყვეტილებაზე. რო ჩვეუკვირდით, თქვა აკაკიმ, მე-76 ხანაში „მიესროდეს“ ტყუილად გადავასწორეთ „მიისროდეს“-ათმისროდეს ნიშნავს უნიშნოდ სროლას; მიესროდეს—ნიშნში დანიშნულ სროლას. ეგრეთვე მე-46 ხანაში „დაატკობდეს ტკბილთა ხმათა“ ტყუილად გადაგვისწორებია „დაატკობდეს მათთა ხმათა“-დ, რადგანაც „ტკბილთა“ აქ არ ნიშნავს მომღერლების ხმას, არამედ საკრავებისას. ამ შენიშვნებზე ბევრი ილაპარაკეს. პირველი შენიშვნა ბ-ნ ყიფიანისა ჰატივლებაში მიიღეს, მაგრამ სხვა შენიშვნებზე ლაპარაკი გაუთავებელი დარჩა.—ეს კითხვები იმ დროს იქნება განხილული, როდესაც რედაქცია უკანასკნელათ თვალს გადაავლებს პოემის დაბეჭდვის წინ.“\*.)

ამნაირი ცნობები გვაქვს მხოლოდ 16 სხდომის შესახებ. შემდეგის სხდომების შესახებ დაბეჭდილი არა არის-რა. არც რამე ცნობები გვაქვს იმ საბოლოო რედაქციის შესახებ, რომელსაც უკანასკნელად თვალი უნდა გადაეგოდა. რომ უკანასკნელად თვალის გადავლები დროს ზოგიერთი წინანდელი დადგენილება შეუცვლიათ, ეს ცხადია. მართალია, ჩვენ წერილობი-

\*) ჩვენს პასუხში „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციის წევრთა შორის მოვიხსენიეთ სხვათა შორის აკაკი წერეთელიც. ბ-ნმა შიშო დავითიშვილმა კი თავისს მეორე წერილში უარ-ჰყო აკაკის მონაწილეობა, ცხადია, იმიტომ რომ არ იცოდა თუ მის შრომის კვალი დარჩენილი იყო დოკუმენტებში.

თი ცნობები არა გვაქვს ამ ბოლონდელის რედაქციის შრომის შესახებ, მაგრამ ექვს გარეშეა, რომ ისიც იმავე გზას ადგა, რომელსაც პირვანდელი რედაქცია, ე. ი. ერთის მხრით ვარიანტებს ათანხმებდა ერთმანერთს და უმეტესობისაგან საუკეთესოდ ცნობილი ვარიანტები ტექსტში შეჰქონდა, მეორე მხრით გადამწერთაგან გადამბუღოს სიტყვებს აშორებდა ერთმანერთს და გაკრიბოს სიტყვებს აერთებდა. რომ არაფერი გადაუკეთებია რედაქციას ტექსტში, ეს შენიშნული ექნება ყველას, ვისაც ხელთნაწერი ვარიანტები გაუცვნიან. მაშასადამე თქმა იმისი, რომ ან კომისიას ან ივანე მაჩაბელს, რომელსაც ჰქონდა მინდობილი ბექდვის დროს ყურის გდება და უკანასკნელი რედაქცია, გადაეკეთებინოს რამე „ვეფხის-ტყაოსანში“, ყოვლად უსაფუძვლოა.

## VI

ბ-ნს შ. დავითიშვილს ერთი ყალბი და უსაფუძვლო აზრი ჩასქდენია თავში, ვითომ „ვეფხის-ტყაოსნის“ ორიგინალი ანუ მისი სწორი პირი იყვეს ჩარკვიანის ან თავართქილაძის გამოცემა. ამის გამო მას მიაჩნია „ვეფხის-ტყაოსნის“ გადაკეთებად ყოველივე შესწორება ხსენებულის გამოცემების ტექსტისა სხვა ვარიანტების მიხედვით. მაგ. ჩარკვიან-თავართქილაძის გამოცემათა ში-ე ტაეპში დაბეჭდილია დაგვჭკნობა და ამ საფუძვლით შიო დავითიშვილი დანაშაულად გვითვლის ჩვენც და ქართველიშვილის გამოცემასაც ამ სიტყვის მაგიერ დაბეჭდვას სიტყვისა დაგვჭკნობა. ამ კრიტიკოსს არ სცოდნია, რომ ჩუბინა-შვილის და ვახტანგის გამოცემაში ამ სიტყვების ფორმა უფრო ქართველიშვილის გამოცემას უახლოვდება, ვიდრე ჩარკვიან-თავართქილაძისას. იქ დაბეჭდილია დაგვჭნობა. ხოლო ზოგიერთს ვარიანტებში (მათ შორის 1687 წ. გადაწერილში, № 2829) დაწერილია დაგვჭკნობა. ქართველიშვილის გამოცემამ უარპყო პირველი პირი ამ ზმნისა, მიღებული ჩარკვიან-თავართქილაძის გამოცემებში, და მიიღო მეორე პირი თანახმად ჩუბინა-

შვილის და ვახტანგის გამოცემისა იმ ფორმით როგორც ძველს ხელთნაწერებშიაც არის. ბ-ნს შიო დავითიშვილს რათა ჰგონია, რომ ძველი ხელთნაწერები, ვახტანგი და ჩუბინაშვილი წარყენილს ფორმას ხმარობენ და ჩარკვიან-თავართქილაძის გამოცემანი კი იმ ფორმას, რომელიც თვით პოეტს უხმარია? სწორედ ამნაირადვეა ქართველიშვილის გამოცემის განსხვავებული ადგილები დაფუძნებული სხვა-და-სხვა ვარიანტებზე, შიო დავითიშვილს კი ჰგონია, ვითომ ყველა ეს ადგილები კომისიისგან ან ი. მაჩაბლისგან იყვნენ გადაკეთებულნი.

თუმცა ამნაირად შიო დავითიშვილს ჩარკვიანისა და თავართქილაძის გამოცემანი მიაჩნია რუსთაველის ორიგინალად და ბარბაროსებად სთვლის ყველას, ვინც მათში რამე სიყალბეს, დამახინჯებას ან წარყენილობას ამოაჩენს, მაგრამ, არ ვიცით რა მიზეზით, იგი ერიდება პირდაპირ გამოთქვას ეს აზრი და ოფიციალურად სრულებით სხვა გამოცემას აძლევს უპირატესობას. აი, რას ამბობს იგი: „ისე აირია საქმე, რომ, ჩვენის აზრით, უნდა განვაგდოთ ყოველი ახალი გამოცემა და ისევ ერთ-ერთს ძველს ვარიანტს დავუბრუნდეთ და საქმე თავიდან დავიწყოთ. რადგან ერთად ერთი შეცნიერული შრომა ამ საქმეში დ. ჩუბინაშვილს მიუძღვის, საჭიროა მისი გამოცემა უცვლელად დაიბეჭდოს ფრიად ძვირფას განმარტებით და ეს ვარიანტი შემუშავდეს აუჩქარებლად.“) როგორც ხედავთ ოფიციალურად საუკეთესო გამოცემად მიაჩნია ჩუბინაშვილის გამოცემა, რომელიც, როგორც მრავალჯერ გვქონდა ჩვენ შემთხვევა დაგვენახვებინა მკითხველისათვის, კრიტიკოსს თვალთაც არ უნახავს და იმოდენადვე აქვს გაცნობილი, რამოდენადაც ჰქონდა ქართველიშვილის გამოცემა ახლის გამოცემის რეცენზიის წერის დროს. მკითხველს ეხსომება, რომ დავითიშვილი, როდესაც ახალს გამოცემას არჩევდა, დაუნდობლად სწეწავდა და ჰქელავდა ჩუბინაშვილის გამოცემას და მის „ფრად ძვირფასს“ განმარტებასაც. რამდენჯერაც კი ახსენა თავის რეცენზიაში კრიტიკოსმა ჩუბინაშვილის გამოცემა, იმდენჯერ შეცდომა მოუვიდა და ტყუილი აღმოჩნდა ის, რასაც ამ გამოცემას მია-



წერდა. ამისთანა ფაქტებმა საფუძვლიანად გვაფიქრებინა, რომ შიო დავითიშვილი მხოლოდ ოფიციალურად სთვლის ჩუბინა-შვილის გამოცემასც საუკეთესო გამოცემად, ალბად იმიტომ რომ ჩუბინაშვილი, რაც უნდა იყვეს, პროფესორი იყო და მის სახელით მოლაპარაკეს ყველანი დამიჯერებნო.

გვეგონია საკმაოდ დაფაჩხვეთ მკითხველს ფასი და ღირსება ბ-ნის შიო დავითიშვილის შენიშვნებისა, რომელთაგან აქამდე არც ერთი არ შეგვეძლო საბუთიანად და სამართლიანად გვეცნო. მაგრამ უსამარლობას ჩვენ თითონ ჩავიდნეთ, თუ არ ავნიშნავთ ბ-ნის დავითიშვილის ერთს მეტად საფუძვლიანს შენიშვნას, რომელსაც სიამოვნებით მოვიყვანთ აქ. აი რას ბრძანებს ჩვენ შესახებ კრიტიკოსი: „დაიწყო თუ არა თავის წინასიტყვაობაში როსტევეან მეფის ამბავი, იქვე პირველ გვერდზე, რავდენიმე ტუუილი კასანხლა. როსტევეანმა და ავთანდილმა მოინადირეს. „ნადირობის შემდეგ, — განაგრძობს მეცნიერი\*) — მეფეს აცნობებენ (?!), რომ წყლის პირს ზის ერთი მშვენიერი ვაჟ-კაცი, რომელსაც აცვია ვეფხის ტყავის კაბა.“ ეგრე არ გახლავთ. როსტევეანი და ავთანდილი, „იგი ორნივე საგრილად გარდახდეს ძირსა ხეთასა“ და თავის თვალით „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, სჯდა მტირალი წყლისა პირსა.“ ეს ამბავი არავის უცნობებია მეფისთვის და ატყობინებენ ხომ ნამეტანია.

ამ შემთხვევაში შიო დავითიშვილი აღნიშნავს ჩვენს ნამდვილს და მძიმე შეცდომას. სრულებით მართალია, რომ როსტევეან მეფემ თავის თვალთ დაინახა უცხო მოყმე, წყლის პირს მჯდარი, და მაშასადამე შეტყობინება ნამეტანი იყო. დიდს მადლობას ვწირავთ შიო დავითიშვილს ამ შეცდომის ჩვენებისათვის. ვეცდებით „ვეფხისტყაოსნის“ მეორედ გამოცემის დროს შევასწოროთ ეს შეცდომა. მხოლოდ დიდს მადლობასთან ერთად მოვახსენებთ ბ-ნს კრიტიკოსს, რომ იგი ძალიან სცდება, როდესაც ბრძანებს, ვითომ ჩვენ ტყუილი გაგვესანხლავს, ე. ი. განძრახ გვეთქვას. ტყუილი. ტყუილის

\*) შიო დავითიშვილი დაცინვით ჩვენ მეცნიერად გვცხენიებს.



გახანხვლა იმას სკირდება, ვისაც უნდა უსაფუძვლოდ სხვის გაკილვა, დამცილება ან თავის თავის გამართლება. ამ შემთხვევაში კი ჩვენ არც გაკილვა, არც დამცილება, არც თავის გამართლება გვესაქიროებოდა. ჩვენი პირადი ინტერესი იყო, მართალი გვეთქვა და თუ მართალი ვერა ვთქვით და ტყუილი წამოგვცდა, ეს არის ნამდვილი შეცდომა და სხვა არაფერი.

## V II

ბ-ნი შიო დავითიშვილი არ ეთანხმება ჩვენს აზრს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მთელი წინასიტყვაობა (1—31 ტაეპი) უნდა შემდეგში იყვეს მიმატებული სხვა-და-სხვა პირთაგან და რომ მას არაფერი საერთო აქვს-რა თვით „ვეფხისტყაოსანთან.“ მაგრამ, რადგან მეტის-მეტო ჯიუტობა იქნებოდა არ დაგვთანხმებულიყო, რომ წინასიტყვაობის ტაეპები შინაარსის მხრით არ არიან ერთმანერთთან დაკავშირებულნი და მათში დიდი არეულ-დარეულობაა, ამიტომ ტაეპთა შორის კავშირის დასამყარებლად და არეულ-დარეულობის მოსასპობათ, ბ-ნი კრიტიკოსი ნებულობს ზოგიერთი ტაეპები ყალბებათ სცნოს და გააძევოს, ხოლო დანარჩენებს ადგილი შეუცვალოს და ისე დააწყოს, რომ მეტი აზრი და კავშირი გამოდიოდეს. ყალბს და გასაძევებელს ტაეპებად მიაჩნია 5, 6, 7, 8, 14, 15, 16, 18, და 28, ხოლო დანარჩენს ტაეპებს ამ რიგზე ალაგებს: 1, 2, 3, 4, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 17, 9, 27, 12, 13, 10, 11, 29, 30, და 31. რა საბუთით აძევებს ცხრა ტაეპს და რა მოსაზრებით უცვლის ადგილს დანარჩენს ოცდაორს, ამის შესახებ კრიტიკოსი ხმას არ იღებს. განძრახვა კი ცხადია, სახელდობრ ის, რომ უნდა დაუკავშიროს წინასიტყვაობის ტაეპები როგორც ერთმანერთს, ისე მთელს თხზულებას.

მაგრამ ტყუილად გაისარჯა კრიტიკოსი. ცხრა ტაეპის (თითქმის ერთი მესამედი) განდევნით იმან გაუმაგრა საფუძველი ჩვენს აზრს მთლად წინასიტყვაობის სიყალბის შესახებ,

ხოლო დანარჩენის ტაეპების გადასხმ-გადმოსხმით არაფერი მიუ-  
მატარა მათ სინამდვილის საბუთებს.

კრიტიკოსი ბრძანებს, ვითომ პირველის ორის ტაეპის  
წინამდევნი არც ჩვენ ვიყუვთ, მაგრამ ეს მართალი არ არის.  
ჩვენ ამ ორის ტაეპისა იმოდენადვე წინამდევნი ვიყავით და  
ვართ, რაოდენადაც მთელის წინასიტყვაობისა. თუ არ გო-  
ვარჩიეთ ახალის გამოცემის წინასიტყვაობაში ეს ტაეპები,  
ამიტომ კი არა, რომ პოეტის ნამდვილს ნაწარმოებად მიგვა-  
ჩნია, არამედ იმიტომ რომ საჭიროდ არ ჩავთვალეთ მის  
უარისყოფის საბუთების მოყვანაზე დროს დაკარგვა. პირველს  
ტაეპში მოშაირე ამბობს ყოველი ხელმწიფე იმისგან არის, ვინც  
სამყარო შექმნა ძლიერის ძალითა, ზეგარდმო არსნი გააჩინა  
ზეციით მონაბერის სულითა და ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანაო.  
როგორც ხედავთ, აქ გრძლად გამოთქმულია მეტად მარტივი  
აზრი, რომ ყოველი ხელმწიფე ღვთისაგან არისო გაჩენილი  
ან მოვლენილი მის-მიერის სახითაო. საკითხავია, რა საჭირო  
იყო ამ აზრის წამძღვარება ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის  
სიყვარულის ამბის მოთხრობისათვის? მართალია, ტარიელი ბო-  
ლოს ხელმწიფედ შეიქნა და მასთან ერთად პოემა-რომანში სხვა  
ხელმწიფეებიც არიან მოხსენებულნი, მაგრამ პოეტი მათ ხელ-  
მწიფურს მოქმედებას კი არ შეეხება, არამედ სიყვარულს და  
მეგობრობას, ხოლო სიყვარულმა და მეგობრობამ არ იცის  
გარჩევა ხელმწიფისა და უბრალო ადამიანისა. ამიტომ სრუ-  
ლებითაც არ იყო საჭირო თავში ცალკე მოხსენება, რომ  
ყოველი ხელმწიფე მისგან არს, რომელმაც ყველაფერი შექ-  
მნაო. ამ აზრს არავითარი კავშირი აქვს თხზულების აზრ-  
თან და ამიტომ ამ აზრის შემცვლელს ტაეპსაც არავითარი  
დამოკიდებულება არა აქვს თვით „ვეფხისტყაოსნთან.“ მას  
არა აქვს კავშირი არც შემდეგს ტაეპთან, რომელშიც მო-  
შაირე მიმართავს ღმერთს: შენ შექმნე ყოველი ტანი და მეც  
დამიფარეო, სატანა დამამარცხებინეო, მომეც სიკვდილამდე  
საერთგულო მიჯნურების სურვილი და თან წასატანის ცოდვე-  
ბის შემსუბუქებაო. სათხოვარი, როგორც ხედავთ, ძალიან კა-

რგი და სასარგებლოა. სატანის დამარცხება, საერთო ულო მიჯნურების სურვილი და ცოდვების შემსუბუქება. სანატრელია ყველასთვის, მაგრამ რა კავშირი აქვს ამ სათხოვარს იმ აზრთან, რომ ყოველი ხელმწიფე ღვთისაგან არის? მოზაირე რომ ხელმწიფე იყვეს, მაშინ კიდევ შეიძლებოდა ორს ტაეპში რამე კავშირი დაგვენახა. რადგან ყოველი ხელმწიფე ღვთისაგან არისო, ამიტომ, ჰე ღმერთო, დამამარცხებინე სატანა და ცოდვები შემისუბუქეო, — შეეძლო ეთქვაო მოზაირე ხელმწიფეს. მაგრამ მოზაირის ხელმწიფობა ჯერ არავის უთქვამს და მაშასადამე არც წარმოსადგენია, რომ ეს ორი ტაეპი დაეწეროს ერთს მოზაირეს. ან, რა საჭირო იყო „ვეფხის-ტყაოსნის“ დამწერს მიემართა ღვთისათვის იმ სათხოვრით, რომელიც გამოთქმულია მეორე ტაეპში? მიჯნურთა სურვილი რომ ეთხოვნა მარტო, კიდევ ჰო, თავს მოდიოდა, რადგან მიჯნურების ამბის მოთხოვას აპირობდა, მაგრამ ეს სატანა რა მოსატანი იყო ამ ღროს, ან ცოდვები რალა მაშინ გაახსენდა, როცა კალამი აილო ხელში და ტანჯულის მიჯნურების ამბის მოთხოვას შეუდგა. იქნება მითხრან, ძველად მიჯნურების ამბის წერა ცოდვად მიიჩნდათო და იმიტომ მოაგონდა ცოდვებიო. მაგრამ ეს მართალი არ არის. მიჯნურების ამბის გაგონება და მოთხოვა რომ ცოდვად არ მიიჩნდა მოზაირეს, იქილგან ჩანს, რომ თვითონვე სთხოვს ღმერთს მომეც მიჯნურთა სურვილიო. ყველაფრითგან ჩანს, რომ მეორე ტაეპსაც არაფერი კავშირი აქვს-რა „ვეფხის-ტყაოსანთან.“

ბ-ნი დავითიშვილი ამბობს: „იმ ღროს, როდესაც მთელი საქართველო სარწმუნოებით იყო აღფრთოვანებული, როდესაც ყველა სასულიერო თუ საერო მწერალი ღვთის დიდებითა და მეფის ქებით იწყებდა თარგმანს ანუ თხზვას, სწორედ საკვირველი იქნებოდა, რომ „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორს ერთისი სიტყვითაც არ ეხსენებინა ღმერთი და მეფე.“ კრიტიკოსი ამ სიტყვებით იმისთანა რასმე გვეუბნება, რაც მეტად უსაფუძვლო და ქეშმარიტებასთან დაშორებულია. მეთორმეტე საუკუნის საერო მწერლობის ნაშთი, ორიგინალი თუ ნათარგმნი, „ვეფხის-

ტყაოსნის“ გარდა, ცნობილია ოთხი თხზულება: აბდულ-შესია შავთელისა, თამარაინა ჩახრუხაძისა, ვისრამინა სარგის თმოგველისა და ამირან-დაკეჯანიანი მოსე ხონელისა. ამ თხზულებათაგან მხოლოდ აბდულ-შესიას იწყება ღვთის ხსენებით: სსამებით ღმერთმან, აჩსებით ერამ-ნ, მამტეს მე სწავლა თქვენდა შემკობად. დანარჩენს სამს თხზულებაში არც ერთში არ იხსენება დასაწყისში ღმერთი. აბდულ შესიასშიც პოეტი იხსენიებს ღმერთს წინასიტყვაობაში კი არა, არამედ პირდაპირ თხზულება იწყება შის ხსენებით, იმიტომ რომ ამას მოითხოვს თვით შინაარსი თხზულებისა და ეს პირველი ტაევი ისე დაკავშირებულია სხვა ტაეპთან, რომ შის გამოტოვება შეუძლებელია. ვეფხისტყაოსნის წინასიტყვაობის 1 და 2 ტაეპს კი თხზულების შინაარსთან არაფერი კავშირი აქვს-რა და მათი გამოტოვება არაფერს დააშავებს.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორს არ უხსენებია დასაწყისში ღმერთი, იმიტომ რომ შის დროს არ ჰქონდათ ჩვეულებად საერო თხზულების დასაწყისში მღერათისთვის ცალკე ტაევი შეეწირათ, თუ, რასაკვირველია, ამას თვით შინაარსი არ მოითხოვდა. იმას რომ ეხსენებინა ღმერთი, ისე კი არ ახსენებდა, როგორც ორს ტაეპშია მოხსენებული, არამედ უფრო გულწრფელად, სასოებით და აზრიანად. განა პოეტი ღმერთს ისეთის შშრალის სიტყვებით დაგვიხატავდა, როგორც პირველს ტაეპშია, ან ისეთის უხამსის და უშინაარსო თხოვნით მიმართავდა ღმერთს, როგორც არის სატანის დათრგუნვა და ცოდვების შემსუბუქება? განა „ვეფხისტყაოსნის“ ნამდვილს ავტორს სხვა სათხოვარი არა ექნებოდა-რა, დაკავშირებული შის შრომასთან? საკმარისია ამ კითხვებს მიაქციოს კაცმა ყურადღება და კრიტიკულად გაშინჯოს შინაარსი და სტილი ორის პირველის ტაეპისა, რომ, სხვა საბუთების უქონლადაც, დაინახოს მათი სიყალბე.

მესამე და მეოთხე ტაეპებში, რომელნიც ხელ-უხლებლად დატოვა ბ-ნმა კრიტიკოსმა თავიანთ ადგილზე, მოხსენებულნი არიან დავით სოსლანი და თამარ მეფე, როგორც ქების და

შემკობის ღირსნი. ჩვენ ამ ორის ტაევის უაზრობის და უვარგისობის შესახებ საკმაოდ ვილაპარაკეთ ჩვენს წინასიტყვაობაში. აქ მხოლოდ იმას დავუმატებთ, რომ ჩვენი კრიტიკოსი თავისებურად, უსაფუძვლოდ მარტავს მათ შინაარსს. მესამე ტაევის შესახებ ის ამბობს: „აქ აზრი ბუნდოვანია, ხოლო წინანდელს ორიგინალებში (აღბად უნდოდა ეთქვა: გამოცეკებში) უფრო ნათლად ისმოდნა ვისი ქებაა ამ ტაევში: როგორც ლომსა ანუ გვირს შვენის ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა, ისე მზეთამარ მეფეს ამშვენებს ღაწვ-ბადახშ-თმა-გიშერისაო (ქ არ გვესმის რა უნდოდა კრიტიკოსს ეთქვა სიტყვებით: დაწვ-ბადახშ-თმა-გიშერისაო). პირველი სიტყვა ამ ტაევისა ვის უნდა გავიგოთ როგორც ვით.“ ჯერ ერთი, ვის თავის დღეში არ უნდა გავიგოთ როგორც ვით, ამის უფლებას არ იძლევა ის მოასაზრება დავითიშვილისა, რომ „იქნება პირვანდელს ორიგინალებში ასეც იყო.“ ვის მუდამ და ყველა „ორიგინალებში“ (ორიგინალი თუმცა ერთი გაგვიგონია) იქნებოდა ისევ ვის, იმიტომ რომ მეორე წინადადება იწყება სიტყვით მას. ვისაც შვენის თამარის შუბისა და ფარ-ხმლის ხმარება, მას არ ვიცი როგორ შევკადრო ქებაო. მეორეც, კრიტიკოსს არ ესმის რთული სიტყვა ღაწვ-ბადახშ-თმა-გიშერი. ეს სიტყვა ნიშნავს წითელ-ლურჯანს და შავ-თმიანს და შეთანხმებულია სიტყვასთან თამარისა. იმიტომ ამ ტაევის პირველი სამი სტრიქონი უნდა ესე იქნას განმარტებული: რომელს ლომსაც შვენის წითელ-ლოყიანის და შავ-თმიანის მეფის, მზესავით ლამაზის თამარის შუბისა და ფარ-ხმლის ხმარება, მას არ ვიცი როგორ შევკადრო ქებაო. კრიტიკოსის განმარტება კი ყოველად უსაფუძვლო და თავნებითია.

მესამე ტაევში იხსენიება თამარის ქმარი დავით სოსლანი, რასაც ტყუილად უარ-ჰყოფს კრიტიკოსი. მოშაირე იხსენიებს დავით სოსლანს მხოლოდ იმისთვის, რომ სთქვას მეძნელება მისი ქებაო. მეოთხე ტაევში კი მოშაირე გვიწვევს, აბა ერთი ვაქოთ თამარიო. მერე როგორ? სისხლის ცრემლის დათხევითაო. თურმე თამარი ამ მოშაირეს წინადაც უქია და კარგადაც უქია.



თუ დავუჯერებთ მას, რადგან იგი ამბობს: „ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამოარჩეული“. მელნად უხმარია გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული. ისეთის ხელოვნებით ვაქნო, ვანაგრძობს ამავე ტაეპში მოლექსე, რომ „ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეულიო“. როგორც ხედავთ, მესამე ტაეპის შემთხვევლი ვერ ბედავს შეაქოს ლომი, რომელსაც შვენის წითელ-ლოყიანის და შავ-თმიანის თამარის შუბისა და ფარ-ხმლის ხმარება, მეოთხე ტაეპის შემთხვევლი კი ისეთს გამბედავს და დახელოვნებულს მაქებრად გვიჩვენებს თავს, რომ საოცრებაში მოვდივარო. ცხადია, ეს ორი ტაეპი სულ სხვა-და-სხვა კაცის დაწერილია. ერთის დაწერილი მეტად მოკრძალებული და გაუბედავი კაცია, მეორისა მეტად კადნიერი და გაბედული, ამასთან ფრიად ტრაბახა და რახარუხით სიტყვების მსროლელი.

ახლა ვიკითხოთ, რა ადგილი ჰქონდათ ამ ტაეპებს „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობაში? თამარის ან დავით სოსლანის ქებასთან რა აქვს საერთო ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის რომანის მოთხრობას? შიო დავითიშვილი ამბობს, იმ დროს (მეთორმეტე საუკუნეში) ჩვეულებად ჰქონდათ პირველად ღმერთთან ერთად მეფეც ეხსენებინათო. ჯერ ერთი, ასეთი ჩვეულება არ ყოფილა. მეორეც, თუ იხსენებდნენ, უთავბოლოდ კი არ იხსენებდნენ მეფეს, არამედ ამას მოითხოვდა თვით შინაარსი. მოიხსენებდნენ იმ მეფეს, რომელიც იყო საგანი თვით მოხრობისა. „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსში რა ადგილი აქვს თამარს, რომ პოეტს ის მოეხსენებინოს დასაწყისში. შეიძლება კრიტიკოსი ზოგიერთებთან ერთად იმ აზრისაა, ვითომ „ვეფხისტყაოსანში“ თამარი იყვეს გამოხატული გამოცვლილის სახელით. ეს ხომ უსაფუძვლო აზრია, მაგრამ მართალიც რომ იყვეს, რა საფიქრებელია, რომ წინასიტყვაობაში ავტორს თამარი მოეხსენებინოს თავის საკუთარს სახელით იმ დროს, როდესაც თვით თხზულებაში ის გამოცვლილის სახელით არის მოხსენებული! მაშინ სახელის დაფარვას „ვეფხისტყაოსანში“ ხომ ყოველივე მნიშვნელობა დაეკარგებოდა.

ამნიარად ამ ორს ტაეპს არავითარი კავშირი არა აქვთ როგორც ერთმანერთში ისე „ვეფხისტყაოსანთან“. მაგრამ ეს ცოტაა. ამ ორს ტაეპს არც რამე აზრი აქვთ თავის-თავად. საკმარისია გავიხსენოთ მესამე ტაეპის უკანასკნელი სტრიქონი—მისთა მჭკრეტელთა უანღისა მიწთმა ჭხამს, მათ მშეიკრისა,— რომ შევიგნოთ, თუ რაოდენად დაშორებულია პოეზიაზე და აზრზე როგორც ეს ტაეპი, ისე მის მთხვეელი. ხოლო მეოთხე ტაეპი თავითგან ბოლომდე უაზრობა და უგვანობაა. გაუგებარია, რად უნდოდა მოშიარეს თამარის ქების დროს სისხლის ცრემლის ღვრა, რა უნდოდა ეთქვა მას, როდესაც ამბობდა თამარის საქებრად მელნის მაგიერ გიშრის ტბა ვიხმარე და კალმის მაგიერ მინა რხეულიო, რა უნდა ყოფილიყო ისეთი მის მიერ წინად ნათქვამს და დაწერილს თამარის ქებაში, რომ მის მსმენელს ლახვარი მოხვედროდა გულში? გაუგებარია კიდევ, რატომ არ შეასრულა მოშიარემ თავისი განძრახვა თამარის ახლად ქებისა. სისხლის ცრემლის დათხვეით და, თუ აპირებდა ახლად ქებას, რა საჭირო იყო გავხსენებინა კიდევ წინანდელი ქება? მერმე ასეთის ლექსებით რომ ლაპარაკობს მოშიარე თამარ მეფის შესახებ, ვითომ დავიჯეროთ, რომ მის დროს არც მორიდება იცოდნენ, არც სირცხვილი, არც თავაზიანობა? თამარი უბრალო ქალი ხომ არ იყო, მეფე იყო, საქართველოს პატრონი, და ნუ თუ იმოდენად მაინც არ იყო პატივცემული, რომ მისი ქება სისხლის ცრემლების გამომწვევად და გულის საკვნესად არ გაეხადათ მის სიცოცხლეშივე.

ახლა თვალის გადავავლოთ შემდეგს ტაეპებს იმ რიგზე, როგორც დალაგებული აქვს კრიტიკოსს. მეოთხე ტაეპს, ამის აზრით, უნდა მოსდევდნენ 19, 20, 21, 22, 23, 24 და 25, ტაეპები. როგორც ხედავს მკითხველი, ეს ტაეპები ისევ იმ ურთიერთობაში არიან დატოვებულნი, როგორც წინად იყვნენ, მხოლოდ წინ არიან წამოწეულნი. მათში დაპარაკია შაირობასა და მოშიარეებზე. ეს ტაეპებიც ჩვენ მიგვაჩნია ჩამატებულად. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მათ არაფერი კავშირი აქვთ-რა „ვეფხისტყაოსანთან“, მეორეც იმიტომ, რომ არავითარი პოეტური

ღირსება არა აქვთ-რა და არაფრით მოგვაგონებენ „ვეფხისტყაოსნის“ პოეზიას. აზრიც შიგ დიდი არაფერი მოიპოვება-რა და რაც არის, ისიც უხეიროდ არის გამოთქმული გრძლად და გაჭიანურებით. მოშირობა ამ ტაეპებში მხოლოდ გარეგანის მხრით არის დახასიათებული, რასაკვირველია, შეცდომით და შინაგანს მის თვისებაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ, უკაცრავად, არის ერთი რამ ნათქვამი, რომელიც დიდი სისულელეა. ეს აზრი გამოთქმულია 25-ე ტაეპში: „ჰხამს მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკვობდეს, ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს, ყოვლსა მისთვის ჰხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას აპკობდეს, მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს“. როგორც ხედავთ, მოშიარე აქ რევს ერთმანერთში მელექსეს და მიჯნურს და მელექსისაგან ითხოვს იმასვე, რასაც სხვაგან ითხოვს მიჯნურისგან. კრიტიკოსი გვეკითხება, ნუ თუ პოეტი ერთისა ან ორის სიტყვით არ შეეხებოდა „ამ საგნებს, რომელითაც გატაცებული იყო მაშინდელი სწავლული თუ უსწავლელიო, ნუ თუ არას იტყოდა პოეზია-შირობის შესახებ, რომელსაც გზის მაჩვენებელი სჭირდებოდაო“, და თავის თავადვე იძლევა პასუხს, რომ უთუოდ შეეხებოდაო. რა საბუთზე ამყარებს კრიტიკოსი თავის პასუხს, ამას არ გვეუბნება. პოეტს, რასაკვირველია, შეეძლო შეხებოდა იმ საგნებს, რომლებითაც გატაცებული იყო მაშინდელი სწავლული და უსწავლელი იმდენადვე, რაოდენადაც შეეძლო არ შეხებოდა მათ. პოეზია-შირობის შესახებ შეეძლო არაფერი ეთქვა-რა ცალკე, რადგან ეს სრულებით მეტი იყო. პოეზია-შირობას არავითარი განსაკუთრებული გზის მაჩვენებელი არც წინად სჭიროდა და არც ახლა სჭირია. ნიჭიერის პოეტის ნაწარმოები არის თავის-თავად საუკეთესო გზის მაჩვენებელი. მეორეც ესა, „ვეფხისტყაოსნის“ დამწერი თუ იტყოდა, რასმე პოეზია-ში, რობაზე, იმისთანა უმსგავსს და უგვანს ტაეპებს კი არ დასწერდა, როგორნიც არიან 19—25 ტაეპები, არამედ რასმე თავის ნიჭს და ხელოვნების ღირსს. ხსენებული ტაეპები უნდა შეთხზულნი იყვნენ რომლისაჲმე ჯაგლაგის მოშიარისაგან, რომელსაც არც აზრი

ჰქონია, არც ენა და არც ნიქი, რომელსაც პოეზიის ღირსება მხოლოდ ლექსთა სიგძესა და სიმრავლეში დაუნახავს და რომელსაც მიჯნურსა და მელექსეს შორის განსხვავება ვერ დაუნახავს.

26-ე ტაეპში მოშიარე თავის თავზე ლაპარაკობს, იცოდეთ მას ვაქებ, ვინც მიქია, ეს სასახლოდაც მიმაჩნია და თავიც არ შემირცხვენიაო. ის არის ჩემი სიცოცხლე, მაგრამ ერთი რაღაც შეუბრალებელია როგორც ჯიქიო. მისი სახელი შექებით ქვეით მითქვამსო. ეს ტაეპი ძალიან დაკავშირებულია წინა ტაეპთან, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ ეს კავშირი ბუნებრივი იყოს. 25-ე ტაეპის აზრის ვითომ საღიადით გატაცებულს მოლექსეს, ჩვენის აზრით სრულებით სხვა პირს და არა თვით მის შემთხვევლს, შეუთხზავს ეს ტაეპი და ჩაუწებებია წინასიტყვაობაში. ამას გვაფიქრებინებს თვით შინააზრი. ეს ორი ტაეპი ჩვენ არ მიგვაჩნია ერთისა და იმავე მოშიარეს თხზულებად იმიტომ, რომ ვინც საჭიროდ დაინახავდა იმისთანა წესის დადგენას, როგორიც გამოთქმულია 25 ტაეპში, აღარ ჩასთვლიდა საჭიროდ მიეთითებინა თავის თავზე და ეთქვა, რომ ახლა ჩემი ამბავიცა სცანით, რა ყოჩალი მოშიარე ვარო, სულ იმას ვაქებ, ვინც კვლავაც მიქიაო. ამის თქმა ხომ ისევ წინანდელის აზრის გამო თქმა იქნებოდა მხოლოდ კონკრეტის ფორმით. მაგალითად მოყვანა თავის თავისა არც არაფერი საბუთი იქნებოდა წინა ტაეპში გამოთქმულის წესის სიკეთის დასამტკიცებლად. სხვის მაგალითი რომ მოეყვანა, იმას სულ სხვა მნიშვნელობა ექნებოდა, მაშინ უფრო ადვილად დაიჯერებდნ მსვენელნი გამოთქმულის აზრის საფუძვლიანობას, თორემ თავის მოყვანა მაგალითად იგივე იქნებოდა, რაც მელაასაგან მოწმად თავის კუდის მოყვანა უნდა ყოფილიყო.

ვინ არის ეს მოშიარე, რომელიც ასე გვაცნობებს თავის თავს? ვინ არის ის, რომელიც მას უქია და აქებს კიდევ? სად არის მოხსენებული ქვემოთე სახელი მის ჯიქივით უწყალო საყვარელისა? ეს მოშიარე არ შეიძლება იყვეს „ვეფხის-ტყაოსნის“ დამწერი, იმიტომ რომ „ვეფხის-ტყაოსანში“ მას არავინ



ჰყავს ნაქები, რომლის შესახებაც ითქმოდეს, რომ ის არის მისი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია. „ვეფხის-ტყაოსანში“ ნაქებია ორი ქალი— თინათინ და ნესტან-დარეჯან, ორნივე მოგონილი, ფანტაზიის შექნილი პირებია, რომელთაც ჰყავთ აგრეთვე ფანტაზიით შექნილი მიჯნურები. ვისაც წინასიტყვაობა ნამდვილს თხზულებად მიიჩნია, გადაქრით იტყვის, რომ ეს საყვარელი ქალი პოეტისა არის ის თამარი, რომელსაც მეოთხე ტაევში იხსენიებსო. აზრი და შინაარსი ამ ტაევებისა თითქმის სულ ერთია. მაგრამ მათ შორის განსხვავებაც არის და ეს განსხვავება თავის-თავად ღალადებს, რომ ამ ტაევში მოშიარის სიტყვა-ცხლე არ უნდა იყოს თამარი. მეოთხე ტაევში გამოთქმულია, თამარი მიქია და კიდევ ვაპირებ ქებასო, ისე საგრძნობლად რომ ყველას სისხლის ცრემლს დავადგრევიანებო. 26-ე ტაევში კი ქების საგანი ყოფილა პოეტის საყვარელი, მისი სიცოცხლე, მაგრამ ჯიქივით უწყალო. შეუძლებელია ეს პოეტის საყვარელი იყვეს მეოთხე ტაევში დასახელებული თამარ მეფე, რადგან წარმოუდგენელია, ისე გაათავებდებულიყვეს ვინმე, რომ საქვეყნოდ მეფე ქალზე დაეწეროს მიყვარს, მისთვის ვკვდები, მაგრამ მეტად უწყალოდ მექცევა, თითქო ჯიქიაო. ან სად არის ქვემოთ მოხსენებული ამ თამარის სახელი, როგორც ეს ნათქვამია 26-ე ტაევში? ყველაფერი ეს არ ამტკიცებს განა, რომ ეს ტაევი ისევე შეთხზულია შემდეგში უნიქო მოშიარისაგან, როგორც სხვა ტაევები?

ამ 26-ე ტაევთან აკავშირებს ბ-ი შიო დავითიშვილი 17 ტაევს, ალბად იმიტომ რომ მოშიარე აქაც ისევ თავისიყვარულზე ლაპარაკობს. სხვა რომ არა იყვეს-რა, დააკვირდით ამ ორის ტაევის ენას და დაინახავთ, რა დიდი განსხვავებაა მათ შორის. 26-ე ტაევში თავგამოდებული და მხიარული მოშიარე მე-17-ში იწყებს წუწუნს და გზევეწება სხვებს, მიშველეთ რამეო, კმარა ხორცის დაწვა, ახლა სულის ღებნა მომეცითო. ტყუილად გაისარჯა კრიტიკოსი, ეს ბუნებით და ადგილით დაშორებული ტაევები რომ დაახლოვა ხელოვნურად. მათში საერთო არა არის-რა, სხვა და სხვა კაცის კალამს ეკუთვნიან.



დანარჩენს ტაეებში—9, 27, 12, 13, 10, 11, 29, 30, და 31 ლაპარაკია მიჯნურობაზე და მიჯნურობაზე. როგორც ხედავთ, ეს ტაეები ძალიან დიდის თავნებობითაა დალაგებული კრიტიკოსის მიერ, რომელმაც მეცხრე ტაეის ამოუყენა ოც-და-მეშვიდე, ოცდამეშვიდეს, მეთორმეტე და მეცამეტე, ამათ მეათე და მეთერთმეტე, ამათ ოც-და-მეცხრე და შიშველები. ასეთი თავნებითი გადასმ-გადმოსმა კრიტიკოსმა საჭიროდ დაინახა ტაეება დასაკავშირებლად შინაარსის მიხედვით. მაგრამ რა გამოვიდა? ეს კავშირი მხოლოდ გარეგნულია და არა შინაგანი. მართალია, ყველა ამ ტაეებში ლაპარაკია მიჯნურობაზე და მიჯნურობაზე, რომელზედაც, კრიტიკოსის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ დამწერს ვითომ უეჭველად უნდა ეთქვა ორიოდ სიტყვა, მაგრამ ვაი ამისთანა თქმას. ტაეებში გაქიანურებით არის ლაპარაკი, მაგრამ შიგ აზრი ბევრი არა არის-რა. მაგალითად, 27 და 9 ტაეები სრულიად უშინაარსოა და ცარიელი სიტყვებია. 12 და 13 ტაეები ერთი მეორის გამეორებაა სხვა სიტყვებით. 29 ტაეებში, რაკი მიჯნურობა და მიჯნურობაზე სათქმელი არა იყო-რა, მოშაირე ეხება მიჯნურობის ფილოლოგიურს ახსნას—მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა, იმიტომ რომ მიჯნური შმაგობს მისისა ვერ მიხდომისა წყენითაო. ამავე ტაეებში გამოთქმულია აზრი პირდაპირ წინამდებელი 27 ტაეებში გამოთქმულის აზრისა. მიჯნურობა საზეო საქმეა, მომცემი აღმაფრენათაო, ნათქვამია 27-ე ტაეებში, ხოლო 29-ე ტაეებში სწერია: „ზოგთა (მიჯნურობა) აქვს საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა, კვლავ ზოგთა ქვე-უძს ბუნება კეკლუცთა ზედან ფრენითა“. მრავალ-სიტყვაობა, უშინაარსობა, აზრების ტყუილ-უბრალოდ გამეორება, წინააღმდეგ მეტყველება და ყოველად საძაგელი ენა—ყველა ეს ისეთი ნიშნებია, რომლებიც გვაიძულებენ უარყოფით, ვითომ ამ ტაეების დამწერი იყვეს „ვეფხისტყაოსნის“ შემქნელი პოეტი.

VIII

ჩვენს წინასიტყვაობაში გამოვთქვით აზრი, რომ „ვეფხის-ტყაოსნის“ უკანასიტყვაობა, ე. ი. უკანასკნელი ხუთი ტაეპი (1572-1576), აგრეთვე უნდა შეადგენდეს შემდეგის დროის დამატებას სხვა მელექსეთაგან. ბ-ნი შიო დავითიშვილი გვეთანხმება მხოლოდ ოთხის უკანასკნელის ტაეპის შესახებ, ხოლო 1572 ტაეპი კი ნამდვილად „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორის თხზულებად შიარნია. აი რანაირად ასაბუთებს კრიტიკოსი თავის აზრს. მოჰყავს 1570 ტაეპი:

მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს,  
ერთმანერთა ჭნახვიდიან, სწადელი გაუსრულდეს,  
ბრძანების შემცილენი მათთა ხმალთად დავუწელულდეს,  
მოიმატნეს სამეფონი, კახელმწიფდეს, გამოარკმულდეს.

და შემდეგ უმატებს: „ასე შეწყვეტა მოთხრობისა მოუხერხებელია, აქ ათასი საკითხი დაებადება მკითხელს: მერეო?—უნებლიედ იკითხავს, ეხლაც კოცხალნი არიან ეს გმირები? თუ არა, როდინდელი ამბავიაო? და სხვა.“ ამ მოსაზრების პასუხად ჩვენ უნდა ვუთხრათ კრიტიკოსს, რომ, ჯერ ერთი, 1572 ტაეპის წინ ზის 1571 ტაეპი და არა 1570, მაშასადამე თუ მხოლოდ ხუთი ბოლონდელი ტაეპი ჩამოვაცალეთ, „ვეფხის-ტყაოსნის“ გათავებული იქნება შემდეგის ტაეპით:

უფდთა სწორად წყალობას ვითა თოფდეს, მოათოფდეს,  
ობოლ-ქერიენი დამდიდრეს და გლახუკნი არ ითხოფდეს,  
ავთა მქმნელნი დაშინეს, კრავნი ცხვართა ვერა სწოფდეს,  
შაკან მათთა საბრძანისთა თსა და მკელი ერთად სყოფდეს.

ამ სიტყვების წამკითხავი თავისთავადაც მიხვდება (თუ წინადვე არ იყო მიხვედრილი), რომ მოთხრობის ამბავი ყოფილა ზღაპარი და არამც თუ არ იკითხავს, მოხსენებული

გმირები ცოცხლები არიან თუ არა ახლავ, არამედ აზრდაც არ მოუვა იფიქროს, რომ როდისმე ყოფილიყვნენ ისინი ნამდვილად. მეორეც ესა, სწორედ 1570 ტაეპიც. რომ ყოფილიყო 1572 ტაეპის წინ, მკითხველისთვის მაინც არ იქნებოდა სრულებითაც საეჭვო, რომ ყველაფერი ნათქვამი ზღაპარია და შიგნამდვილი და ახალი არაფერია. ზმნა ოთხსავე სტრიქონში წარსულის დროშია დასმული, რაიცა ცხადად-ჰყოფს, რომ ამბავი ძველის დროისაა და გმირებიც ცოცხლები აღარ არიან. ამიტომ სრულებით მეტი იყო, ავტორს ცალკე ტაეპით ეცნობებინა ჩვენთვის, რომ ჩემი მოთხრობილი ამბავი გასრულდა და გმირები დიდის ხნის მკვდარნი არიანო. ეს 1572 ტაეპი, როგორც უკვე გვითქვამს, უფრო მკითხველის მიწერილია და ხელსაც ის აწერს: „ვეწერ ვინმე მესხი მელექსეო“. რაც უნდა თავდაბალი კაცი ყოფილიყო „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორი, ის თავს არ მოიხსენიებდა აგრე მდაბლად ვინმე მესხი მელექსეო. მაგისტანათხულებათა ავტორებს არ სჭირდებათ თავიანთ სახელის თავისავე ხელით წარწერა, ეს ჩემი შეთხზულიაო. თანამედროვეები თითონ მოძებნიდნენ მის სახელს. და თუ საჭიროდ დაინახავდა თავის ვინაობის აღნიშვნას, კიდევ აღნიშნავდა როგორც წესი იყო: მოიხსენებდა თავის სახელსაც და გვარსაც.

დ. კანიჭაშვილი.

# თ ა მ ა რ მ ე ზ ე

და

## მისნი, ისტორიკოსნი

### XIII ასსინები—მოლიდნა—ქაჯნი.

აქვე უნდა დაფურთოთ ცნობა შესახებ ასსინებისა, რომელნიც ჩვენ მიგვაჩნია რუსთაველის ქაჯებად.

ასსინები გამოჩნდნენ მე-XI საუკ. უკანასკნელს წლებში. ესენი მაჰმადიანები იყვნენ, მაგრამ მაჰმადიანობა თავისებურად სწამდათ. მათ მოთავედ იყო შია ჰასანი, რომელიც ასწავლიდა თავისს მსმენელებს: ღმერთი დროით-დრო განხორციელდება ხოლმეო, რომ განწმინდოს სარწმუნოება ცთომილებათაგანო. ახალმოქცეულს ბლომად ასმევდნენ ხაშხაშის შარბათს, მერე გარეტყიანებული საუცხოვოდ შემკულს ბაღში გადაჰყავდათ; ხიბლავდნენ შვენიერ სანახავებით, ქალებით, ისევ ასმევდნენ გამოსათხიზლებელს სასმელს და წინანდელსავე ადგილს გადმოჰყვანდათ. ყოველივე ეს მას ისე ეჩვენებოდა, თითქო სამოთხეში ყოფილიყოს, და ამ სარწმუნოებისთვის თავს დებდა, რომ სამოთხის ღირსი გამხდარიყო. ხაშხაშის პირველად მათ მოიგონეს და ამიტომ ეწოდათ ხაშიშები (ხაშიშინნ ევროპიელთაგან ასსასინ-ად გადაკეთებულია. ეს ხაშიშები ფრიად მრავალნი და მძლავრნი იყვნენ. იგინი უმთავრესად ბატონობდნენ ჩრდილო სპარსეთის მიუღდგომელს მთებში და ლიბანას. მალიქმა რომ მოჰკლეს ხაშიშებმა, დაიპყრეს ციხე-ქალაქი შაჰლუბრი, რომელიც იყო ისპაანის ახლოს და

ამ ისპაანიდამაც ბევრნი მათ მიემხრნენ. მათი მფარველი იყო ემირი რიზვანი. ხაშიშებმა დაიპყრეს მრავალი მიუდგომელი ციხეები, აგრეთვე ქალაქები ხალები (ქალები) და ალმუთი, რომელიც შეიქმნა მათ უმთავრეს შუაგულად. მათი ძლიერება საიდუმლოებაზე იყო დამყარებული: ვისაც მათი მოთავე შეატყობინებდა ამ საიდუმლოებას, იგი ველარავის გაანდობდა და ამასთანავე თავის მბრძანებლის მონად იქცეოდა. ამ მოთავეს კი ერქვა „შეიხი მთისა“. მისს ბრძანებას დაუყოვნებლივ ასრულებდნენ; დიდის ხერხით და ხელოვნებით, მხნედ, უშიშრად, შეუმჩნევლად კაცს ჰკლავდნენ, ამისთვის მათ მოელოდათ—სააქაოს სიმდიდრე, საიქიოს—ნეტარება სამოთხეში. ეს გულმყარი მცარცველები და უშიშარი მკვლელები აგარიანებისა და ქრისტიანების საფრთხობელად გახდნენ. მათს ხანჯალს გაუგმირია არა ერთი სელჩუკიანი და მათი ვეზირები და მათი ლაშქარი უკუუქცევია თავისს ფრიალოზე აგებულ ციხე-კოშკებიდან. მათვე მოჰკლესო სულტანი მაჰმუდი. ბევრს ევროპიულს ენაზე მათი სახელი „მკვლელად“ იხმარებოდა (ვებერ, VI, 457—458).

ამ „საიდუმლო“ მწვალებლებს და უჩინარს, მართლაცა და ქაჯს, „სახელმწიფოს“ მოიხსენებს ქართლის ცხოვრებაც და მოიხსენებს მუღადად, კაცის მკვლელად.

ქართლის ცხოვრება პრველად მათს სახელს იხსენიებს თამარის ცხოვრებაში (გვ. 301): მოკვდაო ათაბაგი ყიზ-არსლანი, მოლიდთა მიერ გასულტნებული. შემდეგ ვნჰ გვერდზე მონგოლნი მოხსენებულნია ნათესავად მოლიდთა, მაგრამ ეს სიტყვა შენიშვნაში გასწორებულია მომავალთა-დ, მოღალათა-დ, თუმცა შეიძლება ხაშიშად ზოგი მანღულიც ყოფილიყო, აგრეთვე ყოვლის ტომის კაცი.

გვ. 365: მანგუ ყაენს მანღულისას მოახსენეს: „ერთობილნი ქართველნი ტყუილსა ევლტვიან, მწამლველი და მხიბლავი კაცი არცა თუ სახელ იდების მათ შორის; ხოლო სპარსნი არიან ცრუ, მოღალატენი, ფიცისა არა შემნახავნი,



და მულიდნი და მწამღველნი მრავალნი იპოებინან მათ შორის და ურცხვინოდ მამათ-მავალნი“.

**გვ. 371:** მანღულეები და ქართველები შემოერთყნენ აღმ-  
უთს და შვიდს წელს ებრძოდნენ ამ ქალაქს. „აღმუთელნი არიან  
მიპარვით კაცის მკვლელნი, რომელთა მუღადად უხმობენ. ერთი  
ხელოვანი მულიდი უჩინრად შეიპარა ჩალატარ ნოინის კა-  
რავში, მოჰკლა იგი და უჩინრადვე გაიპარა. მკვლელითა ქა-  
რთველებს გადააბრალეს და ის იყო, ელეტავდნენ ქართველს  
დასს, რომ ჩალებიდან გამოვიდა მკვლელი და გამოაცხადა,  
მე მოვკალ ჩალატარიო“

**გვ. 382:** დავით მეფემ (1243—1259) და მანღულეებმა  
საქმე რომ გაუჭირეს აღმუთელ მულიდებს, იგინი ეგვიპტეს  
გადასახლდნენ. „აწ რომელ მულიდნი მისრეთით (ეგვიპტით)  
გამოვლენ, იგივე აღმუთელნი არიან, მუნ დამკვიდრებულ-  
ნი“.

რუსთაველის ქაჯებსაც სწორედ ის თვისებები აქვთ, რი-  
თაც მულიდნი=ხაშიშები (ქაში-ში=ქაჯი?) გაირჩეოდნენ სხვა  
რწმენის ხალხთაგან. შეადარეთ:

არ ქაჯნია, კაცნიაო,  
მინდობიან კლდესა სალსა.  
ქაჯნი სახელად მით ჰქვიან:  
არიან ერთად კრებულნი,  
კაცნი გრჰნებასა მცოდნენი,  
ზედან დახელოვნებულნი,  
ყოველთა კაცთა მავნებნი:  
იგი ვერვისგან ვნებულნი:  
მათნი შემბმელნი წამოვლენ  
დამბრმალნი, დაწბილებულნი.  
იქმენ რასმე საკვირველსა:  
მტერსა თვალსა დაუბრმობენ,  
ქართა აღძრვენ საშინელთა,  
ნავსა ზღვა-ზღვა დაამჯობენ,

ვითა ხმელსა, გაირბენენ  
წყალსა, წმინდად დააშრობენ,  
სწადდეს, ღღესა ბნელად იქმენ,  
სწამდეს, ბნელსა ანათობენ.

### მათი ქალაქი, სამტკვიცი:

ქაჯთა ქალაქი აქამდის  
მტერთაგან უძლეველია:  
ქალაქსა შიგან მაგარი  
კლდე მალლი და გრძელია.  
მას კლდესა შიგან გვირაბი  
ასაძრობელი ხვერელია.

### ამ კოშკში დაემწყვდიათ ნესტან-დარეჯანი:

მუნ არის მარტო მნათობი,  
მისთა შემყრელთა მწველია.  
გვირაბისა კართა ნიადაგ  
მოყმე სცავენ არ პირნასები:  
ათიათასი ქაბუკი ღვის,  
ყველა კაი ხასება (ხაშიშები?),  
ქალაქის კარია სამთავე  
სამათას — სამათასები.

რუსთაველის ქაჯი — მოლი (მოლიდი?), რომელიც ფატ-  
მანმა და ავთანდილმა წერილით გაგზავნეს ქაჯეთს ნესტანთან  
(ტ. 1253—1255), იმ თვისებისა და ზნისაა, ვითარცა ქართლის  
ცხოვრების აღწერით და ვეფხის ტყაოსნის მოთხრობით მოლი-  
დნი — ხაშიშნი. ქართლის ცხოვრებაში აღნიშნული თვისებები  
სიტყვა-სიტყვით გაუმერებია რუსთაველს:

ფატმან მისცა დაწერილი  
მას გრძნეულსა ხელოვანსა:  
„ესე წიგნი მიართვიო  
ქალსა, მზისადა საგვანსა“.

მან გრძნეულძან ძოღა\*) (მოლიდმა)  
 რამე წამოისხა ზედან ტანსა,  
 მასვე წამსა გარდიკარგა,  
 გადაჰფრინდა ბანის-ბანსა.  
 წავიდა ვითა ისარი  
 კაცისა მშვილდ-ფიცხელისა.  
 რა ქაჯეთს შეჰხდა, ქმნილიყო  
 ოდენ ბინდბანდი ბნელისა;  
 უჩინოდ შევლო სიმრავლე  
 მოყმისა, კართა მცველისა;  
 ციხისა კარნი დახშულნი  
 შევლნა მართ ვითა ღიანი,  
 შევიდა ზანგი პირშავი,  
 თმაგრძელი, ცანსაბდანი.

ოვით ნესტანმა შემოუთვალა ტარიელს (ტ. 1276 — 1277):

აწ სოფელმან უარესი  
 ჭირი ჭირსა მიმისართა:  
 კვლავცა მიმცა შესაპყრობლად  
 ქაჯთა, ძსეღად საომართა.  
 ციხეს ვზი ეზომ მაღალსა,  
 თვალნი ძლივ გარდასწვდებიან,  
 გზა გვირაბითა შემოვა,  
 მცველნი მუნ ზედან ღგებიან,  
 დღისით და ღამით მოყმენი  
 ნობათსა არ დასცდებიან,  
 მათთა შემბმელთა დაჰხოცენ,  
 მართ ცეცხლად მოედებიან.  
 ნუთუ ესენი გვეგონენ  
 სხვათა მებრძოლთა წესითა?!

\*) იხ. ცნობები გრძნეულთა ქვეყნის შეახებ ამირან-დარეჯანიანშიაც  
 (ვვ. 212—220 და სხ.).

ქაჯეთის ციხეს ვერც აიღებდნენ ავთანდილ, ტარიელ და ფრიდონ, თუ ქაჯნი შინ ყოფილიყვნენ.

ავთანდილ—ფატმანმა მისწერეს ნესტანს (ტ. 1251):

ჩვენ ამისთვის ესე მონა  
გამოვეზავენეთ თქვენს წინა,—  
ვცნათ ამბავი ქაჯეთისა:  
**მოსრულანცა ქაჯნი შინა?**

ნესტანდარეჯანმა მოიწერა (რ. 1264):

სხვად ამბავი აქაური  
მეტი რამცა მოგიწერე!  
ქაჯთა მეფე არ მოსულა,  
არცა მოვლენ ქაჯნი ჯერე,  
მაგრა სპანი უთვალაენი მცვენ  
და მათი სიალფერე.\*)  
რასა ჰქვიან ძებნა ჩემი?!  
არ ეგების, დაიჯერე!

ვიდრე ქაჯნი შინ არ იყვნენ, ავთანდილმა, ტარიელმა და ფრიდონმა მცირე რაზმით დალევწეს ქაჯთა ციხე და გამოიყვანეს ნესტანდარეჯანი. ამას, ჩვენის აზრით, ნათელს ჰქვენს შაფთელის შემდეგი შესანიშნავი ტაეპიც (79):

ანდიბან მოგვმან, გრძნებითა შმაგვმან,  
მისნობით ხელჰყო ზაკვით ზლაპრობა:  
ეშმაკთ ევედრა, სული შევედრა,  
მით ექმნა სრულად მათთან საგრობა.  
თქვენგან ქურუმთა, მყის აქ ურუმთა  
**მაღაღთა** ცულჰყვეს ბომონთ მოთხრობა.

\*) ცეცხლივით სიფიცხე (ალ-ფერი, სიალფერე).

ძეგლად სჯულისად მართლმსაჯულისად,  
დავით, გიწოდა\*) თვისად მკვიდრობა.

ქაჯთა მეფე რომ მოკვდა, მისი ქვრივი დულარდუხტ მეფედ ზრდიდა თავის ძმისწულს როსანს. ეს როსანი შეიძღვრა იყოს ის რაფკენ ემირი, რომელიც, როგორც ზევით იყო ნათქვამი, მფარველობდა ხაშიშთა სამფლობელოს და რომელიც შემდეგ, ალბად, აქ გამეფდა.

ამ ქაჯებს, ვითარცა მოლიდ—ხაშიშებსაც, დიდი რიხი ჰქონდათ მაჰმადიანობაში. სხვა რომ არა ესთქვათ-რა, ამათ ძლიერებისა და გავლენის აღსანიშნავად ისიც საკმაოა, რომ თვით ინდოეთის დიდის მეფის ფარსადანის და დავარი ამ ქაჯთა მეფეს ცოლად ჰყვანდა და იგივე მერე ზრდიდა ნესტან დარეჯანს, ინდოეთის მომავალს დედოფალს. ამას გარდა, თვით ფარსადან ხელმწიფის კარზედაც იყვნენ ქაჯნი, რომელთაც გაიტაცეს ნესტანდარეჯანი, დანიშნული გმირის ტარიელისა, როდესაც ამან წინააღმდეგობა გამოუცხადა ხვარაზმშას და მისი შვილი მოკლა. ალბად ამდროს ქაჯნი ხვარაზმშას მომხრენი იყვნენ, და ტარიელი წამოვიდა კასპიის ზღვისკენ და მის ახლოს შეხვდა ხვარაზმშას მტერს როსტევანს, როდესაც ეს ნადირობად გამოსულიყო. ეს იმდროს უნდა ყოფილიყო, როდესაც თამარს დაუპირეს რუსზე გათხოვება და დავით სოსლანი, თამარის რჩევით, გზას გაუდგა, რომ მომხრეები ემოვნა მეზობელს სახელმწიფოებში.

ჩვენ ვფიქრობთ, მომხრეების ძებნას დავით სოსლანი უნდა შესდგომოდა ჯერ ისევ გიორგი მეფის ჟამსვე, სახელდობრ 1179 წლითგან, როდესაც თამარი მეფედ გამოაცხადეს და როდესაც ეს თამარი, როგორც ვთქვით, უკვე მოწიფული 23 წლის საპატარძლო იყო. ამდროიდან და უფრო კი რუსის მოწვევის წლითგან (1187 წ.), როდესაც თამარი 31 წლის გახდა, თამარის შერთვამდე (1193 წ.) დავით სოსლანს უნდა ენახა ყველა ძლიერი და საიმედო გმირები და მეფეები. ვიმეორებთ, თუ არა შუღლი და უკმეობა ძლიერის მებატონე-

\*\*) თამარ მეფემ.—წედა ზე („თამარიანი“, ტ. 100): „ურჩთა მოგვიდებს (თამარ მეფე) ცითა ნაწოდებს: დავითს უნდა მეფეთაძებად.“



ბისა, გიორგი მეფე თავის სიკვდილის წლამდის († 1184 წ.) თამარს უეჭველად გაათხოვებდა და დააბინავებდა და არ გახდიდა მას საცილობელ საგნად მრავალგვარ და მრავალნაირ სანეფოებისა, შინაურებისა და გარძიანელებისა.

#### XIV. ორი მსოფლიო.

„ვეფხისტყაოსანში“ გამოხატულია ორი მსოფლიო, წმინდა ქართული და წმინდა გარმიანული. „არაბეთი“ საქართველოა და „ინდოეთი“ გარმიანეთი.

##### ა) მსოფლიო ქართული.

ა. „არაბეთის“ მპყრობელნი უბნობენ ქართულად:

ყმა ტკბილი და ტკბილ ქართული  
სიკეთისა ხელის მხდელი (ტ. 692).

ბ. აქ ძველის ჩვეულებისამებრ, როგორც ვახუშტიც მოწმობს, ფეხმოკეცით არ სხდებიან, არამედ სკამზე ჯდომი იციან.

ყმა მხიარული წინაშე  
დასვა სკამითა მისითა.

გ. იმავე ჩვეულებისამებრ სასიძო მორცხობს, სიმამრს პირს ვერ უჩვენებს, და მაჰანკალიც ხელმანდილს იხვევს.

ამოიღო ხელმანდილი,  
მოინასკვნა ზედან ყელსა (1499).  
მაგრამ (სასიძო) ირცხვის მეფისაგან:  
ხელთა ჰქონდა ხელმანდილი,  
პირსა მითა იფარვიდა (1506)

სიმამრი კი სასიძოს ეუბნებოდა: „ნუ მერცხვი. რასა გრცხვენინან“ და ეხვეოდა და პირსა ჰკოცდნიდა (ასრეა დღე-

საც საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, მეტადრე ძველს ელისენში, საცა ეს ჩვეულება შეუცვლელად ჰგია).

დ. ქართული დალოცვა ჯვარდაწერილებისა (ტ. 1521):

აწ, შეილნო, ღმერთმან თქვენ მოგცეთ  
ათას წელ დღეთა გრძელობა,  
სვე-სვიანობა, დიდობა,  
კვლავ ქირთა გარდუხდელობა;  
ცამცა ნუ შეგცვლისთ, მოგხვდებისთ  
თვით მისებრ შეუცვლელობა;  
თქვენით ხელათა შედინსოს  
მიწათა შემოძყრელობა“.

ეს ჩვეულება არათუ მარტო ქართული, ქრისტიანული-ცაა, „მიწათ-შემრამყრელობა“ დამარხვის დროს. ათას წელ დღეთაგრძელობა“ ასეა „თამარიანშიაც“ (ტ. 80): „აქვსმცა სუფევად ათასი წელი.“

ე. ნადირობა და ანდერძა.

ქრისტიან ავთანდილისა.

შათა ავთანდილისა.

ავთანდილ გადინადირა  
ქელი მალალი, ტყიანი.

მას მიხვდა წვერი სადგურსა  
მალლისა მთისა დიდისა

ნახტომსა შეველსა ფერდსა ჰკრა  
ისარი ორბის ფრთიანი.

ისრითა მოჰკლის ნადირი.

ჩამოხდა მუხისა ძირსა,  
ცეცხლი დაანთო ძლიერი

შამბისა პირსა გარდახდა,  
ცეცხლი დააგზო კვესითა.

ცხენსა მისცა საძოვარი სა-  
ნამ მწვადი შეიწოდა

ცხენსა მისცა საძოვარი  
ვინემ მწვადი შეიწოდეს

დანიახა შორიდგან მომავალი კაცები, ურჯულონი, მარდად შეახტა ლურჯასა და

ვიწრონი გაარბენინა, მინდორი უფრო ჩქარადა.

დაჯდა და წიგნი დასწერა და ტრედს (მეჯინიბეს?) გადასცა: „ეს დედა ჩემსა მიმირთვი“.

„დედაო, ველარ მოგივალ ჩქარადა. გიყვარდა თეთრი მანდილი, ჩემზედ შეღებე შავადა. ის ჩემი ქამარ-ხანჯალი მღვდელს მიეც საწირავადა. ის ქალი ისეთს კაცს მიეც, მე მჯობდეს თვალად, ტანადა. ის ჩემი ციხე-ქალაქი თან გაატანე მზითვლა“

დანიახა შორიდგან მომავალი კაცები, მეკობრენი და ავაზაკნი ეგონა.

მთით ჩამოვიდა ავთანდილ მინდორს, აცორვებს ტაიქსა

დაჯდა წერად ანდერძისა, დასწერა და შერმადინს გადასცა:

„ეს როსტენს მიართვი“:

თუ საწუთრომან დამამხოს, ღარიბი მოგვედღე ღარიბად, ვერ დამიტროს მშობელმან, ველარ **შემსუდრან** დაზრდილთა, მაქვს საქონელი ურიცხვი, მიეც გლახაკთა საქურქლე, დაამდიდრე მონები, ნუგეშისეც შერმადინს (რომელიც თავისს ციხე-ქალაქში დაეგდო თავის წილ).

### 3. ქანთული ქონწილი

შავთელით და ქ. ცხფრებით

მიხვდეს მისრულნი, მისთვის მისრულნი, საქმესა ძნელსა.

გვირგვინოსანსა, ფორფიროსანსა უხდების პყრობა სკიპტრისა ხელსა.

ეგრეთ ინახის, ვით მზე სამყაროს მანათობელი.

გვეხის-ტყაოსნით

შევიდეს, ნახეს თინათინ, მჭვრეტთა მომცემი ჭირისა.

სკიპტროსან-გვირგვინოსანსა ჰშვენოდა ცმა პორფიროსა, მისრულთა პირსა შეადგა ელევა მისისა პირისა.

ჰგავს, თუ ცამცა მოდრკა ქვეყნად, შეყრილან ორნი მზენია; მათ ყოველთა ანათობს შუქი პირისა, მზისა მსგავსისა.

(დასხდეს ტახტსა ბედნიერსა ორნი მზენი (თამარ და დავით) (სიმშვენიერით მოსილი, ამომავალი მზის დარი).

მოვიდნენ რუსუდან და გზრდილი მისი დავით, თამარ და სხ. სრასა დიდუბისასა. ქმნეს ქორწილი შესატყვისი. იყო რაზმთა სიმრავლე. (ასი სული ცხვარი დაკლა და ორასი ნიშა ხარი. ლურჯი სუფრა გაუშალა, იქნებოდა ასი მხარი).

იაგუნდისა—სხვა რად უნდისა?—ჯამები იყვის ლალ-ფირუზისა. იყვის ქურჭელთა, სხვათ უცხო ფერთა სიმრავლით დება თვით ურიცხვისა.

ისმის მგოსანთა, ვით საფირონთა, ხმანი ებნისა და წინწილისა (იყო ხმა მგოსანთა, მუშაითთა და სახიობათა მკვრეტელნი).

ბევრად ძეს გორი; ერთა საგორი, ზოდი ოქროსა, მისგან თლილისა

(მშვეებელნი იშვებდეს, გლახაკნი გამდიდრდებოდეს, მოვალენი ვალთაგან განთავისუფლდებოდეს, ობოლნი და ქვრივ-

მოვიდა მეფე როსტან და მისი გაზრდილი ავთანდილ. დასხდენ ყველანი. დაიწყეს მორთვა ჰურისა ლაშქართა მის მესავისსა. ძროხა და ცხვარი დაკლული არს უმრავლესი ხავისსა.

იაგუნდისა ჯამები იყვის, ლალისა ჭიქები, კვლავ უცხო ფერთა ქურჭელთა სხდის უცხო-უცხო სიქები. მის ქორწილისა მაქები კაცი ბრძენთაგან იქები!

მუტრიბნი მოსდგეს ყოველგნით, ისმოდა ხმა წინწილისა. მკვრეტელო, გულსა ეტყოდი: „ნუ აეხსნები, მუნები!“.

შეყრით სძეს გორი ოქროთა და ბალახუნისა თლილისა, მსმელთათვის წყარო ღვინოსა ასკან სდის, მსგავსი მილისა.

შეიქმნა ძღვნობა ძღვნისა მათისა შესამსგავსისა. არა დარჩა უსაბოძგრო არ კოჭლი და არ საპყარი: მოდიოდა

ნი ღონიერ იქმნებოდეს და ეკლესიანი აღყვავდებოდეს) (ქვირვი-ობლებსა უწყალობა ოქრო-ვერცხლი დიდი ძალი).

ვინმე იწყოს რიცხვი, იქმნას ურიცხვი გოარი მათგან დანათვალისა. რიყე თვალისა წინ ნათალისა, სჩანს მარგალიტი ოდენ ბურთისა საბურთალისა. აქვს ზარდახჩანი ლუსკუმებრ მათთვის დასაკრძალი.

მარგალიტი მოფანტულია მონაყარი, გაბედიდა წასაღებად ატლასი და ოქრო მყარი. კვლავ მარგალიტი ათასი, მართ ვითა კვერცხი ბატისა.

ვინმეა ჰქმნა რიცხვი ოქროსი, ვერვისგან დანათვალისა მუნ იღვა რიყე თვალისა ხელწმინდათ განათალისა. ჩნდის მარგალიტი ოდენი ბურთისა საბურთალისა. ჰპოვეს ერთი ზარდახანა აბჯრისათვის ახლად ქმნილი.

მ. ჯანაშვილი



# ახალი ზელანდია

ინგლისის ახალზენი

(თარგმანი)

1x

ახალ ზელანდიის კონსტიტუცია: როლი და მნიშვნელობა გუბერნატორისა.

არამც თუ რუსეთში, არამედ მომეტებულ ნაწილად დასავლეთ ევროპაშიაც განათლებულ საზოგადოებამ არც კი იცის, თუ რა დამოუკიდებლობა აქვთ მინიჭებული ინგლისის თვითმმართველობიან კოლონიებს, რომლებიც თთიქმის ნამდვილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენენ.

კოლონიების სახელმწიფო წეს-წყობილება გარეგნულად წარმოადგენს ინგლისის სახელმწიფო წეს-წყობილების პირს (კოპიოს), მხოლოდ შესამჩნევად შესწორებულს და შეკეთებულს, თანახმად თანამედროვე ცხოვრების მიდრეკილებისა და მოახროენილებისა\*). კოლონიებში გუბერნატორი იმავე როლს თამაშობს, რასაც ინგლისის მეფე მეტროპოლიაში; იგი „მეფობს“ და არა „მართავს“, რადგან უფლება და ყოველი პასუხისმგებლობა საზოგადო საქმეების გამგეობისა ნაკისრი აქვს

\*) შემდეგში, როცა ინგლისის კოლონიებზე გვექნება ლაპარაკი, ჩვენ ვიგულისხმებთ იმ კოლონიებს, რომლებსაც; როგორც ახალ ზელანდიას, თვითმმართველობა აქვთ მინიჭებული.

მთლად მინისტრთა საბჭოს, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია კოლონიის პარლამენტის უმრავლესობის ნდობაზე.

ის, თუ რამდენათ განირჩეოდნენ ამ ნახევარ საუკუნის წინათაც კი ინგლისის შორეულ კოლონიების წესები იმ წესებისაგან, რომელნიც გამოჟვებულ-იყვნენ და ეხლაც გამეფებულან ევროპის უფრო კულტურულ ქვეყნებში, შეგვიძლიან დავინახოთ შემდეგის ინსტრუქციიდან, რომელიც 1858 წელს ახლად თვითმმართველობა მინიჭებულ კოლონიის გუბერნატორს კვინსლანდს კოლონისტების მინისტრისაგან მიეცა\*).

„ერიდეთ კოლონიაში პარტიებთა შორის ბრძოლაში ჩარევას“\*), ვკითხულობთ ჩვენ ამ ინსტრუქციაში. „იყავით მზად პარტიათა მოსარიგებლად და ერიდეთ ყოველ გვარ მიდგომით მოქმედებას. მიეცით სრული თავისუფლება ყველა პარტიებს, ყველა სამინისტროს. შეისწავლეთ ხასიათი მათის ხელმძღვანელებისა... ნუ დაივიწყებთ ნურასოდეს კოლონიებისაგან გადასაწყვეტ კითხვების ფინანსიურ მხარეს. ყველა სახელმწიფოს კეთილდღეობა დამოკიდებულია საბეგრო (სახელმწიფო ხარჯი) და ფინანსიურ შეგნებულ პოლიტიკაზე. ეცადეთ რაც შეიძლება, ჩქარა ჩააგონოთ კოლონისტებს, რომ საჭიროა კოლონიის დამცველ ზომების მიღება. იზრუნეთ კეთილ-წესიერებაზე; რაც შეეხება ბავშვების აღზდას ან სარწმუნოებას, ამაზე თვით კოლონისტები შესძლებენ ზრუნვას. მიიღეთ ყოველი ღონისძიება, რომ კოლონისტები ამაყოფდნენ თავიანთ მეტროპოლით...“

„რადგან კოლონიაში არსებობს პრესის თავისუფლება, უქველია, აღმოჩნდებიან ისეთი გაზეთები, რომლებიც იბოროტმოქმედებენ ამ თავისუფლებით. ამას თქვენ ყურადღებას ნუ მიაქცევთ და იყავით გულცივად ყოველ გვარ თქვენ შესახებ ნალაპარაკეზე; ამავე დროს მოექცით ზრდილობიანათ

\*) მოგვყავს ეს ინსტრუქცია, რადგან ინგლისის მთავრობა იმავე პრინციპებით ხელმძღვანელობდა სხვა კოლონიების მიმართაც, რომელთაც თვითმმართველობა ჰქონდათ მინიჭებული.

პერიოდულ გამოცემების გამომცემლებს და თანამშრომლებს... რამდენადაც კეთილშობილურად და დიდ-სულოვანად („როგორც დჟენტლმენი“) მოექცევით ხალხს, იმდენად მეტ კეთილშობილურად მოგექცევიან ისინი თქვენც. ხალხის რიგიან მართვისათვის საჭიროა, რომ იგი არამტუთ გონიერებაზე მოქმედობდეს; არამედ გულ-გრძობაზედაც. აჩვენეთ, რომ თქვენ დაინტერესებული ხართ კოლონიის კეთილდღეობაში. გულკეთილობა, დიდ სულოვნობა, ენერგია, როცა შემთხვევა მოითხოვს, თანაგრძობა სუსტთა მიმართ, უმუხრისძიებლობა და სიდინჯე—აი თვისებები, რომლებიც ხდიან გუბერნატორს გავლენიან პირად.“

ამ გვარი იყო თითქმის ორმოცდა ათის წლის წინათ, იდვალის, რომელსაც უხატავდნენ გუბერნატორებს ოფიციალურ ინსტრუქციებში ე. ი. მაშინ, როცა თვითმმართველობა ინგლისის კოლონიელებისა არ იყო ისე განვითარებული, როგორც ამ ჟამად.

რა გვარი-ღაა ამ ჟამად ინგლისის თვითმმართველობიან კოლონიების გუბერნატორების როლი?

„გუბერნატორი“, ამოხს ერთი ახალზელანდიელი მწერალი\*), შეიძლება ჩაითვალოს ჩვენის სახელმწიფოს თავად... იგი მოქმედებს სამინისტროს რჩევის თანახმად, იწვევს და ხსნის პარლამენტს, ითხოვს სავაკაციოთ (დასასვენებლად), მიმართავს ხოლმე პარლამენტს ეპისტოლეთი (ეს ეპისტოლეები წარმოდგენდნენ ესრედ წოდებულ სეფე-სიტყვებს, რომლებსაც ინგლისში პარლამენტის გახსნისას მეფის სახელით კითხულობენ), ჰპატიობს დამნაშავეთ, თუ ეს სასურველია (მინისტრებისაგან). გუბერნატორის უმთავრეს მოვალეობად შეიძლება ჩაითვალოს სამინისტროს და წარმომადგენელთა პალატის ურთიერთობის თვალყურის გდება; იგი ითხოვს სამინისტროს, თუ ეს უკანასკნელი პალატის ან მცხოვრებთა უმრავლესობის თანაგრძობას ჰკარგავს, და, მეორეს მხრივ, იცავს სამინისტროს პალატის

\*) James Pope (უმთავრესი ინსპექტორი ადგილობრივ მცხოვრებლების სკოლებისა ახალ ზელანდიაში).

უმართებულო მოპყრობისგან\*). გარდა ამისა გუბერნატორი წარმოადგენს სამეფო ძალას (მმართველს). ორთავ პალატისაგან გადაშინჯულ - შემუშავებული კანონი მხოლოდ მისის ხელის მოწერის შემდეგ მთავრდება. თუ გუბერნატორის ფიქრით კანონი ფრიად დიდ-მნიშვნელოვანია და აღემატება მის უფლებებს, მაშინ მას შუძლიან იგი მეფესთან დასამტკიცებლად გაგზავნოს, რადგან გუბერნატორის მოვალეობაა აგრეთვე კოლონიებში ბრიტანიის (ინგლისის) იმპერიის საერთო ინტერესებიც დაიცვას.

„ერთის მხრივ გუბერნატორი კოლონიებში წარმოადგენს აგრეთვე მეტროპოლიის ელჩს, რომელიც მოვალეა აცნობოს ინგლისის მთავრობას ყოველისფერი, რაც მის ინტერესებს შეეხება.“

„და ბოლოს, სხვა რომ არა იყოს-რა, გუბერნატორი საზოგადოების თავია. თუ რომ გუბერნატორი ნამდვილბ ჯენტლმენია, მის კერძო ცხოვრებას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, როგორც მაგალითს, ვიდრე სხვის კერძო ცხოვრებას კოლონიაში. მას შუძლიან მრავალ გზით იქონიოს კეთილი გავლენა იმ საზოგადოების ზნე-ჩვეულებებზე, რომლის სათავეშიაც დაყენებულია.“

ამ გვარადაა ახსნილი გუბერნატორის როლი ახალ ზელანდიაში გამოცემულ წიგნში, რომელიც დანიშნულია კოლონიის საერო სკოლებში სახმარებლად. ამოვწეროთ კიდევ ზოგიერთა ადგილები ერთ ინგლისელ პუბლიცისტის წიგნიდანაც, რომელიც შეადგენს ნაწილს ერთგვარ თხუზულებათა კრებულის („Raqlish Citisen Series“), რომელშიაც აღწერილია ინგლისის

\*) აქ ავტორი გულისხმობს იმ იშვიათ შემთხვევებს, როცა პალატა უარპყიდს სამინისტროსაგან წარდგენილ იმ ზომებს, რომლებსაც ქვეყნის საზოგადო აზრი თხოულობს. ამ შემთხვევებში გუბერნატორს შუძლიან სამინისტროს სურვილის თანხმად პალატა დაითხოვოს, ახალი არჩევნები დანიშნოს და ამ გვარად შესაძლოდ გახადოს, თვით ამომრჩეველბმა გამოსტყვან თავიანთი აზრი სამინისტროს პოლიტიკის შესახებ: ზღაწონს იგი თუ არა.

საზოგადოებრივი ცხოვრება და დაწერილია ავტორიტეტთან სპეციალისტებისაგან.

„კოლონიების გუბერნატორები შეადგენენ ბრიტანიის სა-  
შეფოს უმთავრესს პოლიტიკურ მოღვაწეთა კლასს. კეთილ  
განწყობილება მეტროპოლიის და კოლონიებს შორის მომე-  
ტებულ ნაწილად დამოკიდებულია მათ ნიჭზე და ტაქტიკაზე.  
გუბერნატორებად ინიშნებიან ჩვეულებრივ ინგლისის პარლამენ-  
ტის ამა თუ იმ პალატის უფრო გამოჩენილი წევრნი, აგ-  
რეთვე სამხედრო ან საზღვაო ოფიცრებიდან, ან ისეთი პირნი,  
რომელთაც სადიპლომატო ადგილები უჭირავთ. გუბერნა-  
ტორები ინიშნებიან სიკვდილამდე, მაგრამ ჩვეულებრივ ექვს  
წელიწადზე მეტს არა რჩებიან. მართალია, გუბერნატორი სა-  
ხელმწიფოს უმაღლეს ძალის წარმომადგენლად ითვლება, მა-  
გრამ მას არა აქვს მინიჭებული უმაღლესის ძალის ყველა უფ-  
ლებანი, რადგან მისი ძალა შეზღუდულია მიცემულ ინსტრუ-  
ქციით, კოლონიის კანონებით და მეტროპოლიის მთავრო-  
ბის საერთო განკარგულებით. ყველა სხვა მოქალაქესავით  
გუბერნატორებიც პასუხის გებაში იძლევიან.“

მე 80-ცე წლებში, როდესაც გამოიცა ის ორი თხუზუ-  
ლება, საიდგანაც შემოხსენებული ადგილები ამოეწერეთ, თი-  
თოეულ კოლონიის გუბერნატორს ეძლეოდა განსაკუთრებუ-  
ლი ინსტრუქცია იმ შემთხვევებისთვის, თუ როდის უნდა ეგ-  
ზავნათ ორთავ სჯკანონმდებლო კრებებისაგან მოწონებული  
კანონ-პროექტი მეფესთან დასამტკიცებლად. 1892 წლიდან  
კი არსებობს განსაკუთრებული ინსტრუქცია ინგლისის თვით  
შმართველობიან კოლონიებისათვის; თანახმად ამ ინსტრუქ-  
ციისა, გუბერნატორს არ შეუძლიან მოაწეროს ხელი კოლონიურ  
პარლამენტთა კანონ-პროექტებს და ამ ხელის მოწერით  
მისცეს მათ კანონის ძალა, თუ ეს კანონ-პროექტები შეეხე-  
ბიან შემდეგ საგნებს:

1) საეკლესიო ქორწინებით შეუღლებულთა გაყრის კანონ-პროექტს.



2) იმ კანონ-პროექტს, რომელიც შეეხება გუბერნატორებისათვის ფულით, მიწა-წყლით ან სხვა გვარ საჩუქრის დანიშნას.

3) იმ კანონ-პროექტებს, რომლებიც შეეხებიან კოლონიის ფულის ვალიუტას.

4) ბაჟების შემოღებას.

5) იმ კანონ-პროექტებს, რომელნიც არ ეთანხმებიან თვით ინგლისის მოვალეობას, რომელიც მას უკისრნია საერთაშორისო ტრაქტატის ძალით.

6) იმ კანონ-პროექტებს, რომელნიც შეზღუდავენ მეტროპოლიის მთავრობის სამხედრო და საზღვაო ძალთა თავისუფალ მოქმედებას.

7) იმ კანონ-პროექტებს ანუ ბილლებს, რომელთაც აზრად ექნებათ ინგლისის უმაღლეს უფლებათა ან კოლონიაში მცხოვრებელ ინგლისის ქვეშევრდომთა პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა, აგრეთვე მეტროპოლიის ან სხვა მის კოლონიების ვაჭრობის და ზღვაოსნობის ზარალის მოტანა.

თუმცა ამ ჩამოთვლილ შემთხვევებშიაც კი გუბერნატორს ყოველთვის მოსპობილი როდი აქვს უფლება მოაწეროს ხელი კანონ-პროექტებს და ამით კანონის ძალა მიანიჭოს, თუ გუბერნატორის აზრით ამას განსაკუთრებული გარემოებანი მოითხოვენ. გუბერნატორს სრულებით აკრძალული აქვს მხოლოდ იმ კანონ-პროექტების ხელის მოწერა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მეტროპოლიისაგან ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებას.

ყველა დანარჩენ შემთხვევებში, ესე იგი, ყველა იმ შემთხვევებში, გარდა ზემოდ ჩამოთვლილებისა, გუბერნატორი მოვალეა ორთავ პალატისაგან მიღებულ პროექტებს ხელი მოაწეროს, რის შესახებ ზემოდ ხსენებულ ინსტრუქციაში, რომლიდგანაც მხოლოდ ნაწილი ამოვწერეთ, პირდაპირ ნათქვამია.

ასეთია გუბერნატორის უფლების ტეორია ინგლისის თვითმართველობიან კოლონიებში. მაგრამ პრაქტიკამ უფრო წინ გაუსწრო ამ ისედაც საკმარისად პროგრესიულ ტეორიას, რადგან კოლონიელები ნამდვილად უფრო დამოუკიდებლები არიან ყველა საზოგადოებრივ ცხოვრების სფერაში, ვიდრე ამას კანონი ნებას აძლევს, ასე ლალადებენ, სხვა რომ არა იყვეს რა, ინგლისის კოლონიების ისტორიის ფაქტები.

მართლაც, არამცთუ მარტო გუბერნატორები ინგლისის დამოუკიდებელ კოლონიებისა, არამედ მეტროპოლიის მთავრობაც კი იშვიათად გაბედავს ხოლმე ადგილობრივ საზოგადოებრივ აზრის წინააღმდეგ წასვლას, თუ რომ კოლონიელები ერთხმად და გადაწყვეტით ითხოვენ თავიანთ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

კოლონიელების საზოგადოებრივ აზრის ძალა გამოიხატა იმ კანონ-მდებლობით ზომებში, რომლებიც ავსტრალიის სხვა და სხვა (ახალშენები) კოლონიებისაგან (მათ შორის ახალ ზელანდიისაგანაც) მიღებულ იქმნენ ჩინელთა გადასახლების წინააღმდეგ ან მის შესაზღუდავად. ჩინეთის მთავრობამ მოაგონა ინგლისისას, რომ ხსენებული ზომები ეწინააღმდეგებიან ინგლისსა და ჩინეთ შორის არსებულ ხელშეკრულობასაო. მეტროპოლიის მთავრობამ პროტესტი გამოუცხადა კოლონიებს და ითხოვდა ზემოხსენებულ კანონის გაუქმებას. ეს ატეხილი დავა დამთავრდა მით, რომ განსაკუთრებით ამისთვის იმორჩეულ ავსტრალიის (სხვა და სხვა ახალშენები) კოლონიების წარმომადგენლებისაგან შესდგა კონფერენცია მეტროპოლიისაგან აღძრულ საკითხის გასარჩევად. აქ გადაწყვიტეს მტკიცედ და უკან დაუხველად განეგრძოთ იგივე პოლიტიკა ჩინელების შესახებ, რადგან ეს უკანასკნელები, როგორც აღნიშნული იყო კონფერენციის რეზოლიუციაში, წარმომადგენდნენ „უცხო რასას“, რომელიც არ ერთვის კოლონიის თეთრ-მცხოვრებლებს, რჩება გარეშე ზვენი ცხოვრები-

სა და გულცივად ხედება ჩვენ მისწრაფებებს და უვარგისია ჩვენ თავისუფალ დაწესებულებათათვისო\*)

არ შევალთ ამ საკითხის არსებით განხილვაში, შევებოთ მას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ინგლისის კოლონიების საზოგადოებრივ აზრის ძალის გამომხატველია. მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ამ გვარ მტრულ განწყობილებას ჩინელთა მიმართ საფუძვლად ის გარემოება უძევს, რომ მუშათა კლასს არ სურს იყოლიოს კოლონიაში ისეთი კონკურენტები (მოქიშპენი), რომლებიც ძირს სწევენ საქირაო ხელფასს და, საზოგადოდ, კმაყოფილდებიან იმისთანა პირობებით, რომლებიც არ შეეფერება თავისუფალ სახელმწიფოს მოქალაქეს.

რა გასაკვირია, რომ თვით სოლისბერიც უნდა გაჩუმებულიყო მას შემდეგ, რაც სერ ჰენრი პარსკიმ (პირველი მინისტრია სამხრეთ ვალლიისა (ავსტრალია) საზოგადოების წინაშე განაცხადა: „არაფერს არ შეუძლიან უარი გვათქმევინოს ჩვენ განზრახვაზე (ჩინელების გადასახლების შეზღუდვაზე)—არც მათ უდიდებულესობის სამხედრო გემებს, არც მის უდიდებულესობის წარმომადგენელს, არც მის უდიდებულესობის კაბინეტის საკოლონო სამინისტროს წევრს“\*\*). იმავე პარკსმა ამ საკითხისა გამო ერხელ ახალ სამხრეთ ვალლიის წარმომადგენელთა პალატის წინაშე შემდეგი წარმოსთქვა: „მე სრულებითაც არ მაშფოთებს ის გარემოება, რომ თქვენ წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი ზომა ეწინააღმდეგება ამა თუ იმ საიმპერიო კანონს; მე ვმოქმედობ იმ პრინციპის სახელით, რომელიც უფრო მაღლა სდგას, ვიდრე ის ძალა, რომელმაც გამოსცა ის კანონი; იმ პრინციპის სახელით, რომ ახალ სამხრეთ ვალლიის არსებული საზოგადოებრივი წესი და დაწესებულებანი დაცულ უნდა იქმნენ\*.“

ამ გვარად, როგორც ამ სიტყვების გამო ჩარლზ დილკი ამბობს, როცა (ახალშენელია) კოლონიელთა სურვილი ღო-

\*) *ib. Ch. Dilke.*

\*\*) *ib. Ch. Dilke.*

წიერი და ერთსულოვანია, მის განხორციელებას არ შეუძლიან წინააღმდეგს არამცთუ ინგლისის კანონი, არამედ მისი ტრაქტატებიც კი.

მაშ ყველა ამის შემდგომ რისთვის თანხმდებიან კოლონიელები, რომ მეტროპოლია უგზავნიდეს მათ გუბერნატორებს, რატომ თავიანთ შორისვე არ ირევენ თავს „აღმასრულებელის ძალისას“? ამის ახსნა შეგვიძლიან მხოლოდ იმით, რომ თვით კოლონიელები სრულებით კმაყოფილნი არიან არსებულ წეს-წყობილებით. სხვა რომ არა იყოს-რა, ასე ამბობენ საქმის მკოდნე პირები. აი, მაგალ., რას ვკითხულობთ ჩვენ ამ საგნის შესახებ ზემოდ მოხსენებულ პოპის თხუზულებაში.

არკვევს რა პოპი სახელმწიფოში უმაღლეს ძალის მემკვიდრეობით გადაცემის ნაკლულოვანებებს, განაგრძობს ამწაირად: „ზოგიერთ ქვეყნებში სახელმწიფოს უმაღლესი თავი ხალხის მიერ ირჩევა. ამ გვარ წეს-წყობილებასაც თავისი ნაკლულევანება აქვს ხალხის მიერ არჩეულ მმართველს გადაჭარბებული ძალა აქვს, სხვა რომ არა რა, იყოს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს მთელ ხალხისაგან არჩეულ პირს, გარდა ამისა, არჩეული სახელმწიფოს თავი ყოველთვის რომელიმე პარტიას ეკუთვნის, რადგან სხვაფრფე იგი არ იქნებოდა არჩეული... მაგრამ საზოგადოდ რომ ვსთქვათ, სახელმწიფოს თავს დიდი უფლებები როდი უნდა ჰქონდეს მინიჭებული, გარდა ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევებისა, რომლების დროს მას უსააუოდ უნდა შეეძლოს ამ უფლების მოხმარება. სახელმწიფოს თავისაგან მოითხოვება, რომ იგი იყოს კაცი გონიერი და სამართლიანი, ღრმად მკოდნე სახელმწიფო საქმეებისა, რომელიც მას ნებას მისცემდა გამოიჩინოს თავისი ძალა სწორედ მაშინ, როცა ამას საზოგადოებრივი ინტერესი მოითხოვს. ჩვენ, ახალ ზელანდიის მცხოვრებთა საბედნიეროდ, გვყავს სწორედ ამ გვარი სახელმწიფოს თავი. კოლონიებში გუბერნატორებად ინიშნებიან ყოველთვის სახელმწიფო საქმეებში დიდად გამოცდილი პირნი; გარდა ამი-



სა, ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, რომ წინათ შემთხვევა რომ არ ჰქონოდათ დაფიქციცებინათ ამ პირებს თავიანთი გონიერება და სამართლიანობა, მეტროპოლიის მთავრობა არ დანიშნავდა მათ ამგვარ დიდ თანამდებობაზე. საზოგადოდ ჩვენ გუბერნატორებად არიან ისეთი ხალხი, რომლებსაც უნახავთ და შეუსწავლიათ მრავალი ქვეყნები, აქვთ ცხოვრების დიდი გამოცდილება, რის გამოც ბევრს მათგანს შეუძლიან მისცეს მინისტრს კარგი რჩევა, როცა იგი ამათ ამისათვის შეეკითხება. ხოლმე ჩვენს გუბერნატორებს არ შეუძლიანთ კოლონიის რომელსამე პარტიას ეკუთვნოდნენ, რადგან ყველა პარტიის ინტერესი დაკავშირებულია ინგლისის ინტერესთან. იქნება კიდევაც უკეთესი ყოფილიყო, რომ რომელსამე უცხო ძალას ბევრ სხვა ქვეყნებისათვისაც ენიშნა სახელმწიფოს თავი“...

იმავე აზრს და თითქმის იმაზე სიტყვებით გამოთქმულს ვხვდებით ინგლისის მსწავლულის ემს ბრაისის ცნობილ შრომაშიც (\*). „ბრიტანიის იმპერიის გარედ ნაკლებად იციან, — ამბობს იგი, — რომ ინგლისის კოლონიები წარმოადგენენ ძველ და დიდებულ მონარქიის მფარველობის ქვეშ მყოფ ნამდვილ დემოკრატიულ რესპუბლიკებს“. იმ უპირატესობათა ჩამოთვლის შემდეგ, რომლებიც კოლონიებს ინგლისთან ამ ფორმალურ დამოკიდებულებით ჰქონდათ, ბრაისი განაგრძობს: „კოლონიების მხრივ, რაკი თვით მეტროპოლია ჰგზავნის გუბერნატორს, ვითარცა ოფიციალურ თავს კოლონიის მთავრობისას, თვით ეს გარემოება წარმოადგენს უპირატესობას კოლონიებისათვის, რადგან იგი აცილებს მათ იმ მღელვარებას და საზოგადოების იმ არეულობას და აყალ-მაყალს, რომელიც აუცილებელია ხოლმე ხალხის მიერ უმაღლეს თავის არჩევნების დროს, და ეს გარემოება კი შეუძლიან სავსებით დააფასოს მხოლოდ იმან, ვინც იცნობს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ამბებს შერთებულ შტატებში.“ ნუ დავივიწყებთ

\* ) The Impressions of South Africa (1899 წ.).



რომ ამას ამბოს ამერიკის ცხოვრების და მის დაწესებულება-  
თა დიდად მცოდნე პირი. \*)

ზემოლ მოყვანილ პოპის აზრს შესახებ იმისა, რომ გუბერნატორებად ინიშნებიან ყოველთვის ღირსეულნი, ამ-  
ტკიცებს აგრეთვე უკვე ზემოლ მოხსენებული ახალ ზელანდი-  
ელი ავტორი რივისი, რომელიც, როგორც ახალ ზელანდიის მი-  
ნისტრად ნამყოფი, სამსახურის გამო ძალიან დაალოცვებით იც-  
ნობდა ზოგიერთ გუბერნატორს. „ყველა ჩვენი გუბერნატორი  
იყო მტკიცე კონსტიტუციური წარმომადგენელი კონსტიტუ-  
ციის მონარქისა. ყველა მათგანი თავის ხასიათით და სალა-  
მიან მოქცევით ღირსი იყო დიდის პატივსცემისა. მოხდებოდა  
ხოლმე, რომ გუბერნატორს თავისის ტაქტიკის მეოხებით დიდი  
გავლენა ჰქონია ზოგიერთ მინისტრებზე. ხდებოდა ისიც,  
რომ გუბერნატორები არ ეთანამებოდნენ ზოგიერთ აზრში  
მინისტრებს,—მაგალ., ზედა-პალატის წევრთა დანიშვნის გა-  
მო\*\*);—ან ზოგიერთ ბილლის (კანონ-პროექტი) მეტროპოლიის  
მთავრობასთან დასამტკიცებლად გაგზავნის თაობაზე. მაგრამ  
გუბერნატორები თვითონ არ მმართვედნენ კოლონიას, რო-  
შელსაც უკანასკნელ ოც-და-ათ წლის განმავლობაში მაინც  
მინიჭებული ჰქონდა იმდენად სრული თვითმმართველობა,  
რამდენადაც კი ახალ ზელანდიის კონსტიტუცია ამის ნებას  
აძლევდა.

იმედია, მკითხველი გვაპატიებს, რომ, ცოტა არ იყვეს,  
ძალიან დიდხანს შევჩერდით გუბერნატორის როლის და მის  
მნიშვნელობის განმარტებაზე, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამით  
დახლოვებით დავახასიათებთ ინგლისის და მის კოლონიების  
შორის არსებული ურთი-ერთობა და განწყობილება.

\*) ავტორია საუყეთესო თხზულებისა, რაც კი დაწერილა ამერიკის  
შესახებ: „ამერიკის რესპუბლიკა“, რუსული გამოცემა სოლდატენკოვისა.

\*\*\*) იხ. შემდეგი თავი.



ახალ ზელანდიის კონსტიტუცია: ახალ ზელანდიის პარლამენტი.—  
ქალთა პოლიტიკური ემანსიპაცია და მისი შედეგი.—საერთო დასკვნა  
აქალ ზელანდიის წეს-წყობილების შესახებ.

ამ გვარად გუბერნატორი ინგლისის თვითმმართველობიან კოლონიებში ასრულებს როლს კონსტიტუციონურ მეფისას. აღმასრულებელი ძალა ეკუთვნის მასთან არსებულ მინისტრებისაგან შემდგარ „აღმასრულებელ რჩევას“ (Исполнительный советъ—executive council), რომელიც ეთანაბრება ინგლისის მინისტრთა „კაბინეტს“. მაგრამ, მაშინ როცა ინგლისის მეფემ ტრადიციების მეოხებით უკვე დაჰკარგა მინისტრთა რჩევაზე დასწრების უფლება, რადგან მეფეს და მინისტრებს შორის მოლაპარაკება მხოლოდ პირველ მინისტრის საშუალებით ხდება, იმავე დროს თვითმმართველობიან კოლონიების გუბერნატორები არამც თუ ესწრებიან „აღმასრულებელ რჩევის“ სხდომებს, არამედ თავმჯდომარეობენ კიდევ მინისტრთა რიცხვი კოლონიაში, რასაკვირველია, ნაკლებია ვიდრე მეტროპოლიაში, რადგან იქ ერთი და იგივე მინისტრი განაგებს რამდენსამე სხვა და სხვა დარგს მმართველობისას. სამინისტროს მეთაურობს ესრედ წოდებული პირველი მინისტრი, რომელსაც მიენდობა ხოლმე თანამოაზრე და პალატისაგან მხარის დამჭერ სამინისტროს ანუ „აღმასრულებელ ძალის“ შედგენა.

ამ უმად ახალ ზელანდიაში 1893 წლიდან დაწყებული პირველ მინისტრად იმყოფება ბ. სედონი, რომელსაც იმავე დროს აბარია ფინანსის, შრომის და ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროები, განაგებს სავაჭრო და საბაჟო დეპარტამენტებს და ყველა საქმეებს შესახებ ადგილობრივ მკვიდრთა ექვსი სხვა მინისტრი ზედამხედველობს სხვა და სხვა დარგს საზოგადოებრივ მმართველობისას.

ახალ ზელანდიის პარლამენტი, რომელსაც ოფიციალურად „General Assembly“ ეწოდება, შესდგება ორ პალატისაგან: საკანონმდებლო საბჭოსაგან (Legislative Council) ანუ ზედა პალატა და ესრედ წოდებულ „წარმომადგენელთა პალატისაგან“ (House of Representatives) ანუ ქვედა-პალატა.

„ამ უამად“,—გვითხულობთ ახალ ზელანდიის ოფიციალურ „ყოველ წლიურში“,—საკანონმდებლო საბჭო ანუ ზედა-პალატა შესდგება ორმოცდა ხუთ წევრისაგან.

1891 წლამდე საბჭოს წევრნი გუბერნატორებისაგან სიკვდილამდე ინიშნებოდნენ, ამ ნაჩვენებ წლიდგან კი იგინი ინიშნებიან შვიდის წლით. საკანონმდებლო საბჭოს წევრად შეუძლიან იყოს ყველა, ვინც ბრიტანიის ქვეშევრდომობაში დაბადებულა ან თუ ეს ქვეშევრდომობა შემდეგ მიუღია თანახმად იმ წესდებისა, რომელიც ახალ ზელანდიის პარლამენტს ან მეტროპოლიას ამ შემთხვევისათვის გამოუცია. არ შეუძლიან საბჭოს წევრად იყვეს: ახალშენში სამსახურში მყოფს და ვისაც 500 მანეთის და მეტის ღირებულობის სახელმწიფო იჯარა აქვს აღებული. საბჭოს წევრს წელიწადში ჯამაგირად 1500 მან. (150 გირვანქა სტერლინგი) ეძლევა და გარდა ამისა შეუძლიან მოითხოვოს ველლინგტონში (ა. ზელანდიის სატახტო ქალაქია) წასვლა-წამოსვლაში გაწეული ხარჯიც. საბჭოს სხდომებზე დაუსწრებლობისათვის, თუ ეს დაუსწრებლობა ავადმყოფობით ან სხვა აუცილებელ მიზეზებით არ არის გამოწვეული და აღმატება ხუთს დღეს თითო სესსიაში, დღეში ერიცხებათ 12 მან. 50 კაპ. საბჭოს წევრთა რიცხვი ათზე ნაკლებ არ შეიძლება რომ იყვეს, იმაზე კი, თუ რის მეტი არ შეიძლება, კანონი არას ამბობს.“

„აი რას ამბობს ამის შესახებ ზემოდმოხსენებულ თხუზულეობაში რივისი:

ახალ ზელანდიაში ზედა-პალატის წევრნი ინიშნებიან და არა ირჩევიან და მათ რიცხვს კანონი არ საზღვრავს. რადგან ამ გვარად სამინისტროს შეძლება ეძლევა შეზღუდოს კონსერვატიული ოპოზიცია ლიბერალურ ახალ წევრების

დანიშნებით, ამიტომ ახალ ზელანდიის ზედა პალატა თავის დანიშნულ წევრებით წარმოადგენს უფრო ნაკლებ დაბრკოლებას (ტორმოზს) ხალხის სურვილის მალე აღსრულებისათვის, ვიდრე ავსტრალიის სხვა კოლონიების ზედა-პალატები, სადაც წევრები ირჩევიან. 1891 წლამდე ზედა-პალატის წევრი სიკვდილამდე ინიშნებოდნენ. ბევრი უკმაყოფილო იყო ამით, რადგან თუ სამოცის წლის საბჭოს წევრი ჯერ კიდევ ფრიად სასარგებლო იყო, თორმეტის წლის შემდგომ შეეძლო მას დაეკარგა საქელმწიფოსათვის გამოსადეგი ძვირფასი თვისებები ზე გამოუსადეგარი გამხდარიყო, ამასთან საზოგადოდ შემჩნეული იყო, რომ კონსერვატიულ წევრებს კონსერვატიზმი წლითი-წლობით უფრო და უფრო უცხოვლდებოდათ. ესაა მიზეზი, რომ საბჭოს წევრობის ვადად შვიდი წელიწადი გახადეს.

„მაგრამ ამ ზომის შემოღებას 1891 წ., რასაკვირველია, თავისთავად გავლენა არ ჰქონია საკანონმდებლო საბჭოზე, რომელსაც ძალიან ცოტა რამ ეცხო ლიბერალობისა, რომელმაც კოლონიაში 80 და 90 წლებში შესამჩნევლად იჩინა თავი. ის ზომები, რომლებიც ქვედა-პალატაში უმრავლესობით გადიოდნენ, ზედა-პალატაში მხოლოდ 4-5 კაცი აძლევდა მათ ხმას.

„ამის გამო 1892 წელ. სამინისტრომ წინადადება მისცა გუბერნატორს, ლიბერალურ პარტიიდან საბჭოს 12 წევრი დაენიშნა. გუბერნატორს ეს რიცხვი ბევრად ეჩვენა. სამინისტრომ დაუთმო, რადგან ელოდნენ გუბერნატორის გამოცვლას. ახალი გუბერნატორიც ჯიუტი გამოდგა და წინამოადგილესავით არა დაუთმო რა. პირველი მინისტრი კი (ბალლენსი) ამ შემთხვევაში, ისე როგორც სხვა დროს, მრავალჯერ დაჟინებით უცხადებდა, რომ ერთად-ერთი კანონიერი მოქმედება გუბერნატორისათვის არის სამინისტროს სურვილის ასრულება. გუბერნატორი არ დასთანხმდა ამაზე, რის გამო ორივეს თანხმობით კითხვა მეტროპოლიის კოლონიის მინისტრს (ლორდ რეიპონს) გადასაწყვეტად გადაეცა, რო-

შელმაც იგი პირველ მინისტრის აზრის სასარგებლოდ გადასწყვიტა.“

მიზეზი ახალ ზელანდიის ამ ორ გუბერნატორის ჯიუტობისა იყო ის, რომ ბელლენსიმ (პირველი მინისტრი) ზედა-პალატის წევრებად დასანიშნავ კანდიდატთა შორის ოთხი მუშა წარადგინა. ამ გვარად ახალი ზელანდია, უეჭველია, ერთად-ერთი ქვეყანაა დედა მიწის ზურგზედ, სადაც „პერთა“ შორის („პერებს“ ეძახიან ზედა-პალატის წევრებს ინგლისში) რამდენიმე მუშაა\*)... აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ზედა-პალატის წევრთა რიცხვში მაორთა ორი წინამძღოლიც ითვლება\*\*).

ახალ ზელანდიის წარმომადგენელთა პალატაში სამოცდა თოთხმეტი წევრია, რომლებიდან ოთხი მაორია. არჩევნები ყოველ სამ წელში ხდება. პალატის წევრად შეუძლიან იყვეს ყველა ამომრჩეველი მამა-კაცი, გარდა იმისა, ვინც სამსახურშია კოლონიაში ან ვისაც 500 მანეთის და მეტის ღირებულობის იჯარა აქვს აღებული (აქაც ისეთივე პირობებია, რაც ზედა-პალატის არჩევნებისათვის). ქვედა-პალატის წევრს წლიურ ჯამაგირად ეძლევა 2400 მან. (ზედასას—1500 მან). თუ ხუთ ჯერზე მეტი დააკლდა სხდომებს, შემდეგ თითო დაკლებაზე (გარდა ავადმყოფობის მიზეზით) ერიცხება 20 მან. წევრს შეუძლიან მოითხოვოს ველოინგტონში წასვლა - წამოსვლაში გაწეული ხარჯი.

ამ გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ის, რაც ინგლისში ჯერ სისრულეში არ მოუყვანიათ, ე. ი. ვერ მიუღწევიათ იმისათვის, რომ ქვედა-პალატის წევრნი ჯამაგირს იღებდნენ და ამ გვარად საპარლამენტო მოღვაწეობა ხელ-მოკლე პირთათვისაც ხელ-მისაწდომი გაეხადათ, ახალ ზელანდიაში, როგორც ბევრ

\*) „სამეფო კომისია მუშათა კითხვის შესახებ“ საგანგებო ყურადღებას აქცევს და შესანიშნავ მოვლენად სოვლის საკანონმდებლო „პერების“ ყრილობაში წევრებად მუშების დანიშვნას.

\*\*\*) გარდა ამისა მაორები ოთხ წარმომადგენელსაც (უსათუოდ მაორთაგანს) გზავნიან ქვედა პალატაში.



სხვა მხრივაც, კოლონიებმა წინ მეტროპოლიას გაუსწრეს.\*)

მაშ რა არის ახალ ზელანდიის პარლამენტი? იკითხება რივისი თავის ახალ ზელანდიის აღწერილობაში. „საუკეთესო პასუხს ამ კითხვაზე იძლევა ახალ ზელანდიის ისტორია, რადგან ჩვენ პარლამენტს ყველაზე ნაკლებ ეკიჟინება უსაქმობა. მას მოხდენია ავადაც და კარგადაც მოქმედება, მაგრამ ყოველთვის რაიმე უკეთებია. ამ უკანასკნელ 40 წლის განმავლობაში პარლამენტის წევრთა რიცხვმა ერთი-ორად იმატა, მოხუცი კოლონიელები გაიძახიან, ნიჟიერი ხალხი პარლამენტში ნაკლები შეიქნაო, მაგრამ ეს მოხუცი კოლონიელები მათ ყველა კეთილთვისებებთან, გაუსწორებელი, პანეგირისტები (მაქებელნი) არიან „დალოცვილ ძველი დროისა“! ასეა თუ ისე, ყველასათვის ცხადია ჩვენ პარლამენტის წევრთა მოღვაწეობა და არ შეგვიძლიან ექვის თვალთ შევხედოთ იმ რთულ, მრავალ გვარ და ორიგინალურ საკითხებს, რომლებიც წამოუყენებიათ და ეხლაც წამოაყენებენ ხოლმე და არ ჩვენ პარლამენტში. მხოლოდ დროს შეუძლიან დააფასოს სარგებლობა და გონიერება პარლამენტისაგან გამოცემულ კანონებისა. ბევრმა უკვე გამოიღო კარგი ნაყოფი, რაც შეეხება ცუდს, ისიც დიდხანს არ გასტანს. თუ კოლონიებში კანონები უფრო ჩქარა იცემიან, ვიდრე ძველ ევროპაში, სამაგიეროდ ჩქარა და ადვილადვე სწორდებიან და უქმდებიან ოგინი...

„პარლამენტში მომეტებული ნაწილი მეურნენი და ეგრედ წოდებული თავისუფალი პროფესიის მქონე პირნი არიან. მუშებთაგანი აქნობამდის ექვსიოდე იყო. ამ ჟამად კი (1898 წ.) თვითვეულ პალატაში ხუთ-ხუთი მუშაა. საყურადღებო საგანზე მსჯელობის დროს არ შეიძლება სიტყვა ერთს საათზე

\*) ამ გვარად ახალ ზელანდიაში განხორციელდა ინგლისის ბევრ პროგრესიულთა პირთა სხვა სურვილებიც, მაგალ., ინგლისში პარლამენტის წევრნი შვიდის წლით ირჩევიან, ახალ ზელანდიაში კი—ეს ვადა სამისწლით შემცირებულა.

მეტს გრძელდებოდეს, ჩვეულებრივ კი — ნახევარ საათზე მეტს. იმ ღონისძიების მიღებამდე, რომლით აღიკრძალა ხანგრძლივ სიტყვის თქმა, საქმის მსვლელობას ხშირად ხელს უშლიდნენ ნამეტანი გრძელი და მოსაწყენი სიტყვები...

„შვიდ მინისტრ შორის, სულ ცოტა, ოთხი ან ხუთი ფრიად ნიჭიერია. ჩვეულებრივ საქმე ყელამდინა აქვთ. ახალ ზელანდიის საზოგადოებრივ ცხოვრების ხელმძღვანელობის სიძნელე იმაში გამოიხატა, რომ რამდენმამე მინისტრმა თავისი ჯანმრთელობა ახალ ზელანდიის სამსახურს შეაღწია. საზოგადოებრივ ცხოვრების ხელმძღვანელნი სცხოვრობდნენ ღარიბად და ღარიბობაშივე იხოცებოდნენ.“ (რივისი).

სასურველია ვსთქვათ ორიოდ სიტყვა ახალ ზელანდიის პარლამენტის გარეგან მუშაობის წეს-რიგზედაც. აი რა საერთო დახასიათებას ვკითხულობთ ამ საგნის შესახებ ერთ პირის თხზულებაში, რომელსაც თვალსაჩინო ოფიციალური ადგილი უჭირავს ვიკტორიის კოლონიაში\*). ეს საერთო დახასიათება შეეხება ავსტრალიის (ახალშენთა) კოლონიების პარლამენტების მუშაობის წეს-რიგს. „ავსტრალიის პარლამენტების სხდომებზე ჩვენ ვცდილობთ იგივე წეს-რიგი შემოვიღოთ, როგორც მეტროპოლიის პარლამენტში არსებობს. ძველ ჩვეულებებს ისევ ვაფასებთ, როგორც ინგლისელები, ზემის დროს სპიკერი (პალატის თავმჯდომარეა) იმოსება თავის

\*) Sir Henry Wrixon, Socialism (Notes on a political tour - London) 1896 წ. გვ. 8-14. 1894 წელს ვიკტორიის კოლონიის უმაჯორეს პროკურორად ნამყოფი რიკსონი საკოლონია მთავრობისაგან გაგზავნილ იქნა ინგლისის კოლონიების წარმომადგენელთა ერთ სპეციალურ კონგრესზე კანადაში. სხვათა შორის, მინდობილი ჰქონდა, შეესწავლა ინგლისში და კოლონიებში „რომელიმე კითხვა, რომელიც წარმომადგენდეს იიტერესს არამტუ ინგლისის და კოლონიის მცხოვრებთა თვის. არამედ საზოგადოდ ქვეყნიერების ყველა დაწინაურებულ ქვეყნებისათვისაც“. აღნიშნული თხზულება წარმომადგენს განსაკუთრებით აეტორის შეხედულებას სხვა და სხვა ქვეყნის სოციალისტურ პარტიათა როლზე და მნიშვნელობაზე. რიკსონი გაკვირით სხვა საზოგადოებრივ კითხვებსაც ეხება.

ოქროთ მოქარგულ ტანთსაცმელში და იხურავს დიდს პარიკს. პალატის სხდომის დროს თავჯდომარის მაგიდაზე სძევს შეოქრული და ძვირფასად შემკული კვერთხი, ნამდვილი პირი ინგლისის სათემო პალატის კვერთხისა. აქაც პარლამენტის წევრები, როგორც ინგლისის სათემო პალატაშია მიღებული, ერთმანეთს ამა და ამ საარჩევნო ოლქის თავმჯდომარეს ვუწოდებთ ხოლმე მიმართვის დროს. პალატაში შესვლისას სპიკერს თავაზიანად ვაძლევთ სალამს, თუმცა, როგორც ჩვენ, ისე ინგლისის სათემო პალატის წევრთა შორის ძალიან ცოტამ იცის, რომ ამ ჩვეულებას სპიკერის პატივისცემამ კი არ მისცა დასაწყისი, არამედ აღმოსავლეთისაკენ სალამმა...

„ჩვენ ვცდილობთ ინგლისის ძველი ჩვეულებანი შევირჩინოთ. ეს ჩვენი სურვილი ისე საოცრად არაში იხატება, როგორც პარლამენტისაგან ფულის შესახებ კენჭის ყრაში. აქნობამდე ძვალსა და რბილში გამჯდარი გვაქვს ის აზრი, რომ მთავრობა თხოულობს ფულს და ჩვენ კი სიამოვნებით არ ვაძლევთ... მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთს ჩვენგანს ძალიანაც უნდა, მთავრობა რაც შეიძლება მეტ ფულს თხოულობდეს, რის გამო საჭირო შეიქმნა კადეც კანონი, რომელიც კრედიტის მომატების თხოვნის ნებას ანიჭებდა მხოლოდ მთავრობას“ (ესე იგი მარტო გუბერნატორს, რომელიც ამ შემთხვევაშიც, როგორც სხვებში, ემორჩილება სამინისტროს გადაწყვეტილებებს; კარგი იქნება განვუმარტოთ ჩვენს მკითხველებს, რომ ეს ასე ხდება იმ სამართლიან მოსაზრებით, რომ რაკი სამინისტრო ბიუჯეტის თანასწორობის და საერთო სიმდიდრის ყოფა-მდგომარეობის პასუხის მგებელია, ამისათვის იგი ყველაზე უფრო დაინტერესებულია ამ ფულის გონივრულად და ეკონომიურად დახარჯვაში, ვიდრე პარლამენტის რომელიმე წევრი ცალ-ცალკე). „ხანდისხან მეტიც მოგედის, როცა ამას აუცილებელი და დაჟინებითი საჭიროება მოითხოვს, გვერდს ავუქცევთ ხოლმე ამ კანონს და მივმართავთ ხოლმე გუბერნატორს, რომ მან წინადადება მისცეს პარლამენტს კენჭი უყაროს სათხოვარ ფულს. ერთის სიტყვით, ეხლა საქმე წაღმა

დატრიალდა და იგი სწარმოებს სულ წინააღმდეგ, ვიდრე პირველ პარლამენტარულ პრაქტიკის ჩასახვისას.

„ნამდვილად კი ხალხი თავის წარმომადგენელთა საშუალებით კენჭს უყრის ფულს თავისათვის ან თავის სურვილის აღსრულებისათვის და არა დამოუკიდებელ მეფისათვის; გარეგნული ფორმა კი საერო ფულის ვითომდა უსიამოვნოდ დათმობისა უცხო მთავრობისათვის დღევანდლამდე ისევ მტკიცედ სრულდება.“

ჩვენ ნება მივცით ჩვენს თავს ამოგვეწერა მხოლოდ უმცირესი ნაწილი იმ მგზავსება-განსხვავებისა, რომელიც რიქსონის სიტყვით მეტროპოლიის და ინგლისის კოლონიების პარლამენტარულ პროცედურის (წეს-რიგი) შორის არსებობს, რადგან, რაც უნდა საინტერესო იყოს ეს საგანი, ჩვენ მაინც ვშიშობთ, რომ ჩვენ მკითხველთა უმრავლესობა ვერ გაიგებს მას, რადგან ქართველი (დედანში რუსი) საზოგადოება ნაკლებ იცნობს ინგლისის ფრიად ორიგინალურს და ფრიად რთულს პარლამენტარულ წეს-რიგს და მის წეს-წყობილებას. მაინც და მაინც ამოწერილიდანაც მკითხველი დარწმუნდება, რომ ანგლო-საქსები, რომელნიც ყველაზე უფრო გაბედულ და გარკვეულ გზას ადგანან სოციალურ და პოლიტიკურ ურთიერთობის რეორგანიზაციაში, იმავე დროს მხურვალედ იცავენ ამ ურთიერთობის გარეგან ფორმებს.

მართლაც, რა უნდა იყოს იმაზე უფრო გაბედული ნაბიჯი, როგორცაა ყველა ქალთათათვის საარჩევნო უფლებების მინიჭება, მამა-კაცების პირობების თანახმად? ახალ ზელანდიის მთავრობამ კი ეს ზომა 1893 წ. შემოიღო. ამომრჩევლის უფლების ქონვისათვის ახალ ზელანდიაში საკმარია სრულ წლოვანება ან კოლონიაში არა ნაკლებ ერთი წლის განმავლობაში ცხოვრება. ამ გვარად ამომრჩევლობის უფლებების მოსაპოვებლად საჭირო არც კია ინგლისის ქვეშევრდომობა. ეს ქვეშევრდომობა საჭიროა მხოლოდ მაშინ, თუ გსურთ, რომ ქვედა ან ზედა-პალატის წევრად აჩვენდეთ. ქვეშევრდომობის მიღება კი ყველა მსურველისათვის ადვილია: საკ-



მარისია ამისათვის მხოლოდ უბრალო განცხადება; განცხადებაში არავითარი ვადა კოლონიაში ცხოვრებისა არ არის საჭირო \*).

ამ რიგად, აგერ უკვე შვიდი წელიწადია, რაც ახალ ზელანდიაში ქალებს საარჩევნო უფლებანი მიენიჭათ და, როგორც რიესი ირწმუნება, ამისაგან საშინელება არ მომხდარა რა. ქალებმა სიამოვნებით ისარგებლეს მინიჭებულ უფლებებით და პირველ არჩევნებზე საარჩევნო სიებში მოთავსებულ ამომრჩეველთაგან 90<sup>0</sup>/<sub>0</sub> გამოცხადდა, იმავე დროს მამაკაცი კენქის ყრაში მხოლოდ 70<sup>0</sup>/<sub>0</sub> იღებდა მონაწილეობას. მეორე არჩევნების დროს ქალების პროცენტიულმა რიცხვმა იკლო, მამაკაცებისამ იმატა. ქალების მონაწილეობის მიღებას არჩევნებში პოლიტიკურ ცხოვრების მიმართულება არ შეუცვლია. ქალთა საარჩევნო უფლების კანონის გამყვანი ლიბერალური სამინისტრო პარლამენტის ორჯერ განახლების შემდეგაც კი ისევ მთავრობის სათავეში დარჩა.

„საზოგადოდ შეიძლება ითქვას, —სწერს თავის თხზულებაში რიესი, — რომ თვალსაჩინო ფაქტად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ქალები მამაკაცთა თანახმად მოქმედებენ. ოჯახი, საზოგადოდ, ერთგვარ კენქს იძლევა; დედაკაცი ემორჩილება იმავე ინტერესებს, იდეებს და ცრუ-მორწმუნოებებს, რაგვარ კლასსაც ეკუთვნის თვით-მამაკაცი. ამ გვარად, მაგ., ვაჭართა, თავისუფალ პროფესიის მქონე პირთა, დიდ მემამულეთა და მექარხნეთა ნათესავი ქალები ირჩევენ ერთ და იმავე კანდიდატებს. ქარხნის მუშა-ქალები, ოჯახში მოსამსახურე ქალები, მუშების, ხელოსნების, ქარხნის მუშების, წვრილ მესაკუთრეთა ცოლები ირჩევენ სხვა კანდიდატებს. მაგრამ ჯერ აღრეა. რაიმე გადაწყვეტილი მსჯავრი დავსდოთ ამ ფრიად საინ-

\*) ვისარგებლოთ შემთხვევით და ვსთქვათ, რომ ამ უკანასკნელ 17 წლის განმავლობაში ახალ ზელანდიაში ინგლისის ქვეშევრდომობა მიიღო 1.122 გერმანელმა, 707—შვედმა, 579—დანიელმა, 139—რუსმა, 184 იტალიელმა 127—შვეიცარიელმა, 122—ავსტრიელმა და სხვა და სხვა ქვეყნელმა—არა ნაკლებ ას-ას კაცისა.



ტერესო პოლიტიკურ ცდის შედეგებს. შემდეგ დაინახავთ, იკლებს თუ იმატებს ქალთა ინტერესი პოლიტიკისადმი. ამ უმად ამ უფლების მინიჭებას ჯერ თვალსაჩინო შედეგი არა მოჰყოლია რა. წინანდელი პოლიტიკური პარტია განაგრძობს თავის არსებობას, როგორც წინეთ, ქალები ისეთივე დარჩნენ, როგორც წინეთ იყვნენ, არც მეტი სიანხსლე გამოუჩენიათ და არც წარმოადგენენ წინანდელზე უფრო გამხდარ დიასახლისებს.

„არც არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობა შეცვლილა. ქალები ჯერ არ ცდილან პარლამენტში წარმომადგენლობას, ისინი უფრო იშვიათად ლაპარაკობენ ხალხის ყრილობებში, ვიდრე ინგლისელი ქალები, თუმცა კი ბევრი ჩვენი ქალი სწავლობს საზოგადოებრივ საკითხებს, რომლებსაც საზოგადოდ ისინი ძალიან საჭიროებენ... ახალ ზელანდიაში ქალთა მხოლოდ უმცირესი ნაწილია ეგრედ წოდებულ თავისუფალ პროფესიის. მქონე, უმთავრესად უმრავლესობა გართულია საოჯახო საქმეებში.

თუმცა ზოგიერთი კოლონიელი ირწმუნება, რომ ზოგიერთ კანონების შემოღება ქალებს პოლიტიკაში გარევის შევხებით მოხდაო, მაგალ., იმ კანონისა, რომელიც შეეხება გაბარებულ მცირე-წლოვან ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვას, იმ კანონისა, რომელიც ნებას იძლევა დედაკაცების საქარხნო, საგიჟეთთა დაწესებულების, ინსპექტორებად დანიშვნისას და სხვა საზოგადოებრივ ხასიათის იმ კანონისა, რომელიც ნებას აძლევს ქალს ივექილოს, იმ კანონისა, რომელიც სასტიკად ჰკრძალავს მაგარ სასმელების გაყიდვას და ჰხვა და სხვა.“

შეიძლებოდა ამ რივისისაგან ჩამოთვლილ კანონებისათვის შიგვემატებინა ახალი და დიდად მნიშვნელოვანი კანონი ცოლქმრის გაყრის შესახებ. ეს კანონი ახალ ზელანდიის პარლამენტმა მიიღო 1898 წელს და დამტკიცებულ იქნა მეტროპოლიის მთავრობისაგან აპრილში 1899 წელს. ეს კანონი აადვილებს გაყრის პირობებს და ორთავ მხარე ერთნაირ პი-

რობებშია ჩაყენებული მიზეზის მხრივ, რომლის საბუთით თხოულობენ გაყრას.

ავსტრალიის საზოგადოება დიდის თანაგრძნობით დახვდა ახალ ზელანდიაში ქალებისათვის საარჩევნო უფლებების მინიჭებას, რადგან დარწმუნდა, რომ ამ ზომას სამართლიანობა მოითხოვდა და არც საზოგადოებრივ და არც სახელმწიფო ცხოვრებაში არაფერი რევოლიუციონური არა შეჰქონდა რა. ამის გამო თვითონაც გამოსცა მის მზგავსი კანონები. ცნობილია, რომ, გარდა ავსტრალიისა, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ ორ თუ სამ შტატშიაც აქვთ მინიჭებული ქალებს პოლიტიკური უფლებანი. ამ გვარად ეს გაბედული, შესანიშნავი და სამაგალითო ცდა პოლიტიკურ ცხოვრებაში ეკუთვნის ანგლო-საქსებს.

იმის მეოხებით, რომ ახალ ზელანდიამ ყოველგვარი ქონებრივი ცენზი საარჩევნო უფლებებისათვის მოსპო და ეს უფლებანი კუნძულის სრულ-წლოვან ქალსაც (მაორისასაც) მიანიჭა, იმის მეოხებით, ვიმეორებთ, ახალ ზელანდიამ თავისი დაწესებულებანი იმ ზომამდე გაადემოკრატა, რომ მათი ამაზე მეტი გადემოკრატება შეუძლებელი-ღაა.

ახალ ზელანდიის ამ გვარმა სახელმწიფო წესწყობილებამ წამოაყენა საკითხი, თუ რაში უნდა გამოიხატებოდეს მთავრობის ნამდვილი მოვალეობა, ესე იგი, როდის ან რამდენად შეუძლიან მთავრობას „ჩაერიოს“ და არ „ჩაერიოს“ ძველადგან არსებულ ტრადიციონურ საზოგადოებრივ ურთიერთობის ორგანიზაციაში.

„დღევანდლამდე ჯერ კიდევ მრავალი ცრუ წარმოდგენაა დარჩენილი იმის შესახებ, თუ რას უნდა და რას არ უნდა აკეთებდეს სახელმწიფო ანუ მთავრობა,—ამბობს არა ერთხელ პოპი.—ეს წარმოდგენანი იმ დროიდანაა დარჩენილი, როცა ჯერ კიდევ იმისთანა სახელმწიფონი არ არსებობდნენ, როგორცაა თანამედროვე ახალი ზელანდია.

„თუმცა ახალი ზელანდია წარმოადგენს ბრიტანიის იმპერიის ერთ ნაწილთაგანს და ემორჩილება ბრიტანიის მთავრო-

ბას, მაგრამ ნამდვილად კი ჩვენ, ახალ ზელანდიელებს, არ გვყავს სხვა მთავრობა, გარდა იმ მთავრობისა, რომელიც თვით ჩვენგანვეა დამოკიდებული. იმ დროს, როცა მრავალ ქვეყნებში ამ უმაღლეს კი... არსებობენ ხალხისაგან დამოუკიდებელი მმართველობანი, ჩვენში, როგორც უმაღლეს მთავრობის წარმომადგენლებს, ისე ულატაკეს მაორთაგანს, არა აქვთ არავითარი პირადად კუთვნილი უფლება, გარეშე იმ უფლებებისა, რომელიც მას ახალ ზელანდიის ხალხისაგან აქვს მინიჭებული.

„თუ ეს ასეა, თუ არ არსებობს სხვა წყარო მმართველობის უფლებებისათვის, გარეშე ჩვენისა და, მაშასადამე, თუ ჩვენ თვითონ წარმოვადგენთ თვით სახელმწიფოს, მაშ სასაცილო არ იქნებოდა, რომ მთავრობისათვის გვეცქირა, როგორც მტრისათვის, რომელსაც შეუძლიან იქონიოს ისეთ გვარი სურვილები, რომლებიც არ ეთანხმებიან ჩვენ კეთილდღეობას და რომელსაც შემწეობას ვსთხოვდეთ მხოლოდ დიდ გაჭირვების დროს? რად გვინდა, რომ დავადგინოთ თუ რაში შეუძლიან და რაში არ შეუძლიან მთავრობას ჩარევა? მაგრამ, სამაგიეროდ, რატომ არ უნდა ვსარგებლობდეთ, რაც შეიძლება ხშირად, მთელის საზოგადოების ერთად თავმოყრილ და გაწესრიგებულ ძალ-ღონით? რატომ არ უნდა ვაკეთებდეთ შეერთებულ ძალ-ღონით ყოველისფერს, რაც შეიძლება გაკეთდეს ამ გვარად უფრო უკედ, ვიდრე დაქსაქსილ კერძო პირთა ძალ-ღონით.

„ამ გვარად განა შეიძლება მთავრობის უფლებანი განისაზღვროს? და ყოველი კერძო კითხვა ამის შესახებ ნამდვილ გარემოებათა მიხედვით და საჭიროებათა დაგვარად უნდა სწყდებოდეს. თუ გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ რომელიმე საყურადღებო საქმე მოქალაქეთა უმრავლესობისათვის კერძო პირისაგან არა სასურველად სრულდება, ჩვენ საფუძველი გვაქვს, რომ ეს საქმე ჩამოერთვას მას და გადაეცეს მთავრობას, რათა მან სცადოს, უკეთესად დააკმაყოფილოს საზოგადოებრივი საჭიროებანი.“

პოპის ეს მოყვანილი სიტყვები მით უფრო საყურადღებოა, რომ ცარიელ ტეორეტიულ მსჯელობას კი არ წარმოადგენენ იგინი, არამედ ნამდვილ და ქეშმარიც ფაქტებს აღნიშნავენ. მართლაც ავსტრალიელი კოლონიები იმ მხრივ არიან უფრო დაწინაურებულნი ბევრ სხვა ქვეყნებზე, რომ მათ უკედ იციან საზოგადოებრივ ინტერესებისათვის მთავრობის უფლებებით სარგებლობა, როგორც წარმოების, შრომის და კაპიტალის ურთიერთობის, ისე მრავალ ისეთ საქმის და დაწყობილებათა მოწესრიგებისათვის, რომლებიც ძველ ევროპაში კერძო ინტერესებზეა მიგდებული.

მაგრამ ვიდრე ახალ ზელანდიის ფრიად აღსანიშნავს და სოციალურ ცდათა აღწერას შევუდგებოდეთ, საჭიროდ ვსთვლით უწინარეს გავაცნოთ მკითხველს შემოკლებით მაინც მისი სახალხო განათლების ყოფა, რადგან, ჩვენის აზრით, სახალხო განათლების ყოფა-მდგომარეობა ერთი უმთავრეს ფაქტორთაგანია საზოგადოებრივ წეს-წყობილებისა და საზოგადოებრივ საქმეთა მსვლელობისა, თუმცა ისიც კია, რომ თვით საზოგადოებრივ წეს-წყობილებას თავისი საკუთარი უკუქცევით გავლენა აქვს თვით ხალხის განათლებაზე.

ნ. აღნაშვილი.

## ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

### II \*)

1. გულივერის მოგზაურობა—სეიფტისა. 2. ძუნწი და ნატვრა შ. მღვამელისა. 3. თხზულებანი პეტრე ჯოხიასისი. 4. „ლალატო“ აღ. სუმბათოვისა თარგ. კ. მესხისა. 5. შურდული ია ერაძისა. 6. მოკლე დარჩება ჩაის ბუჩქის გაშენების შესახებ ტიმოფეევისა. 7. ყარამანიანი კარი IX.

მიმდინარე წლის თებერვლის განმავლობაში დაიბეჭდა და გამოვიდა შემდეგი წიგნები.

1. გულივერის მოგზაურობა—სეიფტისა სურათებით. ნათარგმნი ი. ცისკარაშვილის მიერ. ტფილისი გამოცემა მეორე—ქ. შ. წ. კ. გამავრცელე საზოგადოებისა. ფასი 30 კ. გვერდი 168 დაიბეჭდა 1200 ც.

2. ძუნწი და ნატვრა. საყმაწვილო წიგნი სურათებით შ. მღვიმელისა. ტფილისი ფასი 10 კ. გვ. 32 დაიბ. 2,400 ც.

მწერლობის არც ერთი დარგი ისე დარბი და უფერული არ არის ქართულ ენაზედ, როგორც საყმაწვილო ლიტერატურაა. ორიოდე ორიგინალი თუ ნათარგმნი მოთხრობა და ზღაპრების რამდენიმე კრებული,—აი მთელი ჩვენი ავლადიდება.

\*) ჩვენს პირველ შენიშვნებში—„მოამბე“ № II გვ. 113. ერთი თვალსაზრისით შეცდომაა შეპარული. დაბეჭდილია—სიზმრის ახსნა მეცხრამეტე გამოცემა კ. თავართქილაძისა—უნდა იყოს. სიზმრის ახსნა მეცხრამეტე გამოცემა ახვატელისა, სტამბა კ. თავართქილაძისა.



მართალია, ჩვენ ყველას გვწამს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს დედა ენას ბავშვის აღზრდა-განვითარებაში, დაბეჯითებით და სამართლიანად ვთხოულობთ, რომ სწავლა საზოგადოათ და პირველ დაწყებითი მაინც სწარმოებდეს დედა ენაზედ, როგორც საზოგადოათ ყველა ქვეყნების ნორმალურ სკოლებში, ვხედავთ, გვსურს ჩვენი ბავშვების განვითარებაც, როგორც ყოველგან კულტურულ თუ უკულტურო ქვეყნებშია, მიმდინარეობდეს ბუნებრივის წესით, ესე იგი—დედა ენაზედ და დედა ენის შემწეობით, დიდ ყურადღებას ვაქცევთ ამ აზრების თეორეტიულად ახსნას და დამტკიცებას, თუმცა ასეთ ტრუიზმებს არც უნდა სჭიროდეს დამტკიცება. მაგრამ, რაც უფრო საჭიროა ჩვენთვის, ჩვენ იმაზედ ნაკლებად ვზრუნავთ—ჩვენ არ ვცდილობთ პრაქტიკულად განვახორციელოთ ის კანონიერი მოთხოვნილება, რომლის შესახებაც თეორეტიულად ამდენსა ვწერთ და ვლაპარაკობთ.

თუ ჩვენ არ ძალ გვიძს სკოლების ისე გაწესრიგება, როგორც ჩვენ შეგვეფერება, საყმაწვილო ლიტერატურის განვითარება-გამდიდრება ხომ მაინც ჩვენ ხელთ არის. მე დარწმუნებული ვარ, ამ ლიტერატურას რომ ჩვენმა პედაგოგებმა იმის ნახევარი დრო მოანდომონ, რამდენსაც ჰკარგავენ ზემოდ მოხსენებულ ტრუიზმების მტკიცებაში და ამაზედ პოლემიკაში, საყმაწვილო წიგნები ჩვენ გაცილებით მეტი გვექნებოდა, ვინემ დღეს გვაქვს. და მაშინ ჩვენს მისწრაფებებსაც უფრო რეალური ნიადაგიც ექნებოდა.

დროა შევიგნოთ, რომ ის წერილები, რომელიც ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ასე ხშირად იბეჭდება დედა ენის მნიშვნელობაზე, ზოგიერთ ჩვენის სკოლებიდან ქართული ენის განდევნის შესახებ, სხვა-და-სხვა მეტოდების უვარგისობაზედ და სხ.. თავის მიზანს სრულიად ვერ აღწევენ... ერთი რომ ბატონყმური ჩუქების, ფეშკაშების დრო წავიდა და მეორე—ვის ხელშიც იმ კითხვების გადაწყვეტის ბედი არის, ისინი ამ წერილებს არც კითხულობენ, და თუ როგორმე ყური მოჰკრეს, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ—ჩვენ-კი ქართველ მკითხ

ზველებმა—ყველაფერი ეს დიდი ხანია ვიცით. ათასჯერ ერთისა და იმავეს მოსმენა ზოგს თავს გვაბეზრებს და ზოგს კი სასოწარკვეთილებაში გვაგდებს და მხოლოდ იმით ვნუგეშობთ თავს, რომ ავტორის გამბედაობა და მამულის სიყვარული ჩვენც სასახლოთ მიგვაჩნია. (ზოგი ჩვენი მოღვაწე თავის გატეხილი რეპუტაციის გამოსაბრუნებლადაც მოჰყვება ხოლმე ამ საგნებზე წერას).

რა თქმა უნდა, სამწუხარო და სასიხარულო ფაქტები ყველა საჭიროა ავსუსხოთ და განვიხილოთ. მაგრამ ჩვენთვის ათასჯერ უფრო სასარგებლო იქნება, რომ ერთობით, მტკიცედ და მხნეთ შევეუდგეთ პრაქტიკულ მოქმედებას სწავლა-აღზრდის განვითარების საქმეში.

მაგალითად, იმის მაგიერ, რომ თავი ვიმტვიროთ იმის დამტკიცებაში, რამდენად მავნებელია ჩვენთვის ესრეთ წოდებული „ესტესტვენნი მეტოდი“, ავილოთ და გამოვცეთ რაიმე წიგნი, რომელიც ჩვენმა ბავშვებმა სიამოვნებით და ინტერესით წაიკითხონ.

იმის მაგივრად, რომ ყოველ დღე მოვყვეთ გოდებას, როგორ იკარგება სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენა, ჩვენ გამოვცეთ რაიმე საინტერესო წიგნაკი სურათებით სამეგრელოს ცხოვრებიდან და ზედ ქართული ანბანიც დაეუმატოთ—მეგრელი ბავშვი რომ ამ წიგნაკს ნახავს, მოსწყურდება მისი წაკითხვა და სხვა და სხვა...

მე დარწმუნებული ვარ, უბრალო ერთ შაურიან წიგნაკს, ამ მიზნით გამოცემულს, უფრო მეტი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება, ვინემ, თუ გინდ 10 ფელეტონს, ზემოდ მოხსენებულ საგნებზე დიწერილს.

ჩვენ გვიპასუხებენ, თუ საყმაწვილო ლიტერატურა ღარიბია, იმიტომ რომ არ არის მოთხოვნილებაო. შემოიღეთ სკოლებში ქართულად სწავლება და ლიტერატურაც გაჩნდებაო.

ზეციდან არაფერი არ ჩამოვარდება, ყველაფერზე წინ და წინ უნდა ვიზრუნოთ და ყველაფრის ნიადაგიც წინ-და-წინვე უნდა მოვამზადოთ, მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ უცებ შე-

გვისრულეს ჩვენი სურვილი და მისწრაფებანი—შემოიღეს სკოლებსა და სასწავლებლებში ქართულად სწავლება. რა სასაცილო მდგომარეობაში ჩავვარდებოდით! როგორ, რითი, რას ვასწავლიდით ჩვენს ბავშვებს? როგორ მივალდებინებდით იმათ სკოლის გარეშე განვითარებას?...

ჩვენ არ მოგვეპოვება სახელმძღვანელო წიგნები არამც თუ საშუალო სწავლის მისაღებად, არამედ პირველ დაწყებით სწავლისთვისაც.

უცებ რომ ქართველ ბავშვებს ქართული წიგნების კითხვის მაღა გაეხსნას, მაშინ ჩვენ სწორეთ ისინი სადმე გადაგვასახლებდნენ. რაც საყმაწვილო წიგნები გვაქვს, ჩვენი ბავშვი ორის კვირის, თუ არა, ერთის თვის განმავლობაში მაინც წაიკითხავდა და მერმე საშველს აღარ მოგვცემდა, რომ კიდევ გვემოეწონა ახალი წიგნები.

ვიმეორებ, საყმაწვილო ლიტერატურა ჩვენის მწერლობის დაჩაგრული და სუსტი მხარეა და ყველამ, როგორც კერძო პირებმა, ისე საზოგადოებებმა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ.

ამ მხრივ ორივე ზემოთ მოყვანილი წიგნის გამოცემა სასიამოვნოდ უნდა მივიღოთ. გულივერის მოგზაურობა-სვითის უკვდავი და ცნობილი ნაწარმოებია და დიდს ინტერესს იწვევს ბავშვებში. ამ წიგნის პირველი გამოცემა გასაყიდად აღარც მოიპოვებოდა და სწორეთ კარგად მოქცეულა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობა, რომ ეს წიგნი ხელახლად გამოუცია. თარგმანი კარგია. სურათები კი ვერ არის ასეთი გამოცემის შესაფერი. მაინც ჩვენი ბავშვებისათვის ესეც კარგი საჩუქარი იქნება.

იგივე ითქმის ბ. შ. მღვიმელის წიგნაკზედაც. აქ მოთაფსებულია ორი პატარა ამბავი, ცოცხალის და კარგის ერთგალექსილი: I ძუნწი და II ნატვრა. ძუნწს სათაყვანებელ კერძად გაუხდია ფულები. და როდესაც „სულთამხუთმა“ მოსთხოვა—ან შენი ქონების ნახევარი მომეცი და კიდევ იცოცხლე, თუ არა და წუთის სოფელს გამოგათხოვებო, ძუნწმა ვერ

შესძლო ოქროს დათმობა და გადაწყვიტა ჩაეყლაბა თავის ოქროები და სამარეში თან ჩაეტანა. როგორც-კი რამდენიმე ოქრო გადაყლაბა, ძუნწი მაშინვე გამოეთხოვა წუთისოფელს. მთელი მისი ქონება დარჩა ოხრად. მეორე ამბავიც ასეთივე მარტივია, მაგრამ გაცილებით უფრო ორიგინალური და საინტერესოა. დაბეჩავებული გლეხი ევედრება ღმერთს—მიშველე-მემეწიეო. წამსვე ანგელოზი აძლევს მას სამ ვაშლს—მისთვის ცოლისთვის და ვაჟიშვილისათვის.—შექამეთ ეს ვაშლი და რასაც ინატრებთ, შეგისრულებთო. მთელი ოჯახი შეუდგა ფიქრს—რა ენატრათ. ცოლმა ვედარ მოითმინა, შექამა ღამე ვაშლი და იქცა დედოფლად. დილას რომ დედაკაცი ვერა ნახეს, ძალიან შეწუხდნენ. შვილს (მენახირეს) გული მოუვიდა და ინატრა: რაკი დედამ გვიღალატა და გაიქცა, გთხოვ ისევ ჩვენთან მოიყვანო, მხოლოდ ღორად ქცეულიო. ნატვრა შეუსრულდა. შეწუხდა გლეხი. უწინ თუ იმას ტიროდა, რომ შვილი მენახირეთ ჰყვანდა, ახლა კიდევ ცოლი გაუხდა სატირალი. შექამა ვაშლი და ინატრა—არაფერი მინდა, ღმერთო, მხოლოდ უწინდელი ცხოვრება დამიბრუნეო. ღორი ხელახლად იქცა დედაკაცად და იწყეს ძველებურად პატიოსნურის შრომით თავის ოჩენა.

ორივე ამბავი ხალისით წაიკითხება ბავშვებისა და მდაბიო ხალხისაგანაც. არ იქნება ურიგო, რომ ასეთ საყმაწვილო და სახალხო წიგნაკებს დაერქოს ქართული ანბანიც. შესაძლებელია ასეთ გამოცემამ ზოგიერთ მივარდნილ კუთხეში რამდენიმეთ მაინც „დედა ენის“ მაგიერობაც გასწიოს.

2. თხზულებანი პეტრე ლუარსაბის-ძე ჯოხიასი ავტორის სურათით. ტფილისი გვ. 197. ფ. 40 კ. დაიბ. 1200 ც.

ეს წიგნი წარმოადგენს ბ. ჯოხიას ლექსების კრებულს, რომელშიც მოთავსებულია ლერმონტოვის „გამოქცეული“ და ორიგინალური ლექსები: თუში ბაადურის უბედურება, ქურდი ივანე, დ. მაჩხანელის სიკვდილზე და სხ.



წიგნი ძლიერ ღამაზათ არის გამოცემული და დასურათებულია მხატვარის მრეველიშვილის მიერ.

რამდენადაც ვიცი, ავტორი პირველად გამოდის სამწერლო ასპარეზზე და მოუსურვებია, როგორც წინასიტყვაობაში ამბობს, „გალექსოს უნაკლისოდა მისი გულიდან ამოღებული“ (?). ის ვეცდრება უფალს:

შემადღებინე შენის ძალითა  
დასურათება აქ საგანისა,  
გვედრი, მალალო, სიტყვა ისმინო  
ერთი უბრალო ხელოსანისა  
და თუ აქ სადმე ლექსი შევშალო  
ერთი მეორეს ვერ მივალწიე,  
მაშინ, უფალო, შენ მომეშველე,  
გადმოიხედე და შემეწიე.

კრებულიდან სჩანს, რომ ეს ვედრება ძალიან ნაკლებად უსმენია უფალს და ბ. ჯოხიას ძალიან ბევრ ადგილს შეშლია ლექსი და ბევრგან რითმებიც „ერთი მეორისთვის ვერ მიუღწევია“. მისი კრებული წარმოადგენს სუსტად გალექსილ ამბებს და არა პოეტურ ნაწარმოებს. ლექსების სიუჟეტი ხალხის ცხოვრებიდან არის ამოღებული და ინტერესს არ არის მოკლებული; მაგ. ბაადურის თავგადასავალს, მის უბედურ ნადირობას, ქურდი ივანეს ოინებს, მათხოვრის გულდამწველ ჩივილს, ერთგული ცოლის გამოცდას ხალხი სიამოვნებით წაიკითხავს და ეს ნაწერები არც კუდ გრძობებს გაუღვიძებს მათ გულში.

საზოგადოთ ავტორს ბუნებრივი ნიჭი ეტყობა, მხოლოდ სჩანს, რომ მას არ მიუღია შესაფერი სწავლა და განვითარება და ჯერ კიდევ ბევრი შრომა და ცდა დასჭირდება, რომ თვალსაჩინო რამე შექმნას.

მწერალი, სწავლა-განვითარებას მოკლებული, იგივე უთაფლო ფუტკარია, რომელიც ხმა მალღა დაბზუის, მაგრამ თავისი წვლილი არ შეაქვს საერთო სკაში, სადაც ნელ-ნელა



შზადღება საჭირო მასალა, რომ წმინდა სანთელი მომზადდეს და გაჩაღდეს.

ჩვენ ვურჩევთ ბ. ჯოხიას შეაჩეროს დროებით დანარჩენი თავისი ლექსების გამოცემა, სერიოზულად მოჰკიდოს ხელი თვით-განვითარებას, შეისწავლოს უკეთ მშობლიური ენა, მწერლობა და შემდეგში შეუდგეს თავის ნაწერებით თავის მოძმეების განვითარების საქმეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ბ. ჯოხიასაც ის ბედი მოელოს, რაც ერგო ბევრს სხვას იმისთანას. საზოგადო განვითარების უქონლობის გამო მისი ნიჭი ჩასკვნება ისე, რომ გაფურჩქვნასაც ვერ მოასწრობს და სასარგებლო მწერლის ნაცვლად, რაც შესაძლებელია, შეგვრჩება ხელში უბრალო საბაზრო მოშაირე.

აქვე უნდა აღვნიშნო ერთი მოვლენა. ზოგიერთ აბალგაზდა მწერლებმა და მათ წახედულებით ბ. ჯოხიამაც, მოდათ მოიწყეს, ნაწერებთან ერთად თავის სურათის ბექდვაც. ეს მოვლენა ავტორთა განუვითარებლობის გარდა ამტკიცებს მათ მეტიჩრობასაც. სურათის დაბექდვასაც დამსახურება უნდა და ეს კი სრულიად საზოგადოების დაფასებაზედ არის დამოკიდებული.

4. თ-დი სუმბათაშვილი, „ლალატი“ ხუთ მოქმედებიანი დრამა. ტიული ლეგენდა საქართველოს წარსულიდან თარგმანი კ. მესხისა. ტფილისი გვ. 82 ფასი 25 კ. დაიბეჭდა 2000 ც.

ბ. სუმბათოვ-იუჯინს არა ჩვეულებრივი ბედი ხვდა ჩვენს მწერლობაში: მისი „ლალატი“ დიდის აღზნებით და აჩქარებით იქმნა თარგმნილი ორის ცნობილ პირის მიერ. ბ. ყიფშიძის თარგმანის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა გამოთქმული ჩვენი აზრი. თითქმის იგივე უნდა გავიმეოროთ ბ. მესხის თარგმანის შესახებ. იგივე შეუშუშავებლობა ზოგიერთ ტერმინებისა და იგივე აჩქარება. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ბ. მესხი ავტორის ზოგიერთ ადგილებს ეგერ აგერ ფრაზიროვკას ასხვაფერებს, თავისებურად თარგმნის სახელებსაც. სამაგ-

იეროთ ბ. მესხი უფრო უახლოვდება ავტორს. ცხოველ და ალტაცებულ კილოში და ენაც სცენისათვის მოხდენილი და შესაფერი აქვს. ორივე თარგმანი ჩვენ მხოლოდ გვარიან თარგმანებად მიგვაჩნია. უმჯობესი იყო, ეთარგმნა ერთს ვისმე, მაგრამ უფრო დაკვირვებით და უფრო მუყაითობით და ამასთან მთარგმნელზე უფრო მცოდნე პირთა რედაქციით, ვინემ ორს მოქიშვე პირს აჩქარებით და შეუფერებელის რედაქციით.

თვით ამ პიესის შესახებ ქართულ ენაზედ ბევრი დაიწერა და აქ დაწვრილებით აღარ გავიმეორებ, ზოგიერთებთან რთად ჩვენ შემდეგის აზრისა ვართ\*)

1. პიესა „ლალატი“ აშენებულია წარმტაც დრამატიულ ეფექტებზე.

2. დრამატიული კვანძი დიდის ხელოვნებით არის მოგვარებული და ჩახლართული.

3. სასცენო მხარე დიდის ცოდნით და მშვენიერად არის მოწყობილი.

4. გულის ამძგერებელი სიტყვები გამოთქმულია თამამად და მოხდენილად.

5. პიესა თუმცა „ისტორიულია,“ მაგრამ მას თანამედროვე მნიშვნელობაც აქვს.

6. მოქმედება სწარმოებს საზოგადოდ საინტერესო და ქართველებისათვის მეტად მიმზიდველ კალაპოტში და ნიადაგზე.

მაგრამ ეს პიესა არც ისე გადასარეცია, როგორც ბევრს ჰგონია.

1. აქაც, როგორც საზოგადოთ ბ. სუმბათოვის ყველა პიესებში, ფსიხოლოგიური მხარე ძალიან სუსტია.

2. ახალი ან რაიმე ღრმა ფილოსოფიური აზრი აქაც, როგორც სხვა მის პიესებში, არ არის გატარებული.

\*) ჩვენ არ ვეთანხმებით პატივცემულს ავტორს „ლალატის“ დაფასებაში და ამ პიესის შესახებ შემდეგ ნომერში ცალკე კრიტიკულს წერილს დავბეჭდავთ.

3. მართალია, ჰიესას ისტორიული ჰქვია, მაგრამ ისტორიული მხოლოდ სახელებია. ავტორის თავის მართლება, ვითომც მან აიღო საქართველოს ისტორია და განიზრახა მთელი ეს ისტორია გამოეხატა ერთს ღრამაში, მხოლოდ ავტორის სითამამეს ამტკიცებს და სხვას არაფერს. საქართველოს მთელის ისტორიის გამოხატვას, იმდენად ეს ისტორია რთულია და არა შაბლონური, როგორც ავტორს ჰგონია, დასჭირდება არა ერთი შექსპირი და ისეთს, შუათანა ნიკის პატრონ ღრამატურგს, როგორც ბ. სუმბათოვია, სად შეუძლია? მისი განზრახვა უსათუოდ აღემატებოდა მის ძალას და აქედან გამოვიდა ის, რომ ჰიესა იმდენად შეიძლება ჩაეთვალოთ საქართველოს ისტორიიდან, რამდენადაც სპარსეთის, საბერძნეთის, ისპანიის და სხვათა ისტორიიდან.

4. ჰიესის სიუჟეტი საზოგადოა, შაბლონური და ამ მხრივ ბევრად ჩამორჩება სარდუს ამნაირსავე ჰიესას, „გრაფ დე რიზოორ“. (დ. ერისთავის სამშობლოს“).

5. „ქართველ ქალის დიადი მნიშვნელობა დაბალსა, თუ მაღალს წრეებში“, რაც ავტორს სურდა, წარმოედგინა ჩვენთვის (როგორც თვითონ ამბობს წინასიტყვაობაში) შეუსრულებელი დარჩა. ქალის მნიშვნელობა ხალხოსნობის და სარწმუნოების შენახვაში მართლაც რომ დიადია და ეს ათასჯერ უფრო ნათლად არის დახატული მსოფლიო ისტორიკოსების ნაწერებში.

თუ სამხრეთ ევროპაში აღარ არიან ვანდალები, გუნნები, გოტები და სხვ., ეს მხოლოდ რომაელ ქალთა წყალობით მოხდა, რომელნიც კულტურულად მაღლად იდგნენ მოსულ ძლიერ-მოსილ ბარბაროსებზე. ეს ბარბაროსები, მართალია, ხდებოდნენ იმათ ქმრებათ, ბატონებათ, მაგრამ მათ კულტურულ ზედგავლენას თან-და-თან ემორჩილებოდნენ და მათი შვილები დედების ენასა და ზნე ჩვეულებას იფიცებდნენ. ქალის ხალხოსნობა იმარჯვებდა და მოსულ ბატონებთა კი თან-და-თან იცვლებოდა და ჰქრებოდა. ეს მოვლენა საქართველოშიაც იყო და არის. ქართველი დედაკაცი არამც თუ ქართველობას მტკი-

ცეთ ინახავდა, სხვებსაც აქართველებდა. ქართველი ქალის ეს კულტურული მნიშვნელობა პიესაში სრულებით არ არის მოხსენებული.

(დათო და ირაკლიც ორივე უდედოთ იზრდება.) სულეიმანთან ერთად ოცის წლის ცხოვრების შემდეგ ზეინაბი მხოლოდ ცბიერი მონაა თავის მპყრობელისა და მას ზედ ვერავითარი კულტურული გავლენა ვერ მოუპოვებია. ქალის ტიპები საზოგადოთ ავტორის სუსტი მხარეა. ზეინაბი არ არის ნამდვილი და სრული ტიპი.

გარყენილი რუქაია, ბალდი გაიანე, კომიკური დედაბერი მაიკო ხომ ნამდვილ ჩვეულებრივ ოპერეტკის პერსონაჟებია.

ქართველ ქალის „დიადი მნიშვნელობა“ ჩვენ ვერ ვპოუვთ პიესაში და თუ ქართველ მანდილოსნებმა ბატ. სუმბათოვს მადლობა შესწირეს, ალბათ, ისინი სხვებთან ერთად მოხიბლანი იმ ორიოდე „თბილმა სიტყვამ“, რომელსაც ზეინაბი (კარგის არტისტის პირით) დიდის გრძობითი ლაპარაკობს მესამე მოქმედებაში.

ნ. პიესაში საქართველოს განთავისუფლება რაღაც *Deni ex machina*-სათ არის, ხდება მოულოდნელად, თითქმის უცაბედათ, რამდენიმე დღის განმავლობაში. ოთარ ბეგი რომ არ შიმხრობოდა, მაშინ ხომ არც განთავისუფლება მოხდებოდა. ნუ თუ საქართველო ამ ნაირად სტეხდა მონობის უღელს? აქ აწერილი ეპიზოდი ხომ უფრო სასახლის რევოლიუციია, ვიდრე „ხალხის მოზღვაება“, როგორც პიესაშია ნათქვამი. სად იყო ეს ხალხი?

ამდენ ხანს ის გვესმოდა, რომ საქართველო ამოწყდა — გასათხოვარი ქალიც კი აღარ მოიძევება, ეკონომიურად დაგლახაკებულია — ყველას ტყავი აქვს გამძვრალიო. მაშ საიდან მოზღვადნენ? ან ვის ეჭირვებოდა ეს თავისუფლება? ვინ გამზადა ისინი? ნუ თუ ზეინაბმა, რომელსაც 20 წლის განმავლობაში თავისი ღვიძლი შვილიც კი არ უნახავს და თავისუფლების შესახებ ერთი სიტყვაც არ დაუძრავს. მარტო საბა ხომ ვერ შესძლებდა ასეთ საქმეს? სად იყვნენ — ავტორის მე-



გვარე სუმბათი და ორბელიანი, რომელნიც კომიკურის ყოყოჩობით გამოჩნდებიან მხოლოდ უკანასკნელ მოქმედებაში?

პიესიდან არაფერი ეს არ სჩანს და მხოლოდ ჩვენის ფანტაზიის დახმარებით შეგვიძლია რაიმე პასუხი წარმოვიდგინოთ...

წერილმანებს აღარ გამოვეყიდე. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ საქართველოს მცირე შესწავლამ შეაძლებინა თავის დაკარგულ შეილს—თ. სუმბათოვს—ისეთ ფარგალში დაეწერა პიესა, რომ მსოფლიო ყურადღების ღირსი გახდა, რასაც ის და მისი პიესები ამდენხანს მოკლებული იყო. ვისურვებ, რომ ბ. სუმბათოვს კიდევ უფრო დაახლოვებით შეესწავლოს ჩვენი ქვეყანა, და მაშინ მისი ახალი ნაწარმოებიც გაცილებით „ლატზედ“ უფრო შესანიშნავი იქნება.

ჩვენის მხრით ეს პიესა უსათუოდ ყურადღების ღირსია (თუმცა ისეთის გადაქარბებულის კი არა, როგორც ჩვენ მოგვდის) და იგი უსათუოდ თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს ჩვენს რეპერტუარში.

5. შურდული „ივერიიდან“. რედაქტორ-გაჰომცემელი ია ვრადე ტფილისი გვ. 84 ფ-10 კ. დაიბ. 300 ც.

აგერ მეორე წელიწადია გაზ. „ივერია“-ში საკვირაო ფელეტონები „შურდულის“ სახელით გამოდის. აქ სასტიკად დასცინიან ჩვენი ცხოვრების უსწორ-მასწორობას, გესლიანად და ხან უგესლოთაც ოხუნჯობენ ზოგს ჩვენ მოღვაწეებზე და სამართლიანად მიაჩნიათ, რომ ხშირად უბრალო ნაკვეცი ან მოსწრებულად ნასროლი შურდული უფრო გასკრის და სარგებლობას მოიტანს, ვინემ ზოგჯერ მთელი ტრაქტატები.

ეს ფელეტონები—სხვა და სხვა კუთხის „შურდულისტების“ ნაწევრთა კრებულს წარმოადგენს და ამიტომ სხვა და სხვანაირი ღირსების მასალაც მოიპოვება შიგ. მოსწრებულ ნაკვესთან ერთად შეხვდებით მშრალს და ულაზათო იუმორს, აზრიან და სასიამოვნო ლექსთან—უხვირო შაირებსაც. რაც უნდა იყოს, ამ ფელეტონებს თავისი აზრი და მნიშვნელობა აქვს „ივერიის“



ფურცლებზედ, ხოლო რადგანაც მათ, დროს შესაფერო, შემთხვევითი ხასიათი აქვს, იმათი გამოცემა ცალკე წიგნად ჩვენ მეტად და უმნიშვნელოდ მიგვაჩნია,

გამოცემულია მხოლოდ 5 ფელეტონი მიმდინარე წლის 1 იანვრიდან დაწყებული ქრონოლოგიურის წესით. რაკი ამ ფელეტონების ერთის ნაწილის გამოცემა განიზრახეს, უმჯობესი იქნებოდა არ ეხელმძღვანელებიათ ქრონოლოგიით და გამოერჩიათ საუკეთესო მათგანი, შეედგინათ საუკეთესო „შურდულების“ მთელი თაიგული და ისე გამოეცათ.

მოკლე დარიგება ჩაის ბუჩქს გაშენების შესახებ ქუთაისის გუბერნიის დასავლეთ ნაწილში. შედგენილი ს. ნ. ტიმოფევის მიერ. თარგმანი აგრონომ ერ. ნაკაშიძის მიერ. ტფილისი გ. 80. ფასი არ არის აღნიშნული 1200 ც.

ეს წიგნი გამოცემულია მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის განკარგულებით. აგერ 40 წელიწადი იქნება, რაც ჩაის ბუჩქის მოშენება განიზრახეს ჩვენს ქვეყანაში. პირველი ცდა დიდხანს უნაყოფო იყო. მართალი უნდა ვთქვათ, საქმესაც არ ეკიდებოდნენ სერიოზულად და ბევრ ხარჯსაც ერიდებოდნენ. მხოლოდ ამ 15 წლის წინათ უფრო ენერგიულად შეუდგნენ საქმეს და ჩაის პლანტაციები მოაწყვეს ჩაქვსა და ქობულეთის ახლოს. საუფლისწულო უწყებას გვერდში ამოუდგა ცნობილი პოპოვის ჩაის ფირმა და კერძო პლანტატორებიც რუსთაგან:—სოლოვცოვი, ვუჩინო და სხ. ჩაის მოყვანის საქმეს განაგებდნენ განსკუთრებით ამისთვის გამოწერილი ჩინელები, რომელთაც მუშაობაში ეხმარებოდნენ გურული უბრალო მუშებიც. საქმე გაიზარდა. პლანტაციები ამ წამად სივრცით 300 დესეტინაზე მეტი იქნება. საქართველოს ჩაიც ამ ბოლო დროს ბაზარზედაც გასაყიდათ გამოიტანეს „რუსეთის ჩაის“ სახელწოდებით და კარგი ჩაიც გამოდგა.

სამწუხაროდ, ბოლო დრომდის ჩაის მოშენების საქმე საიდუმლოებით იყო მოცული და არავინ არ ცდილობდა ხალხში ჩაის კულტურა გავერცელებინა.

მაგრამ გურულმა მუშებმა თავისითაც მალე შეითვისეს ეს ახალი საქმე. მოახერხეს თესლის და ნერგების წაღება და თავის ბაღებში ჩაის მოშენება დაიწყეს.

ახლა კი გურიის უმეტეს ნაწილში ბევრს ოჯახში შეხვდებით ჩაის ბუჩქს, მაგრამ რაც უნდა იყოს, ამ რთულ საქმეში კიდევ დიდი ხელმძღვანელობა სჭირდებათ და იმედია, რომ ჩვენი აგრონომები ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევენ.

გურიას არ შეუძლია დინჯათ მუშაობა, როგორც, მაგ. ქართლს შეუძლია. გურული გატაცებით ითვისებს ახალ კულტურას და გატაცებითვე მუშაობს.

50—60 წლის წინათ მაგ. გურიაში სიმინდს ხილად თუ შეხვდებოდით სადმე და ისიც „წერილ კაკალა სიმინდს“. როდესაც ახლანდელი ჯიშის სიმინდის თესლი გამოიწერეს ადესიდან და გურიაში „ადესის“ სიმინდის ხმა გავარდა, დიდი და პატარა იმის მოყვანას შეუდგა და სიმინდის კულტურამ პურიც კი განდევნა. მაგრამ, როდესაც გურია დარწმუნდა, რომ სიმინდის მოყვანა ახლანდელ პირობებში და ფასებში ხელსაყრელი არ არის, ისევ ჩქარა და მოუფიქრებელად სტოვებს სიმინდის დამუშავებას, როგორც ჩქარა მოჰკიდა ხელი მის მოყვანას. ამნაირივე ბედი ერგო შესანიშნავ ჩხავერის ღვინოს, რომლის ადგილიც ახალ-მოდის ადესის ყურყენმა და „ადესის“ ღვინომ დაიკავა.

ამ უმად გურია ისეთ მდგომარეობაში არის, რომ ძველი მჭურნეობის სიკოტრე და შეუფერებლობა შეიგნეს და ახალ მჭურნეობის არც წესები და არც რაიმე ახალი დარგი შეთვისებული არა აქვთ.

ამ გაჭირვებულ დროს ჩვენი აგრონომების ვალია, მიაქცევიონ ხალხს ყურადღება რაიმე ახალ კულტურულ მცენარეების მოყვანაზე და დამუშავების შესაფერ წესებზე.

ამ მხრივ ჩაის მოყვანას აბრეშუმთან ერთად დიდი როლი შეუძლია ითამაშოს გურიის ცხოვრებაში. ამ მცენარის კულტურისათვის ნიადაგი მზად არის, მხოლოდ საჭირო იყო ტენიკური ცოდნა და სწორეთ დიდის მადლობის ღირსია ბ. ერ.

ნაკაშიძე, რომ ზემოთ მოხსენებული წიგნი თარგმნა ქართულად და გამოაცემინა. ამ ფრიად საყურადღებო წიგნში გასაგების და მარტივის ენით მოთხრობილია საჭირო ცნობები ჩაის კულტურის შესახებ. აქედან გაიცნობთ, რა აგებულების არის ჩაის ბუჩქი, რა ნაირი ჯიშის არის, რა ჰავაში, როგორ მიწაზედ, რა გვარ მდებარეობაში კარგად გაშენდება ეს ბუჩქი, თესლიდან, თუ ნერგიდან. როგორ უნდა მოწყობა და მოვლა პლანტაციებს და სხ. ძალიან სასურველია, რომ ბ. გრმ. ნაკაშიძე ამ სასარგებლო წიგნაკს უფასოდ დაურიგებდეს თავის თანამემამულეებს.

7. ყარამანიანი კარი IX. სპარსულიდან ქართულად ნათარგმნი სახლთხუცის და სარდღის თავ. დავით ორბელიანისაგან. „სამოთხასმენელი“. განაცემა მეორე დ. ლაზარევისა. ტფილისი გვ. 102. ფ. 45 კ. დაიბ. 1200 ც.

აქ მოთხრობილია ყარამანის უკანასკნელი საგმირო ამბები, მისი სიკვდილი და შემდეგ ქუჩუკის გამოსვლა საგმირო ასპარეზზედ. წიგნში ორი უხეირო სურათია მოქცეული.

ამ წიგნს ხალხში დიდი გასავალი აქვს და დიდს ინტერესს იწვევს, როგორც საგმირო პოემა. შიგ გატარებული აზრები აღუძვრენ მკითხველს საგმირო საქმეებისადმი დიდ ტრფობას და გამოიწვევენ მასში მალალ გრძნობებს. მამულის სიყვარული, დაჩაგრული და სუსტის დაფარვა-გამოსარჩლება — ძლიერებთან შებრძოლება, თავისი სიტყვის შენახვა, ძმობის მტკიცედ აღსრულება, ქალის სიპატიოსნის დაცვა და მისი პიროვნების ამაღლება, აი რა აზრებით არის გამთბარი ეს ნაწარმოები და ხალხიც ტყუილად არ ეტანება მას. ენა, თუმცა შეიძლება გრამატიულის მხრივ, გვეჩვენოს უსწორ მასწოროდ, მაგრამ მდიდარი არის თავის ფორმებით, სხვა-და-სხვა ტენიკური სიტყვებით და პლასტიკითაც.

ყარამანიანი ღირსია იმის, რომ ჩამოერთვას იმის გამოცემა წიგნიც გამომცემლებს და რომელიმე სერიოზულმა პირმა, ან

საზოგადოებამ იკისროს მისი ერთად ყველა წიგნების გამოცემა შესაფერის წინასიტყვაობით. ჩვენი ძველი მწერლობა უნდა დაედვას საძირკვლად ახალი მწერლობის აყვავებას. ამ მხრივ ყარამანიანი, როსტომიანი, მოურავიანი და სხვა ასეთი ნაწარმოებები უფრო მეტის ყურადღების ღირსი არიან, ვინემ დღეს ვხედავთ.

X

## ნ ა რ მ ვ ი

- 1) კლექის წამლობა.—2) აკთიას და ექიმს ეჩიდეთ!—3) აკადემიების კონგრესი.—4) მცენარეთა მეორედ აყვავება.—5) ძვირფასი განძი.—6) ქალთა სამეფო.—7) ქალთა რიცხვი.—8) ქალთა მოქალაქებრივი უფლებანი ინგლისში.—9) ევროპიელ სახელმწიფოთა შეიარაღებული მშვიდობიანობა.—10) ლოთობა ინგლისში.—11) აშერიკული კონკურენცია.—12) ნოქრების საზოგადოება გერმანიაში.—13) არ გავეცლით სალსა კლდეებსა...—14) თავად-ახნაურობის სანუგეშოდ და სამწუხაროდ.—15) მომავლისათვის ზრუნვა.—16) ერთა შორის მშვიდობიანობის დამყარება.

**ჭლექის წამლობა.** პროფესორი მეღლეერი, მოწათე კოხისა და ღირექტორი ბოლცივის სანატორიისა, ამტკიცებს, ჭლექის წამლობას და განკურნებას მივაგენიო. ჭლექი უნდა შეჰყაროთ ცივ სისხლიან ცხოველს და მისგან აღებული ჩირქი რომ აუცრათ ადამიანს, ჭლექის შიში აღარა აქესო. დასამტკიცებლად თავის გამოკვლევისა, პროფესორმა ჭლექი შეჰყარა ერთ გვარ უშხამო გველს (*amphisbène*) და 1902 წლის მარტში და აპრილში ოთხჯერ აიცრა ჭლექი ამ გველის ჩირქით და შემდეგ იმავე წლის ქრისტეშობისთვეში ადამიანის ჭლექით მოიწამლა თავი; შედეგი ამ ცდისა ის იყო, რომ გახდა და ორის თვის განმავლობაში 20 გირვანქამდე დააკლდა წონაში, მაგრამ მერმე კი ისევ მოკეთდა და ჭლექისა არავითარი ნიშანი არ უგრძენია. განმეორება უნდა ამ ცდას, ოღონდ თავის თავზედ კი არა, მაიმუნებზედ რომ ესინჯა პროფესორს თავისი თეორია, უფრო დამამტკიცებელი მნიშვნელობა ექნებოდა.



აფთიაქს და ექიმს კრადკო! ინგლისური საექიმო ჟურნალი იკვლევს მიზეზებს დღევანდელის ქალაქში მცხოვრების სისუსტისას და უპირველეს ყოვლისა ასახელებს უფარვის საკმელს, არყის სმას, დახშულ ჰაერს, რკინის გზით და ერთობ ეტლით სიარულს, რომელიც ტენს არყევს, მეტის მეტ სინათლეს გაზისას, ელექტრონისას, რომელიც თვალს აფუჭებს და... აფთიაქს და ექიმს. თუ გსურთ კარგად იყვნეთო, ბრძანებს დოქტორი რობერტსონი, აფთიაქში ფეხი არ შედგათო!

\*\*

აკადემიების კონგრესი. ამ გაზაფხულს ლონდონში შესდგება საერთაშორისო კონგრესი აკადემიებისა. პროგრამა ჯერ დადგენილი არ არის, მაგრამ, სხვათა შორის, კონგრესი განიხილავს შემდეგ საგნებს: ხელნაწერთა გამოცემა სხვა-და-სხვა ენებზედ; ლეიბნიცის თხზულებათა გამოცემა; კრიტიკულად შემუშავებულის მაგაბჰარათის დაბეჭდვა; სრული მეცნიერული ბერძნული ლექსიკონისა და ფალის ლექსიკონის დაბეჭდვა.

\*\*

მეორედ აეკავება მტკნარეთა. ბოტანიკი აპური ამტკიცებდა, ხეს რომ ფოთლები მოაგლიჯოთ, შემოდგომამდე ხელები მეორედ აყვავდებაო. ამის დასამტკიცებლად დოქტორს სოსიურს შემდეგი გარემოება მოჰყავს: შარლსტონში მარიამობის-თვეში ერთს დღეს იმისთანა ქარიშხალი ამოვარდა, რომ ატმის ხეებზედ ერთი ფოთოლი ვეღარ შერჩა. მიუხედავად იმისა, რომ ის იყო-დაკრიფეს ატამი (ივლისში), ამ ხეებმა ოქტომბერში ხელმეორედ გამოიღეს ყვავილი, რომელიც შემდეგ ყინვამ გააყრევინა.

\*\*

ძვირფასი განსია. ლონდონის წიგნთ-საცავში ეგვიპტურ ხელნაწერების სინჯვაში, რომელნიც 4000 წლის წინად არიან დაწერილნი ქრისტეს დაბადებამდე, ერთს მეცნიერს საინტერესო ზედ წარწერა უპოვნია: ამ ზედ წარწერაში დასახელებულია ადგილი, სადაც ფარაონებს ძვირფასი განძი დაუფლავთ.

ინგლისელებს უკვე შეუდგენიათ ექსპედიცია ამ განძის საპოვნელად.

\*\*

**ქალთა სამეფო.** ამერიკაში კუნძულ ტიბურონზედ ინდოელები ცხოვრებენ, რომელთა ყოველს საზოგადო საქმეს მართო ქალები განაგებენ. უწინ ამ კუნძულზედ მძლავრი ხალხი ყოფილა სევიად წოდებული, 5000 კომლამდე, მაგრამ რადგან კუნძულზედ არც საქმელია საკმარისი, არც წყალი, ხალხი წყდება, და დღეს რამდენიმე ასი კომლი-ღა დარჩენილა. სევია ამერიკაში მცხოვრებ ინდოელებს ჭირსავით ერიდება. უპირატესობა როგორც საოჯახო, ისე საზოგადო საქმეებში, ქალებს აქვთ და ქალთა საბჭო ისე განაგებს საქმეებს, რომ კაცს არაფერი ეკითხვიან.

\*\*

**ქალთა რიცხვი.** ერთ გერმანულ გაზეთის ანგარიშით, დედამიწის ზღვრებზედ დღეს 633-200 ათასი ქალი იმყოფება და 649-00 ათასი კაცი. მართო ევროპაში სქარბობს ქალი: გერმანიაში ათას კაცზედ 1039 ქალია; პორტუგალიაში, შვეციაში, ნორვეგიაში, ინგლისში, საფრანგეთში, რუსეთში— 1060 ქალი. ერთობ ევროპაში 3.400 ათასი ქალია მეტი, ვიდრე კაცი. აზიაში, აფრიკაში, ამერიკაში და ავსტრალიაში კი კაცი უფრო მეტია, ვიდრე ქალი: აზიაში 16 მილიონით, აფრიკაში ერთი მილიონით, ამერიკაში და ავსტრალიაში 1-1/2 მილიონით.

\*\*

**ქალთა მოქალაქებრივი უფლებანი ინგლისში.** ინგლისის ქვემო პალატამ ამას წინად 114 ხმის უმეტესობით დაადგინა— სასურველია ქალებმა მონაწილეობა მიიღონ პარლამენტის წევრთა ამორჩევაშიო. წინადადება დეპუტატმა მაკლარენმა შეიტანა და აღნიშნა უსამართლობა კანონისა, რომელიც ქალს მოქალაქებრივ უფლებას არ აძლევს, თუმცა მრავალს ქალს თვალსაჩინო ალაგი უჭირავს მწერლობაში, ხელოვნებაში და მეცნიერებაში, და კაცს კი, რაც უნდა გაუნათლებელი და

უმნიშვნელო იყოს იგი, სრულს უფლებას აძლევს ერის წარმომადგენელთა ამორჩევისას. ამ მხრივ ჩვენმა ახალშენმა გვაჯობეს და წინ გავვისწრესო: ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ტასმანიაში ქალს და კაცს ერთი და იგივე უფლება აქვთ მიანიჭებული და ქალები არა თუ ირჩევენ დეპუტატებს, შეუძლიანთ თითონაც იქმნენ არჩეულნი დეპუტატებად, თუმცა ჯერ ჯერობით არც ერთი ქალი არ ყოფილა ერის წარმომადგენლად ამორჩეულიო.

\*\*

ევროპაელ სახელმწიფოთა შეიარაღებული მშვიდობიანობა. გამაგრდი, თუ გინდა, რომ მტერმა ვერ შემოგბედოსო, იძახიან ევროპიელნი, განათლებით თავმომწონნი, ერნი და უმეტეს ნაწილს სახელმწიფო შემოსავლისას ჯარით და ხომალდებით გამაგრებას ანდომებენ, რადგან ევროპიელთა განათლება თოფ-ზარბაზნის და ერთობ ადამიანთა საჟლეტი იარაღის და მანქანების გაუმჯობესებაში იხატება და არა ხალხის გონებრივ და ზნეობრივ განათლებაში. ამ გვარად გამაგრებულნი განათლებული ევროპიელნი ყველა სხვა ხალხებს, რომელთაც ჯავშნიანი ხომალდები და ზარბაზნები კი არა, უმთავრესად ხალხი და მის მაცხოვრებელი მეურნეობა და მრეწველობა განუვითარებიათ, ბარბაროსებად სვლიან და ხოცვენ, ჟლეტენ... ევროპიული განათლების გასავრცელებლად! გამაგრდი, თუ გინდა, რომ მტერმა ვერ შემოგბედოსო! და დღითი დღე მატულობს ჯარისთვის და ფლოტისთვის გადადებული ხარჯი, იზრდება და ახალ-ახალ ტვირთად აწევა ხალხს. ევროპა 1883 წელს 1430 მილიონ მანეთს ხარჯავდა ჯარზედ და ფლოტზედ; ათის წლის შემდეგ 1893 წ. 1740 მილიონ მანეთს და კიდევ ათის წლის შემდეგ 1903 წ. 2840 მილ. მანათს.

ევროპიელ ერთა ჯარებში ირიცხებოდა:

1883 წ.—2800.000 კაცი

1893 წ.—3.200.000 „

1903 წ.—3.500.000 „

ფლოტის მოსამსახურეთა გარდა ამოდენი ხალხი, სულ ყმაწვილი, ძალ-ღონით სავსე მუშა აკლდება მეურნეობას და მრეწველობას და ტვირთად აწვება ხარჯის გამღებო. რა საკვირველია, რომ ევროპიელ სახელმწიფოთ შემოსავალი ვერა ჰყოფნიდეთ და ვალით იხრჩობოდნენ—მარტო სარგებელი რომ ვთქვათ და ასზედ 4 ვიანგარიშით, 1903 წ. სარგებელი გაიღეს ევროპიელმა სახელმწიფოებმა 1870 მილ. მანეთი.

\*\*

**ღოთობა ინგლისში.** „მე რომ ჯადოქარი ვიყო, სთქვა ჩემპერლენმა, და ინგლისელები არყის სმას გადავაჩვიო, წარმოუდგენელ სასწაულს გაჩვენებდით: ხარჯი ერთი-ორად შემცირდებოდა; საპატიმროები და ციხეები ცარიელი დაგვრჩებოდა; თორმეტს თვეში გაცილებით მეტს კაცს შევიძინდით, ვიდრე საშინელს ბარბაროსულს ომს შეუძლიან ხალხი ამოჟლიტოს“. გაუკვირდება მკითხველს: ნუ თუ მარტო არაყზედ არის დამოკიდებული ინგლისის მომავალიო! მარტო არაყზედ არა, მაგრამ რამოდენი მანე მნიშვნელობა აქვს ინგლისისთვის არყის სმას, შემდეგი რიცხვებიდანა სჩანს:

✓ 1903 წ. ინგლისში დაიხარჯა (დაღწეულ იქმნა)

არაყი 555 მილ. მანეთისა

ლუდი 1048 „ „

ღვინო 140 „ „

ყველაზედ მეტს თითონ ინგლისელი მიირთმევს, წელიწადში 41 მანეთის და 48 კაპ.; შოტლანდიელი—31 მან. 28 კაპ.; და ირლანდიელი უფრო ნაკლები—31 მან. 12 კაპეიკისას.

\*\*

**ამერიკული კონკურენცია.** ერთმანეთის ქიშპობამ და ფასების დაკლებამ იქამდე მიიყვანა ამერიკული ვაჭარი მრეწველნი, რომ უნდა ზარალით ეწარმოებინათ თავიანთი საქმე, ან საქონლის ღირსება დაემცროთ და სახელი წაეხდინათ. ამერიკულმა მოხერხებამ აქაც თავი იჩინა და მყიდველის მისაზიდად ერთმა სავაჭრო ფირმამ შემდეგი ხერხი იგონა: გამოაცხადა, ვინც ორი შაურისას ივაჭრებს, ერთ მარკას მივართმევთ

და როდესაც მოგროვილ მარკებს წარმოგვიდგენს, შესაფერ პრემიას მიიღებსო. თანვე გამოუცხადეს, რამდენ მარკაში რა გვარი პრემია იყო დანიშნული (უძვირუასეს პრემიად დანიშნული იყო 40 ათას მარკაში—პიანინო.) მარკების მოგროვებამ და პრემიის მიღების სურვილმა ისე გაიტაცა ამერიკელი დიასახლისები, რომ დღეს მარტო იქ ვაჭრობენ, სადაც მარკები ურიგდებათ მყიდველთ და რადგან უმარკოდ ვაჭრობა ყოველად შეუძლებელი გახდა, თითქმის ყველა ვაჭარმა შემოიღო მარკების დარიგება და ახლა იმაში აქვთ ქიშპი—ვინ უფრო მეტს მარკას გაიღებს ნავაჭრზედ და უფრო ძვირფას პრემიით მიიზიდავს მყიდველს.

\*\*

**ნაქრების საზოგადოებას გერმანიაში** 412 წვრილ-წვრილი საზოგადოება შეადგენს და 62433 წევრი ჰყავს, ერთი მილ. მანეთის უძრავ-მოძრავი ქონება აქვს, საავადმყოფო და სამარხი კასსა, უზთიერთშორის დამხმარებელი კასსა და სხ. უმაჯრესი მნიშვნელობა ამ საზოგადოებისა მის წლიურ საზოგადოკრებებით გამოიხატება და მის ზედ გავლენით კანონმდებლობაზედ. წლებადღეობა კრებამ დაადგინა, ვთხოვით მართებლობას—1) დამატებითი სკოლები გაგვიმართოს და სავალდებულოდ გახადოს ყველა ნაქრისთვის სკოლაში სიარულიო; 2) დღეში ცხრა საათზედ მეტი არ გვამუშაონ (შაბათობით უფრო ნაკლები) და აქედგან 2 საათით სადილისთვის დაგვითხოვონო; 3) წელიწადში ერთხელ ორი კვირით ჯამაგარით დაგვითხოვონ შესასვენებლადო; 4) სალამოს 3 საათზედ დაიკეტოს ყველა მაღაზია და 5) კვირა დღეს არავის შეეძლოს მაღაზიების გაღება და ვაჭრობაო.

\*\*

**არ კავცვლი საღსა კლდეებსა...** ერთს სამხედრო გაზეთში საყურადღებო ამბავია აწერილი, რაფიელ ერისთავის ლექსის დამამტკაცებელი. გენერალი ნოვიცკი ერთმა ლექმა სიკვდილს გადაარჩინა; სამაგიერო გენერალმა ლექს იმითი გადაუხადა, რომ რვა წლის იმისი შვილი ახმეტი პეტერბურგს წაი-



ყვანა, პაეების კორპუსში მიაღებინა და ლეიბ-გუსართა რაზმის ოფიცრად გამოიყვანა. ყმაწვილი კაცი პეტერბურგში უმაღლეს საზოგადოებაში იყო მიღებული. ხშირად იყო ხოლმე სასახლეშიც და ერთობ წყალობით თვალით უყურებდა მას დიდი მთავარი ნიკოლოზი და ბრწყინვალე უნდა ყოფილიყო მისი მომავალი. მამობილისაგან ორი ათას თუმნამდე იღებდა წელიწადში და ქეიფის და დროს გატარების მეტი არა იცოდა რა. ახმეტი დედის სანახავად ყოველთვის მოდიოდა ჯერ მოსწავლედ და მერმეც, ოფიცრად რომ გამოვიდა... უცბად თავი მიანება ამ ყმაწვილმა სამსახურს, „განათლებულს“ ცხოვრებას. თავის აულში დასახლდა, გაქონილი ჩონხა ჩაიცვა, ლეკის გოგო შეირთო ცოლად და სრულიად კმაყოფილი იყო თავის ცხოვრებისა.

\*\*

**თავად-აზნაურობის სანუგეშოდ და სამწუხაროდ.** ქართველ თავადაზნაურობის სანუგეშოდ მოგვყავს შემდეგი ცნობანი, რომლიდგან ყველა დაინახავს, რომ ბანკისა და კერძო ვალებით ყელამდე სავსე ყოფილან რუსეთის შიდა გუბერნიების თავად-აზნაურობა და უზრუნველობას და დაუდევრობას თუ გვისაყვედურებს ვინმე, იგივე საყვედური მთელს რუსეთს უნდა მიმართოს. სამოცდა მეორე წლის შემდეგ, როდესაც თავად-აზნაურობამ ხაზინიდგან მიღებულ ფულით გადაიხადა ვალები, მამული თითქმის სრულიად განთავისუფლდა, მაგრამ ათის წლის შემდეგ (1877 წ.) შიდა რუსეთის 45 გუბერნიის თავად-აზნაურობას 415 მილ. მანეთი ვალი ედვა, 1886 წ.—ვალმა იმატა, 648 მილ. მანეთად იქცა; მას შემდეგ დღითი-დღე მატულობდა, 1898 წ.—1.433 მილ. მანეთამდე ავიდა და 1903 წ.—1968 მილ. მანეთამდე.

ეს მარტო ბანკის ვალი გახლავთ. კერძო ვალების ანგარიში შეუძლებელია. მარტო ბანკის ვალის სარგებელი რომ ვიანგარიშოთ, წელიწადში 110 მილ. მანეთზედ მეტი გამოვა. ამას რომ ზედ დავუერთოთ კერძო ვალების სარგებელი და სახელმწიფო გადასახადი, დავრწმუნდებით, რომ მამულის სარ-

გებლის გადახდაც არ შეუძლიან და რაკი ვალი არა მცირდება, პირიქით მატულობს, მამულის პატრონი მართლა პატრონი კი არა, მოურავი ყოფილა ბანკისაგან დაყენებული, იმ განსხვავებით, რომ მოურავს გაცილებით მეტს ჯამაგირს მისცემდა ბანკი, ვიდრე დავალიანებულს მემამულეს რჩება ვითომ თავის მამულიდგან.

\*\*

**მომავალისათვის ზნუნვა.** ბუნებრივ კანონისავეთ შეურყვევლად არის მიღებული დასავლეთ ევროპაში მონაგარიდგან ცოტაოდენის გადაჩენა და ბანკში შეტანა ავადმყოფობის ან სიბერის დროს უზრუნველყოფისათვის. ამ საქებურ, ჩვენთვის მიუღწეველ საოცნებო, ჩვეულების წასაქვებლად ახალი წესი შემოიღეს გერმანულმა ბანკებმა: რათა უფრო გაუადვილონ ხალხს ფულის შენახვა, კვირაში ერთხელ შინ იახლება ყველა მსურველს ბანკის მოხელე და მიიღებს ბანკში შესატანს ფულს, ოღონდ ხუთშაჟორხედ ნაკლები კი არ იყოს. შეტანილი ფულის სარგებელში ბანკი აძლევს მსურველს მომგებ ბილეთს: ვინც კვირაში ორ მანეთს შეიტანს, მთელი ბილეთი ეძლევა; ვინც ერთს—ნახევერ ბილეთი; ათშაურში—მეოთხედი და ხუთშაურში—მერვედი ბილეთისა. ამ ბილეთით შეიძლება ერთი თუმანი მოიგოს, ან მეტი, ოცდაშვით ათას თუმანამდე. გარდა ამისა ყველა ფულის შემტანს ბანკი უგზავნის უფასოდ ყოველკვირეულ გაზეთს, რომელში უმთავრესად შემნახველ ბანკების და მომგებ ბილეთების საქმის დითარებაა აწერილი.

\*\*

**ერთა-შორის მშვიდობიანობის დამყარება.** კუბის რესპუბლიკამ და იტალიამ პირობა შეჰკრეს, ყოველი უთანხმოება უომრად, ამორჩეულ კაცთა გარდაწყვეტილების თანახმად გადაეთათო. ამავე პირობით ცდილობს შეეკრას ამერიკულ შეერთებულ შტატების პრეზიდენტ რუზველტი საფრანგეთს, იტალიას, ინგლისსა და ჰოლანდას.

სენ ლუის მსოფლიო გამოფენაზედ უუშვენიერესი სასახლე „ძმობის ტაძრად“ იქნება წოდებული, ნიშნად ერთა ძმობისა და შეერთებისა.

ევროპაშიაც დღითიდღე იზრდება აზრი ერთმანერთის უომრად მორიგებისა. საფრანგეთი უკვე შეეთანხმა ინგლისსა და იტალიას და ახლა ისპანიასთანა აქვს მოლაპარაკება. მოლაპარაკება სწარმოებს აგრეთვე ინგლისსა და სკანდინავიას შორის შეთანხმებაზედ. დანია და ჰოლანდიამ უკვე შეჰკრეს პირობა, რომ არავითარ გარემოებაში არ მიმართავენ იარაღს.

სრული თანხმობით სწარმოებს აფრიკაში ინგლისის და პორტუგალიის სამფლობელოთა განსაზღვრა. აბისსინიის ნეგუსმა მენელიკმა შეგობრული პირობა შეჰკრა ამერიკულ შტატებთან.

ტყუილად კი არ ამბობს აღზასელი დეპუტატი ლაღანსი: ჩვენმა დრომ უნდა განახორციელოს დიადი იდეა კაცობრიობის შეერთებისა — ბრძოლის წილ მორიგება და ძალის წინ სამართალი უნდა შემოიღოსო!

დასასრულ მოვიხსენიოთ აგრეთვე ევროპიელ და ამერიკელ პარლამენტის წევრთა შორის ახალი ჯგუფის შედგენა, რომელსაც მიზნად აქვს „კაცობრიობის პარლამენტის“ შედგენა.

## † ვლადიმერ აღნიაშვილი

ჩვენს საზოგადოებას კიდევ ერთი ერთგული მუშაკი მოაკლდა—ვლადიმერ აღნიაშვილი, რომელიც 16 აპრილს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე დაკრძალეს. ვლადიმერ აღნიაშვილი მიიცვალა 44 წლისა, შემდეგ ოთხი წლის სულით ავადმყოფობისა. განსვენებული იყო მხნე მუშაკი ჩვენის თვით-მოქმედების სარბიელზე. 1881 წელს მან გორის სამასწავლებლო სემინარია დაამთავრა, რამდენიმე წელიწადს მასწავლებლობდა, შემდეგ მასწავლებლობას თავი დაანება და მთელი თავისი დრო შესწირა ჩვენს სხვა-და-სხვა საერთო საქმეებს, რომელიც ჩვენს საზოგადოების თაოსნობის და თვით-მოქმედების ნაყოფია. ამ საქმეების დაწყებაში არა მცირედი მონაწილეობა ჰქონდა ვლადიმერ აღნიაშვილს. მხურვალე მონაწილეობა მიიღო მან, მაგალითად, „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა“ და ქართველთა სავაჭრო ამხანაგობის „შუამავალის“ დაარსებაში. თვალსაჩინო თაოსნობა გამოიჩინა აღნიაშვილმა 1886 წელს ქართველთა მომღერალთა პირველის გუნდის დაარსებით. გარდა ამისა განსვენებული მონაწილეობას იღებდა ქართულს მწერლობაში. მან დაბეჭდა, სხვათა შორის, „ქართული ანბანი“ სურათებით, „უბის ლექსიკონი“, „ქართული ხალხური ზღაპრები“ და რამდენიმე წერილი საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილში“. 1894 წელს აღნიაშვილი სპარსეთში გაემგზავრა იმ აზრით, რომ თავის თვლით ენახა და გაეცნო შთამომავლობა იმ ქართველებისა, რომელნიც შაჰ-აბაზმა მე-XVII საუკუნეში საქართველოდან იადასახლა. ამ მოგზაოურობის ნაყოფი იყო ჩვენს ჟურნალში

დაბეჭდილი დიდად საინტერესო წერილები „სპარსეთი და იქაური ქართველები“\*), რომელიც შემდეგ ცალკე წიგნადაც დაიბეჭდა.



---

\*) იხ. „მოამბე“ 1896 წ., № II—VIII.



# ზინაური მიმოხილვა

ქართულში და კავკასიის სხვა ხალხნი

სწავლა - გენათლემის მხრით

1

კ ა ვ კ ა ს ი ა .

დღეს ყველამ იცის, რასაკვირველია, რომ „სწავლა სინათლეა და უსწავლელობა სიბნელე“, და მტკიცება იმისი, რომ სწავლა-განათლება საჭირო და სასარგებლოა, ნიშნავს საანბანო ჭეშმარიტების მტკიცებას, — რომ ორჯერ ორი ოთხია და არა, მაგალითად, ხუთი ან ექვსი. ამასთან თვით საკითხი — სწავლა-განათლების მნიშვნელობა — „არ ახალია, ძველია“ და არა ერთხელ ყოფილა ჩვენს მწერლობაშიაც აღძრული და ხხვა და სხვა მხრით გარკვეული და დასაბუთებული.

მაგალითად, იმ მნიშვნელობის შესახებ, რომელიც აქვს ხალხის განათლებას საზოგადო ეკონომიურ ცხოვრებისათვის, ჩვენ ვწერდით ამ ორი წლის წინედ, სხვათა შორის, შემდეგს: „სწავლა-განათლებას პირდაპირი გავლენა აქვს ეაქრობისა და მრეწველობის განვითარებაზე, მათს გაძლიერებასა და წარმატებაზე. ეხლანდელ დროში ყოველ გვარ წარმოების წესი მუდმივ იცვლება და უმჯობესდება. ამიტომ წარმოების ძველ წესზე შეჩერება, უცხო მკოდნე ერთაგან ახალის გადმოუღებლობა ნიშნავს უკან ჩამორჩენას და დაძაბუნებას, უცხო ხალხთაგან ეკონომიურად დამოკიდებულებას და ყმად გახდომას. და წარმოებაში ძველი წესის შეცვლა არ მოხერხდება,

ტექნიკური გაუმჯობესება ვერ შეიტანება, თუ ხალხი, რომელიც ამ წარმოებას ეწევა, უვიცი და განუვითარებელია, თავის ხელობისთვის განუსწავლელი და მოუმზადებელია. რამდენადაც ნაკლები ცოდნა და მომზადება აქვს მწარმოებელს, იმდენადვე ნაკლები ნაყოფი მოაქვს მის შრომას, იმდენადვე მეტი სიმდარის დალი აზის თითოეულ მის ნაწარმოებს და მთელს მის წარმოებას.

„რომ უვიც და განუვითარებელ მუშის შრომა ნაკლებ ნაყოფს იძლევა, ეს გამოკვლეული და დამტკიცებულია სტატისტიკურადაც. მაგალითად, შულცე-გვერნიცის სიტყვით, რუსეთში ვლადიმირის საქსოვ ფაბრიკებში ერთი მუშა ორ ქსელზე მუშაობს, მეტზე ვერა, მაშინ როდესაც ინგლისში ერთი მუშა 6 ქსელს ამუშავებს და უძღვება. დოქტორ ბალოდის ცნობები ამაზე კიდევ უფრო საინტერესოა. იგი ამბობს, რომ 1893 წელს ურალში 142486 მუშამ მხოლოდ ნახევარი მილიონი ტონი გადაუმუშავებელი რკინა და 360000 ტონი გადამდნარი რკინა და ფოლადი დაამზადაო. ბელგიაში კი ამდენსავე ნაყოფს მხოლოდ 11165 კაცის შრომა მოიტანდა. ურალის რკინის მადნებიდან საშუალო რიცხვით თითოეულ მუშას 50 ტონი მადანი გამოაქვს წლიურად, მაშინ როდესაც გერმანელ მუშის წლიური ნაწარმოები 370 ტონს აღემატება.

„ეს ციფრები ცხადად გვიჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მწარმოებლის ცოდნა-განვითარებას შრომის ნაყოფიერობისათვის. მწარმოებლის უვიცობა და გონებრივი განუვითარებლობა ჩვენშიაც, როგორც სხვაგან, ხელის შემშლელია ყოველ-გვარ წარმოების განვითარებისათვის, დაბრკოლების მომცემია ეკონომიურ წინსვლისა და წარმატებისათვის.

„ასე მჭიდროდ გადაბმულია ერთმანეთზე ხალხის განათლება და ეკონომიური განვითარება. ეკონომიას ანუ მეურნეობას (Wirtschaft) ორი მთავარი მხარე აქვს. ერთია—წარმოება. და ზემოდ აღნიშნული სტატისტიკური შედარება უფ-

რო ამ მხარეს შეეხება. იგი გვიჩვენებს იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებას წარმოების გაძლიერებისა და გაუმჯობესებისათვის, ნაწარმოებთა გაიაფებისა და, მაშასადამე, საზოგადო კულტურის წინაწაწევისათვის. მაგრამ მეურნეობას აქვს მეორე მხარეც, — ესაა ნაწარმოებთა განაწილება, და სწავლა-განათლების გავლენა აქაც ძალიან დიდმნიშვნელოვანი არის. Knowledge is power, — ცოდნა ძალააო, უთქვამს ბეკონს, და ეს სრული ჭეშმარიტება არის. მკოდნე და შეგნებულ ხალხს უფრო ადვილად შეუძლია თავის ინტერესების დაცვა, ვინემ უვიცს და თვით-ცნობიერებას მოკლებულს. ხალხი, ცოდნით და თავისი ღირსების შეგნებით შეიარაღებული, შესძლებს ცხოვრებაში მეტ ხმისა და გავლენის მოპოებას და შრომის ნაყოფის განაწილებაშიაც მეტ სარგებლობის ნახვას... ცოდნა და სწავლა უმრავლესს ადამიანს მოთხოვნილებებს, და ეს ერთი უდიდესი ძალაა ცხოვრების გაუმჯობესებისა და საზოგადოების კულტურულად წინსვლელობისა“...

ერთის სიტყვით, ეს აზრი — რომ სწავლა-განათლებას დიდი გავლენა და მნიშვნელობა აქვს ხალხის ცხოვრებაში — არაფერს ახალსა და საინტერესოს არ წარმოადგენს ჩვენს მწერლობაშიც. ეს საგანი მრავალჯერ ყოფილა ქართულ პრესაში აღძრული და გარკვეული. და ჩვენც დღეს არც განზრახვა გვაქვს და არც სურვილი, გრძელი ლაპარაკი გავმართოთ იმის შესახებ, რომ „სწავლა სინათლეა და უსწავლელობა სიბნელე“ და ვიწყოთ მტკიცება და დასაბუთება იმისი, რაც თავის თავადაც იგულისხმება და ყველასაგან უცილობელ ჭეშმარიტებად ითვლება.

მაგრამ ამ საგანთან დაახლოვებულია ერთი საკითხი, რომელზედაც ჩვენს მწერლობაში ჯერ არავის სათანადო ყურადღება არ მიუქცევია და ყოველ შემთხვევაში საფუძვლიანად არ გაურკვევია. ეს არის: ჩვენი მსვლელობა სწავლა-განათლების საქმეში და ამ მხრით ქართველებს შედარება სხვა და სხვა ხალხებთან, რომლებიც ცხოვრობენ საერთოდ კავკასია-

ში და კერძოდ საქართველოში. კავკასიაში მრავალი სხვა და სხვა ტომისა და ეროვნების ხალხნი ცხოვრობენ. თითოეული იმათგან იბრძვის არსებობისათვის, ცდილობს თავის ცხოვრების გაუმჯობესებისა და საკუთარ ხალხოსნურ პოზიციის გამტკიცებისათვის. ეს ბრძოლა და დაჯიბრება გამოიხატება როგორც სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში, ისე კერძოდ სწავლა-განათლებისადმი მისწრაფებაშიც. რასაკვირველია, ყველა ერთნაირის სისწრაფითა და ნაყოფიერობით ვერ მიდის წინ და ვერ ჰგემობს გონებრივს კულტურასა და განვითარებას. ზოგი წინ მიდის, ზოგი უკან რჩება; ზოგს შედარებით პირველი ადგილი უკავია სწავლა-განათლებაში, ზოგსაც—უკანასკნელი, და ჩვენ გვგონია, გარკვევა და გათვალისწინება ამ საზოგადოურ თიერთობისა და კულტურულ მდგომარეობისა არ არის ჩვენთვის ინტერესსა და მნიშვნელობას მოკლებული. რა მდგომარეობაში ვართ ჩვენ, ქართველები? მივდივართ წინ თუ არა სწავლა-განათლების საქმეში? როგორის სისწრაფით? ვის ვუსწრებთ წინ, ვის ვუტოვებთ და ვის უკან ვრჩებით? რა საფუძველი და მიზეზები აქვს თითოეულ კერძო შემთხვევაში წინსვლას ან უკან ჩამორჩენას? აი, ის კითხვები, რომლებსაც გვინდა ჩვენ ამ წერილში მივაქციოთ ყურადღება და გავარკვიოთ შეძლების დაგვარად.

ეს ისეთი საკითხებია, რომლების ახსნა და რიგიანად დასაბუთება შეიძლება მხოლოდ სტატისტიკურად. აქ საკმარისი არაა ზეპირად ლაპარაკი და მარტო თეორიული მსჯელობა,—საჭიროა მიმდინარეობის ციფრებით გამოხატვა და მოვლენის სისხო-სიდიდის კონკრეტულად წარმოდგენა და გათვალისწინება.

სამწუხაროდ, ჩვენში საზოგადოდ სტატისტიკურ მასალების შეგროვების საქმე ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. სტატისტიკას ძალიან მცირე ყურადღებას აქცევენ და ამიტომ ამა თუ იმ საზოგადოებრივ მოვლენის სერიოზულად ახსნა და მეცნიერულის სისწორით დასაბუთება ძალიან ძნელია და ხშირად, მასალების უქონლობის გამო, შეუძლებელიცაა.

ვრცელი და სრული სტატისტიკა არ არსებობს სწავლავანათლების შესახებაც. ასეთი სტატისტიკა მოიპოვება მხოლოდ იმ სასწავლებლების შესახებ, რომლებიც კავკასიის სამოსწავლო ოლქის უწყებას ექვემდებარებიან. იმ სკოლების შესახებ, რომლებიც სასულიერო, სამხედრო თუ სხვა უწყებათა ხელშია, არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. ამიტომ ჩვენ ძალა-უნებურად იძულებულნი ვართ იმ ცნობებს დავკმაყოფილდეთ, რომელნიც გამოქვეყნებულია, და აქ აღძრული საკითხი იმათ საშუალებით გავარკვიოთ და გამოვიძიოთ. მართალია, ამ ცნობებით საგნის სრული და უნაკლო სურათი არ სდგება, მაგრამ, მოგეხსენებათ, „არაობს ცალ-უღელი ხარი სჯობია“...

კავკასიის სამოსწავლო უწყების სასწავლებელთა შესახები ცნობები მოქცეულია ოლქის მზრუნველის „ანგარიშებში“, რომლებიც ყოველ წელიწადს იბეჭდება და სკოლების ყოველ წლიურ ვითარებასა და მდგომარეობას აღნიშნავს. ამ „ანგარიშებში“ ძალიან მდიდარი და საინტერესო მასალებია მოქცეული; სამწუხაროდ, არც რუსულსა და არც ქართულს ენაზე არ მოიპოვება არც ერთი გამოკვლევა, რომელშიაც იქაური მასალები ერთად იყოს დაგროვებული და შემუშავებული. ამიტომ ამა თუ იმ სასკოლო მიმდინარეობის გასათვალისწინებლად საჭირო ჰხდება სხვა და სხვა წლების „ანგარიშების“ სინჯვა და საჭირო მასალების ერთად გროვება, რაც მოითხოვს დიდ დროს და ბევრ მეხანიკურ მუშაობას. ჩვენ მოუცლელობამ ნება არ მოგვცა 16 წლის მეტი მასალები შეგვეგროვებია და შეგვემუშავებია. და რახან ეს მასალები ერთად და რიგზე დაწყობილი არსად მოიპოვება, ჩვენ მკითხველის თვალებს აღარ მოვერიდებით და ამ წერილებში ციფრებით ფართოდ და ხელ-გაშლილად ვისარგებლებთ.

დავიწყოთ საშუალო სასწავლებლებიდან. ხსენებულ „ანგარიშების“ თანახმად, ვ:ჟთა გამნაზიებისა და ჰროკიმნაზაიების მოსწავლენი 16 წლის განმავლობაში ეროვნების მიხედვით ასე განაწილდებოდნენ ყოველ წლიურად:



წლები	რუსეთი						სომხეთი							
	რუსი	ქართველი	სომეხი	თათარი	„მთიელი“	ებრაელი	სხვ. ეროვნ.	რუსი	ქართველი	სომეხი	თათარი	„მთიელი“	ებრაელი	სხვ. ეროვნ.
1887	1668	594	749	81	57	113	167	48,6	17,3	21,8	2,3	1,7	3,3	5,0
1888	1623	589	751	82	55	101	186	47,9	17,4	22,2	2,4	1,6	3,0	5,5
1889	1651	622	761	72	56	90	209	47,7	17,9	22,0	2,1	1,6	2,6	6,1
1890	1731	663	863	70	57	103	206	46,9	17,9	23,4	1,9	1,5	2,8	5,6
1891	1808	742	887	84	60	104	227	46,2	18,8	22,6	1,5	1,5	2,7	6,7
1892	1890	739	948	77	61	100	240	46,6	18,2	23,3	1,9	1,5	2,4	6,1
1893	1960	772	997	87	73	109	265	45,9	18,1	23,4	2,0	1,7	2,5	6,4
1894	2058	798	1099	100	89	108	305	45,3	17,5	24,1	2,2	2,0	2,4	6,5
1895	2169	828	1166	98	92	114	318	45,3	17,5	24,3	2,1	1,9	2,2	6,7
1896	2461	912	1604	149	101	187	367	43,3	16,1	28,2	2,6	1,8	3,3	4,7
1897	2621	841	1781	192	102	240	418	42,3	13,5	28,7	3,1	1,6	3,9	6,9
1898	2786	969	1968	212	95	279	444	41,2	14,3	29,1	3,1	1,4	4,1	6,8
1899	2803	1109	2023	227	121	321	425	39,9	15,8	28,7	3,1	1,7	4,6	6,2
1900	2747	1179	2074	214	135	351	451	38,4	16,5	29,0	3,0	1,9	4,9	6,3
1901	2876	1278	2165	214	136	389	494	38,0	16,9	28,7	2,8	1,8	5,3	6,5
1902	2966	1321	2262	246	148	434	526	37,5	16,7	28,6	3,1	1,9	5,5	6,7

როგორც ხედავთ, ვაჟთა გიმნაზიებში სიმრავლით პირველი ადგილი უჭირავთ რუსებს, მეორე — სომხებს, მესამე — ქართველებს, უკანასკნელი — თათრებსა და ესრედ წოდებულთ „მთიელთ“. სომხების რიცხვი თითქმის ორჯერ მეტია ქართველებისაზე (1902 წ.). 16 წლის განმავლობაში რუსების რიცხვს მოუმატნია სულ 78<sup>0</sup>/<sub>100</sub>, ქართველებისას 122<sup>0</sup>/<sub>100</sub>, ხოლო სომხებისას — 202<sup>0</sup>/<sub>100</sub>. სომხები უსწრებენ წინ ზრდის აბსოლუტური სიჩქარით როგორც რუსებს, ისე ქართველებსაც. შედარებითაც მხოლოდ სომხების რიცხვი მატულობს, ხოლო რუსებისა და ქართველების კლებულობს. რუსთა 48,6<sup>0</sup>/<sub>100</sub> 1887 წელს გახდა 37,5<sup>0</sup>/<sub>100</sub> 1902 წელს, — მაშასადამე, მოიკლო 11,1<sup>0</sup>/<sub>100</sub>; ქართველების 17,3<sup>0</sup>/<sub>100</sub> დაიწია 16,7<sup>0</sup>/<sub>100</sub>-მდე, — მოიკლო 0,6<sup>0</sup>/<sub>100</sub>, ხოლო სომხებისას მიემატა 6,8<sup>0</sup>/<sub>100</sub>, — 21,8<sup>0</sup>/<sub>100</sub>-დან 1887 წელს გახდა 28,6<sup>0</sup>/<sub>100</sub> 1902 წელს. ამ სახით, განვითარების მსვლელობა ისეთია, რომ სომხები როგორც აბსოლუტურად, ისე შედარებითაც წინ უსწრებენ რუსებსაც და ქართველებსაც.

და ეს არც გასაკვირია. მთელს კავკასიაში მოქალაქე ხალხს სომხები წარმოადგენენ, — ისინი არიან ქალაქებში გამა-

ვრებული და შათსავე ხელშია უმთავრესად ქონება და სიმდიდრე მოგროვებული. რასაკვირველია, უფრო ადვილად იმხალხს შეუძლია გიმნაზიებში შვილების მიბარება და გამოზრდა, რომელსაც ბინა ქალაქებში აქვს და ნივთიერი შეძლება ცხელსუფლებს.

ზემოდ აღნიშნული ციფრები სავსებით კიდევ არ ჰხატავს საქმის ნამდვილ ვითარებას. თუ მხედველობაში მივიღებთ კავკასიაში მცხოვრებ რუსებისა, სომხებისა და ქართველების რაოდენობას და დავუპირდაპირებთ ამათ სიცხეს მოსწავლეთა რაოდენობის აღმნიშვნელ ციფრებს, დავრწმუნდებით, რომ სომხების უპირატესობა კიდევ უფრო დიდი და მნიშვნელოვანია. 1902 წელს რუსი, ქართველი და სომეხი მოსწავლენი შეადგენდნენ მოსწავლეთა საერთო რიცხვის 82,80%-ს. კავკასიაში ცხოვრობს დაახლოვებით 3<sup>1</sup>/<sub>2</sub> მილიონი რუსი, 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> მილიონი ქართველი და 1 მილ. სომეხი. ყველას რომ თანაბრად ჰყავდეს გიმნაზიებში მოსწავლეები, რუსების რიცხვი უნდა შეადგენდეს 48,30%-ს (ნამდვილად არის 37,5%), ქართველებისა — 20,70%-ს (ნამდვილად არის 16,70%) და სომხებისა — 13,80%-ს (ნამდვილად არის 28,60%). ცხადად ხედავთ, რომ ამ ანგარიშით სომხების უპირატესობა კიდევ უფრო დიდად და თვალსაჩინოდ არის წარმოსადგენი, ვიდრე ამას გვიჩვენებს ზემოდ აღნიშნული ცხრილი: რუსებს აკლია შესაფერის რიცხვამდის 10,80%, ქართველებს — 4,00%, ხოლო სომხებს მეტი ჰყავთ 14,80%-ით. სწორედ ის, რაც რუსებსა და ქართველებს აკლია (14,80%), უჭირავთ სომხებს. და ეს იმას ნიშნავს, რომ სომხებს, მათი საერთო რიცხვის მიხედვით, 14,80%-ით რუსებსა და ქართველებზე მეტი მოსწავლეები ჰყავთ გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში. ამგვარ გამოთვლის მიხედვით, პირველი ადგილი უჭირავთ სომხებს (მეტი ჰყავთ 14,80%), მეორე ადგილი — ქართველებს (აკლიათ 4,00%, რუსებთან შედარებით კი უნდა აკლდეთ 4,40%), ხოლო მესამე ადგილი — რუსებს (აკლიათ 10,80%, ქართველებთან შედარებით — კი უნდა აკლდეთ 10,40%).

მაგრამ ეს ანგარიშიც არ არის სავსებით სწორი და სინამდვილის გამომხატველი. როცა აზრად გვაქვს გავიგოთ ჩვე-

ნი მდომარეობა სომხებთან შედარებით, იმ შემთხვევაში მხოლოდ სომხებისა და ქართველების რიცხვი უნდა შევადაროთ ერთმანეთს. და ეს შედარება კიდევ უფრო ძლიერად გვიჩვენს სომხების პოზიციას. 1902 წ. წელს ხსენებულს სასწავლებლებში ქართველებისა და სომხების რიცხვი იყო 3583, აქედან ქართველი 1321 ანუ 36,90% და სომეხი 2262 ანუ 63,10%. თუ ხალხის რაოდენობის მიხედვით ვიანგარიშებთ, ქართველი უნდა ყოფილიყო 2148 ანუ 60,0%, ხოლო სომეხი—1435 ანუ 40,0% ნამდვილად-კი ამგვარს გათანასწორებამდის ქართველებს აკლდა 23,10%, და სომხები სწორედ ამდენი პროცენტით, გათანასწორების შემდეგ, წინ წასული უყვენ ქართველებთან შედარებით.

ეს ვითარება, ე. ი. სომხების დაწინაურება გიმნაზიებში, ნათლად ჩანს იმ ციფრებიდანაც, რომლებიც ქალთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებს შეეხება. აქ ქართველები სომხებთან შედარებით ძალიან ჩამორჩენილნი ვართ. აი ამის აღენიშნული ცხრილიც.

**ქალთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში იყო სულ მოსწავლე:**

წლები	რიცხვი							პროცენტი						
	რუსი	ქართველი	სომეხი	ხითბორი	მთიელი	ებრაელი	სხვაგვარენ.	რუსი	ქართველი	სომეხი	თათარი	მთიელი	ებრაელი	სხვაგვარენ.
1887	2387	508	693	9	11	109	80	62,8	13,4	18,2	0,2	0,3	2,9	2,2
1888	2380	511	717	8	31	117	277	58,9	12,6	17,7	0,2	0,7	2,9	7,0
1889	2434	531	756	5	17	119	274	58,8	12,8	18,3	0,1	0,4	2,9	6,7
1890	2538	503	792	5	19	154	296	58,9	11,7	18,4	0,1	0,4	3,6	6,9
1891	2677	529	836	7	25	142	314	59,1	11,7	18,4	0,2	0,5	3,1	7,0
1892	691	548	846	8	49	139	320	58,5	11,9	18,4	0,2	1,1	3,1	6,8
1893	2899	611	887	10	61	150	324	58,6	12,3	17,9	0,2	1,2	3,0	6,8
1894	3048	655	974	8	67	177	347	57,8	12,4	18,4	0,2	1,3	3,3	6,6
1895	3275	711	1034	9	76	206	391	57,4	12,5	18,1	0,2	1,3	3,6	6,9
1896	3491	843	1266	17	73	245	401	55,1	13,3	19,9	0,3	1,2	3,9	6,3
1897	3889	839	1624	16	72	285	472	53,7	13,3	22,4	0,2	1,0	3,9	6,5
1898	4326	1096	1830	25	69	320	486	53,1	13,4	22,4	0,3	0,8	3,9	6,1
1899	4581	1159	1978	29	90	361	506	52,6	13,3	22,8	0,3	1,0	4,1	5,9
1900	5064	1264	2221	32	111	418	517	52,1	13,1	23,1	0,3	1,2	4,3	5,9
1901	5364	1420	2431	39	115	437	589	51,5	13,7	23,4	0,4	1,1	4,2	5,7
1902	5828	1540	2665	48	142	489	580	51,6	13,7	23,6	0,4	1,3	4,3	5,1

შიეიძლება, აქ მკითხველი ერთმა გარემოებამ გააკვიროს და ყალბ დასკვნამდის მიიყვანოს: მოსწავლე ქალთა რიცხვი მეტია ვაჟებისაზე. 1902 წელს რუსი იყო 2966 ვაჟი და 5823 ქალი, ქართველი—1321 ვაჟი და 1540 ქალი, სომეხი—2262 ვაჟი და 2665 ქალი. ყველგან ქალების რიცხვი მეტია ვაჟებისაზე. ამ საფუძვლით, შიეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ ვითომ ქალთა საერთო რიცხვის მომეტებული  $\frac{1}{10}$  სწავლობს საშუალო სასწავლებლებში, ვიდრე ვაჟებისა, მაგრამ ეს აზრი შეცდომა იქნება. ქალთათვის ერთად-ერთი საშუალო სასწავლებელია გიმნაზია-პროგიმნაზია, —სასულიერო უწყების სასწავლებლები შედარებით ძალიან მრცირება. ვაჟებისათვის კი, გარდა გიმნაზიებისა, არსებობს როგორც სახალხო განათლების სამინისტროს უწყების, ისე სხვა უწყებათა სასწავლებლები, ასე რომ საერთო რიცხვი საშუალო სკოლებში მოსწავლე ვაჟებისა ბევრად აღემატება ქალებისას. აქ რაიმე აზრისა და დასკვნის შესადგენად მხოლოდ სხვა და სხვა ეროვნებათა მოსწავლე ქალების რიცხვი უნდა შევადაროთ და დავუპირდაპიროთ ერთმანეთს.

ეს დაპირდაპირება გვიჩვენებს, რომ ჩვენ სომხებთან შედარებით ძალიან ჩამორჩენილი ვართ ქალთა განათლების საქმეში. 1887 წლიდან 1902 წლამდის რუსების რიცხვს უმატნია სულ  $144\frac{0}{100}$ , ქართველებისას— $203\frac{0}{100}$ , ხოლო სომხებისას— $285\frac{0}{100}$ . საერთო რიცხვში პირველი ადგილი აქვთ რუსებს, მეორე—სომხებს, ხოლო მესამე—ჩვენ, ქართველებს. აქაც სომხების რიცხვი თითქმის ორჯერ მეტია ქართველებისაზე. 16 წლის განმავლობაში რუსების რიცხვს მოუკლია შედარებით  $11,2\frac{0}{100}$ , ქართველებისა თითქმის ერთ დონეზე გაჩერებულა, ხოლო სომხებისას მოჰმატებია  $5,30\frac{0}{100}$ . თუ ამ სამი ეროვნების საერთო რაოდენობას მივიღებთ მხედველობაში და ამის მიხედვით განვსჯით, იმ შემთხვევაში რუს მოსწავლე ქალთა რიცხვი უნდა შეადგენდეს  $51,8\frac{0}{100}$ -ს, ქართველებისა  $22,2\frac{0}{100}$ -ს, ხოლო სომხებისა  $14,9\frac{0}{100}$ -ს. რუსებს თითქმის იმდენი ჰყავთ მოსწავლე ქალი ( $51,60\frac{0}{100}$ ), რამდენიც უწევთ რუსთა საერთო



რაოდენობის მიხედვით (51,80/0), მაგრამ ჩვენ, ქართველებს, გვაკლია 8,50/0 და ნაცვლად 22,30/0-ისა გვყავს მხოლოდ 13,70/0. სამაგიერო სომხებს ჰყავთ 23,60/0, — ე.ი. 8,70/0-ით იმაზე მეტი, რაც უწევთ მათ მათი საერთო რიცხვის მიხედვით. ვაჟთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში სომხებს აქვთ ჩვენგან წაღებული 40/0, აქ კი — 8,70/0. და ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ქალთა საშუალო განათლება სომხებში შედარებით უფრო გავრცელებულია, ვიდრე ქართველებში, და რომ ჩვენ ამ შემთხვევაში ქალების განათლების საქმეში უფრო ვკოჭლობთ, ვიდრე ვაჟებისაში.

ამ მოვლენის ასახსნელადაც იგივე უნდა გავიმეოროთ, რაც რამდენიმე სტრიქონს ზევით ვთქვით: სომხობა ქალაქების ხალხია და შეძლებითაც ღონიერია. ჩვენში საზოგადოდ ქალისთვის სწავლის მიღებინება, ასე ვთქვათ, ფუფუნებად ითვლება და ისე აუცილებელ საჭიროებად არ მიაჩნიათ, როგორც ვაჟების განათლება. როგორც ქართველებში, ისევე სომხებში დიდძალი უმრავლესობა კურს დასრულებულ ქალებისა შედის არა სამსახურში და ადგება არა სააღებ-მიცემო შრომას, არამედ რჩება ოჯახებში და განაგებს შინა-ოჯახურ ცხოვრებას. და, რა თქმა უნდა, ფუფუნებისა და მაღალ კულტურულ მოთხოვნების დაკმაყოფილება უფრო იმ ხალხს შეუძლია, რომელსაც აქვს ფული და ნივთიერი სპეშუალეობა. რაც შეეხება რუსებს, უეჭველია, ისინი თავისი ხალობით უმთავრესად ჩინოვნიკები არიან, რომელნიც ზრდიან თავიანთ ქალებს საშუალო სასწავლებლებში. ამათთვის შედარებით ადვილია სახელმწიფო სკოლისთვის ბავშვის მომზადება და გარდა ამისა მათთვის არსებობს ბევრი სხვა გვარი დამხმარე და ხელის შემწყობი გარემოებაც, მაგალითად, სახელმწიფო ხარჯი, სტიპენდია, სწავლის გადასახადისაგან განთავისუფლება, ფონდები და ფულით დახმარება და სხ. ყველა ეს, როგორც იცით, ქართველ საზოგადოებას ნაკლებ მოეპოვება. ქართველი ხალხის დიდძალი უმრავლესობა სოფელში მცხოვრებია, — ქართველი ჩინოვნიკობა და



ვაჟარ-მრეწველი ხალხი რუსებთან და სომხებსა შედარებით ძალიან მცირეა. ხოლო ოჯახიდან ქალის მოშორება და ქალაქ ადგილას 8—9 წელიწადს რიგიანად დაბინავება და შენახვა სიძნელეს წარმოადგენს ისეთ მშობლებისთვისაც კი, რომელნიც ნივთიერ საშუალების მხრით არ გრძნობენ გაჭირვებას და დაბრკოლებას.

ის ციფრები, რომლებიც რეალურ სასწავლებლებს შეეხება, იმგვარსავე მოვლენასა და მიმდინარეობას აღნიშნავს, რომელიც ჩვენ ვაჟთა და ქალთა გიმნაზია-პროგიმნაზიების შესახებ მოვისხენიეთ. მაგრამ ამ ციფრებს ახლავს ერთი ნიშანი, რომელიც სხვა მხრივაც საინტერესო და საგულისხმიეროა. კავკასიის რეალურ სასწავლებლებთან მოსწავლეების რაოდენობა და დანაწილება ეროვნების მიხედვით შემდეგნაირად გამოიხატება:

წლები	რ ი ც ხ ვ ი თ							პ რ ო ც ე ნ ც ო ბ ი თ						
	რუსი	ქართველი	სომეხი	თათარი	„მთიელი“	ებრაელი	სხვ. ეროვნ.	რუსი	ქართველი	სომეხი	თათარი	„მთიელი“	ებრაელი	სხვ. ეროვნ.
1887	1152	58	568	129	170	37	88	52,3	2,6	25,7	5,8	8,0	1,6	4,0
1888	1148	57	610	113	179	40	85	51,4	2,5	27,3	5,1	8,0	1,8	3,9
1889	1082	59	593	113	162	39	114	50,1	2,7	27,4	5,2	7,5	1,8	5,3
1890	1140	63	584	107	184	44	115	51,0	2,8	26,1	4,8	8,2	2,0	5,1
1891	1215	61	584	112	185	46	116	52,4	2,6	25,2	4,8	8,0	2,0	5,0
1892	1278	63	590	112	189	49	136	53,0	2,6	24,4	4,6	7,8	2,0	5,6
1893	1325	64	599	124	171	53	151	53,3	2,6	24,1	5,0	6,9	2,1	6,0
1894	1452	74	596	128	196	61	134	55,0	2,8	22,6	4,8	7,4	2,3	5,1
1895	1477	83	632	127	219	76	164	53,2	3,0	22,7	4,6	7,9	2,7	5,9
1896	1605	81	682	135	215	80	168	54,1	2,7	23,0	4,6	7,2	2,7	5,7
1897	1671	196	686	137	220	87	179	52,6	6,2	21,6	4,4	6,9	2,7	5,6
1898	1814	284	730	143	229	91	203	51,9	8,1	20,9	4,1	6,5	2,6	5,8
1899	1929	365	863	149	249	116	215	49,7	9,4	22,2	3,8	6,4	3,0	5,5
1900	2115	416	922	152	256	136	231	50,0	9,8	21,5	3,6	6,1	3,2	5,5
1901	2246	490	969	166	262	148	255	49,5	10,8	21,3	3,7	5,8	3,3	5,6
1902	2385	532	1023	212	277	160	238	49,4	11,0	21,2	4,4	5,8	3,3	4,9

მკითხველი ჰხედავს, რომ აქაც სიმრავლით პირველი ადგილი რუსებს ეკუთვნის, მეორე—სომხებს, მესამე—ქართველებს და უკანასკნელი თათრებსა და ებრაელებს. ქართველების რიცხვი აქ, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, შე-

სამხნევად მატულობს და წინ მიდის. 16 წლის განმავლობაში რუსების რიცხვს მოჰმატნია სულ 107<sup>0</sup>/<sub>0</sub>, სომხებისას—80<sup>0</sup>/<sub>0</sub>, თათრებისას—64<sup>0</sup>/<sub>0</sub>, ხოლო ქართველებისას—817<sup>0</sup>/<sub>0</sub>, —58-დან 1887 წელს ავიდა 532-ზე 1902 წელს. შედარებით რუსების რიცხვა იკლო 2,9<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ით, სომხებისამ—4,5<sup>0</sup>/<sub>0</sub>,-ით ხოლო ქართველებისამ მოიმატა 8,4<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ით.

მიუხედავად ამ მატებისა, დღეს მაინც მესამე ადგილი უჭირავთ ქართველებს რეალურ სასწავლებლებში. თუ ხალხის რაოდენობის მიხედვით გამოვითვლით, რუსებს უწევს (ნაცვლად 46,4<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ისა) 47,4<sup>0</sup>/<sub>0</sub>, სომხებს (ნაცვლად 21,2<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ისა) 13,8<sup>0</sup>/<sub>0</sub> და ქართველებს (ნაცვლად 11,0<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ისა) 20,4<sup>0</sup>/<sub>0</sub>. ამ ანგარიშით პირველი ადგილი უკავიათ სომხებს, მეორე რუსებს და მესამე ისევ ჩვენ,—ქართველებს. თუ მარტო ქართველ და სომხს მოსწავლეთა რიცხვს ავიღებთ და ერთმანეთს შევადარებთ, გამოვა, რომ სომხების რიცხვი 32<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ით მეტია ქართველებისაზე, ხოლო თუ ხალხის რაოდენობის ანგარიშით ვიხელმძღვანელებთ, სომხებს 26<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ით იმაზე მეტი მოსწავლენი ჰყავთ რეალურ სასწავლებლებში, რაც მათ ეკუთვნით, რომ ქართველებთან იყვნენ დატოლებულნი და გათანასწორებულნი, საშადამე ქართველები უკანარიან 52<sup>0</sup>/<sub>0</sub>-თ.

ამ ციფრებში საინტერესოა შემდეგი გარემოება. არც ვაჟებისა და არც ქალების გიმნაზიებში რუსი მოსწავლენი არ შეადგენენ იმაზე მეტ პროცენტს, რაც უწევთ მათ კავკასიაში მცხოვრებ რუსის ხალხის საერთო რიცხვის მიხედვით. რეალურ სასწავლებლებში კი მათი რიცხვი კუთვნილს აღემატება 2<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ით (49,4<sup>0</sup>/<sub>0</sub>, ნაცვლად 47,4<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ისა). მეორე მხრით, არც ერთ ზემოდ აღნიშნულ სკოლებში სომხების რიცხვს არ უკლია შედარებით. რეალურ სასწავლებლებში კი სომხობა ჩამოვიდა 25,7<sup>0</sup>/<sub>0</sub>-იდან (1887 წ.) 21,2<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ზე (1902 წელს). აგრეთვე არც გიმნაზიებსა და არც პროგიმნაზიებში სომხების რიცხვს აბსოლუტურად ისე ცოტა ზრდა არ გამოუჩენია, როგორც აქ, რეალურ სასწავლებლებში. ვაჟთა გიმნაზია-პროგიმნაზიებში სომხებს მოემატა სულ 202<sup>0</sup>/<sub>0</sub>, ქალთა გიმნაზიებ-

ში—284%, ხოლო რეალურ სასწავლებლებში მხოლოდ 80%. ცხადია, სომხობა ისე არ ეტანება რეალურ სასწავლებლებს, როგორც გიმნაზიებსა და კლასიკურს განათლებას. რით უნდა აიხსნას ეს მოვლენა?

ჩვენ გვგონია, რომ ეს მარტივად აიხსნება. გიმნაზიაში კურს დასრულებულ ყმაწვილს რუსეთის თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებლებს კარები ღია აქვს. რეალური სასწავლებელი კი მოსწავლეს მარტო ტექნიკურ სასწავლებლებში შესვლის უფლებას აძლევს. სწავლის დასრულების შემდეგ ტექნიკოსს შეუძლია ადგილი და ლუკმა მოიპოვოს სამრეწველო დაწესებულებებში. მაგრამ ყველამ ვიცით, რომ იმ დაწესებულებებში შესვლა და ადგილის მოპოება, რომლებიც სახელმწიფოს ეკუთვნის; ადგილობრივ მკვიდრთ, სხვა და სხვა „მაღალ მოსაზრებათა გამო“, ძალიან უძნელდებათ. სომხობას წინ და წინვე ვარაუდი გაწეული აქვს, რომ იგი იქ არსებულ პირობებში ვერ მოიკიდებს დიდ ნიადაგს. კერძო სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებები ხომ იმათ ხელშიაო? იტყვიან თქვენ. მართალია, მაგრამ კერძო დაწესებულებაში შესასვლელად, რომელიც სომეხს ეკუთვნის, შემსვლელ სომხისათვისვე რუსეთის დიპლომს მნიშვნელობა და გავლენა არა აქვს. აქ საჭიროა უმთავრესად ცოდნა და ნაცნობობა. და ცოდნის შეძენა რუსეთს გარედაც შეიძლება. სომხის ახალგაზდები, — გიმნაზიებში კურს დასრულებულნი, — რომელნიც შემდეგ კერძო საქმეში ჰფიქრობენ მღწაობას, ბლომად მიდიან საზღვარ გარედ და იქ იძენენ ტექნიკურ განათლებას. ამ სახით იმ ცოდნას, რომელსაც ისინი შედარებით ნაკლებ ეტანებიან რუსეთში, იძენენ რუსეთს გარედ — გერმანიასა და საფრანგეთში.

რუსებისთვის კი ასეთი დაბრკოლება არ არსებობს. მათთვის სახელმწიფოს სამრეწველო დაწესებულებათა კარები ყოველთვის ღიაა (რკინის გზა, ტელეგრაფი, ტელეფონი და სხვ.). ამიტომ ისინი შედარებით უფრო ელტვიან უფლების

მომცემს, სატენიკო სასწავლებლებისთვის მომამზადებელ რეალურ სკოლას.

ამ გარემოებას განსაკუთრებით ნათლად და ცხადად გვიჩვენებს ის ციფრები, რომლებიც სამასწავლებლო სასწავლებლებს შეეხება. ამ კატეგორიის სკოლებში რუსების რიცხვი, თანახმად მიღებულ „პოლიტიკისა“, თან და თან მრავლდება როგორც აბსოლტურად, ისე შედარებითაც, ხოლო ქართველებისა და სომხების მცირდება შესამჩნევად. ეს ტენდენცია ქვემოთ აღნიშნულ ციფრებში ისე ცხადია, რომ მის გასაგებად საჭირო არაა დიდი დაკვირვება და გრძელი განმარტება.

ჩვენ მოგვყავს აქ ერთი მეორეს ქვევით ციფრები შესახებ სამასწავლებლო ინსტიტუტისა და სემინარიებისა.

**სამასწავლებლო ინსტიტუტი:**

წლები	რ ი ც ხ ვ ი თ							პ რ კ ც ე ნ ტ ვ ბ ი თ						
	რუსი	ქართველი	სომეხი	თათარი	უმთავლი	ებრაელი	სტ.კროვ.	რუსი	ქართველი	სომეხი	თათარი	უმთავლი	ებრაელი	სტ.კროვ.
1887	41	30	11	4	—	—	3	46,1	33,8	12,2	4,5	—	—	3,4
1890	50	31	5	—	9	—	2	51,5	31,9	5,2	—	9,3	—	2,1
1893	47	26	10	—	1	1	6	51,6	28,6	11,0	—	1,1	1,1	6,6
1896	61	13	11	1	1	2	2	67,0	14,3	12,1	1,1	1,1	2,2	2,2
1899	75	19	7	—	1	—	2	72,1	18,3	6,7	—	1,0	—	1,9
1902	58	23	1	—	1	—	5	65,9	26,2	1,1	—	1,1	—	5,7

**სამასწავლებლო სემინარია:**

1887	116	55	64	55	16	—	10	36,7	17,4	20,3	17,4	5,0	—	3,2
1890	94	65	54	47	13	—	9	33,4	23,0	19,2	16,7	4,6	—	3,1
1893	95	53	30	48	11	—	34	35,0	19,6	11,1	17,7	4,1	—	12,5
1896	108	50	26	48	12	—	42	37,7	17,5	9,1	16,8	4,2	—	4,7
1899	139	56	24	53	17	—	28	43,8	17,7	7,6	16,7	5,3	—	8,9
1902	180	48	32	54	17	—	34	49,3	13,1	8,8	14,8	4,7	—	9,3

ამ ციფრებიდან ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ადგილობრივ მკვიდრთა რიცხვს თან და თან აკლდება, ხოლო რუ-



სების რიცხვი თან და თან მატულობს და მრავლდება. ეს ადგილობრივ ელემენტთა დაკლება ჰხდება როგორც აბსოლუტურად, ისე შედარებითაც. 1887 წლიდან 1902 წლამდის ქართველებს დააკლდა აბსოლუტურად 23% სამასწავლებლო ინსტიტუტში და 13% სამასწავლებლო სემინარიებში, სომხებს—91% პირველში და 50% მეორეში, ხოლო რუსებს მიემატა 41% სამასწავლებლო ინსტიტუტში და 55% სამასწავლებლო სემინარიებში. შედარებით ქართველებს მოაკლდა 7,6% და 4,3%, სომხებს 11,1% და 11,5%, ხოლო რუსებს მიემატა 19,8% და 12,6%. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადგილობრივი ელემენტი თან და თან იღვენება იმ სასწავლებლებლებიდან, რომლებშიაც დაბალ და პირველდაწყებით სკოლების მასწავლებლებს ამზადებენ.

რასაკვირველია, ეს მოვლენა იმით არ აიხსნება, რომ ვითომ რუსები კავკასიაში ყველაზე წინ იდგნენ ეკონომიურად. თუ ჩვენ, ქართველებს, არა, სომხებს მაინც საკმაოდ აქვთ ნივთიერი შეძლება იმისთვის, რომ შეიღებინათ სამასწავლებლო სასწავლებლებში მიაბარონ და იქ გამოზარდონ. იმ ეროვნულ მოძრაობისათვის, რომელიც მათში გაძლიერებულია, მათ, ჯეჭველია, ესაჭიროებათ მათივე წრიდან ისეთი პირები, რომლებსაც გავლენა ექნებათ მოზარდ თაობაზე. მიუხედავად ამისა, მათი რიცხვიც თან და თან მცირდება ხსენებულ სასწავლებლებში. მიზეზი ამ მოვლენისა სულ სხვაა, ვიდრე ეკონომიური სიღარიბე და შეუძლებლობა. ადგილობრივ მკვიდრთ სულ სხვა გვარი დაბრკოლება ჰხდებოდა წინ სამასწავლებლო სასწავლებლებში. მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, რომ კავკასიაში გამრავლდეს რუს მასწავლებელთა რიცხვი და მკვიდრთ ნაკლებ მიეცეთ მასწავლებლობის ადგილი აქაურს სკოლებში...

დავხედოთ ეხლა, თუ რა სურათს გვაძლევს სტატისტიკა საერთოდ ეკვლა საშუალო სასწავლებლების შესახებ, განურჩევლად ტიპისა და სასქესო დანიშნულებისა. ვნახოთ, თუ რა სიმრავლესა და ძალას წარმოადგენენ სხვა და სხვა ერნი



საერთოდ ყველა საშუალო სასწავლებლებში, ვაყებისა და ქალებისაში.

მოსწავლენი აღნიშნულ სკოლებში შემდეგ ნაირად განაწილდებიან ეროვნების მიხედვით:

წლები	რ ი ც ხ ვ ი ს						პ რ ა ც ე ნ ც კ ბ ი ს							
	რუსი	ქართველი	სომეხი	თათარი	მთიელი	ებრაელი	სხვ.ეროვნ.	რუსი	ქართველი	სომეხი	თათარი	მთიელი	ებრაელი	სხვ.ეროვნ.
1887	5364	1245	2085	278	254	259	538	53,5	12,4	20,8	2,8	2,5	2,6	5,4
1888	5307	1231	2152	250	284	259	567	52,8	12,3	21,4	2,5	2,8	2,6	5,6
1889	5329	1292	2173	237	258	248	606	52,5	12,7	21,4	2,3	2,6	2,5	6,0
1890	5554	1325	2238	229	182	301	628	52,3	12,5	21,6	2,2	2,7	2,3	5,9
1891	5845	1420	2365	252	289	292	670	52,5	12,8	21,2	2,3	2,6	2,6	6,0
1892	6004	1438	2431	246	315	288	714	52,5	12,6	21,3	2,1	2,8	2,5	6,2
1893	6324	1526	2523	269	317	313	780	52,5	12,7	20,9	2,2	2,6	2,6	6,5
1894	6703	1600	2714	284	368	247	834	52,2	12,5	21,1	2,2	2,8	2,7	6,5
1895	7075	1695	2869	232	401	397	922	51,9	12,4	21,0	2,1	2,9	2,9	6,8
1896	7726	1899	3589	350	402	514	980	50,0	12,2	23,2	2,3	2,6	3,4	6,3
1897	8366	1993	4125	402	407	613	1102	49,2	11,7	24,3	2,4	2,4	3,6	6,4
1898	9122	2417	4560	441	408	690	1163	48,5	12,9	24,3	2,3	2,2	3,7	6,1
1899	9520	2708	4895	458	478	798	1176	47,5	13,5	24,4	2,3	2,4	4,0	5,9
1900	10123	2938	5250	453	519	905	1225	47,3	13,8	24,5	2,1	2,4	4,2	5,7
1901	10681	3260	5600	481	533	974	1366	46,6	14,2	24,5	2,1	2,3	4,3	6,0
1902	11112	3464	5983	560	585	1083	1383	46,6	14,2	24,5	2,2	2,4	4,4	5,7

რა გარემოება და მიმდინარეობაც აღვნიშნეთ სათითაოდ საშუალო სასწავლებელთა უმრავლესობის შესახებ, იგივე ტენდენცია და მსვლელობა ჩანს ამ ციფრებშიაც. მოსწავლეთა სიმრავლით პირველი ადგილი უჭირავთ რუსებს, მეორე — სომხებს, მესამე — ქართველებს და დანარჩენი — კავკასიის სხვა ხალხებს. მართალია, 1887 წლიდან მოყოლებული რუსების რიცხვს შედარებით აკლდება, — 53,5%-დან გახდა 46,6% და ამ სახით 16 წელიწადში მოაკლდა 6,9%, მაგრამ აბსოლუტურის სიმრავლით დღესაც ისინი შეადგენენ, თითოეულ სხვა ეროვნებასთან შედარებით, უმრავლესობას. აბსოლუტურად — კი რუსების რიცხვმა იმატა: 107%-ით, ქართველებისამ 178%-ით, ხოლო სომხებისამ 187%-ით. სომხების მატება მეტია შედარებითაც: სომხების რიცხვი 20,8%-იდან 1887 წელს, გახდა 24,5% 1902 წ. — მოიმატა 3,7%, ხოლო ქართველებს მოემატა მხოლოდ

1,8% (12,4% 1887 წ.—14,2% 1902 წ.). ამ სახით, სომხები, რომლებსაც საშუალო სასწავლებლებში შეორე ადგილი უჭირავთ აბსოლუტურის სიმრავლით, უფრო სწრაფად მრავლდებიან და ჩქარის ნაბიჯით მიდიან წინ, ვიდრე ქართველები და რუსები.

სულ სხვა—მათთვის კიდევ უკეთეს—მდგომარეობაში წარმოგვიდგებიან სომხები, თუ მცხოვრებთა საერთო რაოდენობით ვიხელომდვანელებთ და თითოეულ ეროვნების სიმრავლეს ამის მიხედვით გამოვიანგარიშებთ. 1902 წელს საშუალო სასწავლებლებში იყო სულ 20559 რუსი, ქართველი და სომეხი. აქედან რუსი 11112 ანუ 50,1%, ქართველი 3464 ანუ 16,8% და სომეხი 5983 ანუ 29,1%. ამ ეროვნებათ რომ ხალხის რაოდენობის მიხედვით თანაბრად ჰყავდეთ მოსწავლენი საშუალო სასწავლებლებში, ე. ი. მათში რომ საშუალო განათლება თანაბრად იყოს გავრცელებული, რუს მოსწავლეთა რიცხვი უნდა შეადგენდეს 58,3%-ს, ქართველებისა — 25,0%-ს, ხოლო სომხებისა — 16,7%-ს. ნამდვილად-კი ამ ნორმამდის რუსებს აკლიათ 4,2% და ქართველებს 8,2%, ორთავეს 12,4%. ამ 12,4%-ით მეტი ჰყავთ სომხებს. ასე რომ პირველი ადგილი საშუალო სწავლა-განათლების გავრცელებულობის მხრით ეკუთვნით სომხებს, მეორე—რუსებს, ხოლო მესამე ისევ ჩვენ, ქართველებს. ეს ციფრები გვიჩვენებს იმ ადგილს, რომელიც უჭირავთ სომხებს ორს ეროვნებასთან—რუსებსა და ქართველებთან შედარებით. ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ადგილი პირველობის მაჩვენებელია.

შევადაროთ ვხლა მარტო სომეხ და ქართველ მოსწავლეთა რიცხვი ერთმანეთს. სომეხი და ქართველი მოსწავლე იყო სულ 9447, აქედან ქართველი 36,7% და სომეხი 63,3%. ხალხის რაოდენობის მიხედვით-კი ქართველებს უწევთ 60% და სომეხებს 40%. სომეხებსა და ქართველებს რომ, ხალხის რიცხვის მიხედვით, თანაბრად ჰყავდეთ მოსწავლენი საშუალო სასწავლებლებში, ქართველ მოსწავლეთა რიცხვი უნდა აღემატებოდეს სომეხებისას 20%-ით. ნამდვილად-კი სომეხების რიცხვი

არა თუ ნაკლებია ქართველებისაზე აღნიშნულ 20%-ით, — პირიქით, აღემატება კუთვნილ 40%-ს 23,3%-ით. ამ სახით ჩვენ, ქართველებს, სომხებთან გათანაბრებამდის ე. ი. იმათ დონეზე დასადგომად, გვაკლია 46,6% [(60—36,7)+(63,3—40)]. ეს იმას ნიშნავს, რომ საშუალო სწავლა-განათლება თითქმის ერთი ორად უფრო გავრცელებულია სომხებში, ვიდრე ქართველებში.

სასწავლებელთა მეორე კატეგორიას შეადგენენ „დაბალა“ (низшая) სკოლები. ამ რიგის სკოლებს ეკუთვნიან: სა-მოქალაქო სასწავლებლები, „მთიელთა“ (горских) სკოლები, სამრეწველო სასწავლებლები, სანაოსნო და მარიამის სახელობის საქალბო სკოლები. ჩვენ თუმცა ყველა ამ სკოლების შესახებ ცალ-ცალკე გვაქვს დაწყობილი და შემუშავებული სტატისტიკური ცნობები, მაგრამ მკითხველის მოთმინებას მოვერიდებით და ამათ სათითაოდ აღარ მოვიხსენიებთ. მოვიყვანთ მხოლოდ იმ ციფრებს, რომლებიც შეეხება საერთოდ ყველა დაბალ სასწავლებს.

დაბალ სასწავლებლებში იყო სულ:

ლები	რ ი ც ხ ვ ი თ						პ რ ო ც ე ნ ც ო ბ ი თ							
	რუსი	ქართველი	სომეხი	თათარი	„მთიელი“	ებრაელი	სხვ. ეროვნ.	რუსი	ქართველი	სომეხი	თათარი	„მთიელი“	ებრაელი	სხვ. ეროვნ.
1887	1991	1619	1844	279	382	96	220	31,0	25,2	28,7	4,3	5,9	1,5	3,4
1888	2276	1602	1774	287	363	114	244	34,2	24,0	26,6	4,3	5,5	1,7	2,7
1889	2426	1581	1990	284	378	131	270	34,4	22,4	28,2	4,0	5,4	1,8	3,8
1890	2585	1653	2226	334	394	150	325	33,7	21,6	29,0	4,4	5,1	2,0	4,2
1891	2944	1682	2300	330	399	136	378	36,0	20,6	28,2	4,0	4,9	1,7	4,6
1892	3031	1844	2220	321	388	164	394	38,2	21,4	25,7	3,7	4,5	1,9	4,6
1893	3391	2024	2266	335	454	185	381	35,5	22,4	25,1	3,7	5,0	2,1	4,2
1894	3617	2046	2485	316	469	197	349	38,3	21,6	26,2	3,3	4,9	2,0	3,7
1895	3883	2101	2394	362	395	190	406	39,9	21,6	24,6	3,7	4,1	1,9	4,2
1896	4152	2152	2995	404	477	199	430	38,4	19,9	27,7	3,7	4,4	1,9	4,0
1897	4742	2320	3460	484	498	221	486	38,8	19,0	28,3	4,0	4,1	1,8	4,0
1898	4972	2607	3579	636	549	247	549	37,9	19,8	27,2	4,8	4,2	1,9	4,2
1899	5511	3525	3740	707	528	288	592	37,0	23,7	25,1	4,7	3,6	1,9	4,0
1900	5553	3930	4397	787	536	287	663	34,3	24,3	27,2	4,9	3,3	1,8	4,2
1901	5715	4040	4570	933	598	296	694	33,9	24,0	27,1	5,5	3,6	1,8	4,1
1902	6289	4386	4521	961	591	306	668	35,5	24,8	25,5	5,4	3,3	1,7	3,8

პირველად ამ ციფრებში შესამჩნევია შემდეგი გარემოება: რომ სამ მთავარ ეროვნებათა მოსწავლენი დაახლოვებით თანასწორად არიან განაწილებულნი: ქრუსები შეადგენენ 35,5%-ს, ქართველები 24,8%-ს და სომხები 25,5%-ს. ამნაირად, აბსოლუტურის სიმრავლით პირველი ადგილი აქაც რუსებს უკავიათ, მეორე—სომხებს და მესამე ქართველებს. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ხალხის საერთო რიცხვს, მაშინ-კი რუსებს მესამე ადგილი ჰხვდება და არა პირველი. ხალხის რაოდენობის მიხედვით მათ უნდა ჰყავდეთ 49,6%, სომხებს—14,7% და ქართველებს 21,4%. ნამდვილად-კი ქართველებს და სომხებს ამაზე მომეტებული პროცენტი უკავიათ, ხოლო რუსებს 14,1% აკლიათ. ცხადია, თუ ამ ციფრებს დავუჯერებთ, კავკასიაში მცხოვრებ რუსის ხალხში დაბალი სწავლა-განათლება შედარებით ნაკლებ არის გავრცელებული, ვიდრე სომხებსა და ქართველებში. მაგრამ რაც დრო მიდის, მით უფრო სწრაფად იზრდება რუსების რიცხვი და შეიძლება, მოკლე ხანში იმათ შეივსონ კიდევ თავისი დანაკლისი. აბსოლუტურად იმათ მოჰმატებია 216%, ხოლო ქართველებს 171% და სომხებს 145%. შედარებით-კი რუსების მატება არის 4,5%, ქართველების დანაკლისი 0,4% და სომხებისა 3,2%.

დაბალ სასწავლებლებში იზრდებიან უმთავრესად მცირე ქონების მოქალაქეთა და გლეხთა შვილები. და, აი, აქ, სადაც დიდი ფული და ქონება არაა საჭირო, ქართველობა შესამჩნევს ადგილს იკერს. საშუალო სასწავლებლებში ქართველების რიცხვი შეადგენს 14,2%-ს, აქ კი 24,8%-ს. მართალია, ქართველების რიცხვი ამ სასწავლებლებში შედარებით თითქმის ერთ დონეზეა გაჩერებული (მოაკლდა 0,4%), მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ აქ მათ კონკურენციას უწევენ რუსები და თათრები, რომელთა საერთო რიცხვი ბევრად მეტია ქართველებისაზე. რამდენადაც იღვიძებს და ფეხს იდგამს განათლების საჭიროების შეგნება რუსისა და თათრის დაბიო ხალხში, იმდენადვე, რასაკვირველია, მეტი სწავლის



მხურველნი გამოდიან ამ ხალხთაგან, რომელნიც, ვითარცა რიცხვით უფრო მრავალნი, ამცირებენ ქართველების შედარებითს რაოდენობას. ყოველ შემთხვევაში, ეს ერთი დასკვნა ცხადი უნდა იყოს მკითხველისათვის: რომ ჩვენ უფრო მაგარი პოზიცია გვიჭირავს დაბალ სკოლებში, ვიდრე გიმნაზიებსა და საზოგადოდ საშუალო სასწავლებლებში.

როგორც ვნახეთ, არც ერთ ზემოდ ჩამოთვლილ სკოლებში ქართველების რიცხვი არ აღემატება სომხებისას არც აბსოლუტურად და არც შედარებით. აქამდის მოყვანილ ციფრებში ეს ერთი ტენდენცია ჩანს: რამდენადაც ვუახლოვდებით დაბალ სასწავლებლებს, იმდენადვე ქართველების რიცხვი მატულობს და სომხებისას უახლოვდება. ამ დაახლოვებას სავსებით გვიჩვენებს იმ სკოლების კატეგორია, რომელიც დაბალ სასწავლებლებს შეიცავს.

ეს აზრი სრულიად მართლდება და მტკიცდება იმ ციფრებით, რომლებიც ზირჯელდაწყებით სკოლებს შეეხება. ეს სკოლები ზემოდ ნახსენებთან შედარებით უფრო დაბალი საფეხურისაა, და სწორედ აქ ქართველების რიცხვი აღემატება სომხებისას აბსოლუტურად.

პირველდაწყებით სკოლებში იყო მოსწავლე, (ორივე სქესისა):

წლები	ზ ი ც ხ ვ ი თ						პ რ ო ც ე ნ ც ვ ბ ი თ							
	რუსი	ქართველი	სომეხი	თათარი	უმთიელი	ებრაელი	სვ. ეროვნ.	რუსი	ქართველი	სომეხი	თათარი	უმთიელი	ებრაელი	სვ. ეროვნ.
1887	27709	8123	5293	3749	574	391	4615	54,9	16,1	10,5	7,4	8,1	0,8	9,2
1888	28510	10699	4855	1883	513	532	4737	55,3	20,7	9,4	2,7	1,6	1,0	9,3
1889	29702	10963	4943	1401	740	606	4784	55,9	20,6	9,3	2,6	1,4	1,2	9,0
1890	32175	11585	5318	1512	654	550	4565	67,1	20,5	9,4	2,7	1,2	1,0	8,1
1891	32932	11988	5434	1598	804	431	4688	57,0	20,8	9,4	2,8	1,4	0,7	7,9
1892	34983	11695	5536	1778	798	354	4614	58,5	19,6	9,3	3,0	1,3	0,6	7,7
1893	35728	12393	5247	1891	878	258	4494	58,7	20,4	8,6	3,2	1,4	0,4	7,3
1894	37356	13246	4974	1756	973	354	5533	58,2	20,6	7,8	2,7	1,5	0,6	8,6
1895	41518	13910	5401	2064	1344	457	5699	59,0	19,8	7,7	2,9	1,9	0,6	8,1
1896	47169	14892	6684	2941	1702	438	6035	59,1	18,6	8,4	3,7	2,1	0,5	7,6
1897	51919	16881	8312	3078	2584	422	6348	57,6	19,2	9,3	3,4	2,9	0,5	7,1
1898	54417	19205	13430	3382	2978	443	6687	53,8	19,3	13,5	3,3	3,0	0,4	6,7
1899	60914	20658	17612	3792	3287	640	7861	52,7	18,2	15,5	3,3	2,9	0,5	6,9
1900	64329	22690	18821	4124	3935	788	8128	52,4	18,5	15,3	3,4	3,2	0,6	6,6
1901	71422	24176	21051	4853	3949	1031	8221	53,0	18,0	15,7	3,6	2,9	0,7	6,1
1902	79210	25676	22835	5491	4038	1163	8213	54,0	17,5	15,6	3,7	2,8	0,8	5,6



თუ აქ აბსოლუტურ სიმრავლის გამომხატველ ციფრებს მივაქცევთ ყურადღებას, დავინახავთ, რომ პირველი ადგილი უჭირავთ რუსებს, მეორე—ქართველებს, ხოლო მესამე სომხებს. აქამდის ყველა სასწავლებლებში სომხები მეორე ადგილის წარმომადგენელი იყვნენ აბსოლუტურის სიმრავლით. აქ-კი ისინი მესამეზე გადავიდნენ და მეორე ქართველებს დარჩათ. აი, დამტკიცება იმისი, რომ რაც უფრო დაბალ სასწავლებლებს ვუახლოვდებით, მით უფრო ვამჩნევთ, რომ ქართველების რიცხვი მატულობს და დაბოლოს სომხებისას სჭარბობს კიდევ. ქართველი ხალხი, რომელიც სომხებთან შედარებით დარიბია, უფრო ფართო ადგილს იჭერს პირველდაწყებით სკოლებში, ვიდრე გიმნაზიებსა და საერთოდ საშუალო სასწავლებლებში.

მაგრამ აქაც, პირველდაწყებით სკოლებშიაც, სომხებს ემჩნევათ სწრაფი ზრდა და წინმსვლელობა. 1887 წელს სომხები შეადგენდნენ 10,50%-ს, 1902 წელს კი 15,60%-ს, — მოემატათ 5,10%, ხოლო რუსების პროცენტი თითქმის იგივე დარჩა (იკლო 0,90%) და ქართველებისას მოემატა 1,40%. ამასთან შესამჩნევია შემდეგი გარემოებაც. 1888 წლიდან 1896 წლამდის ქართველების რიცხვი 20 პროცენტი იყო ან ოცს უახლოვდებოდა. ამ უკანასკნელ წლიდან კი იწყება შედარებითი კლება და 1902 წელს ჩამოდის 17,50%-ზე. სწორედ იმ წლიდან, როცა ქართველების შედარებითი კლება იწყება, სომხების რიცხვი შესამჩნევად მატულობს და იზრდება. სომხების აბსოლუტური ზრდაც თვალსაჩინოა და დიდი სისწრაფის მაჩვენებელია. 1887 წლიდან 1902 წლამდის იმათ მოუმატნიათ (აბსოლუტურად) 3310%, ხოლო ქართველებს 2160% და რუსებს 1860%.

ჩვენ ხშირად ვხმარობთ სიტყვებს: „აბსოლუტურად“ და „შედარებით“. ეს იმიტომ, რომ სტატისტიკაში მართო აბსოლუტურ სიმრავლის გამომხატველ ციფრების ერთმანეთთან დაპირდაპირება და შედარება არაა საკმარისი. ვსთქვათ საქართველოში არის სულ 300 წერა-კითხვის მცოდნე კაცი, ხოლო რუსეთში—500. ცხადია, რომ აბსოლუტურად რუსეთის

რიცხვი (500) მეტი საქართველოსაზე (300), მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ვითომ, ამ მაგალითის საფუძვლით, რუსეთში მეტი წერა-კითხვა იყოს გავრცელებული, ვიდრე საქართველოში: 500 კაცი ბევრად ნაკლებ ციფრს შეადგენს 130 მილიონიან რუსეთისათვის, ვიდრე 300 კაცი 2 მილიონიან საქართველოსთვის.

საინტერესოა ამიტომ დავუპირდაპიროთ ერთმანეთს სამი მთავარი ხალხი: რუსი, ქართველი და სომეხი და გამოვიანგარიშოთ, თუ იმათგან შედარებით რომელში უფრო არის პირველდაწყებითი სწავლა გავრცელებული. 1902 წელს სამივე ამ ეროვნებათა მოსწავლენი შეადგენდნენ სულ საერთო რიცხვის 87,1<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ს. აქედან, თითოეულ ხსენებულ ხალხის საერთო რაოდენობის მიხედვით, რუსებს უნდა ჰქონდეთ 50,8<sup>0</sup>/<sub>100</sub>, ქართველებს 21,8<sup>0</sup>/<sub>100</sub>, ხოლო სომხებს 14,5<sup>0</sup>/<sub>100</sub>. ნამდვილად კი რუსებს აქვთ 54,0<sup>0</sup>/<sub>100</sub> (მეტი 3,2<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ით), სომხებს 15,6<sup>0</sup>/<sub>100</sub> (მეტი 1,1<sup>0</sup>/<sub>100</sub>), ხოლო ქართველებს 17,5<sup>0</sup>/<sub>100</sub> (ნაკლები 4,3<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ით). ის, რაც აკლია ქართველებს, აქვთ რუსებსა და სომხებს. გამოდის, რომ პირველდაწყებითი სწავლა ნაკლებ გავრცელებულია ქართველებში ვიდრე კავკასიაში მცხოვრებ რუსებსა და სომხებში.

ჩვენ გვგონია, რომ ეს სტატისტიკური დასკვნა, რომელიც გამოყვანილია ზემოდ აღნიშნულ ციფრებიდან, სავსებით არ შეესაბამება სინამდვილეს და არ ჰხატავს საქმის ნამდვილ ვითარებას. როგორც იცით, ჩვენში, გარდა იმ პირველდაწყებით სკოლებისა, რომლებიც კავკასიის სამოსწავლო ოლქის უწყებას ექვემდებარებიან, არის სამრევლო სკოლებიც რომლებიც სასულიერო უწყების ხელშია. ამათ შესახები ცნობები არ შედის იმ ციფრებში, რომლებიც დაწყობილია ჩვენს ცხრილში. სამაგიეროდ სომხის სასულიერო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის აღმნიშვნელი ციფრები შეტანილია აქაურ სტატისტიკაში, რადგან ეს სკოლები კავკასიის სამოსწავლო ოლქის უწყებას ექვემდებარებიან. ამიტომ, თუ მხედველობაში მივიღებთ სამრევლო სკოლებსაც, ქართველ მოსწავლეთა რიცხვი პირველდაწყებით სკოლებში უფრო დიდი გამოვა და, უეჭველია, გადააქარბების სომხებისას. ჩვენის

აზრით, პირველდაწყებითი სწავლა-განათლება, როგორც აბსოლუტურად, ისევე შედარებითაც, უფრო გავრცელებულია ქართველებში, ვიდრე სომხებში. ამ მხრით პირველი ადგილი უჭირავთ რუსებს, მეორე ჩვენ, ქართველებს, და მესამე—სომხებს.

ამნაირად, შესაფერ კიფრების დაპირდაპირებით და შედარებით ჩვენ დავრწმუნდით, რომ საშუალო სასწავლებლებში ქართველების რიცხვი დიდად ნაკლებია სომხებისაზე, დაბალ სასწავლებლებში უახლოვდება და პირველდაწყებით სკოლებში აღემატება მათ. რუსების რიცხვი კი ყველა კატეგორიის სასწავლებლებში მეტია ქართველებისაზე აბსოლუტურად.

ჩვენ გვინდა ეხლა მოვიყვანოთ ცნობები, რომლებითაც სულ სხვა სურათი გვეშლება თვალ წინ. არის სასწავლებელთა ერთი კატეგორია, სადაც ქართველები სიმრავლით, აღემატებიან სომხებსა და რუსებსაც,—პირველთ მართო აბსოლუტურად, ხოლო უკანასკნელთ როგორც აბსოლუტურად, ისე შედარებითაც. ეს არის კერძო სასწავლებლები. აქ ქართველებს პირველი ადგილი უჭირავთ სხვა ყველა ერებთან შედარებით ეს ფაქტი, შეიძლება, საკვირველად ეჩვენოს ზოგიერთ მკითხველს და ამიტომ საჭიროებს დაწვრილებით აღნუსხვას და განმარტებას. ჩვენ დავაწყობთ ჯერ კიფრებს და ქვევითდავურთავთ მოკლე განმარტებასაც.

**კერძო სასწავლებლებში იყო სულ მოსწავლე:**

წლები	რუსები							ქართველები						
	რუსი	ქართველი	სომხი	თათარი	„მთიელი“	ებრაელი	სხვ. ეროვნ.	რუსი	ქართველი	სომხი	თათარი	„მთიელი“	ებრაელი	სხვ. ეროვნ.
1887	1033	1025	1228	206	32	137	122	27,3	27,1	32,5	5,8	0,8	3,6	2,9
1888	1229	1033	1071	139	18	185	138	32,2	27,0	27,9	3,6	0,5	4,8	4,0
1889	1259	1017	1257	116	35	125	202	31,4	25,4	31,3	2,9	0,9	3,1	5,0
1890	1452	926	1107	151	22	148	172	36,5	23,5	27,8	3,8	0,6	3,7	4,3
1891	1139	974	1293	87	16	124	105	30,5	26,1	34,6	2,3	0,4	3,3	2,8
1892	988	1172	1273	53	29	175	117	26,0	30,8	33,3	1,4	0,8	4,6	3,1
1893	1186	1227	1403	137	15	154	153	27,7	28,8	32,7	3,2	0,4	3,6	3,6
1894	1357	1251	1343	165	21	165	203	30,1	27,7	29,8	3,7	0,5	3,7	4,5
1895	1587	1441	1721	135	20	219	228	29,6	26,9	32,2	2,5	0,4	4,1	4,3
1896	1905	1754	2607	133	14	217	323	27,4	25,2	37,5	1,9	0,2	3,1	4,7
1897	1821	1940	2884	154	37	159	309	25,3	26,6	39,6	1,9	0,5	2,1	4,0
1898	1920	2014	2729	160	14	205	244	26,5	27,8	37,6	2,2	0,2	2,8	2,9
1899	1898	2487	2814	196	33	186	187	24,3	32,0	36,1	2,4	0,4	2,4	2,4
1900	2188	2772	2640	192	16	244	213	26,5	33,6	31,9	2,3	0,1	3,0	2,6
1901	2448	3069	2697	199	32	245	356	27,2	34,1	29,9	2,2	0,4	2,7	3,5
1902	2883	3464	3185	162	36	236	260	27,9	53,6	30,6	1,6	0,3	2,5	3,5

როგორც ხედავთ, ქართველები ყველაზე მეტნი არიან აქ. აბსოლუტურ ზრდის სისწრაფითაც ისინი წინ არიან სხვებთან შედარებით. 1887 წლიდან 1902 წლამდის ქართველების რიცხვს მოუმატნია 238<sup>0</sup>/<sub>0</sub>, ხოლო რუსებისას 179<sup>0</sup>/<sub>0</sub> და სომხებისას 156<sup>0</sup>/<sub>0</sub>. შედარებით რუსებს მოჰმატებია 1,6<sup>0</sup>/<sub>0</sub>, ქართველებს 6,5<sup>0</sup>/<sub>0</sub>, ხოლო სომხებს მოჰკლებია 1,7<sup>0</sup>/<sub>0</sub>. ცხადია, ქართველების რიცხვი მეტია აბსოლუტურად და, — თუ რუსებს დაუპირდაპირებთ, — შედარებითაც.

მკითხველი, რომელიც დაკვირვებულია თანამედროვე სასკოლო სწავლა-აღზრდის ვითარებას, უეჭველია, ადვილად შესძლებს ამ მოვლენის ახსნას. ჩვენი ხალხის დიდძალი უმრავლესობა სოფლად მცხოვრებია, და ყველამ იცის, რომ სოფელში ძალიან ძნელია სასწავლებლისთვის ბავშვის მომზადება. იქ არ მოიპოვება არც მასწავლებელი და არც ის გონებრივი წრე, რომელიც აძლევს ბავშვს სახლშივე სკოლაში შესასვლელად სავალდებულო სახელმწიფო ენისა და სხვა საგანთა ცოდნას. ეგ ზამენის დაჭერა და სასწავლებელში შესვლა ბევრად უფრო ძნელია სოფლელ ბავშვისათვის, ვიდრე ქალაქელისთვის. ამიტომ მშობლები იძულებული ხდებიან შვილები კერძო სკოლებში მიიბარონ და სახელმწიფო სასწავლებლებში შესაყვანად მოამზადონ. კერძო სკოლებში ბავშვების მომზადების საჭიროება და მოთხოვნილება უფრო დიდია ქართველებში, ვიდრე რუსებსა და სომხებში, რომელთა შვილები, ვითარცა ქალაქის მცხოვრებნი, თავის თავად უფრო მომზადებულნი არიან სახელმწიფო სასწავლებლისთვის. რუსის შვილი ოჯახშივე სწავლობს რუსულს, ხოლო შეძლებული სომეხი შენაც მოიწვევს მასწავლებელს და ბავშვს კერძო სკოლაში მიუბარებლადაც მოამზადებს. ამ სახით ქართველების შეძლებულ ნაწილს უფრო სჭირდება კერძო სკოლა, ვიდრე სომეხს ან რუსს.

მაგრამ იგი სჭირდება შეუძლო და ხელმოკლე ნაწილსაც. ქალაქში ბავშვის დაბინავება და შენახვა ძნელიცაა და ძვირიცა. სახელმწიფო სკოლებში თხოულობენ დიდ სწავლის



ფულს და ფორმაზე ჩაცმას. ყველა ეს ხელმოკლე სოფლე-ლისათვის ძნელად მოსახერხებელია. ამ გაჭირვებულმა მდგომარეობამ გამოიწვია ქუთაისისა და ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლების დაარსება, სადაც სულ ქართველთა შვილები სწავლობენ და სახელმწიფო სასწავლებლებში შესასვლელად თუ გათავების ეგზამენის დასაჭერად ემზადებიან.

ჩვენ აქამდის აღვუხსნეთ სხვა და სხვა ეროვნების მოსწავლეთა რაოდენობა, მატება თუ დაკლება სხვა და სხვა კატეგორიის სასწავლებლებში და განვსაზღვრეთ თითოეულ ეროვნების აბსოლუტურ—შედარებითი ძალა და პოზიცია. მაგრამ მკითხველმა რომ აღვიღოდ დაინახოს და წარმოიდგინოს აქ გასარკვევ მოვლენის ვითარება, გვგონია, საჭიროა ყველა იმ ციფრების ერთად ერთმანეთთან დაპირდაპირება და შედარება. შემდეგი ცხრილი ამ მიზნისთვის შედგენილია და გვიჩვენებს (პროცენტობით), თითოეულ ეროვნებას (რუსს, ქართველს და სომეხს) 1887 წლიდან 1902 წლამდის რომელ სასწავლებლებში რა სიმრავლე ჰქონდა და რა ადგილი ეკავა.

წლები	რუსი				ქართველი				სომეხი			
	საშუალო სასწავლებ.	დაბალი სასწავლებ.	პირველად-წყებ. სასწავ.	კერძო სასწავ-ლებლებ.	საშუალო სასწავლებ.	დაბალი სასწავლებ.	პირველად-წყებ. სასწავ.	კერძო სასწავლებ.	საშუალო სასწავლებ.	დაბალი სასწავლებ.	პირველად-წყებ. სასწავ.	კერძო სასწავლებ.
1887	53,5	31,0	54,9	27,3	12,4	25,2	16,1	27,1	20,8	28,7	10,5	32,5
1888	52,8	34,2	55,3	32,2	12,3	24,0	20,7	27,0	21,4	26,6	9,4	27,9
1889	52,5	34,4	55,9	31,4	12,7	22,4	20,6	25,4	21,4	28,2	9,3	31,3
1890	52,3	33,7	57,1	36,5	12,5	21,6	20,5	23,3	21,6	29,0	9,4	27,8
1891	52,5	36,0	57,0	30,5	12,8	20,6	20,8	26,1	21,2	28,2	9,4	34,6
1892	52,5	38,2	53,5	26,0	12,6	21,4	19,6	30,8	21,3	25,7	9,3	33,3
1893	52,5	35,5	58,7	27,7	12,7	22,4	20,4	28,8	20,9	25,1	8,6	32,7
1894	52,2	38,3	58,2	30,1	12,5	21,6	20,6	27,7	21,1	26,2	7,8	29,8
1895	51,9	39,9	59,0	29,6	12,4	21,6	19,8	26,9	21,0	24,6	7,7	32,2
1896	50,0	38,4	59,1	27,4	12,2	19,9	18,6	25,2	23,2	27,7	8,4	37,5
1897	49,2	38,8	57,6	25,3	11,7	19,0	19,2	26,6	24,3	28,3	9,3	39,6
1898	48,8	37,9	53,8	25,5	12,9	19,8	19,3	27,8	24,3	27,2	13,5	37,6
1899	47,5	37,0	52,7	24,3	13,5	23,7	18,2	32,0	24,4	25,1	15,5	36,1
1900	47,3	34,3	52,4	26,5	13,8	24,3	18,5	33,6	24,5	27,2	15,3	31,9
1901	46,6	33,9	53,0	27,2	14,2	24,0	18,0	34,1	24,5	27,1	15,7	29,9
1902	46,6	35,5	54,0	27,9	14,2	24,8	17,5	33,6	24,5	25,5	15,6	30,8



ეს ცხრილი იმეორებს მხოლოდ იმას, რაც ჩვენ უკვე ვთქვით აქ აღნიშნულ სასწავლებლების შესახებ სათითაოდ. ამიტომ ამისი ახსნა და განმარტება კიდევ საჭირო აღარაა. ამასთან ეს ცხრილი ისე მარტივია, რომ ყველა, ვინც ცოტად ჩაუყვირდება, ადვილად გაიგებს მის აზრს და მნიშვნელობას.

ეხლა ჩვენ ერთი კითხვა-ლა დაგვრჩა გასარკვევი და ციფრებით გამოსახატავი: რა სურათს წარმოადგენს თითოეული ერი საერთოდ ყველა სასწავლებლებში? ჩვენ მოხსენებული გვექონდა თითოეულ სასწავლებლის ცნობები. ყველა ისინი რომ ერთად შევაგროვოთ, შემდეგ ცხრილს მივიღებთ, რომელიც ჰხატავს თითოეულ ერის სიმრავლეს ყველა სასწავლებლებში, განურჩევლად ტიპისა და სასქესო დანიშნულებისა.

წლები	რ ი ც ხ ვ ი ა							პ რ ო ც ე ნ ც ო ბ ი თ						
	რუსი	ქართველი	სომეხი	თათარი	„მოიელი“	ებრაელი	სვ.ეროვ.	რუსი	ქართველი	სომეხი	თათარი	„მოიელი“	ებრაელი	სვ.ეროვ.
1887	36097	12012	10450	4512	1242	883	5495	51,0	16,9	14,8	6,4	1,8	1,3	7,8
1888	37322	14565	9852	2065	1478	1090	5686	51,8	20,2	13,7	2,8	2,1	1,5	7,9
1889	38761	14853	10363	2038	1411	1110	5862	52,1	20,0	13,9	2,7	1,9	1,5	7,9
1890	41766	15439	10949	2226	1352	1149	5690	53,1	19,7	14,0	2,8	1,7	1,5	7,2
1891	42860	16064	11392	2267	1508	983	5741	53,0	19,9	14,1	2,8	1,9	1,2	7,1
1892	45276	16149	11460	2398	1530	981	5839	54,1	19,4	13,7	2,9	1,8	1,2	7,0
1893	46629	17170	11439	2632	1664	910	5808	54,1	19,9	13,3	3,0	1,9	1,1	6,7
1894	49033	18143	11516	2521	1831	1063	6919	53,9	19,9	12,6	2,8	2,0	1,2	7,6
1895	54063	19147	12385	2843	2160	1263	7255	54,5	19,3	12,5	2,9	2,2	1,3	7,3
1896	60952	20697	15875	3828	2595	1368	7768	53,9	18,3	14,0	3,4	2,3	1,2	6,9
1897	66848	23134	18781	4118	3526	1415	8245	53,0	18,4	14,9	3,3	2,8	1,1	6,5
1898	70431	26243	24298	4619	3949	1585	8643	50,4	18,8	17,4	3,3	2,8	1,1	6,2
1899	77843	29378	29061	5153	4326	1912	9816	49,4	18,7	18,5	3,3	2,7	1,2	6,2
1900	82193	32330	31108	5556	5006	2224	10229	48,8	19,2	17,5	3,2	2,9	1,3	6,1
1901	90266	34545	33918	6466	5112	2546	10637	49,1	18,8	18,5	3,5	2,7	1,6	5,8
1902	99794	36990	36524	7174	5250	2788	10624	50,1	18,6	18,4	3,6	2,6	1,4	5,3

ამ ციფრების მიხედვით, რუს მოსწავლეთა რიცხვი ყველა სასწავლებლებში შეადგენს 50,1%-ს, ქართველებისა 18,6%-ს და სომხების—18,4%-ს. მაშასადამე, აბსოლუტურის რაოდენობით პირველი ადგილი უჭირავთ რუსებს, მეორე

ქართველებს, მესამე სომხებს, ხოლო უკანასკნელი—თათრებს „მრიელთ“ და ებრაელებს. აბსოლუტური ზრდა რუსებისა არის 1760/0, ქართველების—2080/0, სომხების—2500/0 და თათრების—590/0. შედარებით რუსების რიცხვს მოჰკლებია 0,90/0 და თათრებისას—2,80/0. ხოლო ქართველებისას მოჰმატებია 1,70/0 და სომხებისას 3,60/0. თუ მცხოვრებთა საერთო რაოდენობის კვალობაზე გამოვითლით, რუსები უნდა შეადგენდნენ 50,80/0-ს, ქართველები—21,80/0-ს და სომხები 14,50/0-ს,— მაშინ იქნებოდა მათში მოსწავლეთა რიცხვი თანაბრად განაწილებული. ნამდვილად-კი რუსებს ჰყავთ მოსწავლეთა 5,010/0 (მაშასადამე, აკლიათ 0,70/0), ქართველებს—18,60/0 (აკლიათ 3,30/0), ხოლო სომხებს—18,40/0 (მეტი ჰყავთ 3,90/0-ით).

ამა თუ იმ ეროვნების მოსწავლეთა რიცხვს რამდენი პროცენტით უკლია ან მოუემეტნია აბსოლუტურად თუ შედარებით სხვა-და-სხვა სასწავლებლებში, ამას მკითხველი დაინახავს შემდეგი პატარა ცხრილიდან, რომელიც თავისი ციფრების ენით იმეორებს იმასვე, რაც ჩვენ ზევით გვაქვს სხვა და სხვა ადგილას ნათქვამი და განმარტებული.

სასწავლებლები	რუსი		ქართველი		სომეხი		თათარი	
	1887 წლიდან 1902 წლამდის მოიმატა (+) ან დაიკლო (-) 0/0							
	აბსოლუტურად	შედარებით	აბსოლუტურად	შედარებით	აბსოლუტურად	შედარებით	აბსოლუტურად	შედარებით
საშუალო სასწავლებლები	+107	-6,9	+178	+1,8	+187	+3,7	+101	-0,6
დაბალი	+216	+4,5	+171	-0,4	+145	-3,2	+224	+1,1
კერძო	+179	+0,6	+238	+6,5	+159	-1,7	-22	-4,2
პირველდაწყებითი	+186	-0,9	+216	+1,4	+331	+5,1	+46	-5,7
სულ ყველა სასწავლებლებში	+176	-0,9	+208	+1,7	+250	+3,6	+59	-2,8

მთავარი აზრი ყველა იმისი, რაც ჩვენ აქამდის აღვნიშნეთ, დიდ წილად გამოიხატება შემდეგ ციფრებში, რომლებიც გვიჩვენებს რუს, ქართველ და სომეხ მოსწავლეთა აბსოლუტურ და შედარებითი რაოდენობის პროცენტებს და თითო-

ეულ ერის დაწინაურებას თუ ჩამორჩენას სხვადასხვა კატეგორიის სასწავლებლებში.

სასწავლებლები	მოსწავლეთა რაოდენობა (1902 წ.) პროცენტობით				ხალხის საერთო რიცხვთან შედარებით მოსწავლეთა რიცხვი მეტია (+) ან ნაკლები (-) 0/0		
	რუსი	ქართველი	სომეხი	სულ ერთად	რუსი	ქართველი	სომეხი
საშუალო სასწავლე ლები დაბალი	54,0	16,7	29,3	100,0	- 4,5	- 8,3	+ 12,6
პირველდაწყებითი	41,4	28,9	29,7	100,0	- 16,9	+ 3,9	+ 13,0
კერძო	62,0	20,1	17,9	100,0	+ 3,7	- 4,9	+ 1,2
სულ ყველა სასწავლებლებ.	30,2	36,3	33,5	100,0	- 28,1	+ 11,3	+ 16,8
	57,6	21,3	21,1	100,0	- 0,7	- 3,7	+ 4,4

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ აბსოლუტურად:

1) რუსები უმრავლესობას შეადგენენ და პირველი ადგილი უჭირავთ ყველა სასწავლებლებში, გარდა კერძო სასწავლებლებისა, სადაც ისინი მესამე ადგილას არიან;

2) ქართველებს უმრავლესობა აქვთ და პირველი ადგილი უჭირავთ მხოლოდ კერძო სასწავლებლებში;

3) მათვე მეორე ადგილი აქვთ პირველდაწყებით სკოლებში, ხოლო მესამე — საშუალო და დაბალ სასწავლებლებში;

4) სომხები უმრავლესობას არ შეადგენენ და პირველ ადგილას არ არიან არც ერთ სასწავლებელში. მათ მეორე ადგილი აქვთ საშუალო, დაბალ და კერძო სკოლებში და მესამე — პირველდაწყებითში.

თუ თითოეულ აქ ხსენებულ ეროვნებათა ხალხის საერთო რიცხვს მივიღებთ მხედველობაში და მოსწავლეთა რაოდენობას ამის კვალობაზე განვსჯით და ავსწონით, იმ შემთხვევაში იმ დასკვნაზე მივალთ, რომ:

1) რუსებს არც ერთ სასწავლებელში, გარდა პირველდაწყებით სკოლებისა, არ ჰყავთ იმდენი მოსწავლე, რომ მათს, ხალხის რიცხვის კვალობაზე გამოთვლილ, ნორმას შეეფერებოდეს; ყველგან, გარდა ხსენებულ პირველდაწყებით სკოლებისა, რუს მოსწავლეთა რიცხვი ნაკლებია ნორმაზე;

2) ქართველებს ნორმაზე ნაკლები მოსწავლენი ჰყავთ საშუალო და პირველდაწყებით სასწავლებლებში და ნორმაზე მეტი—დაბალ და კერძო სკოლებში;

3) სომეხ მოსწავლეთა რიცხვი ნორმაზე მეტია ყველა სასწავლებლებში;

4) ქართველებთან შედარებით სომხები წინ არიან ყველა ტიპის სკოლებში.

ეს არის ის დასკვნანი, რომელნიც გამომდინარეობენ საერთოდ კავკასიის სკოლების მოსწავლეთა რაოდენობის აღმნიშვნელ ციფრებიდან. შემდეგ წერილში ჩვენ ავსუსხავთ და განვმარტავთ ცალკე იმ ციფრებს, რომელნიც მარტო საქართველოს შეეხებიან.

ფ. გოგიჩაიშვილი.

# უცხოეთის მიმოხილვა

1. ს. იუჟაკოვი და შორე-აღმოსავლეთის საქმე.—2. ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება.

შორეულ აღმოსავლეთის ომიანობის გამო ბევრი საყურადღებო წერილები დაიბეჭდა რუსულ ჟურნალ-გაზეთებში, ბევრი საგულისხმეო აზრებია ამ წერილებში და ქართულ ჟურნალის მკითხველისთვისაც მეტი არ იქნება გაცნობის მათ.

პირველად ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რუსულ პრესის უფრო სერიოზული და გონიერი ნაწილი იმ თავითვე დიდის ზრუნვის თვალთ უცქეროდა რუსეთსა და იაპონიას შორის ატეხილ დავას. ჯერ კიდევ იმედი იყო, რომ ომი არ ასტყდებოდა, რომ ეს პრესა დიდის გულმოდგინებით იხილავდა და არკვევდა შორე-აღმოსავლეთის საქმეს და იშვიათის გულახდილობითა და გაბედულებით ურჩევდა გავლენიან წრეებს—ფრთხილად იყავით, ომი მეტად მძიმე და ძნელი საქმეა, აუარებელ ძალღონის დახარჯვა დაგვჭირდება და, თუნდაც რომ გავიმარჯვოთ, დანახარჯს ვერ ავინაზლაურებთო.\*)

ამ მხრივ საუკეთესო წერილი შორე-აღმოსავლეთის საქმეს უძღვნა ს. იუჟაკოვმა გასულ წლის, „რუსკოე ბოგატსტვო“-ს ნოემბრის ნომერში.

\*) ის კი მართალია, რომ რაც უფრო მწვაედება ბრძოლა, მით უფრო ნაკლებად ისმის ეს მიუდგომელი კილო რუსული პრესისა.



ს. იუჟაკოვი რუსულ პროგრესიულ მწერლობის ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანია. ამ წარმომადგენლებ შორის, მას ერთი საგანგებო თვისებაც აქვს. ვისაც თვალყური უდევნებია რუსეთის მოწინავე პრესისათვის, კარგად ეცოდინება, რომ ეს პრესა ფრიად ნაკლებ ყურადღებას აქცევდა და აქცევს საერთაშორისო დამოკიდებულების კითხვებს. იუჟაკოვი ამ მხრივ თითქმის ერთია თავის თანამოკალმეთა შორის, რომ დიდის გულმოდგინებით ადევნებს თვალყურს ამ კითხვებს, დაკვირვებით და ღრმად იკვლევს მათ და დღეს იგი სერიოზულ მკოდნედ ითვლება ამ სფერაში. იუჟაკოვი კაბინეტის პოლიტიკოსი არ არის, მას ბევრი უმოგზაურია და საკუთარის თვალთ უნახავს ბევრი ის ადგილი, რომელიც დღეს საერთაშორისო დავის საგანს შეადგენს.

მით უფრო საყურადღებოა ასეთ პოლიტიკურ მწერლის აზრი ეხლანდელ დავის გამო.

ჯერ ავტორი ადარებს მოდაფეთა (რუსეთისა და იაპონიის) სამხედრო ძალას და ამბობს: „ზღვაზე იაპონიას აქვს უპირატესობა. რაც შეეხება ხმელეთის ჯარებს, აქ, რასაკვირველია, რუსეთის ძალა შეუდარებლათ უფრო დიდია იაპონიისაზე. მაგრამ, ამ უპირატესობას ჩვენ ვერ მოვიხმართ. სიშორე ბრძოლის ველისა, ჯარების გადაყვანისა და გამოკვებისა, განსაკუთრებით გამოკვების დიდი სიძნელე მეტად შეაფერხებს რუსეთის ძალთა გადიდებას შორე აღმოსავლეთში. მაგრამ ეს კადევ არაფერია; უფრო მნიშვნელოვანია მეორე გარემოება: რუსეთს არ შეუძლია შესამჩნევად შეასუსტოს თავის ძალა ევროპის რუსეთში და ახლო აღმოსავლეთის მახლობლად მდებარე ადგილებში...“

ერთის სიტყვით, რუსეთს შეეძლება თავი მოუყაროს შორე აღმოსავლეთში მხოლოდ იმდენსავე ჯარს, რამდენიც იაპონიას ჰყავს. იაპონიას კი შეეძლება ეს თავის ჯარი ბრძოლის ველზე კორეასა და მანჯურიაში გადმოიყვანოს, რადგან, ზღვაზე ბატონობის მიზეზით, სახლში შესვლის შიშით არ ექნება. განაუთოდ საჭიროა, ომიანობა ასტყდესო, ომს არსებითი, სამკედრო-სასიცოცხლო ინტერესის დაცვა იწვევს და თუ ასეთი

ინტერესი არ არის, ომიც ყოვლად უაზრო და უნიადაგო არის.

როგორია ჩვენი ინტერესები წყნარ ოკეანეში? მოკლედ და გარკვეულათ სამ პუნქტად შეიძლება ამ ინტერესების გამოთქმა.

ა) ადგილი კოლონიზაციისათვის, ბ) მოხერხებული გასავალი ზღვაში, გ) ჩვენგან გაშენებულ დიდ რკინის გზის უზრუნველყოფა. ეს არის სამი კარდინალური ინტერესი რუსეთისა ამ მხარეში.

თუ გადავხედავთ იმ ქვეყნის რუქას, სადაც მოთავსებულია რუსეთის ზემოხსენებული სამი ინტერესი, დავინახავთ, რომ იგი — აყოფა სამ ბუნებრივ მხარედ, რომელნიც მეტად განსხვავდებიან ერთი მეორისაგან ფიზიკურ თვისებებით, ხალხის სიმრავლით, კულტურით და მნიშვნელობით რუსეთის ინტერესებისათვის. ამურის ბასეინი, ლიაოხეს ბასეინი ლაოდუნის (კვანტუნის) ნახევარ კუნძულით და კორეა, აი ის სამი ნაწილი იმ შორეულ აღმოსავლეთისა, რომლის გულისათვისაც ერთმანეთს ედავებიან რუსეთი, იაპონია და ჩინეთი. კორეა ნახევარი კუნძულია, მეტად მთაგორიანი, სასტიკის ჰავით (გარდა ვიწრო ნაპირისა) და შედარებით კარგად დასახლებული: ერთ ოთხ-კუთხ კილომეტრზე 40 სული მოდის. ევროპის რუსეთი ორჯელ ნაკლებად არის დასახლებული; 1897 წლის აღწერილობით, ერთ ოთხ კუთხ კილომეტრზე საშუალოდ მოდის 19 სული; 40 სულამდე ერთ კილომეტრზე მხოლოდ ზოგიერთ გუბერნიაში მოდის, რომლებიდანაც უკვე მიდის ემიგრაცია სხვა და სხვა ადგილას. ცხადია, რომ, თუ კორეას შეუძლია კიდევ მიიღოს ახალი ელემენტი, ეს სოფლელი აღარ იქნება, არამედ ქალაქის მცხოვრებნი — ვაჭარ-მრეწველნი; ტენიკები, ინსტრუქტორები, ერთის სიტყვით უფრო მაღალ კულტურის წარმომადგენელნი; რაც შეეხება სასოფლო სამეურნეო კოლონიზაციას, ამისათვის კორეა გამოუსადეგარია. კორეა მდიდარია მშენებლის ტყით და საფიქრებელია, რომ არც მადნებით არის ღარიბი. ერთიცა და მეორეც ხელსაყრელი საექ-

სპლოტაციო საგანია უცხოელ კაპიტალისტებისათვის, მაგრამ ამას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს რუსეთის ზემოაღნიშნულ არსებით ინტერესებთან. კორეა ვერ გახდება რუსეთის კოლონიზაციის ადგილად, მისგან სრულებით არ არის დამოკიდებული ციმბირის რკინის გზის უზრუნველყოფა, ზღვისკენ არ გვიღობავს გზას, არ არის საჭირო ჩვენი ინტერესების დაცვისათვის, იქ არ შედის ის მდინარეები, რომელნიც ჰკვებავენ რუსეთის რკინის გზას. 1899 წელს კორეაში მცხოვრებ 20 ათას უცხოელთაგან 16 ათას ნახევარი იაპონელი იყო, რუსები კი მხოლოდ 48! ერთის სიტყვით, კორეა რუსეთის ინტერესების სფერის გარეშეა და მის გულისათვის ვისმესთან წადაგება სრულიად არ ღირს.

მეორე მხარე—ლიაოხეს ბასენი კვანტუნის ნახევარ კუნძულით შეიცავს მანჩჯურიის ნაწილს, სახელდობრ მუკდენის პროვინციას და ჩინეთიდან „იჯარით“ აღებულ კვანტუნს, სულ 80 ათას ოთხ-კუთხ კილომეტრს ექვს მილიონ მცხოვრებით; ერთ ოთხ კუთხ კილომეტრზე მოდის 75 სული, თვითონ რუსეთში ასე სქლად დასახლებული მარტო პოლონეთი და კიევის, მოსკოვის და პოდოლიის გუბერნიებია. ცხადია, რომ შორე-ადმოსავლეთის ეს ნაწილიც სრულებით გამოუსადეგარია რუსეთის კოლონიზაციისათვის. გამოუსადეგარია იმისთვისაც, რომ აქ სულ სხვა კულტურა და სხვა პირობებია, ვიდრე რუსეთში.

მაგრამ სწორედ ამ მხარეშია იჯარით აღებული ლიაოდუნის ნახევარი კუნძული, აქ არის გაყვანილი რკინის გზა (მაგისტრალის ტოტი), აქ არის აგებული სამხედრო ნავსადგური პორტ-არტური და სავაჭრო დალნი. ყველა ამაზე დახარჯულია 300—400 მილიონი\*) მანეთი და სწორედ იმ მიზნით, რომ „გაუყინავი“ ნავსადგური ეშოვათ. გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ დალნი არ იყინებოდა იმავე მიზეზის გამო, რატომაც არ იყინებოდა ლიბავის რეიდი—გაშლილი ზღვის ტალ-

\*) სხვები ბევრად მეტს ანგარიშობენ.

ლა მაგრად სცემდა ზღვის უბეს. ლიბავაშიაც და დალნშიაც ნავთსადგური გაიყინა, როცა ბრეკვატორი გააკეთეს ტალღების შესაჩერებლად. ნავსადგური უშიშარო გახდა გემებისათვის, მაგრამ სამაგიეროთ ზამთრობით იყინება და ამ გვარად გაჰქრა განსხვავება დალნსა და ვლადივასტოკს შუა. თვითონ ზღვა არც იქ იყინება, არც აქ, წყნარი, უშიშარი ნავსადგური კი ორგანვე იყინება და ორივე საჭიროებს ყინულის მჭრელ გემს, რომელიც კატეგორიულად სწყვეტს კითხვას სწორედ იმიტომ, რომ არ იყინება თვითონ ის ზღვა, რომლის ნაწილსაც ნავსადგური შეადგენს. უნდა შევნიშნათ, რომ იქვე ვლადივასტოკის ახლო არის სამი პატარა ნავსადგური (დიომიდ, ულისი და პატროკლი), რომელნიც უფრო ნაკლები ხნით იყინებიან, ვიდრე ვლადივასტოკის ნავსადგური, სადამდისაც რკინის გზა მიდის. რკინის გზის გაყვანა შეიძლება ხსენებულ ნავსადგურებამდეც—სულ ათი-თორმეტი ვერსტია. ვლადივასტოკიდან ციმბირში და ევროპაში გზა 153 ვერსტით უფრო მოკლეა, ვიდრე დალნიდან; ამიტომ ვლადივასტოკი კომერციის მხრით უფრო ხელსაყრელია ვიდრე დალნი. ჩვენ გვქონდა ზღვაში გასავალი ვლადივასტოკთან; ეხლაც ხელში გვაქვს და არც არავინ გვედავება. ეს გასავალი უფრო ხელსაყრელია, ვიდრე კვანტუნის დალნი. ამიტომ კვანტუნის დაპყრობა სერიოზულ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს, მით უფრო სერიოზულ შეცდომად, რომ ეს დაპყრობა თხოულობს კვანტუნის ტოტის უზრუნველყოფას და სქლად დასახლებულ მუკდენის პროვინციის ოკუპაციას; ეს გარემოება კი ყველაზედ უფრო აცხარებს იაპონელებსა და ჩინელებს, აგრეთვე ევროპელებსა და ამერიკელებსაც.

აქ, მუკდენში, არის ჩინეთის ეხლანდელ დინასტიის პირველ იმპერატორთა სასაფლაო. მუკდენი—წმინდა ქალაქია, ჩინელების მექაა; მუკდენის პროვინცია კი სქლად არის დასახლებული და ისიც ჩინელებისაგან... ამის გამო მანჯურების სამხრეთ ნაწილის დაკარგვა მეტად საგრძნობელი და დამამცირებელიც არის ჩინეთისათვის. იაპონიისა და აგრეთვე ყველა



ევროპიელ-ამერიკელებისათვის მანჩჯურიის ეს ნაწილი, სანამ რუსები დაიპყრობდნენ, დაპყრობილი იყო მათ ვაჭრობისა და მისიებისაგან; მაშასადამე ესენიც ჰკარგავენ აქ რასმე. ამათივე აშენებულია რკინის გზა პეჩელისა (აქ პეკინია) და მუკდენის პროვინციების საზღვარზე შანჰაიგუანიდან ნიუჩუანამდე, მდ. ლიაოხეზე, მუკდენის ახლო. ამ გვარად მუკდენის პროვინციის ოკუპაცია კვანძი იმ დავიდარაბისა, რომელიც ატეხილია ერთის მხრივ რუსეთსა და მეორეს მხრივ იაპონიასა და ჩინეთს შუა; ამასთანავე სახელმწიფოების უმრავლესობა იაპონია-ჩინეთს თანაუგრძნობს. მარტო გერმანელები თუ წაგვაქეზებენ წინააღმდეგობის გაწევაზედ.

ყინულისაგან თავისუფალი ნავსადგური ვერ ვიპოვეთ, რამდენიმე ასი მილიონი დავხარჯეთ, უნდა ვემზადოთ ომისათვის და ვხარჯოთ ახალ-ახალი მილიონები; არა სჩანს ბოლო გამალატაკებელ მსხვერპლებისა, რომელთაც არავითარი სარგებლობა არ მოსდევს. ერთის სიტყვით, რომ შეიძლებოდეს გაყიდვა იჯარისა და მრავალ მილიონებით აშენებულ ნავსადგურ-სიმაგრეებისა, საუკეთესო იქნებოდა. რასაკვირველია, ისე კი უნდა გაიყიდოს, რომ შემდეგ ჩვენ წინააღმდეგ არ მოიხმარონ.

ამურის მხარე შესდგება ამურის საგენერალ-გუბერნატორისაგან და მანჩჯურიის ორის პროვინციისაგან (ციციკარი და გირინი). ამ ჩრდილოეთ მანჩჯურიას უკავია მთელ მანჩჯურიის  $\frac{5}{6}$ , მცხოვრებთა რიცხვით კი ნახევარია; ასე რომ ერთ ოთხ კუთხ კილომეტრზე მოდის 15 კაცი. ჰავით, ბუნების ნაწარმოებით და კულტურის პირობებით ეს მხარე უფრო წაგავს მეზობლად მდებარე ტერიტორიას რუსეთისას; ზედ გადის ციმბირის მაგისტრალი; აქვე იყოფა ტოტებად ის მდინარეები, რომელნიც მაგისტრალისათვის საჭირო არიან. ერთის სიტყვით, მხოლოდ აქ ვხედავთ რუსეთის სერიოზულ ინტერესებს, მაგრამ აქაც განსაზღვრა უნდა ამ ინტერესების სფერას; ეს სფერა არ უნდა გავავარცელოთ იმ ადგილებზე, რომელნიც არ



ვარგიან კოლონიზაციისათვის და არც მაგისტრალისათვის არ-  
იან საშიში.

ჩრდილოეთი მანჯურია იყოფა ორ პროვინციად: ცი-  
ციკარის პროვინცია, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, შეიცავს 250  
ათას კილომეტრს, რომელზედაც ერთი მილიონი მცხოვრებია  
(4 კაცი ერთ კილომეტრზე; ეს ქვეყანა სავსებით წააგავს ზა-  
ბაიკალიეს, ციმბირის მაგისტრალი გადის მის სამხრეთ და სამ-  
ხრეთ დასავლეთ საზღვრის გაყოფებით; ამური და სუნგარი  
მისი საზღვრებია; ერთის სიტყვით, ციციკარის პროვინცია, ჩი-  
ნეთისათვის ნაკლებად (?) საჭირო, აუცილებელია რუსეთი-  
სათვის მას შემდეგ, რაც შეცდომა ჩაიდინეს და ციმბირის მა-  
გისტრალი ჩინეთის ტერიტორიაზე გაიყვანეს. საბედნიეროთ,  
ეს ტერიტორია ჩინეთისათვის ძვირფასი არ არის. ჩრდილოეთ  
მანჯურიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი—გირინის პროვინ-  
ცია ბევრად უფრო ძვირფასია ჩინეთისათვის; აქ 150 ათას კი-  
ლომეტრზე ცხოვრობს ხუთი მილიონი ხალხი, მეტ წილად  
ჩინელები და მანჯურები; ჰავაც უფრო რბილია და მოხერხე-  
ბული ჩინეთის კოლონიზაციისათვის, რომელიც ეხლა ცდილია.  
საბედნიეროთ, ციმბირის მაგისტრალი სჭრის ამ პროვინციას  
ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც მხოლოდ ერთი მილიონი ხალ-  
ხი თუ სცხოვრობს (ერთ კილომეტრზე 15—16 სული)... ამ  
გვარად რუსეთის ინტერესების სფერას შეადგენს 310—320  
ათას კილომეტრი ტერიტორია ორ მილიონ მცხოვრებით. ეს  
ტერიტორია უნდა ვიყიდოთ ჩინეთიდან; სამაგიეროდ უნდა  
გავყიდოთ კვანტუნის იჯარა, რკინის გზა ხარბინიდან დალნამდე  
და პორტ-არტურამდე, დალნის ნავსადგური, პორტ-არტურის  
ნავსადგური და ცინგ და საზოგადოთ ყველაფერი, რაც აგვი-  
გია მუკდენის პროვინციასა და კვანტუნის ოლქში... დაახ-  
ლოვებით, ამავე აზრის არიან გაზეთი „რუსკია ვედომოსტი“ და  
ჟურნალი „ვესტნიკ ვეროპი.“ ამ უკანასკნელის აზრი უკვე  
მოყვანილი გვქონდა ერთ-ერთ ჩვენს მიმოხილვაში.

ორის მხრივ არის საყურადღებო მოყვანილი აზრი და  
შეხედულება: ერთის მხრივ, იგი ახასიათებს რუსეთის საზო-

გადოების საკმაოდ გავრცელებულ მიმართულებას და ეს დახასიათება, როგორც მკითხველიც ხედავს, უფრო სასახელოა, ვიდრე დამამცირებელი. მეორეს მხრივ, ჩვენ ვხედავთ, რომ გავლენიან წრეებისთვის ამ გავრცელებულ მიმართულებას ჯერ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია... მართლაც, კარგა ხანია, რაც ეს მიმართულება, ხან გადაკვრით, ხან პირ-და-პირ და აშკარად ღალატებს ზემოდ მოყვანილ აზრებს, მაგრამ ეს ღალადი აქამდე ყოველად უნაყოფო გამოდის პრაქტიკულ შედეგების მხრივ.

\*\*

მას შემდეგ, რაც პრუსიამ 1871-ში საფრანგეთი დაამარცხა და განაწილებული გერმანია გაერთიანებულ იმპერიად გამოაცხადა, გერმანიის ერთობის მთავარი მქედელი ბისმარკი მუდამ იმის ცდაში იყო, რომ სისხლისაგან დაცლილი საფრანგეთი წელში ვერ გამართულიყო, მუდამ განმარტოებულად მდგარიყო და ძველი საერთაშორისო მდგომარეობა სამუდამოდ დაეკარგა. რკინის კანცლერი, 1871-წლის გამარჯვების შემდეგ, უცილობელი მბრძანებელი იყო ევროპის დიპლომატიისა და ადვილად აღწევდა თავის პოლიტიკის მთავარ მიზანს—საფრანგეთის განმარტოებას საერთაშორისო მდგომარეობაში.

რუსეთის იმპერია იმ თავითვე უნდო თვალთ უცქეროდა საფრანგეთის რესპუბლიკას და ბისმარკიც გულდაჯერებული იყო, რომ რუსეთის თვითმპყრობელი ხელმწიფე არ მოისურვებდა დემოკრატიულ რესპუბლიკასთან კავშირის დაქერას. უფრო ამიტომ იყო, რომ გერმანიის კანცლერი ასე ადვილად დასთანახმდა, რომ საფრანგეთში რესპუბლიკური წესწყობილება დამყარებულიყო. მართლაც, მთელი ოცი წელიწადი გავიდა, სანამ რუსეთის დიპლომატია უღალატებდა თავის ტრადიციულ პოლიტიკას და საფრანგეთთან დაახლოებას ვადასწყვეტდა. ბერლინის კონგრესზე დიდათ დაამარცხეს რუსეთის აღმოსავლეთის პოლიტიკა: ბრძოლის ველზე გამარჯვებული რუსეთი ბერლინის კონგრესზე დამარცხდა, რადგან განმარტოებული იყო, მოკავშირე არ ჰყავდა. ასეთ მწარე გაკვეთილის

შემდეგაც რუსეთის იმპერია დიდხანს ვერ ახერხებდა საფრანგეთთან დაახლოებას, თუმცა რეალური ინტერესი თხოულობდა პოლიტიკის ასეთ ორიენტაციას.

ინგლისი ძველი, ტრადიციონული მეტოქეა საფრანგეთისა საახალშენო ასპარეზზე. ამიტომაც იყო, რომ ბისმარკი დიდად მაცადინობდა და ზრუნავდა საფრანგეთის საახალშენო პოლიტიკაზე: ხმელთა შუა ზღვა და აფრიკა—აი თქვენი საასპარეზო ადგილიო, ეუბნებოდა გერმანიის კანცლერი საფრანგეთის პოლიტიკოსებს და თან თავის ძლიერ დახმარებასაც ჰპირდებოდა. საფრანგეთის ეს საახალშენო პოლიტიკა იყო ერთად-ერთი მიზეზი ინგლის-საფრანგეთის არა მეგობრულ დამოკიდებულებიას; იტალიაც ამ პოლიტიკამ გადაჰკიდა საფრანგეთს და ბისმარკიც სიამოვნებით ხელებს ისრესდა—საფრანგეთი განმარტოებული იღვა და გაერთიანებულ გერმანიის წინააღმდეგ ვერას გააწყობდა. ავსტრია სათვალავში ჩასაგდები არ იყო, რადგან ამ სახელმწიფოს მთელი ყურადღება, იმავ ბისმარკის წყალობით, ბალკანეთისაკენ იყო მიქცეული და აქ მისი დამხმარე გერმანიის პოლიტიკა იყო.

გავიდა დრო და ჟამი. როგორც იქნა, რუსეთმა სძლია თავის ბუნებრივ ანტიპათიას რესპუბლიკისადმი, დაუახლოვდა საფრანგეთს და ბოლოს ფორმალურ კავშირითაც შეეკრა. ამ კავშირს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე მხრისათვის—საფრანგეთ-რუსეთის ხმას ძალა და გავლენა მოემატა საერთაშორისო საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის დროს, მუდამ გამარჯვებულ ბისმარკის პოლიტიკას ეს პირველი დამარცხება ხვდა წილად.

საფრანგეთი დიდათ კმაყოფილი იყო ახალის კავშირისა—განმარტოებას ბოლო მოეღო და საფრანგეთი ნელ-ნელა ძველ, გავლენიან პოზიციას იკავებდა ევროპის დიდ სახელმწიფოებ შორის. მაგრამ ამ დიდ კმაყოფილებას ერთი რამ მოჰყვა შედეგათ: საფრანგეთის დიპლომატები იმდენათ აფასებდნენ ახალ კავშირს, რომ თანდათან საფრანგეთის გარეშე პოლიტიკამ დამოუკიდებლობა დაჰკარგა. საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინის-

ტრო პეტერბურგში არისო, დასცინოდნენ ფრანგებს, და ეს დაცინვა უსაფუძვლო არ იყო. ჰანოტოს მინისტრობის დროს, რუსეთის დიპლომატიის დაუკითხავად და მოუწონებლად საფრანგეთი ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამდა საერთოშორისო კითხვებში. ეს კიდევ ცოტაა: საფრანგეთის ოპორტიუნისტებმა და რეაქციონერებმა ხელზე დაიხვიეს რუსეთის კავშირი და რესპუბლიკის დემოკრატიულ პოლიტიკას წინ ედობებოდნენ: დემოკრატიული რეფორმების შემოღება ძვირფას მოკავშირეს დაგვიფრთხობს და დაგვიკარგავსო, გაიძახოდნენ წინმსველობის ძოწინააღმდეგენი და ამ გვარად საფრანგეთის შინაურ პოლიტიკას უქვემდებარებდნენ გარეშე სახელმწიფოს...

საფრანგეთის დემოკრატია მეტად უკმაყოფილო იყო საქმეთა ასეთ მიმდინარეობისა; იგი თხოულობდა უფრო დამოუკიდებელ გარეშე პოლიტიკას და დემოკრატიულ რეფორმებს. რაკი მთავრობის წევრებს რუსეთთან კავშირი მოჰყავდათ რეფორმების შემოუღებლობის მიზეზად, ამიტომ დემოკრატია თან დათან უფრო და უფრო სხვა ნაირის თვალთ უცქეროდა ამ კავშირს. რაკი დემოკრატია თან-და-თან მეტ ძალასა და გავლენას იძენდა საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, აღნიშნულმა ტენდენციამაც იმატა და საფრანგეთიც დაადგა უფრო დამოუკიდებელ გარეშე და შინაურ პოლიტიკას.

თუ გერმანიის იმპერიისათვის დიდათ ხელსაყრელი იყო საფრანგეთის განმარტოებული მდგომარეობა, არც რუსეთისათვის იყო უსარგებლო, რომ საფრანგეთს მის მეტი მოკავშირე არა ჰყოლოდა: ასეთ პირობებში მოკავშირე ყოველთვის უფრო ერთგული და თავდადებულია. გარდა ამისა, რუსეთისათვის საფრანგეთის კავშირი და ძალა უფრო ინგლისის წინააღმდეგ იყო საჭირო. ამიტომ რუსეთის დიპლომატიისათვის საჭირო იყო, რომ საფრანგეთი ვერ დაახლოვებოდა რომელსამე სახელმწიფოს, განსაკუთრებით ინგლისს.

სწორედ ამავე მიზეზების გამო საფრანგეთის დემოკრატია მოწადინებული იყო იტალიასთან და განსაკუთრებით ინგლისთან დაახლოვებას. ასეთ წადილის განხორციელება კისრად იდვი



ნიჭიერმა და შორს გამკვერეტმა დელკასემ. მას შემდეგ, რაც ეს მინისტრი უძღვის საფრანგეთის გარეშე პოლიტიკას, ორთა კავშირმა ახალი ხასიათი მიიღო: საფრანგეთი უფრო დამოუკიდებელ, გაბედულ გზას ადგია საერთაშორისო საქმეებში და ამიტომაც მისი გავლენა და მნიშვნელობა დიდათ გაიზარდა ევროპის სახელმწიფოთა კონცერტში. საფრანგეთის საერთაშორისო მდგომარეობის გაძლიერება უკარგავს ძველ ფასსა და მნიშვნელობას ორთა კავშირს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ინგლის-საფრანგეთის უკანასკნელი შეთანხმება მოხდა.

ამ შეთანხმებას მეტად დიდი და მნიშვნელოვანი ხასიათი აქვს და, რომ რუსეთ-იაპონიის ომი არა, ევროპის პრესსა დღეს სულ ამ შეთანხმებაზე ილაპარაკებდა, და არც საკვირველი იქნებოდა.

თუ რომელსამე სახელმწიფოებს საცილობელი და საკამათო საგანი ჰქონდათ ერთმანერთ შორის, ეს ინგლისი და საფრანგეთი იყო, რადგან ეს ორი სახელმწიფოა, რომ სხვაზე ენერგიულ საახალშენო პოლიტიკას ადგას. ამერიკასა, აფრიკასა, თუ აზიაში ინგლისსა და საფრანგეთს ბევრი სადავო საგანი ჰქონდათ. გერმანიისა და რუსეთის დიპლომატიის მთავარი, თუ ერთადერთი არა, საფუძველი ეს დავა იყო. დღეს ეს დავა მოისპო: ყველა სადავო კითხვები, ინგლის-საფრანგეთ შუა არსებული, გამოირკვა და გადაწყდა. ვერც ეგვიპტე, ვერც მაროკო, ვერც სიამი, ვერცა რომელიმე საცილობელი კუთხე დღეს ვერ გახდება „განხეთქილების ვაშლად“, რომელსაც გერმანიისა და სხვა სახელმწიფოს დიპლომატები ასე ხერხიანად გაუგორებდნენ ხოლმე ინგლისსა და საფრანგეთს. ბისმარკის გვამი, ალბად, გადაბრუნდებოდა თავის საფლავში და არა ერთ-ორ საყვედურს გამოუგზავნიდა მის მოწაფესა და მემკვიდრეს გრაფ ბიულოვს.

როგორ შეხვდნენ ამ დიდ მნიშვნელოვან შეთანხმებას სხვაზე უფრო დაინტერესებულნი—გერმანია და რუსეთი?



გერმანიის საზოგადოებრივი აზრი დიდად უკმაყოფილოა თავის დიპლომატიისა. ინგლისმა და საფრანგეთმა გაიმარჯვეს და ჩვენ დავმარცხდითო, გაიძახიან გაზეთები, „ინგლისი და საფრანგეთი ერთმანერთს შესამჩნევად დაუახლოვდნენ, პლატონიურ, უნაყოფო გრძობათა გამოთქმით არ გათავებულა საქმე, როგორც ეს ჩვეულება იყო, და შედეგი ბისმარკის იმ გონიერ პოლიტიკისა, რომელიც საფრანგეთის ყურადღებას მუდამ ხმელთა შუა ზღვას აქცევდა, რომ ინგლის-საფრანგეთის ინტერესების შეხლა არ შეწყვეტილიყო, დღეს სრულიად მოისპო. მხოლოდ დიდ ოპტიმისტს შეუძლია ამის არ დანახვა და მხოლოდ დიდ ოპტიმისტს შეუძლია იფიქროს, რომ საქმეთა ასეთ განვითარების შეშლა შეუძლებელი იყო გამჭრიახ დიპლომატიისათვის. ყური არ უნდა გვეგდო იმ პირებისათვის, რომელნიც მაროკოში არსებულ გერმანულ ინტერესებზე გველაპარაკებოდნენ, სამაგიეროდ საფრანგეთთან ერთად უნდა გადაგვეწყვიტა ეს საქმე ფაშოდის ამბის შემდეგ ან სამხრეთ-აფრიკის ომიანობის დროს. ეხლა საფრანგეთმა უკვე გადაწყვიტა ეს კითხვა, მაგრამ ინგლისის წინააღმდეგ კი არა, ინგლისთან ერთად, და ჩვენ წინააღმდეგ.“

ეს არის მოკლედ გერმანიის გავლენიან პრესის აზრი ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შესახებ.

რუსეთის პრესაც უკმაყოფილოა, თუმცა ეს უკმაყოფილება ისე ცხადი და აშკარა არ არის.

„რუსეთის მკითხველი საზოგადოებისათვისო, სწერს ერთი გაზეთი, ძნელი არის იმ აზრთა სფერაში გადავიდეს, რომელიც აღელვებს დღეს მთელ დასავლეთ ევროპის პრესას და რომელიც შედეგია ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებისა მთავარ საახალშენო კითხვებში. დღეს ამ საზოგადოებას ერთი ფიქრი, ერთი ზრუნვა და ერთი მიზანი აქვს—შორე აღმოსავლეთი. იქ, სადაც რამდენიმე ასი მილიონია დახარჯული სარკინისგზო, საახელშენო და სამრეწველო მიზნებისათვის, ეხლა საშინელი ომი მძვინვარებს, და იძულებული ვართ დავიცვათ არა მარტო მატერიალური ინტერესები, არამედ ყველაზე უწინ და უმთავ-

რესად პოლიტიკური და ზნეობრივი პრესტიჟი რუსეთისა, მისი მთელი ავლადიდება აზიაში. ასეთ პირობებში არ უნდა გვიკვირდეს, თუ ჩვენთვის მეორე და შესაძვე ხარისხის ადგილი უკავია მეტად დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო მოვლენათ, როცა ამათ პირდაპირ, ყველასათვის თვალსაჩინო კავშირი არა აქვთ შორეულ აღმოსავლეთის დრამასთან.

ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებაც კი, ეს არა ჩვეულებრივი და ბოლოს დრომდე წარმოუდგენელი ფაქტი, ცოტა ყურადღებას იპყრობს რუსეთის საზოგადოების მხრივ, თუმცა ყოველ ჩვენგანისათვის სრულიად ცხადია, რომ რუსეთისათვის ერთგვარად საინტერესოა ყოველ გამარჯვება როგორც მოკავშირე საფრანგეთისა, ისე ჩვენ ანტაგონისტ ინგლისისა. მეზობელი გერმანია ამ მხრივ უკეთეს პირობებშია... და აკი ამიტომაც გერმანიის საზოგადოებრივ აზრს არ გამოპარვია ის სინამდვილე, რომელიც არის ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებაში. ამ სინამდვილეს შეიძლება ნიღაბი ჩამოეფაროს ოფიციალურ წერილებისა და მალლად დაყენებულ პირთა განცხადების საშუალებით, მაგრამ მისი მოსპობა შეუძლებელია.

ეს სინამდვილე მარტივია და მდგომარეობს იმაში, რომ ინგლისმა განამტკიცა თავის მდგომარეობა ეგვიპტეში, მოიმატა სამფლობელონი აფრიკაში და თავიდან მოიშორა ის შავი ფიქრები, რომელსაც ჰვერიდა მას საფრანგეთის ყოველი ნაბიჯი, ყოველი ახალი გემი და საზოგადოთ დაწინაურება; და ყველა ამას მიაღწია ერთის წვეთის სისხლის დაუღვრელათ, ერთის გროშის დაუხარჯავათ. ჩვენ აქ არ გვინტერესებს, თუ რა მოიგო ამ შეთანხმებით ჩვენმა მოკავშირე საფრანგეთმა... მთავარი მნიშვნელობა ამ საერთაშორისო მოვლენისა ის არის, რომ დიდი ბრიტანიის ძლიერება გაიზარდა და ამ გაძლიერებას ჩვენ ვგრძნობთ ტიბეტში, სპარსეთში, ჩინეთში; მალე გერმანიაც იგრძნობს ამას. ჩვენ კარგად გვესმის ის ენტუსიასმი, რომლითაც მიესალმა ინგლისის პარლამენტი გარეშე საქმეთა მინისტრს და მიულოცა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების სისრულეში მოყვანა. ამ სალამზე დიდის გულახდი-

ლობითა და შინაარსიანობით უბასუხა ლორდ ლანსდოუნმა. მან გამოთქვა იმედი, რომ ეს შეთანხმება ვახდება სასარგებლო პრეცედენტად სხვა სახელმწიფოებთან მოლაპარაკების დროს. ჩვენებურად რომ გადმოვთარგმნოთ ინგლისის გარეშე საქმენტა მინისტრის სიტყვები, გამოდის, რომ სხვა სახელმწიფოებთან მოლაპარაკების დროს ინგლისი უფრო ძლიერი, გაბედული და არა განმარტოებული იქნება.

მგონი ეს ისედაც ცაადი უნდა იყოს, მაგრამ დამამტკიცებელი საბუთებიც არ გვაკლია. საკმარისია მოვიყვანოთ ლორდ ლანსდოუნის სიტყვები ტიბეტის კითხვის გამო. „ფაქტებს შეუბრალებლად უნდა მოესპო ტიბეტელების იმედი, რომ რუსები დაეხმარებიან; ეხლა ისინი გონს მოვლენ და მიიღებენ ინგლისის პირობებს.“ ვინ იტყვის, რომ ინგლისის მინისტრი ასე აშკარა ლაპარაკს გაბედავდა ერთის წლის წინ, როცა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებაზე კრინტის დამჭრასაც ვერაფერს გაბედავდა. კიდევ ერთი კითხვა: რალა მეტი საბუთია საჭირო იმ აზრის სასარგებლოდ, რომ რუსეთ-საფრანგეთის კავშირთან ერთად საჭიროა რუსეთ-გერმანიის დამეგობრებაც?..“

იმას კი არ ამბობს გაზეთი, თუ როგორ მოხერხდება რუსეთ-საფრანგეთის კავშირის არსებობა რუსეთ-გერმანიის დამეგობრებასთან. მაგრამ ეხლა ეს არ გვინტერესებს; საინტერესოა, თუ როგორ აფასებს რუსეთის საზოგადოებრივი აზრი ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას და ეს დაფასებაც ხომ ვნახეთ; ამ შეთანხმების წყალობით, უფრო ძლიერი, უფრო თავისუფლად მომქმედი ინგლისი სდგას დღეს თავის მეტოქეთა წინაშე...

ერთი საყურადღებო მხარე აქვს კიდევ ინგლის-საფრანგეთის დაახლოვებას: როგორც ვიცით, შორეულ აღმოსავლეთის ომიანობამ დიდი ზრუნვა და შიში დაბადა საფრანგეთსა და ინგლისში — ვაი თუ დადგეს ისეთი მომენტი, როცა ეს ორი სახელმწიფო ვალდებული გახდება ომში ჩაერიოს და თავ-თავის მოკავშირეს დახმარება გაუწიოს! ამ დაახლოვების შემდეგ ომში ჩარევა შეუძლებელი ხდება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩინეთი ნეიტრალიტეტს დაარღვევს და რუსეთს ომს გამოუ-

ცხადებს. ერთის მხრივ ინგლის-იაპონიის ხელშეკრულება, მეორეს მხრივ რუსეთ-საფრანგეთის შეთანხმება ავალებს მოკავშირეს, რომ თუ, ვინიცობაა, ორი ან მეტი სახელმწიფო დაუწყებს ომს მეორე მოკავშირეს, მაშინ ისიც მოვალე იქნება ომში ჩაერიოს. ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების ძალით ჩინეთის ომში გარევა არ ჩაითვლება ასეთ გარემოებად.

ერთის სიტყვით ინგლის-საფრანგეთის დამეგობრება და შეთანხმება მრავალ და დიდ-მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენაა.



IX—ნარევი.—1. კლექის წამლობა.—2. ზეთიას და ექიმს  
 ერიდეთ!—3. აკადემიების კონგრესი.—4. მცენარეთა მეორედ  
 აყვავება.—5. ძვირფასი განძი.—6. ქალთა სამეფო.—7. ქალთა  
 რიცხვი.—8. ქალთა მოქალაქეობრივი უფლებანი ინგლისში.—  
 9. ევროპიელ სახელმწიფოთა შეიარაღებული მშვიდობიანობა—  
 10. ლობობა ინგლისში.—11. ამერიკული კონკურენცია.—  
 12 ნოქრების საზოგადოება გერმანიაში.—13. არ გავცვლი  
 სალსა კლდეებსა...—14. თავად-აზნაურობის სანუგეშოდ და  
 სამწუხაროდ.—15, მომავლისათვის ზრუნვა.—16. ერთა ში-  
 რის მშვიდობიანობის დამყარება. . . . . 114

XI—† ვლადიმერ აღნიაშვილი . . . . . 123

XII—ზინაური მიმოსილვა . . . . . 125

XIII—უცხოეთის მიმოსილვა. —1. ს. იუჟაკოვი და შორე-  
 ულ-აღმოსავლეთის საქმე.—2. ინგლის-საფრანგეთის შეთან-  
 ხმება. . . . . 154



# მ ლ ა მ ბ ე

წელიწადი მეფერთმეტე

ბამოღის ყოველ თვე

ფასი ჟურნალ „მოამბისა“ გაგზავნით:

რუსეთის და კავკასიის ქალაქებში:	საზღვარ-გარედ:
ერთის წლით . . . . . 10 მან.	ერთის წლით . . . . . 13 მან.
ექვსი თვით . . . . . 6 მან.	ექვსის თვიო . . . . . 7 მან.
სამი თვით . . . . . 4 მან.	სამი თვით . . . . . 5 მან.

**ვინც „მოამბისა“ გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ კვირაში ორის სურათებიანის დამატებით უფასოდ დაეთმობა**

ფასის განაწილება შეიძლება ასე: ბირჟულად 5 მან. 1-ლ მარტამდე—3 მან, და 1-ლ აგვისტომდე—2 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბისა“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერმა **ქართი** მანეთი უნდა წარმოადგინოს **დამატებათა** გასაგზავნად.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Тифлисъ, Редакция „Моамбе“.**

ჟურნალში დასაბეჭდად მიღებულ წერელებს, თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეასწორებს და შეამოკლებს. ხელნაწერები, რომლებიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხოონ ერთის თვის განმავლობაში,—მერმე ველარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდავ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

დასაბეჭდად წარმოგზავნილ თარგმანზე აღნიშნული უნდა იყოს უეჭველად ყველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი ხელ-ნაწერი.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ ჟურნალმა თავისი აზრი წარმოსთქვას, ორ-ორი ეგზემპლიარი უნდა გამოუგზავნოს რედაქციას.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირათუქმეებს გარდა, შუადღიდან ნაშუადღევის ორ საათამდინ.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ყველა ხელის-მომწერთ, რომელთაც კი ჟურნალის ნომერი არ მიუვათ, განცხადებასთან ერთად რედაქციას წარმოუგზავნონ აგრედვე მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომლიდანაც იღებენ ნომრებს, რომ ამ კანტორას ესა და ეს ნომერი არ მიუღია, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.

რედაქტორი  
ა. ლ. გ ე რ ნ ი ა.

გამომცემელი  
ა. ლ. ყ ა ნ ბ ა დ ა ნ ი